რამან რამიშვილი

# ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები

სიონი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

რამინ რამიშვილი

# ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები

## I

# ს ი ო ნ ი

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1970

902,6 (C41)
902.6 (47.922)
რ 214

ნაშრომი ეძღვნება ივრის სიონის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას, რომელთაგან ბაზილიკა უკვე კარგა ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას. დანარჩენი მასალები კი ქვეყნდება პირველად. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა მიწისქვეშა აკლდამა და მრავალსართულიანი სამაროვნიდან მომდინარე სამარხეული კომპლექსები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ გავაშუქოთ ივრის ხეობის მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და მატერიალური კულტურის ისტორიის არაერთი საყურადღებო საკითხი ადრეფეოდალურიდან მოყოლებული გვიანფეოდალურ ხანამდე.

1—6—2
136—70 ადგ.

# წინასიტყვაობა

1962 წ. იანვარში სიონმშენის დირექციამ, რომელიც მდ. იორზე დიდი წყალსაცავის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს აცნობა სიონის ეკლესიის გარშემო ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შესახებ[1]. ისტორიის ინსტიტუტმა სათანადო სადაზვერვო შემოწმების შემდეგ სიონში მიავლინა არქეოლოგიური ექსპედიცია[2], რომელსაც თავდაპირველად გათვალისწინებული ორი კვირის ნაცვლად, თითქმის სამი თვის განმავლობაში მოუხდა ველზე დარჩენა.

პროექტით, სიონის ბაზილიკის ტერიტორიაზე, რომელიც უშუალოდ კაშხლის სიახლოვეს მდებარეობდა, გათვალისწინებული იყო რამდენიმე მეტრის სისქე მიწის აღება და შემდგომ ამ ადგილების დაბეტონება, რასაც, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა სიონის ტაძრის და მასთან დაკავშირებული სხვა ძეგლების დანგრევა-განადგურება, ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ 1950 — 1952 წწ. უჯარმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, მომავალი წყალსაცავის ზონაში მოქცეულ ძეგლთა მოსალოდნელი ბედის გათვალისწინებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ივრის სიონის ბაზილიკას (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. შესავალში).

1961 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს გადაწყვეტილებით, კულტურის სამინისტროს, ხელოვნებისა და ძეგლთა დაცვის 'სამმართველოს სარესტავრაციო-სამეცნიერო სახელოსნოს დაევალა სიონის ბაზილიკის, როგორც მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლის, დაშლა და გატანა მომავალი წყალსაცავის ტერიტორიიდან. ამასთან დაკავშირებით სარესტავრაციო სახელოსნომ ჩაატარა შემდგომი სამუშაოები: გააშიშვლეს ბაზილიკის ყველა კედელი ზეძირკველის დონემდე, აღწერეს, აზომეს და დანომრეს კედლის პერანგის თითოეული ქვა, ხოლო შემდეგ დაშალეს და თბილისში გადაზიდეს[3]. სამწუხაროდ, მთელი ეს მუშაობა სახელოსნომ ჩაატარა არქეოლოგთა მეთვალყურეობის გარეშე.

---

[1] სიონმშენს მსგავსი ცნობა იმავე დროს გაუგზავნია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისათვისაც. მუზეუმის თანამშრომლ ებმა ი. კიკვიძემ და ი. გაგოშიძემ ჩვენზე ადრე მოინახულეს სიონის მშენებარე კაშხლის მიდამოები და აღმოჩენის ადგილიდან მუზეუმში ჩამოიტანეს ზოგიერთი მონაპოვარი, მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა მოჩუქურთმებული ქვის ნატეხი, რომელიც, როგორც შემდგომ გამოირკვა, მესამე სამარხიდან იყო მონგრეული.

[2] ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ვ. კანდელაკი, ო. თორთლაძე და მ. კოზლოვსკი. გარდა ამისა, ექსპედიციაში სხვადასხვა ვადით იმყოფებოდნენ: ჯ. ჯღამაია, ნ. ვაშაკიძე, გ. ღოღთქიფანიძე და ნ. კიღურაძე.

[3] ამჟამად ივრის სიონის ეკლესია, მცირეოდენი ცვლილებებით, აღდგენილია თბილისის მატერიალური კულტურისა და ხალხური ყოფის ღია მუზეუმში. ხუროთმოძღვარ ლ. ხიმშიაშვილის ხელმძღვანელობით.

სიონის ბაზილიკის „ევაკუაცია“ მშენებლებმა ამ ძეგლის შესწავლის ბოლო ეტაპად მიიჩნიეს და შეუდგნენ გეგმით გათვალისწინებული მიწის აღებას, რის დროსაც, როგორც შემდგომ დავრწმუნდით, დაინგრა ასობით სამარხი. შესაძლებელია ყოველივე ამის შესახებ ვერაფერი შეგვეტყო, რომ მშენებლები შემთხვევით არ წასწყდომოდნენ რაღაც მიწისქვეშა ნაგებობას, რომელიც მათ ირიზე ჩამავალი გვირაბის შესასვლელად მიიჩნიეს (სინამდვილეში ეს იყო აკლდამის დრომოსი). ამ „განსაკუთრებულმა შემთხვევამ“ აიძულა მშენებლობის დირექცია მიემართა ისტორიის ინსტიტუტისათვის.

ინსტიტუტის 1962 წ. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სიონის ბაზილიკის ნაშთების გარშემო მხოლოდ მაშინ დაიწყო ფართო არქეოლოგიური კვლევა-ძიება, როდესაც ეკლესიის ეზოდან სულ 250—300 კვ. მ ფართობი-ღა იყო გადარჩენილი.

მოგვიანებით, როდესაც ბაზილიკის აბსიდის აღმოსავლეთით, მრავალრიცხოვან ქვისსამარხებს შორის აღმოაჩინეს და გააშიშვლეს აკლდამის მონუმენტური ნაგებობა და ჩუქურთმიანი სამარხი, მეთოდური საბჭოსავე დადგენილებით გადაწყდა ამ ორი უნიკალური ძეგლის გადატანაც მომავალი წყალსაცავიდან. აღნიშნული ძეგლების არქეოლოგიური შესწავლისა და ნაგებობათა ევაკუაციისათვის საჭირო სახსრები გაიღო სიონწმენდა (მშენებლობის უფროსი გ. მაევსკი, უბნის უფროსი ჯ. სირბილაძე). მშენებლობის ტემპის შესაბამისად, როგორც არქეოლოგიური კვლევა-ძიება, ასევე ძეგლთა ევაკუაციაც მიმდინარეობდა საგრძნობი აჩქარებით (1962 წ. მაისისთვის უკვე წყლის შეგუბება უნდა დაეწყოთ).

აკლდამის დაშლა-გადმოტანის განხორციელებაში დიდი როლი შეასრულა იმ პრაქტიკულმა გამოცდილებამ, რომელიც სარესტავრაციო-სამეცნიერო სახელოსნოს სპეციალისტთა ჯგუფმა (ხელმძღვანელი ლ. ხიმშიაშვილი) შეიძინა ბაზილიკის ევაკუაციისას.

იმის გამო, რომ მოჩუქურთმებული სამარხი, რომელიც აკლდამის სიახლოვეს გაითხარა, ძალზე დაზიანებული იყო, გადაწყდა მისი ცალკეული ქვების გამაგრება, რისთვისაც ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმმა სიონში მიავლინა ქიმიკოს-რესტავრატორთა და მუზეუმის თანამშრომელთაგან შედგენილი საგანგებო ექსპედიცია[4], რომელმაც ჩუქურთმიანი სამარხის ცალკეული ქვები სათანადო ქიმიური დამუშავების შემდეგ თაბაშირში ჩასმული, თბილისს გადმოიტანა[5].

გარდა ნივთიერი კულტურის ძეგლებისა, სიონის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დააგროვა დიდძალი ოსტეოლოგიური მასალა, კერძოდ, თავის ქალები, რომლებიც შესასწავლად გადაეცა ანთროპოლოგ ე. ჯავახიშვილს. ამასთანავე, ექსპედიციის ბოლოსათვის, სიონში იმყოფებოდა ნორმალური ანატომიის კათედრის ანთროპოლოგთა ჯგუფი (ხელმძღვანელი მ. აბდუშელიშვილი), რომელმაც შეაგროვა სამარხებიდან მომდინარე დამატებითი ოსტეოლოგიური მასალა.

სიონის არქეოლოგიური ექსპედიცია პარალელურად აწარმოებდა ფართო სადაზვერვო მუშაობას იმ ვრცელ ტაფობში, რომელიც მანამდე სიონსა და

---

[4] მონაწილეობდნენ: რ. ბახტაძე (ხელმძღვანელი), მ. აფაქიძე, ვ. ცისკარიშვილი, ნ. სარაჯიშვილი. და მ. სულეიმანოვი.

[5] ამჟამად ჩუქურთმიანი სამარხის ქვები ინახება ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არმაზის ბაზაში.

სხვა სოფლებს ეკავათ და რომელსაც სულ მალე წყალი დაფარავდა. აიზომა რამდენიმე მეტ-ნაკლები სიდიდის, გვიანდელი ეკლესია თუ ნიშ-ხატი, შეგროვდა ტოპონიმიკური მასალა და სხვაგვარი ისტორიული ცნობები.

გარდა ამისა, დოკუმენტური ფილმების სტუდიამ სიონში ჩაატარა კინოგადაღება (ოპერატორი მ. ჭეიშვილი), არქეოლოგიურ ძეგლებთან ერთად ფირზე აღბეჭდილია მთელი ის ტაფობი, რომელშიაც ახლა წყალი დგას.

სამთვიანი საველე მუშაობის დროს ექსპედიციის საქმიანობას ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ინსტიტუტის ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი და არქეოლოგი გ. ლომთათიძე, რომლებმაც არაერთი საგულისხმო რჩევა მოგვცეს — როგორც არქეოლოგიური კვლევა-ძიების პროცესში, ისე მოპოვებული მასალის შესწავლის დროსაც.

საველე დოკუმენტაცია (ნახაზები, ნახატები, ფოტოები) შედგენილია: ო. თორთლაძის, ლ. ხიმშიაშვილის, ვ. კანდელაკის, გ. ქუმსიაშვილის, მ. კოზლოვსკისა და რ. რამიშვილის მიერ.

ტექსტში ჩართული ნახატების ნაწილი შესრულებულია ირ. ციციშვილის, ნ. თოფურიძის, ვ. კანდელაკის და ბ. მჭედლიშვილის, ხოლო ფოტოსურათები — მ. კოზლოვსკის, ოთ. თორთლაძის და რ. რამიშვილის მიერ.

წინამდებარე ნაშრომის დაწერიდან რამდენიმე წელი გავიდა და, ბუნებრივია ამ ხნის განმავლობაში ბევრ საკითხს ახლებური შუქი მოეფინა. ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად გაგვეთვალისწინებია როგორც ახალი სამეცნიერო ლიტერატურა, ისე არქეოლოგიური მასალებიც.

რადგან ნაშრომი წარმოადგენს ივრის სიონში გათხრილი ძეგლებისა და მოპოვებული მასალების პუბლიკაციას, ძირითადი ყურადღება კომპლექსების აღწერაზე, მასალის დარგობლივ და ტიპოლოგიურ ანალიზზე და ქრონოლოგიური ჯგუფების გამოყოფაზეა გამახვილებული. ამასთანავე არც ზოგადი საკითხებია დავიწყებული. ასეთია მაგ., ჟალეთის „ქვეყნის“ მოცულობის, მისი როლისა და პოლიტიკური ცენტრის განსაზღვრა, ამ „ქვეყნის“ მეურნეობრივი დახასიათება და გზები, მთისა და ბარის ურთიერთობა არქეოლოგიური მასალების მიხედვით და სხვ.

# შესავალი

ივრის ხეობა, რელიეფისა და ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობების მიხედვით, ორ მთავარ, ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებულ, მ თ ი ა ნ და დ ა ბ ლ ო ბ ნაწილად იყოფა.

მდ. იორი, რომელიც „გამოსდის ფშავისა და თიანეთის შორის მთას და დის ჩრდილოდამ სამხრით, უჯარმამდე“[1], ხაშმი-სართიჭალას მიდამოებამდე მთაგორიანს ხეობაში მოედინება. ივრის ხეობის ეს ნაწილი, მდინარის მრავალრიცხოვანი შენაკადებითურთ, წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ნაყოფიერ კუთხეს. მართალია, ზოგან ივრის ხეობა „მთოვან-კლდოვანია“[2], მაგრამ მაინც მის სიღრმეში ურთი-ერთს კარგად ერწყმის ფრიალო „ვიწროები“ და ვრცელი ტყეები, საკმაოდ უხვი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და ალპური საძოვრები, წყალუხვი ხევ-მდინარენი და სხვადასხვა წიაღისეული, რაც, ძველთაგანვე ამ ხეობაში მოქმედ სავაჭრო სატრანზიტო გზებთან ერთად, საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მრავალდარგოვანი და მოწინავე მეურნეობის განვითარებისათვის.

ივრის ხეობის ბუნებრივი თავისებურებანი ყოველთვის განსაზღვრავდა ამ მხარის სამეურნეო პროფილსაც. მაშინ, როდესაც ივრის შუა და ქვემო ნაწილებში (უჯარმის ქვემოთ) მთავარი იყო ბარის ტიპის მეურნეობა (მემინდვრეობა, მევენახეობა, მებაღეობა-მებოსტნეობა, მესაქონლეობა), მის ზემო ნაწილში (არტნის ხევი, თიანეთის, ერწოს და ჟალეთის „ქვეყნები“) მთის ტიპის მეურნეობა ბატონობდა და სხვა დარგებთან შედარებით წამყვანი მაინც მესაქონლეობა იყო[3].

ისტორიულად ივრის ხეობის ორივე გეოგრაფიულ-მეურნეობრივი ზონა წარმოადგენდა მთლიან ეკონომიურ რაიონს და მათ ერთიმეორის გარეშე, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ სრულყოფილი და ინტენსიური განვითარება. ივრის ხეობის ზემო ნაწილის სამეურნეო ღირებულებას განსაკუთრებით საძოვართა სიუხვე ზრდიდა. მაგრამ, გარდა მეურნეობრივისა, პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისითაც ხეობის აღნიშნული ნაწილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საქართველოს მოწინავე მხარეთა შორის. სადღეისოდ უკვე საკმაოდ კარგად არის ცნობილი ის დიდი როლი, რასაც ივრის ხეობის ზემო ნაწილის მომცვე-

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლ ო მ ო უ რ ი ს ა და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1941, თბ., გვ. 88.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 90.

[3] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა (ივერია-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან), თბ., 1966, გვ. 55.

ლი „ერწო-თიანეთის ქვეყანა „ასრულებდა „ისტორიული კახეთის წარმოქმნის პროცესში“[4].

როგორც მართებულად წერდა ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოში თითოეულ მხარეს „თავისი ისტორია აქვს“. ზოგადისა და საერთოს გვერდით თითოეულ მათგანს დანარჩენთაგან განსხვავებული ისტორიული განვითარების თავისებურებაც გააჩნია. მათი შესწავლა-წარმოჩენა აუცილებელია... სწორედ საქართველოს მთლიანი ისტორიული განვითარების ცოცხლად, ხორცშესხმულად წარმოდგენისათვის“[5]. ეს პირველ რიგში ეხება ივრის ხეობის ზემო ნაწილს, სადაც „ერწო-თიანეთის ქვეყანათა“ ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლა უაღრესად იმედისმომცემ პერსპექტივას გვიშლის აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკითხთა ახლებურად გასაშუქებლად.

ივრის ხეობა მეურნეობრივი და პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით, კარგა ხანია იქცევს მკვლევარ-ისტორიკოსთა ყურადღებას და ამ ასი წლის მანძილზე მის სიძველეთა შესწავლას არაერთი ნაშრომიც მიეძღვნა[6].

ივრის ხეობის საფუძვლიანი არქეოლოგიური შესწავლა დაიწყო მხოლოდ 1950 წ., როდესაც ძველ ნაქალაქარ უჯარმაში განხორციელდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ნ. ბერძენიშვილი, თხრის ხელმძღვანელი გ. ლომთათიძე), რომლის მიზანს არა მარტო საკუთრივ უჯარმის არქეოლოგიური გათხრა-შესწავლა წარმოადგენდა, არამედ აგრეთვე მთელი ივრის ხეობის შუა და ზემო ნაწილის მოხილვა და დაზვერვა როგორც არქეოლოგიური, ისე ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით[7].

ამას გარდა, ექსპედიციას განსაკუთრებით უნდა გაემახვილებინა ყურადღება ივრის ხეობის იმ მონაკვეთებისადმი, სადაც სათავეს იღებდა სამგორის სარწყავი სისტემა და არც თუ შორეულ მომავალში უნდა აშენებულიყო დიდი წყალსაცავი, რომელიც დაფარავდა თითქმის მთელ ტაფობს სოფ. სიონის მიდამოებში. ამიტომაც იყო, რომ უჯარმის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-

---

[4] ნ. ბერძენიშვილი, ექსპედიცია ივრის ხეობაში 1935 წ. (საანგარიშო მოხსენება) საქართველოს ისტორიის საკითხები, I, თბ., 1964, გვ. 176.

[5] იქვე, გვ. 175.

[6] П. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии, Тифлиси 1850, стр. 46—48; Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, Тифлис, 1875; П. С. Уварова, Поездка В Пшавию, Хевсуретию и Сванетию, МАК, X, М., 1904 стр. 4—5, 57—58; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1948, გვ. 42—154; გ. ჩოტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე. XI, თბ., 1941, გვ. 57—66; ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველები (დღიური) იქვე, თბ., გვ. 67—182. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, ექსპედიცია ივრის ხეობაში 1955 წ. (საანგარიშო მოხსენება), თბ., 1964; გ. ლომთათიძე, უჯარმაში წარმოებული არქეოლოგიური თხრის წინასწარი ანგარიში. 1952 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი სესიის ანოტაციები, 1953. (მოხსენების ხელნაწერი ინახება არქეოლოგიის სექტორის არქივში). ძირითადი დებულებანი გამოქვეყნებულია (იხ. საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 303—304, 351, 353, 357—377); ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955, გვ. 49; მისივე, უჯარმა, „ძეგლის მეგობარი“, 6, თბ., 1966; დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი, უჯარმა (ივერია-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან), თბ., 1966; ე. ხოშტარია, ივრის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ხელნაწერი, 1953 წ მოხსენდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიას და სხვა.

[7] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ.

მა რაზმმა (რაზმის ხელმძღვანელი, ხუროთმოძღვარი ირ. ციციშვილი) 1951 წელსვე დაზვერა იერის სიონი მისი მიდამოებითურთ და უპირველეს ყოვლისა არქეოლოგიურად შეისწავლა ყველაზე უფრო საყურადღებო, ლიტერატურაში მანამდე უცნობი ძეგლი — სიონის ბაზალიკა[8]. ძეგლის შესწავლა ძირითადად ამ დანგრეული შენობის კედლების და შიდა სივრცის გაწმენდაში გამოიხატებოდა და მიზნად ისახავდა მის აზომვას, ფიქსაციას და დათარიღებას.

ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ ცხადყო, რომ იერის სიონის ბაზილიკა წარმოადგენს ადრექრისტიანული ხანის ქართული ხუროთმოძღვრების საკმაოდ მნიშვნელოვან ძეგლს[9].

მიუხედავად იმისა, რომ ტაძარმა ჩვენამდე ძალზე დაზიანებული სახით მოაღწია, არქეოლოგიურმა შესწავლამ შესაძლებელი გახადა გარკვეულიყო ხსენებული ნაგებობის კონსტრუქციული თავისებურება, მხატვრული ღირებულება და აგრეთვე ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში. (ტაბ. II—1, 2).

სიონის ტაძარი გეგმით წარმოადგენს ოთხკუთხედს, რომელიც მრგვალი, მონოლითური სვეტების ორი წყვილით დაყოფილია სამ ნავად. როგორც ამ პერიოდის სხვა ბაზილიკებში, აქაც ცენტრალური, განიერი ნავი, აღმოსავლეთ ბოლოში თავდება ნალისებური ღრმა აფსიდით[10], რომელიც შიდა სივრცისაგან კანკელით ყოფილა გამიჯნული[11]. საყურადღებოა, რომ აბსიდა გარედან ხუთწახნაგაა და ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის ხაზს გარეთაა გამოშვერილი (ტაბ. 1). ეკლესიის ნავები ურთიერთდაკავშირებული ყოფილა აგრეთვე კარგად გამოსახული ნალისებური თაღებით, რომლებიც პილონებზე და ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში განლაგებულ ქვის სვეტებზე ყოფილა დაყრდნობილი. ეკლესიის კედლებში გამოყენებულია შირიმის არც თუ მთლად ნატიფად გათლილი კვადრები[12].

აღსანიშნავია, რომ ეკლესიის კედლების პერანგის წყობაში მეტწილად დაცული არ იყო რიგების ჰორიზონტალობა, რისი მაგალითიც ქართულ ხუროთმოძღვრებაში უკვე გვიანანტიკური ხანიდან მოგვეპოვება. კერძოდ, ახ. წ. I ს. მიწურულით დათარიღებული მცხეთის სადგურის აკლდამის ფასადი წარმოადგენს ამგვარი სამშენებლო ტექნიკის საუცხოო ნიმუშს[13]. რადგან შირიმის ქვა ნასვრეტოვანების გამო ჩუქურთმების ამოსაკვეთად გამოუსადეგარია, ტაძრის მონოლითური სვეტების, მათი თავებისა და ყველა სხვა ჩუქურთმიანი ნაწილებისათვის რბილი ქვიშაქვებია გამოყენებული.

---

[8] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრ.

[9] იგულისხმება ირ. ციციშვილის მიერ 1951 წ. 20 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში წაკითხული მოხსენება იერის სიონის არქეოლოგიურ-ხუროთმოძღვრულ გამოკვლევასთან დაკავშირებით. შდრ. Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб. 1959, стр. 132.

[10] ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955.

[11] ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., ტაბ. მე-17, ნახატი 8.

[12] შესაძლებელია, ნასვრეტოვანი კირქვების ანუ შირიმის ქვაფილები ღროთა ვითარებაში გამოიფიტა და ამიტომ ტოვებს ასეთ შთაბეჭდილებას.

[13] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, № 10—11, 1951, № 10.

1951 წ. ჩატარებული თხრისას ნანგრევებში აღმოაჩინეს ჩუქურთმით შემკული არაერთი ქვა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ თავის დროზე ივრის სიონის ეკლესია შიგნიდან უხვად ყოფილა შემკული სხვადასხვაგვარი ჩუქურთმით[14].

გარდა ამისა, აბსიდის ბათქაშზე აქა-იქ შემორჩენილი იყო ფრესკის ნაშთები.

სიონის ტაძრის გარეთა მხარე, რომელიც მოკლებულია სამკაულს და ხასიათდება მძიმე და უხეში ფორმებით, კონტრასტს ქმნის მის შიდა სივრცესა და მდიდრულ მორთულობასთან. ქრისტიანულ ნაგებობათა მხატვრული გაფორმებისას აქცენტის გადატანა მის შიდა მორთულობაზე საერთოდ დამახასიათებელია ადრეული ხანის ქართული (და განსაკუთრებით კახური) ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისათვის. მაგრამ ძეგლის არქაულობას მოწმობს არა მარტო მისი მშენებლობის თავისებურება, არქიტექტურული პროპორციები და მხატვრული გაფორმების ხერხები, არამედ მორთულობის მოტივთა საკმაოდ დიდი სიძველე და მათი მიმბაძველობა შედარებით არქაული ფორმებისადმი. ყოველივე ეს იძლევა უფლებას, რომ ივრის სიონის ბაზილიკა ძირითადად ადრეფეოდალური ხანით იქნას დათარიღებული[15]. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი მკვლევარი (მაგ. ი. ციციშვილი) ამ ნაგებობას ადრეფეოდალური ხანის ადრეულ ეტაპებს უკავშირებს და V — VI სს-ით ათარიღებს[16], ხოლო გ. ჩუბინაშვილის აზრით ძეგლის მხატვრულ შედარებითი ანალიზი საშუალებას არ იძლევა იგი VIII — IX სს-ზე ადრინდელი დროით დათარიღდეს[17].

1952 წ. შემდეგ უჯარმის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის მოულოდნელმა შეწყვეტამ ერთხანს კვლავ შეანელა ინტენსიური არქეოლოგიური კვლევა-ძიება ივრის ხეობის შუა და ზემო ნაწილებში, თუმცა გარკვეული მუშაობა მომდევნო 10 წლის მანძილზე, ერწო-თიანეთის მხარეში მაინც ჩატარდა.

კერძოდ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველომ 1953 წ. ივრის ხეობაში

---

[14] ირ. ციციშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XV—II, ნახ. 9, 10.

[15] როდესაც სიონის ეკლესიის ხნოვანებაზეა საუბარი იგულისხმება საკუთრივ ბაზილიკა ჩრდილო მინაშენითურთ. ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური დაკვირვების მეოხებით კარგად ჩანდა, რომ ბაზილიკა და ჩრდილო მინაშენი მშენებლობის ერთ ხანას განეკუთვნება. ამაზე უპირველეს ყოვლისა მეტყველებს ბაზილიკის ჩრდილო ნავიდან, ჩრდილო მინაშენში გასასვლელი კარის არსებობა (ტაბ. I). ამასთანავე საყურადღებოა მათი საძირკვლების ორგანული ურთიერთ კავშირი და მსგავსება.

რაც შეეხება სამხრეთ მინაშენს, იგი აშკარად გვიანდელი ჩანდა არა მარტო განსხვავებული სამშენებლო მასალითა და წყობით. არამედ იმითაც, რომ თავდაპირველი გეგმით იმ მხარეს რაიმე ნაგებობის არსებობა გამორიცხული იყო, თუნდაც იმიტომ, რომ სამხრეთი კარიბჭე გარედან დამშვენებულია მდიდრული ჩუქურთმით.

სამხრეთი მინაშენის აგების ზუსტი თარიღი ძნელი დასადგენია, მაგრამ, რომ იგი შუაფეოდალური ხანისათვის უკვე არსებობდა, ამას ადასტურებს სამხრეთი მინაშენის საკურთხეველის წინ აღმოჩენილი დიდი კოლექტიური სამარხი, რომელიც მასში მოპოვებული მასალების მიხედვით XII—XIII სს. განეკუთვნება.

[16] ირ. ციციშვილი, 1951 წ. 20 დეკემბერს ივ. ჯავახიშვილის ისტორიის ინსტიტუტში წაკითხული მოხსენება; აგრეთვე იხ. Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

[17] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 132—133; შდრ., იქვე, გვ. 31—32 და 50.

ჩაატარა თიანეთის რაიონის ისტორიულ ძეგლთა პასპორტიზაცია, რასაც ო. ღამბაშიძე ხელმძღვანელობდა[18].

1954 წ. ივრის ხეობაში ისტორიულ-არქეოლოგიური დაზვერვა ჩაატარეს დ. მუსხელიშვილმა და ლ. ჭილაშვილმა. ისინი საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ ივრის ხეობის ისტორიულ გეოგრაფიასთან დაკავშირებული მასალების შეკრებას[19].

1958 წლიდან კულტურის სამინისტროსთან არსებულმა ძეგლთა დაცვის სამმართველომ, გ. ჩუბინაშვილის თაოსნობით, საგანგებო ყურადღება მიაქცია ჟალეთის ეკლესიას.

ჟალეთის ეკლესიის ნანგრევთა შესასწავლად ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველომ 1958—60 წწ. მოაწყვეს რამდენიმე ერთობლივი ექსპედიცია, რაც მიზნად ისახავდა გათხრა-გაწმენდითი სამუშაოების მეშვეობით[20] გამოეკვლიათ ჟალეთის ეკლესიის ხუროთმოძღვრული სახე, აეზომათ და შეესწავლათ მისი მხატვრულ-სტილისტიკური თავისებურება. პარალელურად წარმოებდა ძეგლის დაცვისა და გამაგრების საკითხის შესწავლაც, რის საფუძველზედაც 1961—1962 წწ. ჟალეთის ეკლესიაზე ჩატარდა აღდგენა-გამაგრებითი მუშაობა.

ჟალეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლზე ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ საკმაოდ საყურადღებო მასალა მოგვცა საქართველოში სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ნაგებობათა გავრცელებისა და განვითარების საკითხისათვის. გარდა ამისა, ივრის ხეობის სიძველეთა სიას შეემატა ერთი, საკმაოდ კარგად შესწავლილი ისტორიული ძეგლი[21].

ახალი ეტაპი ივრის ხეობის არქეოლოგიურ შესწავლაში დაიწყო 1962 წლიდან, როდესაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სიონის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ განახორციელა არქეოლოგიური გათხრა ივრის სიონის წყალსაცავის ტერიტორიაზე, სადაც გამომზეურდა წინამდებარე მონოგრაფიაში განხილული ძეგლები და მასალები[22].

მომდევნო წლებში ივრის ხეობაში უკვე აღარ შეწყვეტილა არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ასე, მაგალითად, 1963 წ. განხორციელდა ერწოს ველის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის მოწყობის აუცილებლობაც ჯერ კიდევ 1962 წ. გახდა ცხადი. ამ ექსპედიციამ გულდასმით დაზვერა

---

[18] იხ. „თიანეთის რაიონის ისტორიული ძეგლების პასპორტები", საქმე № 76, შემდგენი ო. ღამბაშიძე, 1953 წ. (საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამმართველოს არქივი).

[19] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40; ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის მოსაპოვებლად წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერი, თბ., 1967.

[20] აღნიშნულ პერიოდში ჟალეთის ეკლესიაში ჩატარდა შრომატევადი მიწის სამუშაოები: გარშემოითხარა საძირკვლის დონემდე, ხოლო შიდა ფართობი მთლიანად გამოასუფთავეს. სამწუხაროდ, ყოველივე ეს გაკეთდა არქეოლოგის მეთვალყურეობის გარეშე, რის შედეგადაც გამოუყენებელი დარჩა ძეგლის არქეოლოგიური დათარიღების კარგი შესაძლებლობა.

[21] Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, стр. 136—139; ნ. ქადეიშვილი, ჟალეთის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბ., 1964.

[22] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, არქეოლოგიური გათხრები ივრის სიონში 1962 წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1962 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევის შედეგებისადმი, 1963, გვ. 79—84.

ერწოს ველი და არაერთ საყურადღებო არქეოლოგიურ ძეგლზე მოაწყო საველი თხრა. ახლად გამოვლენილ ძეგლებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოფ. თრანის „რკინის კალოსა“ და სოფ. მაგრანეთის ჭუშანაანთ გორის სამაროვნები[23].

1963 წელსვე მოეწყო ჟალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია[24].

ამჟამად ჟალეთს უწოდებენ მცირე არქიტექტურულ კომპლექსს ივრის ხეობაში, რომელიც შედგება გალავნით მოზღუდული მცირე ეკლესიისა და ერთი მაღალი კოშკისაგან. აღნიშნული კომპლექსი მდებარეობს ჟალეთის ეკლესიის („ხატის“) მოპირდაპირე მხარეს, იორს გაღმა, კლდოვან თხემზე, ივრის კალაპოტიდან დაახლოებით 250—300 მ სიმაღლეზე. გარდა აღნიშნული ძეგლის სტრატიგრაფიის გარკვევისა, ექსპედიცია მიზნად ისახავდა არქეოლოგიურ-დაზვერვითი თხრის წარმოებას ე. წ. „ჟალეთის ქვეყანაში“, რის დროსაც სხვა მრავალრიცხოვან ძეგლთა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია ნასოფლარ საყარაულოს დასავლეთ განაპირას, ჩეკურაანთ გორის ხევის პირას მდებარე გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანმა, რომელიც, თავის მხრივ, ფარავდა ადრებრინჯაოს დასასრულისა თუ შუაბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების შემცველ კულტურულ ფენას.

ჟალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მუშაობა განაგრძო 1964 წელსაც, რის შედეგადაც საბოლოოდ გაირკვა, რომ ჟალეთის თხემზე, მის ჩრდილო ნაწილში მაინც, არ არის მოსალოდნელი რაიმე ძველი ნაგებობის კვალის აღმოჩენა[25]. არქეოლოგიური მონაპოვრის მიხედვით ჟალეთის ქედზე მოქცეული ხუროთმოძღვრული კომპლექსი თარიღდება XI—XIII სს.-ით. იქვე დადასტურდა გვიანფეოდალური ხანით დათარიღებული ფენების არსებობაც[26].

გარდა ზემოაღნიშნულისა, 1964 წ. ჟალეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნასოფლარ კუპრიაანთ კარში მიაკვლია გვიანი ბრინჯაოს ხანის დასასრულის საკმაოდ საინტერესო სამაროვანს, რომლის ქვეშაც მოქცეულია ადრებრინჯაოს ხანის კერამიკული ნატეხებისა და ნაცრის შემცველი მძლავრი კულტურული ფენა. არქეოლოგიური კვლევა-ძიება ერწო-თიანეთის მხარეში გრძელდებოდა შემდეგ წლებშიაც[27]. ამის შედეგად დაგროვდა უაღრესად საყურადღებო ნივთიერი მასალა, რომელიც, გარდა მთელი ხეობის ზოგადი ისტორიული სურათის უკეთ გარკვევისა, დიდად გვეხმარება საკუთრივ ივრის სიონის ისტორიის ცალკეულ ეტაპთა გაშუქებაში და საშუალებას გვაძლევს ნათლად წარ-

---

[23] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწოს ველის დაზვერვითი-არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში (1963 წ.). ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის XII სამეცნიერო არქეოლოგიური სესიის ანოტაციები, თბ., 1964, გვ. 13—22.

[24] დ. მუსხელიშვილი, რ. რამიშვილი, ჟალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წ. ანგარიში. XII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964, გვ. 3—6.

[25] დ. მუსხელიშვილი, რ. რამიშვილი, ჟალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წლის ანგარიში. XII სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1963 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964, გვ. 4.

[26] დ. მუსხელიშვილი, ჟალეთის არქეოლოგიური შესწავლის შედეგები, ხელნაწერი, 1965 წ.

[27] 1965 წ. ითხრებოდა „რკინის კალოს“ სამაროვანი ერწოს ველზე. 1966 წ. —ჭუშანაანთ გორის მდიდრული სამაროვანი და ადრეფეოდალური ხანის სამაროვნები მაგრანეთში. 1967—68 წ. კვლავ გაგრძელდა ერწოს ველის არქეოლოგიური ექსპედიცია. ითხრებოდა მდიდრული სამაროვანი და ადრეფეოდალური ხანის ნამოსახლარი ჭუშანაანთ გორაზე.

მოვიდგინოთ ის როლი, რომელსაც თანამედროვე სიონის ადგილას მდებარე ქალაქური ტიპის სამოსახლო ასრულებდა ადრეფეოდალური ხანიდან მოკიდებული.

*
* *

სოფელი სიონი ამჟამად წყლითაა დაფარული[28]. დაიტბორა ქედებით გარშემორტყმული ვრცელი ტაფობი, სადაც გარდა სიონისა ადრე მდებარეობდნენ სოფლები: კუპრიაანთ კარი, ჭიოტაანთ კარი, უკუღმართი, მაჟალოიანი, ჯიხო, საყარაულო, გონდაური და დიღმელაური[29]. მაგრამ, გარდა ამ 8—10 კმ სიგრძის ტაფობისა, წყალმა მოიცვა ხეობის საკმაოდ მოზრდილი ნაწილიც, ისე რომ წყალსაცავში უდიდესი მარაგის დაგროვებისას ხელოვნური „ზღვის“ ბოლო თიანეთის მახლობლად მდებარე სოფ. ლელოვნამდე აღწევს. აღნიშნული მხარე თავისი ვრცელი სახნავ-სათესებითა და საძოვრებით თიანეთის რაიონის ერთ-ერთ საკმაოდ ღონიერ სასოფლო-სამეურნეო მიკრორაიონს წარმოადგენდა.

ექსპედიციის სამუშაო ადგილი, სიონის გორა, წყლის შეგუბებამდე წარმოადგენდა ივრის მარცხენა ნაპირზე მდებარე წაგრძელებულ მცირე ქედობს, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ იყო დამხრობილი. მისი დასავლეთი ბოლო, რომელიც ივრის პირზე იყო წამდგარი, სამი მხრიდან იფარგლებოდა საკმაოდ დამრეცი ფერდობებით, ხოლო მისი თხემი წარმოადგენდა მდინარისაკენ დახრილ ვაკობს, რომელზედაც იდგა ზემოხსენებული სამნავიანი ბაზილიკა[30]. ამ წაგრძელებული ქედობის დასავლეთი ნახევარი ამჟამად ნაწილობრივ კაშხლის მიწაყრილის, ხოლო ნაწილობრივ — წყალს ქვეშ არის მოქცეული.

სულ სიონის სამაროვანზე გათხრილ-შესწავლილია ასამდე სამარხი, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა შიგნიდან მოჩუქურთმებული, ორგანყოფილებიანი ქვისსამარხი და დიდი მიწისქვეშა კოლექტიური სამარხი-აკლდამა, რომელთა შესახებაც ქვემოთ ცალ-ცალკე გვექნება საუბარი.

გარდა ამისა, სიონის ეკლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან 150—200 მეტრზე—იქ, სადაც ამჟამად კაშხლის საავარიო წყალსაშვების სათავეა, სიონის გორის სამხრეთი ფერდობის ძირთან გაითხარა აგრეთვე შირიმის ქვით

---

[28] სოფლის მოსახლეობა, რომელიც დაახლოებით 120 კომლისაგან შედგებოდა, სხვა მეზობელ სოფლებთან ერთად გადაყვანილ იქნა სართიჭალაში, თუმცა სიონელთა ერთი მცირე ჯგუფი (15—20 კომლი) მაინც დარჩა ადგილობრივ და თავიანთი სახლ-კარი ძველი სიონის ჩრდ.-აღმოსავლეთით ადგილ პანტიანში გადაიტანეს. ახლა იმ დასახლებულ პუნქტს, რომელიც სიონის კაშხლის გვერდით პანტიანშია განლაგებული, ოფიციალურად დაბა სიონმშენი ეწოდება. მისი აწინდელი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოსული მუშებითა და ტექნიკური პერსონალით. მანძილი დაბა სიონმშენიდან თბილისამდე 80 კმ-ია.

[29] სიონს გარდა სხვა სოფლები შედარებით პატარები იყვნენ (საშუალოდ 15—30 კომლი).

[30] გარდა აღნიშნული ეკლესიისა, ადგილობრივთა გადმოცემით, ამ ქედობის აღმოსავლეთ ნაწილში, ბაზილიკასა და პანტიანს შორის მრავლად ყოფილა ნანგრევი, მათ შორის კოშკებიანი გალავანი და სხვა რაღაც კედლები დაუნგრევიათ საავადმყოფოს შენების დროს, ხოლო სამაროვნის სიახლოვეს, მის აღმოსავლეთით მდებარე სასახლის ნანგრევი მიწაყრილის ქვეშ მოჰყოლია.

ნაგები, ადრეფეოდალური ხანის რამდენიმე სამარხი, რომელთაგან ერთში საკმაოდ საინტერესო დამათარიღებელი ნივთები აღმოჩნდა[31].

სამარხთა აგება-მოწყობის თავისებურების, დაკრძალვის წესის, სამარხეული კომპლექსების შედგენილობისა და სტრატიგრაფიული დაკვირვების მიხედვით, სიონის სამაროვანზე შეიძლება გამოიყოს სამარხთა სამი ძირითადი, ქრონოლოგიურად ურთიერთმონაცვლე ჯგუფი:

1. ადრეფეოდალური ხანის დასასრულის სამარხები.

2. შუაფეოდალური ხანის კოლექტიური სამარხები, რომლებიც ფართოდ ყოფილა გამოყენებული შუაფეოდალურიდან გვიანფეოდალურისაკენ გარდამავალ ხანაშიც (XIV — XV სს.).

3. გვიანფეოდალური ხანის სამარხები, რომელთა თარიღიც ძირითადად XVI — XVIII სს-ით იფარგლება.

---

[31] სამარხი ნაგები იყო შირიმის კარგად დამუშავებული და ერთიმეორესთან ნარიმანდებით გადაბმული ფილებით. როგორც ჩანს, სამარხს ჰქონია შირიმასავე სახურავი, რომელიც მიწია თხრის დროს აუღიათ (სიგრძე — 2,23 მ., სიგანე—0,78 მ., სიღრმე—0,45 მ.). შიგ აღმოჩნდა ორი ჩონჩხი, რომელთაგან უფრო ადრეული გვერდზე იყო მიხვეტილი, ხოლო მეორეს ქრისტიანული წესით ჩასვენებულს, თავის ქალასთან აღმოაჩნდა ბრინჯაოსღეროიანი სამი საკიდი (№ 485). ამათგან ორი სარდიონის მრგვალი თავითაა შემკული (სიგრძე — 7,9 სმ), ხოლო მესამე მარჯნისთაიანია (სიგრძე — 6,8 სმ). მსგავსი საკიდები საკმაოდ მრავლადაა ცნობილი V—VIII სს. ისეთი სამაროვნებიდან, როგორიცაა: სამთავრო, არმაზისხევი, სანგრისხევი, ბეთანია, კარსნისხევი, კაჭრეთი, მატანი და სხვ.

## თავი პირველი

# ადრეფეოდალური ხანის ძეგლები

ვიდრე ადრეფეოდალური ხანის ძეგლთა აღწერა-დახასიათებაზე გადავიდოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ სიონის სამაროვანზე იმდროინდელი ნივთიერი მასალა მეტად უმნიშვნელო რაოდენობითაა მოპოვებული და ამას, როგორც ჩანს, თავისი მიზეზები აქვს.

უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა, რომ ეკლესიის უშუალო სიახლოვეს არ აღმოჩენილა ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი ტიპიური კომპლექსის შემცველი არც ერთი რიგითი სამარხი.

თუ აღმოსავლეთ საქართველოს, დღემდე ცნობილი სხვა სამაროვნების მონაცემებს გავითვალისწინებთ და შევუპირისპირებთ სიონის განათხარს, აღმოჩნდება, რომ ასეთი სამარხების აღმოჩენა ეკლესიის გარშემო არც იყო მოსალოდნელი.

ადრეფეოდალური ხანის რიგითი სამარხები, როგორც შესწავლილ სამაროვანთა ანალიზიდან ჩანს, თითქმის IX ს-მდე—ცალკე, ეკლესიებისაგან მოშორებით არსებობდნენ. ეტყობა, სამაროვანთა ადგილმდებარეობის შერჩევის წინარექრისტიანული ტრადიცია საკმაოდ დიდ ხანს შემორჩა საქართველოს და რიგითი სამარხების ეკლესიებთან მიახლოებას და მათ ირგვლივ თავმოყრას დიდი დრო დასჭირდა. ამ მოვლენის შესახებ ნაშრომის დასკვნით ნაწილში უფრო სრულად გვექნება საუბარი. მანამდე კი უნდა ითქვას, რომ ეკლესია და მისი უშუალო შემოგარენი სამუდამო სავანედ, გაცილებით უფრო ადრე (თითქმის ქრისტიანობის გავრცელებისთანავე) აურჩევია სასულიერო წოდებას და საზოგადოების ზედა ფენას და ეს იმთავითვე სოციალური განსხვავებისა და უპირატესობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ ნიშნად ყოფილა მიჩნეული.

ივრის სიონში ამის მაგალითად გამოდგება ეკლესიის ჩრდილო მინაშენის საკურთხევლის ქვეშ დატანებული საძვალე, მოშორებით აღმოჩენილი საგვარეულო დიდი აკლდამა და რამდენადმე მოგვიანებით ნაგები ჩუქურთმიანი ქვის სამარხი (№ 3).

მეორე მხრივ ნიშანდობლივია, რომ ადრეფეოდალური ხანის ის რამდენიმე ტიპიური რიგითი სამარხი, რომლებიც 1962 წ. გაითხარა უშუალოდ ეკლესიის სიახლოვეს კი არ მდებარეობდა, არამედ საკმაოდ მოშორებით და არც თუ სახარბიელო ადგილას. ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ადასტურებს მოსაზრებას, რომ მოსახლეობის ფართო ფენებს სასაფლაოები ძველი ტრადიციისამებრ ჯერ კიდევ წაკულტო შენობებისგან განცალკევებით ჰქონიათ.

ამასთანავე ადრეფეოდალური ხანის სამარხეული მასალის სიმცირე სიონის სამაროვანზე იმითაც უნდა იყოს გამოწვეული, რომ როგორც ეკლესიის

კრიპტა და აკლდამა, ისე ჩუქურთმიანი სამარხი მომდევნო საუკუნეებშიც ყოფილან გამოყენებული, რასაც უნდა მოჰყოლოდა ამ კოლექტიურ სამარხებში თავდაპირველი კომპლექსების დარღვევა-განადგურება.

ადრეფეოდალური ხანის ბოლოდან, როგორც სიონის, ასევე სხვა სამაროვანთა მიხედვით, ეკლესიების სიახლოვეს თანდათანობით იწყება რიგითი სამარხების გაჩენაც, რომლებიც აღნაგობით, საშენი მასალითა და მშენებლობის ტექნიკით ადრეფეოდალური ხანის ტიპიურ, რიგით სამარხებთან დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ, მაგრამ ხასიათდებიან ინვენტარის დიდი სიღარიბით. მათში უკვე აღარ ჩანს ეს ტიპიური სამარხეული კომპლექსები, რომლებიც ესოდენ დამახასიათებელი იყო საკუთრივ ადრეფეოდალური ხანის სამარხებისათვის. თუმცა აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ამ სამარხებსაც, ისევე როგორც ზემოხსენებულ მდიდრულ სამარხებს, ემჩნეოდათ მომდევნო ხანებში მრავალგზისი გამოყენების კვალი და ამდენად ადრეფეოდალური ხანის მიწურულის ქვისსამარხებში შუაფეოდალური ხანისათვის ტიპიური კომპლექსების აღმოჩენა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.

სიონის სამაროვანზე აღმოჩენილი შირიმის ფილებით ნაგები სამარხები გაენკუთვნება ადრეფეოდალურიდან შუაფეოდალურისაკენ გარდამავალ ხანას. საკუთრივ შუაფეოდალური ხანისათვის კი სამარხთა აღნიშნულ ტიპს ენაცვლება ქვიშაქვისა და შირიმის დაუდევრად დამუშავებული ფილებით ნაგები უსახური სამარხები. მიუხედავად არქაულობის რიგი გარეგნული ნიშნებისა, თავისი შინაარსის მიხედვით ადრეფეოდალური ხანის მიწურულისა თუ შუაფეოდალური ხანის ადრეული ეტაპის ამ სამარხებს მომდევნო თავში განვიხილავთ. წინამდებარე თავს კი მთლიანად ვუთმობთ აკლდამის და ჩუქურთმიანი სამარხის განხილვას.

## აკლდამა

ყველაზე უფრო საყურადღებოსა და მნიშვნელოვანს სიონის განათხარ ძეგლებს შორის წარმოადგენს მიწისქვეშა საგვარეულო აკლდამა, რომლის აღწერა-დახასიათებაზეც განსაკუთრებით ვრცლად შევჩერდებით.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა. სიონის აკლდამა[1] მდებარეობდა ეკლესიის აღმოსავლე-

---

[1] რომ აკლდამა, როგორც საგანგებო საძვალე ნაგებობა, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაზე ადრეც ყოფილა ცნობილი, ეს მცხეთაში გათხრილი ორი აკლდამის მიხედვითაც კარგად ჩანს (გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ი. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XI, № 10, თბ., 1951, გვ. 641; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქათველოში, 1, თბ., 1963, გვ. 105—110; ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, ანტიკური ხანის აკლდამა ბაგინეთიდან, საქართვ. სსრ მეცნ. აკად., „მოამბე“, ტ. XI, № 3, 1950, გვ. 189—194 და სხვ). მაგრამ თუ როდის გავრცელდა ეს სახელწოდება ჩვენში, მთლად ზუსტად არაა გარკვეული. ივ. ჯავახიშვილის აზრით (იხ. მ ი ს ი მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, „მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“, თბ., 1946, გვ. 92) „საქართველოში ეს ტერმინი ქრისტიანობასთან ერთად უნდა იყოს შემოსული“. აკლდამა, როგორც ივ. ჯავახიშვილი განმარტავს ებრაული სიტყვა (ageldam) და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „სისხლისათვის განკუთვნილ სახლს“, ისეთ ადგილს, სადაც მიცვალებულებს მარხავდნენ (ნ. მარს აღნიშნული ტერმინი არამეული წარმოშობისად მიაჩნია — იხ. მის მიერ გამოცემული „შრომა და მოღვაწეობა ღირსად ცხოვრებისა..., მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა ხანძთისა, III ტ. წიგნი VII, გვ. XII).

თით უფრო სწორად, მისი ჩრდილო მინაშენის აღმოსავლეთით (ტაბ. I, საერთო გეგმა), ეკლესიის გარეთა კედლიდან 4.5 მ დაცილებით. აკლდამის სახურავის კენი მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 100 მ სიღრმეზე იყო მოთავსებული. ასე, რომ იგი მთლიანად მოყვითალო სქელ თიხნარში იყო ჩასმული (ეკლესიის გარშემო თიხნარებს ზემოდან მხოლოდ 0.7 მ სისქე ჰუმუსური ფენა ედო). ჩანს, მშენებლებს საკმაოდ შრომატევადი მიწის სამუშაოების შესრულება დასჭირდებოდათ აკლდამის ჩასადგმელი ქვაბულის მოსამზადებლად[2]. (აკლდამის საერთო სიგრძე დამცველი კედლითურთ უდრის 8,75 მეტრს).

აკლდამა ნაგებია დიდის გულმოდგინებით დამუშავებული შირიმის ქვათლილებით. ვიდრე აკლდამის აღწერა-დახასიათებას შევუდგებოდეთ, ორიოდე სიტყვით შევეხებით სამშენებლო მასალასაც.

შირიმის ქვა (ანუ ტრავერტინი), რომლითაც, გარდა აკლდამისა, ნაგები იყო ბაზილიკა და სამარხთა ერთი ნაწილიც, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, არა

---

საბას ლექსიკონშიც ა კ ლ დ ა მ ა განმარტებულია, როგორც „საძვლე საფლავი", ხოლო აკლდამა კი, როგორც „დაბა სისხლისა" (იხ. „სიტყვის კონა", თბ., 1949, გვ. 11). როგორც სტ. მენთეშაშვილი აღნიშნავს (იხ. მისი „მიცვალებულთა დამარხვისა და სამარეების ტერმინოლოგიისათვის", სსმმ, ტ. XII, თბ., 1944, გვ. 175), საბას ლექსიკონის ერთ ვარიანტში აკლდამა განმარტებული ყოფილა როგორც „სახლი სისხლისა".

როგორც ირკვევა, ტერმინ „აკლდამას" საქართველოში თავისებური, ადგილობრივი მნიშვნელობა შეუძენია. ქართული ისტორიული წყაროების ანალიზმა ივ. ჯავახიშვილს საშუალება მისცა გაერკვია, რომ ჩვენში ძველთაგანვე, მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით არსებულა ორი ტერმინი: „დაფლვა", და „დამარხვა", რომლებიც სხვადასხვა ვითარების ამსახველნი იყვნენ. „მარხვაძველ ქართულში შენახვას ნიშნავს და არა დასაფლავებას" (დასახ. ნაშრ., გვ. 92). დასაფლავებისათვის საჭირო ყოფილა მხოლოდ საფლავის ამოთხრა, სამარხავი კი გულისხმობს უკვე არსებულ ნაგებობას. სადაც შესაძლებელი იქნებოდა გარდაცვლილის შენახვა ანუ დამარხვა. ამდენად „აკლდამა" საქართველოში იყო „სამარხავი", მიცვალებულის შესანახი ნაგებობა და იგი განირჩეოდა საფლავისაგან. ქართული წყაროები, ამდენად, სრულიად ცხადად განასხვავებენ საფლავსა და აკლდამას. კერძოდ, ერთ-ერთ ამის დამადასტურებელ მაგალითად ივ. ჯავახიშვილს მოაქვს ნაწყვეტი სტრატიკი მონაზონის თხზულებიდან, სადაც მოთხრობილია სპარსელების მიერ იერუსალიმის დარბევის ამბავი. ქართულ ტექსტში ვკითხულობთ. დახოცილნი „რომელიმე საფლავთა შინა და აკლდამათა დავმარხენით"-ო. (იხ. წარტყუენვა იერუსალიმისა, თქმული ნეტარისა სტრატიკი მონაზონისა. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. რუსეთის აკადემიის სამეცნიერო ორგანო ნ. მარის რედაქტორობით. წიგნი IX, სანკტ-პეტ., 1909). ეს ორი ტერმინი, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, ერთი და იგივე მნიშვნელობისა რომ ყოფილიყო, ერთი და იმავე წინადადებაში არ იქნებოდა ნახმარი (გვ. 92).

ამავე აზრისაა აკლდამის დანიშნულების შესახებ სტ. მენთეშაშვილი. მისი სიტყვით, „აკლდამას ვუწოდებთ ისეთ სამარეს, რომელიც წარმოადგენს შენობას და რომელშიც განუწყვეტლივ მარხავდნენ მიცვალებულებს". (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 176).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოში ტერმინ „აკლდამის" შემოსვლამდე (თუ თვით ამგვარი შენობა ჩვენში ტერმინზე ადრე იყო გავრცელებული, და ჩანს ეს ასეცაა) აღნიშნულ ნაგებობათა სახელწოდება „სამარხავი" ყოფილიყო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს „ვისრამიანის" ერთი ადგილიც (იხ. „ვისრამიანი", თბ., 1938, გვ. 324), სადაც ჩანს, რომ ტერმინი „სამარხავი" XI ს. ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა და მთარგმნელსაც გამოუყენებია. ალბათ ამავე, მნიშვნელობითაა ნახმარი იგივე ტერმინი ანასეულ ქართლის ცხოვრებაშიც (ს. ყაუხჩიშვილის რედაქცია, 1942 წ. გვ. 83,18), სადაც წმ. ნინოს სამარხავზეა საუბარი.

[2] თუ სიონის აკლდამის მოცულობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ნაგებობის ჩასადგმელი ქვაბულიდან დაახლოვებით 200 კუბ. მ მიწა უნდა ამოეღოთ. ამ ქვაბულს, როგორც ჩანს, ჰქონდა ისეთივე მოყვანილობა, როგორიც თვით ნაგებობას. აკლდამის საკნის ჩასადგმელი ნაწილი კვადრატული ყოფილა (6×6 მ), ხოლო სიღრმე ქვაბულის ამ ადგილას—5 მ; გარდა ამისა, ამ ოთხკუთხა ქვაბულს აღმოსავლეთიდან უერთდებოდა დრომოსის—თხრილი (3×2 მ), რომელიც დამრეცად იყო ამოჭრილი და აღმოსავლეთისაკენ თანდათანობით მიწის ზედაპირს უახლოვდებოდა.

მარტო სიონში, არამედ ადრეშუასაუკუნეთა კახეთის და საქართველოს ზოგ-ერთი სხვა კუთხის ქვითხუროობაში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გამოყენებული[3].

საკუთრივ სიონის აკლდამის მშენებლებს, როგორც ჩანს, ამ მასალის მოპოვებისა და მოხმარების უკვე საკმაოდ დიდი გამოცდილება და კულტურა ჰქონიათ. ამას გარდა, შირიძის ასეთი უხვი გამოყენება, მიგვითითებს ადგილობრივ მისი დიდი მარაგის არსებობაზეც[4].

თუ სიონის მიხედვით ვიმსჯელებთ, შირიმის ქვის საბოლოო დამუშავება წარმოებდა სამშენებლო მოედანზე, ამას ადასტურებს არა მარტო სიონის ძეგლთა ქვის თავისებური წყობა, სადაც თითოეული ქვისათვის ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში სასურველი ფორმის მიცემა იყო საჭირო, არამედ ისიც, რომ აკლდამისა და ეკლესიის სიახლოვეს აღმოჩნდა შირიმის ქვების დასამუშავებელი მოედანი.

შირიმის ქვა, ნასვრეტოვნების გამო, საკმაოდ მსუბუქი და გამძლე სამშენებლო მასალაა. ამასთანავე იგი შედარებით ადვილია დასამუშავებლად (იოლად ითლება და იხერხება), მაგრამ აქვს ერთი თვალსაჩინო ნაკლი; თითქმის გამოუსადეგარია ჩუქურთმის და წარწერების ამოსაჭრელად. მიუხედავად ამისა, კახეთის ხუროთმოძღვრებაში, გარკვეულ ეტაპზე, სხვაგვარი საამშენებლო მასალის სიმცირის და შირიმის დადებითი თვისებების გამო იგი, როგორც ითქვა, მეტად პოპულარული იყო და ხუროთმოძღვრები მისი ეფექტური გამოყენებით საკმაოდ თვალსაჩინო წარმატებასაც აღწევდნენ — როგორც სამშენებლო, ასევე მხატვრული გაფორმების ხელოვნებაში.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ერწო-ყალეთის მხარეში, გარდა მონუმენტური ნაგებობისა (მაგ. სიონის ბაზილიკა, „ყალეთის ხატი“, ბეწენწურებისა და საყდრიონის ეკლესიები, არჩილის მონასტერი, სიონის აკლდამა და სხვა), შირიმის ქვათლილებს, იმავე ადრეშუასაუკუნეებში, ფართოდ იყენებდნენ სამარხების მოსაწყობადაც (მაგ. თრანი, მაგრანეთი, სიონი და სხვა), მაშინ სრულიად აშკარა გახდება, რომ მისი მოპოვება დამუშავების საქმე ამ მიკრორაიონში საკმაოდ კარგად ყოფილა მოწესრიგებული.

* * *

სიონის აკლდამის გეგმა რაიმე განსაკუთრებული სირთულით არ ხასიათდება: მას აქვს დასაკრძალავი საკანი და აღმოსავლეთი მხრიდან შესასვლელი ტალანი[5] (ტაბ. I).

---

[3] კახეთის სამშენებლო მასალის თავისებურებამ, როგორც ცნობილია, საკმაოდ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა მთელ აქაურ ხუროთმოძღვრებასაც. ადრეულ შუასაუკუნეთა დასაწყისიდანვე, როცა მთელს საქართველოში და კერძოდ კახეთშიაც სასულიერო და საერო ხუროთმოძღვრება დიდი აღმავლობის გზას დაადგა, როგორც ჩანს, კახეთის რაიონების მეტად მზარდ მოთხოვნილებას — სამშენებლო მასალაზე ძირითადად შირიმის ქვით აკმაყოფილებდნენ. ამდენად ამ მასალის გამოყენების ფაქტი კახეთის ხუროთმოძღვრებაში ერთგვარ დამთარიღებელ მნიშვნელობასაც კი იძენს.

[4] კახეთის მთიანი რაიონები განსაკუთრებით მდიდარია შირიმის საბადოებით, ისე, რომ თვითეულ მიკრორაიონს მოეძებნება ამ ქვის მარაგი. მაგალითად, სიონის სიახლოვეს ამჟამად ორი ასეთი კარიერია ცნობილი: ერთი იქვე, სიონთან, უკუღმართის ხევზე მრავალწყაროს ქვემოდან (ლექსო რაზიკაშვილის ცნობა), ხოლო მეორე სოფ. თრანს ზემოთ, ადგილ „შირიმის წყაროზე“ (ჩიტო წიკლაურის ცნობა), რომელიც სიონიდან დაახლოებით 10—12 კმ-ზეა.

[5] ლიტერატურაში ნაგებობის ამ ნაწილს ჩვეულებრივ დრომოსს უწოდებენ. ჩვენ ქვემოთ, ამ სიტყვის ბადლად ვხმარობთ ტერმინ ტალანს. შესაძლოა, იგი ზუსტად არ გამოხატავდეს ტერმინ

აკლდამის თაღიანი საკანი გეგმით წარმოადგენს სწორკუთხედს (3,70×3,45 მ), რომელიც ოდნავ მოგრძო მხრით აღმოსავლეთიდან დასავლეთითაა დამხრობილი. საკნის კედლები, გარდა აღმოსავლეთისა, სადა და ყრუა. აღმოსავლეთი მხრიდან კი დატანებული აქვს დაბალი კარი, რომელიც მოგრძო ტალანში გადის (ტაბ. I).

აკლდამის ტალანში შესასვლელი კარი ოდნავ უსწორო სწორკუთხა მოყვანილობისაა (სიგანე —0,76 მ; სიმაღლე სამხრეთ კუთხესთან 0,95 მ, ჩრდ. კუთხესთან—0,92 მ; ტაბ. III, 1), მისი ზღურბლი აკლდამის იატაკის დონეზე 1,30 მ-ით მაღლა დგას და შისასვლელის წინა მოედანი შირიმის კარგად დამუშავებული ფილებითაა მოგებული (სიგანე — 1,10 მ, სიგრძე დაახლოებით 1 მ). აღმოსავლეთი მხრიდან, კარის ორივე მხარეს ამოყვანილი ყოფილა დამცველი კედლები, ამათგან სამხრეთისა უკეთ იყო შემონახული (მონგრეული ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე ზედა ქვათლილი), ხოლო ჩრდილოეთისა კაშხლის მშენებლებს თითქმის მთლიანად ჩაენგრა თ. შემორჩენილი დამცველი კედლის უდიდესი სიმაღლე 1,70 მ იყო, ხოლო სიგრძე—1,25 მ. სავარაუდოა რომ მეორე კედელიც ამგვარივე უნდა ყოფილიყო. კარის თავზე გადებულია შირიმის დიდი (0,25 მ სისქე და 0,70 მ სიგანე) ქვათლილი, (ტაბ. III, 2).

კარის ზღურბლიდანვე (ფასადის ხაზიდანვე) იწყება შირიმის ქვით ნაგები სამსაფეხურიანი კიბე, რომლისაც შევყავართ აკლდამის ტალანში (სურ. 1). ამ სამი საფეხურიდან პირველი დაბალია, ხოლო მომდევნოები—შედარებით მაღალი (0,24 და 0,26 მ). კარი, ჩანს, იკეტებოდა შირიმისავე საგანგებო ქვათლილით. გათხრისას ქვათლილი თავის ადგილას იდო, თუმცა კი მთლად ზუსტად არ იყო მორგებული კარის ჩარჩოზე (ტაბ. III, 1).

საკუთრივ ტალანის იატაკიც საგულდაგულოდაა მოპირკეთებული კედლები კი — ნამდვილი ოსტატობით ნაშენები. ნაგებობის ამ ნაწილს აქვს თაღიანი სახურავი. ნახევარწრიული თაღი დაფუძნებულია ტალანის გვერდით კედლებზე. ისევე როგორც მთელს აკლდამაში, კედლების შიდაპირის მოპირკეთებისას არც ტალანშია დაცული რიგების ჰორიზონტალურობა. სხვადასხვა ზომის ქვები დიდი სიზუსტითაა ერთი მეორეში „ჩაკირიბოლი“, მაგრამ როგორც კი იწყება თაღის გადაყვანა, აკლდამის მშენებელი მაშინვე გადადის ჰორიზონტალურ მწკრივებზე და, რა თქმა უნდა სხვაგვარად თაღის გადაყვანა ძლიერ გაჭირდებოდა (ტაბ. IV, 1.) ტალანის იატაკიდან თაღის უმაღლეს წერტილამდე მანძილი უდრის 2,15, ხოლო საკუთრივ ტალანის სიგრძე (საკანის ფასადის კედლამდე) — 1,20 მ-ს.).

აკლდამის ტალანი ებჯინება დასაკრძალავი საკნის აღმოსავლეთ ფასადს, რომელშიაც მოთავსებულია საკუთრივ საკანში შესასვლელი, აგრეთვე ოთხკუთხი კარი (სიგანე უდრის 0,65 მ. ე. ი. 11 სმ-ით უფრო ვიწროა, ვიდრე პირველი ზედა კარი. სიმაღლე პირველ საფეხურთან 1 მ-ია. სურ. 1 და 2).

დასაკრძალავი საკნის ოთხი კედლიდან აღმოსავლეთისა ერთადერთია, რომელსაც ორივე მხარი შირიმის ქვებით აქვს მოპირკეთებული. საერთოდ, ამ საკმაოდ სქელი (1,09 მ.) კედლის წყობა შედგენილია კარგად გათლილი კვადრებისაგან — ისე, რომ კედლის შუაგულში არა თუ ხურდა ქვა, ჭარბად კირის ხსნარიც კი არ არის ნახმარი.

---

„დრომოსის“ შინაარსს, მაგრამ მაინც ვამჯობინეთ „დრომოსსაც“ და სხვა, აგრეთვე არც თუ ისე იშვიათად ხმარებულ ტერმინებს „კორიდორს“ და „დერეფანს“.



სურ. 1. ბაკლდამა. აქსონომეტრიული ჭრილი.

ტალანიდან საკანში ჩადის კიბე, რომლის სამივე საფეხურიც საკნის აღმოსავლეთ კედელშია მოქცეული (ტაბ. IV, 2). ამ საფეხურთაგან პირველი აქაც დაბალია (0,17 მ), ხოლო უკანასკნელის სიმაღლე 0,30 მ უდრის. ჩანს, უფრო მოგვიანებით ამ კარისათვის საკეტიც გაუკეთებიათ, როგორც მიგვითითებს გამირის შესაყრელი ხვრელი, რომელიც კარის სამხრეთ კედელშია გამოთხრილი.



სურ. 2. აკლდამა. სიგრძივი ჭრილი.

საკნის იატაკი (3,45×3,7 მ), თითქმის ოთხკუთხა მოყვანილობისაა და მოგებულია შირიმის კარგად დამუშავებული, მეტ-ნაკლები სიდიდის ფილებით (სურ. 3). რომლებზედაც დაფუძნებულია ორი მოზრდილი სარეცელი ანუ საცხედრე[6] (სურ. 1). საცხედრეები აგრეთვე შირიმის მოზრდილი ქვათლილებითაა ნაგები. ერთი სამხრეთ კედელზეა მიდგმული, ხოლო მეორე—ჩრდილოეთისაზე, ისე რომ მათ შორის დარჩენილია ვიწრო გასავლელი (0,52 მ). დაახლოებით ასეთივე ვიწრო ადგილია დატოვებული აკლდამის დასავლეთ კედელსა და საცხედრეებს შორის. სწორედ აქ ყოფილა საძვლე განყოფილება. სადაც დახვავებული იყო ასეული წლების მანძილზე გადანახვეტი ძვლები (ტაბ. VI, 1).

ორივე საცხედრე დაბალი ბარიერით ორ-ორადაა გაყოფილი, — ისე რომ. აკლდამაში ერთდროულად შესაძლებელი ყოფილა, სულ ცოტა, ოთხი მიცვალებულის დაკრძალვა (ტაბ. V, VII და სურ. 1). სამხრეთ კედელზე მიდგმული საცხედრის სიგრძე უდრის 1,96 მ-ს, საერთო სიგანე—1,45 მ-ს, სიმაღლე — 0,48 მ-ს; საცხედრის პირველი განსასვენებლის სიგანე — 0,69 მ-ია. მეორე განსასვენებლისა — 0,72 მ.

პირველი საცხედრის ორ განსასვენებელს შორის ბარიერის ჩასასმელად ამოკვეთილია ვიწრო, დაბალი ფოსო, რომელშიაც (მთელ სიგრძეზე) 7-8 სმ სიმაღლის და 4,5 სმ სისქის მცირე ტიხარია ჩასმული.

ზუსტად ასევეა მოწყობილი მეორე ჩრდილო საცხედრე (სიგრძე — 1,96 მ, სიგანე — 1,46 მ, სიმაღლე — 0,48 მ).

---

[6] ყოლთოს აკლდამებთან დაკავშირებით სტ. მენთეშაშვილი გაკვრით ეხება აკლდამის შემადგენელ ნაწილთა ტერმინოლოგიის საკითხსაც და აკლდამებში გამართულ ტახტ-სარეცლებს უწოდებს „საცხედრეებს". იქვე იგი ყურადღებას აქცევს „საძეღესაც". მისი სიტყვით, „საცხედრეს" ვუწოდებთ აკლდამის იმ ადგილს, რომელზედაც გვამი უდვიათ, ხოლო „საძვლეს"—იმ ადგილს, სადაც ... ჩონჩხია გადახვეტილი. (იხ. მ ი ს ი, „მიცვალებულთა დამარხვისა და სამარეების ტერმინოლოგიისათვის", სსმმ, XII-B, გვ. 176).

აკლდამაში საცხედრეებზე დაცული ძვლების დიდი ნაწილი მტვრით იყო დაფარული, მხოლოდ საცხედრეებს შორის დარჩენილ ვიწრო გასასვლელში და ნაწილობრივ საცხედრეთა კუთხეებზე ეყარა ამოხვრეტილი თაღიდან ჩაცვენილი მიწა და შირიმის ქვის ნატეხები (ტაბ. V, VI)[7].



სურ. 3. აკლდამის იატაკი.

აკლდამის კედლები ნაშენებია შედარებით დიდრონი, კარგად დამუშავებული ქვათლილებით. აკლდამის შიდა მოპირკეთების ხარისხი და საერთოდ ყოველმხრივ დახვეწილი ნამუშევარი გვიჩვენებს, რომ ხუროთმოძღვრის ჩანაფიქრი ზედმიწევნით კარგად, სრულყოფილად არის განხორციელებული.

ისევე როგორც ტალანის კედლის საპირე წყობაში, არც საკაბშია დაცული რიგების ჰორიზონტალურობა და მეტ-ნაკლები სიდიდის ქვათლილები ერთიმეორეში დიდი ხელოვნებითაა მორგებულ-„ჩაკერებული“ (სურ. 2 და 4).



სურ. 4. აკლდამა. დასავლეთი კედელი გარედან და შიგნიდან.

[7] შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიონის აკლდამა მძარცველთა ყურადღებას იქცევდა უძველესი დროიდანვე, რაკი იგი უეჭველად წარჩინებულთა სამარხაი იყო. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ იგი მოგვიანო ხანაში სრულიად შემთხვევით ქცეულიყო გაძარცვის საგნად. საქმე ის არის, რომ აკლდამის თაღზე 1 მ სისქის მიწაში მრავლად აღმოჩნდა შემდგომ ჩაშრილი სამარხები, რომელთა უმეტესობა ეკუთვნოდა გვიან შუასაუკუნეებს. შესაძლებელია, ამ სამარხთათვის მიწის ამოთხრისას აკლდამა ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე იქნა აღმოჩენილი და გაძარცული. ასეა თუ ისე, თაღის დასავლეთი ნაწილიდან ამოუმტვრევიათ რამდენიმე ქვათლილი (ტაბ. VIII, I)

აკლდამის კედლების მეორე, გარეთა მხარე უსწორმასწორო და უსახურია და არსებითად შედგება დუღაბისა და რიყის ქვებისაგან, რითაც ამოვსებული იყო სივრცე მოსაპირკეთებელ ქვათლილებსა და აკლდამის თხრილის კედლებს შორის. აკლდამის კიდლების შიდა მოპირკეთებისათვის გამოყენებული ქვათლილები საკმაოდ ღრმად შედიან კედლის სისქეში და დუღაბნარევი ღორღის სქელ ფენასთან ერთად, ქმნიან მძლავრ კედლებს, რომელთა სისქეც ზოგან 1,35 მეტრს აღწევს.

ისეთი როგორც ტალანის თაღოვან სახურავში დასაკრძალავ საკანშია, დიდის ოსტატობით გადაყვანილი ნახევარწრიული თაღი დაფუძნებულია ორ—სამხრეთისა და ჩრდილო—კედელზე. თაღოვანი სახურავის პირველი მწკრივი იწყება იატაკის დონიდან 1,5 მ სიმაღლეზე. აქედან მთელ თაღში წყობის წესიერება უკვე მკაცრადაა დაცული, თუმცა უნდა შეინიშნოს, რომ თაღის ფუძისა და მომდევნო ქვედა მწკრივების წყობაში (ორივე მხრიდან) მეტწილად დიდი ქვათლილებია გამოყენებული, ხოლო ზემოთ, თაღის ცენტრისაკენ შედარებით თხელი (ტაბ. VIII, სურ. 2.)

აღსანიშნავია, რომ თაღის თითოეული მწკრივისათვის ქვები ცალ-ცალკეა გათლილი — ისე, რომ გამოსაჩენი პირი ქვათლილებს შედარებით ვიწრო აქვთ, ეს, ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა წესიერი ნახევარწრის გადაყვანას, ხოლო მეორე მხრივ თაღს კონსტრუქციულად მეტად საიმედოს და მყარს ხდიდა, განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი დუღაბი სწორედ თაღშია გამოყენებული.

როგორც ძეგლის შესწავლამ ცხადჰყო, სიონის აკლდამის თაღები წინასწარ გამართული საგანგებო ქარგილების მეშვეობითაა გადაყვანილი[8]. თაღის წყობაში გარდა საკუთრივ თხელი დუღაბისა, როგორც გამოირკვა მშენებლებს დიდი რაოდენობით გამოუყენებიათ შირიმის ქვის ფხვნილი, რომელიც სუფთად გაცრილი და თხლად აზელილი ჩაუსხამთ კამარაში ვერტიკალურად დაყენებული შირიმის ქვათლილებს შორის. საყურადღებოა ისიც, რომ ამგვარი ხსნარითვე ხშირად „შეკეთებულია“ ხოლმე კედლის წყობაში გამოყენებული ქვების დაზიანებული ადგილები[9].

მშენებლებს დუღაბის სქელი ფენა კამარაზე (ზემოდან) ისე გადაუსწორებიათ, რომ მიუღიათ დამრეცი, ორფერდა სახურავი, რომელიც გადალესილი ყოფილა საგანგებოდ შემზადებული ე. წ. ჰიდრავლიკური ანუ წყალგამძლე

---

და ამრიგად ამოუქმნიათ ის ძირითადი ხერხები, რა თქმა უნდა აკლდამის „დაუპატიჟებელ სტუმრებზე“ თუ საცხედრებზე, არამედ საძვალეში გადახვეტილი ძვლების გროვაშიაც კი არაფერი დაუნდობიათ გაუსინჯავი. მათი საგულდაგულო „ძიების“ უტყუარი საბუთი იყო ისიც, რომ საცხედრეების წიხ (აკლდამის ტალანთან) იატაკიდან ერთი ფილაც კი ამოეგდოთ და იქ საკმაოდ ღრმად ჩანდა ნაჩიჩქნი. ვემდგომ, როდესაც აკლდამა, ჩვენი მეთვალყურეობით, მთლიანად დაარღვიეს გადმოსატანად, გამოირკვა, რომ გაძის მაძიებლებს მართლაც დიდი შრომა ჰქონიათ გაწეული, თუმცა ეს იმთავითვე ცხადი უნდა ყოფილიყო, რადგან არა თუ ამ ერთი ქვის, არამედ მთელი იატაკის ქვებიც რომელ უძველეს დროს სივრცის ამოსავსებად კი არ აღმოჩენილა.

[8] სწორედ ამიტომ იყო, რომ აკლდამის გადმოტანის მეთოდების შემუშავებისას არქ. ლ. ხიმშიაშვილმა აუცილებლად მიიჩნია ქარგილების გაკეთება და გამოყენება. იხ. ლ. ხ ი მ შ ი ა შ ვ ი ლ ი, პირველი მერცხალი, „ძეგლის მეგობარი“, № 3, გვ. 5—36.

[9] ერწოსა და თიანეთის მხარეში, ადგილობრივი ძველებური ტრადიციით შირიმის მტვერს დღესაც იყენებს მშენებლობაში, კერძოდ — კედლების საპირეებლად. იგი, როგორც ადგილობრივ დავრწმუნდით, საკმაოდ წარმატებით ენაცვლება გაკირს და ცემენტს.

ხსნარით[10]. ორფერდა სახურავის ამ გადალესილი ზედაპირისაგან აჭა-იქ მოზრდილი ფრაგმენტები-ღა იყო გადარჩენილი. როგორც ჩანს, მოგვიანო ხანის იმ სამარხებმა, რომლებიც აკლდამის თავზე გაუმართავთ, დააზიანეს არა მარტო ის ნალესობა, არამედ კამარის ქვების ზედაპირიც კი.

სავარაუდებელია, ორფერდა გადანალესს ზემოდან კრამიტები ჰქონდა დალაგებული[11]. მართალია, in situ არც ერთი კრამიტი არ გვინახავს დადებული, მაგრამ აკლდამის გარშემო, სახურავის დონეზე მიწის ფენაში მიმოფანტული გვერდებაკეცილი და კეხის კრამიტის ნატეხები გვაფიქრებინებენ მათ ამგვარ გამოყენებას.

აკლდამის გარშემო მიმობნეული კრამიტი საკმაოდ ახლოს ემსგავსება აღმოსავლეთ საქართველოს გვიანანტიკური და ადრეული შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი კრამიტის ნიმუშებს. თიხის ფაქტურისა და დამზადების ხელოვნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი საკმაოდ მაღალხარისხოვანი უნდა ყოფილიყო. ზოგიერთს ემჩნევა წითელი საღებავის კვალი.

აკლდამის საკნის ორფერდა სახურავი, როგორც ჩანს, უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ტალანისა (იხ. აკლდამის განივი ჭრილი, სურ. 2), სადაც კამარა ალბათ ისევე იყო გადახურული, როგორც ძირითადი საკნისა. ტალანის კამარის ზედაპირი აგრეთვე ძალზე დაზიანებული იყო (უფრო მეტად, ვიდრე საკნისა) ეტყობა იმის გამო, რომ გვიან ზუსტად მის მაღლა აღუმართავთ რაღაც ნაგებობა[12]. რომლის საძირკვლის გაჭრისას დაზიანებულა არა მარტო თაღის ზედა ნალესობა, არამედ კამარის [illegible]თლილებიც კი.

გვიანდელი სამარხებისაგან საგრძნობლად იყო დაზიანებული აგრეთვე აკლდამის გარეთა, გვერდითი კედლები, რომლებიც ნაწილობრივ ამოენგრიათ იმისათვის, რომ დარჩენილ ვიწრო ზოლში როგორმე კიდევ ერთი ქვისსამარხი ჩაეტიათ.

სიონის აკლდამა ასეთ ძეგლთა შორის იშვიათ გამონაკლისად იქცა იმითაც, რომ იგი დიდი სიფრთხილით დაშალეს თბილისში გადატანის მიზნით, რის წყალობითაც საშუალება მოგვეცა დაწვრილებით გამოგვერკვია, როგორც მისი შენების თანმიმდევრობა, ასევე კონსტრუქციული თავისებურება და საერთოდ სამშენებლო ხელოვნების ზოგიერთი საკითხი.

ამგვარი დაკვირვების შემდეგ აკლდ[illegible]ის მშენებლობის მიმდინარეობა ასე წარმოგვიდგება: ითხრება სათანადო ქვაბული, რომლის იატაკსაც საგულდაგულოდ ასწორებენ. იჭრება ძალზე დაბალი (5—10 სმ) საძირკველი და იწყება

---

[10] ე. წ. ჰიდრავლიკური ანუ წყალგამძლე ხსნარი ჩვეულებრივ მზადდებოდა ხოლმე მაღალხარისხოვანი კირისა და დანაყილი კერამიკული მასის შერევით. კერამიკული ნაფხვენი ამგვარ ხსნარში მჭიდის როლს ასრულებდა და, გარდა იმისა, რომ მას გამძლეობასა და სიმტკიცეს მატებდა, სრულიად წყალგაუვალი ხდებოდა. გარდა ამისა, დანაყილ-დაქუცმაცებული კერამიკული მასა კირს მოვარდისფროს ხდიდა, რაც ერთგვარ ესთეტიკურ მატებდა მას. მართალია, სიონის აკლდამაში ეს ხსნარი არ ჩანდა, მაგრამ, მაგ. ბიჭვინთაში, სადაც იგი გამოსაჩენ ადგილებში ხშირადაა გამოყენებული, საკმაოდ ეფექტურია.

[11] ასეთსავე ვითარებას ვხედავთ მცხეთის სადგურთან 1951 წ. გათხრილ აკლდამაში (გ. ღ ო მ თ ა თ ი ძ ე, ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ.).

[12] აკლდამის ტალანის თავზე დადგმული [illegible]ენობის ნაშთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი (ტაბ. II, 1) მოგრძო-სწორკუთხა ყოფილა (სიგრძე — 4 მ; სიგანე—2,70 მ). შესაძლებელია, ეს იყო ცალკე სამლოცველო ან სხვა რამ დანიშნულების ნაგებობა. ყოველ შემთხვევაში, მისი გვიანდელობა აკლდამასთან შედარებით აშკარაა. ეს ჩანს სტრატიგრაფიულადაც და შემორჩენილ ნანგრევთა ქვის წყობის მიხედვითაც.

საკნის კედლების მშენებლობა. ეს უკანასკნელები მთელ პერიმეტრზე, იმ დონემდე, ვიდრე კამარის გადაყვანა დაიწყებოდეს, ერთდროულად შენდება. შიგნიდან იყენებენ შირიმის კარგად დამუშავებულ ქვათლილებს (რომლებიც კედლის სისქეში საკმაოდ ღრმად შედიან), ხოლო გარედან თხრილის კედელსა და შირიმის ქვებს შორის სივრცეს ავსებენ მაღალხარისხოვანი დუღაბითა და რიყის ქვებით. კედლის შიგნითა წყობაში სრულებით არ იცავენ მწკრივების ჰორიზონტალობას, თითოეული ქვა ითლება კერძო შემთხვევისათვის, კედლის წყობაში იხმარება მეტად დიდრონი ცალკეული ქვები. საპირე ქვები ერთიმეორეში დიდი ოსტატობითაა „ჩაკერებული“. განსაკუთრებით ოსტატურადაა გადაბმული ქვები კუთხეებში.

კედლების ამოყვანის შემდეგ (იატაკის დონიდან 1,5 მ) იწყება კამარის გადაყვანა, ამისათვის ხელოსანს შეუჩერებია სამხრეთი და ჩრდილო კედლების ამოყვანა და ჯერ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლები მოუთავებია; ზუსტად ისეთივე ნახევარწრიული მოყვანილობა მიუცია მათთვის, როგორიც კამარას უნდა ჰქონოდა. ამათგან დასავლეთი კედელი სრულიად ყრუა და იგი იოლი ამოსაყვანი უნდა ყოფილიყო (სურ. 4). რაც შეეხება საკნის აღმოსავლეთ კედელს იგი შედარებით მეტ შრომას მოითხოვდა. ჯერ ერთი, მისი შენების დასაწყისშივე, გარდა კარის დატანებისა, საჭირო იყო ამ კედლის ორივე ფასადის ერთდროულად მოპირკეთება. ამასთანავე, მშენებელს კედელში მოჭცეული სამსაფეხურიანი კიბე თანდათანობით უნდა გაემართა. კარის თავზე შირიმის კარგად გათლილი სამი ქვათლილის გადების შემდეგ ეს კედელიც, მსგავსად დასავლეთისა, ნახევარწრიულად ამოუყვანიათ (სურ. 1.). რადგან წინასწარვე ჰქონია გამიზნული შესასვლელი ტალანის შენება, ოსტატს აკლდამის აღმ. ფასადი მთლიანად კი არ მოუპირკეთებია შირიმის ქვათლილებით, არამედ დაახლოებით იმდენზე (ან ოდნავ მეტზე), რამდენიც თაღიან ტალანში შეიძლებოდა გამოჩენილიყო (სურ. 5).



სურ. 5. აკლდამა. საკნის აღმ. ფასადი.

მშენებლობის ამ საფეხურზე, როგორც ჩანს, უნდა ეზრუნათ იატაკის მოგებასა და საცხედრეების გამართვაზედაც. შეიძლებოდა ეს სამუშაო კამერის გადაყვანის შემდგომაც შესრულებულიყო, მაგრამ, გარდა იმისა, რომ დიდრონი ქვათლილების შეტანა ვიწრო კარიდან საკმაოდ გაჭირდებოდა, კამარაშეკრულ სათავსოში, სიბნელის გამო, მუშაობა ალბათ საგრძნობლად უხერხული იქნებოდა.

ყოველივე ამის შემდეგ ხუროთმოძღვარს გაუმართავს ხის ჩარგილები რომელთა შეშველობითაც უნდა შეეკრა კამარა. ჩრდილო და სამხრეთ საყრდენ კედლებზე ჯერ კამარის ჭუსლია დაფუძნებული. ამ დონეზე პირველი სამი-ოთხი მწკრივი შედარებით მსხვილი ქვათლილებითაა ამოყვანილი და თან უკვე დაცულია რიგების ჰორიზონტალურობა. კამარის ამ ნაწილში ჭარბადაა გამოყენებული დუღაბი და ხიჭი. ძეგლის დაშლისას განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა კამარის მოწყობის თავისებურება: როგორც ჩანს, კამარის მწკრივები მშრალად

ლაგდებოდა ქარგილზე იმ ვარაუდით, რომ პირის მხარე ქვებს ერთიმეორეზე კარგად ჰქონოდათ მორგებული, ხოლო შემდგომ ამ წესით შვეულად დაწყობილ ქვათლილებს შორის დარჩენილი სიცარიელე „შირიმის მიწის“ ხსნარითა და დუღაბით ივსებოდა. გარდა მაღალხარისხოვანი დუღაბისა, კამარის გამძლეობას, როგორც უკვე აღინიშნა, აძლიერებდა ისიც, რომ თვით შირიმის ქვები ოდნავ სოლისებურად არის გათლილი. კამარა ცენტრში თავდება წყვილი, ჩამკეტი მწკრივით, რომელშიაც კარგად გათლილი სოლისებური ქვათლილებია გამოყენებული.

კამარის აშენების შემდგომაა ნაგები ტალანი, რომელიც დამრეცად ამოჭრილ თხრილში ისეა დაგეგმილი, რომ ორი სამსაფეხურიანი კიბით პირველი, ზედა კარი რაც შეიძლებოდა ახლო ასულიყო მიწის პირთან. ამ მხრივ მშენებლებს კარგად გამოუყენებიათ ადგილმდებარეობაც (სიონის გორის ჩრდილო ფერდობი). საჭიროებისას აკლდამის საკანში შესაღწევად ითხრებოდა ტალანის წინა მცირე მოედანი, შიშვლდებოდა დამცველი კედლები და აკლდამაში კარში გაჭედილი ფილაქვის გამოღების შემდეგ შედიოდნენ.

აკლდამის ტალანის ცილინდრული კამარა ზუსტად იმავე წესითაა ნაგები, როგორც საკნისა, მაგრამ მისი კედლებიც და კამარაც გაცილებით თხელი იყო, ვიდრე ძირითადი საკნისა. დერეფნის იატაკი და პირველი შესასვლელის კიბეები, რომლებიც თიხნარზე მჭიდროდ იყო დაგებული, კედლების ამოყვანისთანავე უნდა იყოს გაკეთებული, ხოლო კამარა შემდეგ.

კრამიტის სახურავი, ჩვენი ვარაუდით, ტალანსაც უნდა ჰქონოდა, რადგან კრამიტის ყველაზე მეტი ნატეხი სწორედ მისი სახურავის დონეზე ამოიკრიბა.

შესაძლოა აკლდამა შიგნიდან შელესილი ყოფილიყო დანაყილი შირიმით, რაზედაც მიგვითითებს დასავლეთ კედელზე შემორჩენილი თხელი ბათქაშის ფრაგმენტები.

ასე წარმოგვიდგება სიონის აკლდამის შენების თანმიმდევრობა და ტექნიკა. ვიდრე საკუთრივ ამ ძეგლის ხუროთმოძღვრულ ანალიზზე გადავიდოდეთ, მოკლედ აღვწერთ თუ რა სურათი დაგვხვდა აკლდამის გახსნისას და რა აღმოჩნდა მასში.

როგორც უკვე აღინიშნა, აკლდამის საკანში მდებარე ორი დიდი საცხედრე (თავისი ორ-ორი, სულ ოთხი სარეცლით) შევსებული იყო ყველაზე ბოლოს დაკრძალულთა ჩონჩხებით. ამათგან სამხრეთ კედელზე მიდგმული საცხედრის პირველ სარეცელზე (იანგარიშება სამხრეთიდან) აღმოჩნდა გვერდიგვერდ მდებარე ორი, ძლიერ დაზიანებული ჩონჩხი (ტაბ. V, 1). როგორც ჩანს, ისინი ერთიმეორისაგან დროის დიდი განსხვავებით არ უნდა იყვნენ დაკრძალულნი. ამ სარეცელზე მდებარე ძვლები გარდა იმისა, რომ ჰაერის მოქმედების შედეგად ჩაფერფლილი იყო, ეტყობა, „განძის“ მაძიებელთაც მცირედ გადაუჩხრეკიათ. ძვლებს ფარავდა კედლიდან და კამარიდან ჩამოცვენილ, ბათქაშის ანატკეცთა თხელი ფენა და მტვერი, აგრეთვე გახვრეტილი კამარიდან ჩამოყრილი მიწის მცირე ნამცეცები. პრეპარაციის შემდეგ გარკვა, რომ ამ ორ ჩონჩხს თან არც ერთი ნივთი არ ხლებია, ოღონდ ყურადღება მიიქცია ძალზე თხელი ქსოვილის ნაშთებმა, რომელიც, ეტყობა ზემოდან ეფარა სამხრეთით, კედლის ძირას მდებარე მიცვალებულს.

სამხრეთი საცხედრის მეორე სარეცელზე იდო ერთი ჩონჩხი, რომელსაც ზემოდან ეყარა კამარის ნახვრეტებიდან ჩამოყრილი მიწის საკმაოდ სქელი ფენა (ტაბ. V, 1). მიცვალებულის თავთან, შედარებით

ადრეული ძვლების გროვაზე იდგა პატარა კოჭობი (№ 188, ტაბ. XXIX. 5) ნაწილობრივ პირ-მუცელ ჩამომტვრეული, მოვარდისფრო, თხელი, ორყურა. მას აქვს დაბალი ყელი და ბრტყელი ძირი. ღეროს ბრტყელი, შუაში ჩაღარული ყურები, თავით პირზეა მიძერწილი, ხოლო ბოლოთი მუცლის შუა ნაწილს უერთდება. კოჭობის სიმაღლე უდრის 5,5 სმ, ძირის დიამ.—4,3 სმ., მუცლისა — 6,5 სმ; პირისა — 6 სმ.. ყელის სიმაღლე — 0,8 სმ., ყურის სიგანე — 1 სმ;

მეორე, აგრეთვე პატარა კოჭობი იდგა თავის ქალასთან, ჩრდილოეთით. ესეც დაზიანებულია, აკლია პირისა და ყელ-ყურის ნაწილი. კეცი ღია ფერისაა (ე. წ. „ფერმკრთალი“ კერამიკა), კოჭობი ხასიათდება დაბალი ყელით, ტალღოვანი მუცლითა და ბრტყელი, ოდნავ ჩაღარული ყურით. გარეთა კოპები ანუ ბურცობები გამობერილია შიგნიდან დაწნევით (№ 189, ტაბ. XXIX, 4). კოჭობის სიმაღლე უდრის 6,5 სმ, ძირის დიამ. — 5.5 სმ, მუცლისა — 8 სმ პირისა—5,5 სმ, ყელის სიმაღლე—2 სმ, ყურის ღეროს სიგრძე—1 სმ.

მეორე საცხედრის პირველ სარეცელზე აგრეთვე ორი მიცვალებულის ძვლები აღმოჩნდა (ტაბ. V, 2). ამ ძვლებსაც, დასავლეთ ნაწილში, ზედ ეყარა კამარიდან ჩამოცვენილი მიწა, თუმცა ნაკლები, ზემოთ აღწერილზე. აქაც აშკარად შეიმჩნეოდა „მჩხრეკელთა“ ხელი. გარდა ქსოვილის ორიოდე ნაფლეთისა, ამ სარეცელზეც არაფერი აღმოჩენილა.

მეორე საცხედრის მეორე სარეცელზე, საკმაოდ უცნაური პოზით ესვენა მოსული ადამიანის ხელუხლებელი ჩონჩხი (ტაბ. V, 2). ძვლები კარგად იყო შემონახული და ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ეს იყო აკლდამაში ყველაზე გვიან ჩასვენებული მიცვალებული. მასაც. გარდა ქსოვილის ნაშთებისა, არავითარი ნივთი არ ხლებია თან. ქსოვილის ნაფლეთების ნაწილი შალის წინდებისაა (№ 197).

გარდა ზემოთ აღწერილისა, აკლდამის საცხედრეთა დასავლეთით მდებარე ვიწრო ზოლი ერთიანად იყო ამოვსებული საცხედრეებიდან სხვადასხვა დროს გადახვეტილი ადამიანთა ძვლებით. ძვლები მცირე რაოდენობით ეყარა საცხედრეთა შორის გასავლელშიც. როგორც ჩანს, ყოველი ახალი მიცვალებულის ჩასვენებისას, თუ კი საცხედრეებზე თავისუფალი ადგილი აღარ იყო. ძველ მიცვალებულთა ძვლებს იმ ე. წ. საძვალეში გადახვეტავდნენ, რომელიც დასავლეთ კედელსა და საცხედრეებს შორის დარჩენილ სივრცეში იყო წარმოქმნილი, ამიტომ, ძვლებთან ერთად ის მცირერიცხოვანი ნივთებიც, რომლებიც მიცვალებულებს ჰქონიათ ჩატანებული, საძვალეში აღმოჩნდებოდა ხოლმე. დაკრძალვის ასეთი წესი, ეტყობა, საერთოდ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო იმდროინდელი აკლდამებისათვის (რასაც პარალელური მასალების განხილვისას ვნახავთ).

აკლდამის საძვალე განყოფილებაში სულ აღმოჩნდა 40 ადამიანის ნაშთი და მათ შორის 4 ბავშვისა იყო (აღრიცხვა წარმოებდა თავის ქალების მიხედვით).

რაც შეეხება სამარხეულ ინვენტარს, მისი სიმცირე არ უნდა იყოს საკვირველი იმის გამო, რომ ადრეფეოდალურ ხანაში, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, როგორც ცნობილია, სამარხებში ინვენტარი მკვეთრად კლებულობს. ამასთანავე დარწმუნებული ვართ, რომ „განძის“ მაძიებლებიც აკლდამიდან მთლად ხელცარიელნი არ უნდა იყვნენ გასულნი. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც ჩანდა აშკარად, რომ, როგორც საცხედრეებზე, ისე საძვალეში მდებარე ძვლები საკმაოდ გულდასმით იყო ნაჩხრეკი.

აკლდამაში, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, საძვალის გადარჩევისას აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ჯამი თიხისა მთელი წითლად გამომწვარი, ღრმა, კიდეშეკეცილი და კალთა დამრეცი (№ 190). ჯამის გვერდზე, გარედან, ამოკაწრულია კუთხეებმომრგვალებული სვასტიკა. თიხა შეიცავს მინარევებს, თუმც კარგადაა შეზელილი და გამოწვის ხარისხიც ჯეროვანი ჩანს. იდგა საძვალეს მარჯვენა ნაწილში, ძვლების გროვაზე[13] (ტაბ. XXXI, 1).

სიმაღლე უდრის 7,3 სმ, პირის დმ — 14,5 სმ, ქუსლის დმ — 6,4 სმ, ქუსლის სიმაღლე — 1 სმ ჯამში ეყარა ნახშირის წვრილი ნატეხები და ნაცარი, რომლებიც რაღაც სარიტუალო წესის აგების ნაშთს უნდა წარმოადგენდნენ.

ჯამი თიხისა (№ 191), პირჩამოტეხილი, წითლად გამომწვარი. აქვს შეკეცილკედლიანი პირი, დამრეცი კალთები და ქვეშიდან შეზნექილი ქუსლი. შიდაპირი მოხატულია თეთრი ანგობით გამოყვანილი მცენარული ორნამენტით, რომელზედაც ალაგ-ალაგ მწვანე ჰიქურის მოზრდილი ხალებია დაღვენთილი. სიმაღლე უდრის 8,3 სმ, პირის დმ — 17,7 სმ, ქუსლის დმ — 6,8 სმ. იდგა აკლდამის იატაკზე სამხრეთი საცხედრის აღმოსავლეთ ბოლოში გადმოცვენილ ძვლებს შორის (ტაბ. VI, 2 და ტაბ. XXXI).

ჯამი თიხისა. აკლია ძირ-კედლის ნაწილი. მოხატულია ანგობით, რომელზედაც აქა-იქ მწვანე ჰიქურის ხალებია დაღვენთილი. თიხა კარგადაა დამუშავებული. ნატეხები ეყარა აკლდამის იატაკზე, ჩრდილო საცხედრის აღმოსავლეთ ბოლოში. სიმაღლე უდრის 7,5 სმ; ქუსლის დმ — 5,5 სმ, პირის დმ—14 სმ (№ 192, ტაბ. XXXI).

ნატეხები (193, 194, 195, 196) თიხის სხვადასხვაგვარი ჭურჭლებისა. ნაწილი საძვალის გადარჩევისას იქნა ნაპოვნი, ნაწილი კი აკლდამის იატაკზე იყო მიმობნეული.

ბეჭედი ვერცხლისა (№ 181), ოვალური, რკალის ღეროთ ბრტყელია (სურ. 17). ღეროთ ფარაკის ადგილას შესქელებულია და ოდნავ მაღლა აზიდულ ფარაკზე ამოკვეთილია ჯვარი, მის ორივე მხარეს თითო წერტილი. აღმოჩნდა პირველი სარეცლის უკან, გადასაყარში. რკალის დმ — 1,7 სმ, ღეროს სიგანე — 05, სმ, ფარაკის სიგრძე — 0,7 სმ, სიგანე — 0,5 სმ.

ბეჭედი ვერცხლისა (№ 182, სურ. 17) ოდნავ დაზიანებული თვალბუდით. რკალი მასიური და ოვალურ-განივკვეთიანია; მოგრძოა, ხოლო ზედა ნაწილში ოდნავ შევიწროებული; მისი ბოლოებით შექმნილია ბრტყელი ფუძე, რომელზედაც დარჩილულია წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის თხელფურცლოვანი თვალბუდე. თვალბუდეს ქვემო ნაწილში გარშემოუყვება S-ისებრი სპირალების წრე. ბუდეში ზის ვერცხლის თხელ ფირფიტაზე დაკრული მინის სადა, ამობურცული თვალი. იგი აღმოჩნდა სამხრეთი საცხედრის მეორე სარეცლის უკან გადაყრილი ძვლების მტვერში, სარეცლის პირიდან 25 სმ

[13] აღნიშნული ჯამი გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

სიღრმეზე. ბეჭდის რკალის სიგრძე უდრის 32 მმ, სიგანე — 22 მმ, ღეროს სიგანე — 4 მმ, თვალბუდის სიმაღლე — 8 მმ, თვალბუდის ფუძის დმ — 13 მმ.

ქვემოთ, შუასაუკუნეების კუთვნილი მასალების განხილვისას, იქ სადაც ბეჭდების საერთო მიმოხილვა გვექნება, მათ ხნოვანებას უფრო დაწვრილებით შევეხებით, მაგრამ ამჟამად მოკლედ მაინც გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული სამკაული მეტად დამახასიათებელია სწორედ განვითარებული შუასაუკუნეებისათვის.

ბ ე ჭ დ ი ვ ე რ ც ხ ლ ი ს ა (№ 183, სურ. 17). დაცულია კარგად. რკალის განივკვეთი ბრტყელია, მხრებისაკენ შესამჩნევად ფართოვდება და გადადის ორკუთხედ, ბრტყელ ფარაკში, რომელიც დანარჩენ რკალზე ოდნავ უფრო სქელია. ფარაკს ნაპირებზე შემოუყვება ოთხკუთხი ნაჭდევი ჩარჩო, რომელშიც მცირე ნაჭდევი წრეებისაგან შედგენილი პირამიდაა გამოსახული. რკალი გარედან, ფარაკის სიახლოვეს ორივე მხრიდან შემკულია ასეთივე ნაჭდევთა მწკრივებით. შემკობის ეს ხერხი აგრეთვე შუაფეოდალური ხანის (XI—XII სს.) ბეჭდებისათვისაა დამახასიათებელი. ბეჭდის რკალის დმ უდრის 20 მმ, ღეროს სიგანე — 5 — 8 მმ, ფარიკის ზომა 8×8 მმ. აღმოჩნდა ზემოთ განხილული ბეჭდის სიახლოვეს.

ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ნ ა წ ი ლ ი ვ ე რ ც ხ ლ ი ს ა (№ 185, ტაბ. XXXIV, 5) ნაშთის მიხედვით ჩანს, რომ სამაჯური ორწილადი უნდა ყოფილიყო. ფუძე და ბრტყელი ღერო შემკულია რელიეფური ორნამენტით, რომელიც ცალ მხარეს ხვეულებით ბოლოვდება. აღმოჩნდა ჩრდილო საცხედრის უკან, საძვლეს ყველაზე ქვედა ფენაში, თითქმის აკლდამის იატაკის დონეზე. სიგრძე უდრის 3,5 სმ; ღეროს სიგანე — 0,7 სმ. ეს სამკაული აკლდამაში აღმოჩენილთა შორის ყველაზე უფრო ძველად მივიჩნიეთ.

ღ ი ლ ე ბ ი ვ ე რ ც ხ ლ ი ს ა (№ 186). ოთხი ცალი. მრგვალი, მოჩარხულ-ყუნწიანი. ღილის დმ უდრის 8 მმ, ყუნწის სიგრძე — 4 მმ. აღმოჩნდა საძვალეს ჩრდილო ნაწილში.

ღ ი ლ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 184), მრგვალი, ფუყე, პატარა ყუნწის მქონე. დმ — 8 მმ-ია, ყუნწის სიგრძე — 2 მმ.

აღმოჩნდა სამხრეთი საცხედრის უკან, საძვალეში 20 სმ სიმაღლეზე.

რ გ ო ლ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 187), მრგვალგანივკვეთიანი, თავებგადასული, შესაძლოა ბეჭედი იყოს. რკალის დმ 15 მმ. ღეროს დმ — 9 მმ.

მ ო ნ ე ტ ა ვ ე რ ც ხ ლ ი ს ა (№ 536) საქართველოს მეფე კონსტანტინე II-ისა, არათანაბრივ მრგვალი, გაცვეთილი. დმ — 1,3 — 1,5 სმ. აღმოჩნდა სამხრეთი საცხედრის უკან, საძვალეში, ტახტის პირიდან 10 სმ სიღრმეზე.

ასე გამოიყურება სიონის აკლდამიდან მომდინარე არქეოლოგიური მონაპოვარი.

*
* *

ძ ე გ ლ ი ს ა ნ ა ლ ი ზ ი. პირველი, რაც აკლდამაში აღმოჩენილი მასალების აღწერიდანაც კი ჩანს, ისაა, რომ იგი არაერთგვაროვანია და ეკუთვნის სხვადასხვა დროს. რა თქმა უნდა, ამ მონუმენტურ სამარხავ ნაგებობაში, ყველა ნიშნით, გაცილებით მეტი მნიშვნელოვანი ნივთები უნდა აღმოჩენილიყო, მაგრამ ისიც კი, რაც განძის მაძიებელთა ხელს გადარჩენია, საშუალებას

გვაძლევს, მთელ ამ მონაპოვარში, გამოვყოთ ორი ძირითადი ჯგუფი: შუაფეოდალური ხანის და გვიანფეოდალური ხანისა. უფრო უწინდელს, კერძოდ ადრეფეოდალურ ხანას, გარდა ერთი სათუო ნივთისა (სამაჯურის ნაწილი), ვერაფერი მივაკუთვნეთ. ამიტომ სიონის აკლდამიდან მომდინარე არქეოლოგიური მონაპოვარი მისი აგების დროის განსასაზღვრავად თითქმის გამოუსადეგარია. ასეთ ვითარებაში, სიონის აკლდამის მშენებლობის თარიღის გასარკვევად, გარდა თვით ძეგლის სტილისტური თავისებურებისა, მივმართავთ პარალელურ ძეგლებსაც.

სიონის აკლდამა მსგავს ნაგებობათა შორის სრულიად განსაკუთრებულსა და მეტად მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. აკლდამები საქართველოს ტერიტორიაზე არაერთია მიკვლეული, მაგრამ თავისი მონუმენტურობით, საშენი მასალის დამუშავების ხარისხით, შენების ტექნიკითა და ხუროთმოძღვრის ხანაგრძლივ ბრწყინვალე განხორციელებით სიონის აკლდამა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლად.

უპირველეს ყოვლისა, როგორც აღინიშნა კიდევაც, საშენი მასალის შირიმის კარგად დამუშავებული ქვათლილების გამოყენება ამ ნაგებობას უკვე უკავშირებს ძეგლთა გარკვეულ წრეს, სადაც შირიმის ქვა ინტენსიურად გამოყენებულია მაინცდამაინც ადრეულ შუასაუკუნეებში.

მაგრამ, გარდა განსაკუთრებული საშენი მასალისა, მეტად ორიგინალური და თავისებურია საპირე ქვის წყობის ხასიათი. როგორც ითქვა, სიონის აკლდამის კედლებში ახლად არ არის ე. წ. წესიერი წყობა, დაცული არაა მწკრივთა ჰორიზონტალურობა და გადაბმა. ეს აკლდამა რომ ანტიკური, ან უფრო სწორად, გვიანანტიკური ხანის ნაგებობათა კომპლექსში აღმოჩენილიყო, მას ალბათ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მივაკუთვნებდით წინარექრისტიანულ ხანას, ვინაიდან, მაგალითად, ქვის წყობითა და საკნის აღნაგობით საკმაოდ ახლოს დგას მცხეთის სადგურთან აღმოჩენილ აკლდამასთან, სადაც აგრეთვე კარგად გადაყვანილი ცილინდრული თაღია დადასტურებული,[14] თუმცა, მეორე მხრივ იმ აკლდამას არც ტალანი და არც შიდა სარეცლები არ გააჩნია.

მაგრამ სიონის აკლდამას, როგორც გეგმით, ასევე ქვის წყობის თავისებურების მიხედვით გვიანანტიკური ხანის საყურადღებო პარალელები მოეძებნება არა მარტო საქართველოში, არამედ საქართველოსათვის ისეთ შორეულ ადგილებშიც კი, როგორიცაა ილურატი[15] და ოლვია[16] (ყირიმში). ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ილურატში 1947 წ. გათხრილი და ახ. წ. I ს-ით დათარიღებული დრომოსიანი აკლდამა, რომელიც გეგმითა და საპირე ქვის წყობით საკმაოდ უახლოვდება სიონის აკლდამას. აქ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ის, რომ ილურატის (ისევე, როგორც მცხეთის) აკლდამის კედლის წყობაშიც სრულებით არაა დაცული ჩიგების ჰორიზონტალურობა, რაც ესოდენ დამახასიათებელია სიონის აკლდამის და აგრეთვე ტაძრისათვის. რა თქმა უნდა, ამ შორეული პარალელის მოტანით სრულიადაც არა გვსურს ვამტკიცოთ სიონის აკლდამის და ამ უკანასკნელის თანადროულობა, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სიონის აკლდამაში თვალნათლივაა შემონახული საქართვე-

---

[14] გ. ლომთათიძე, იხ. ციციშვილი, დასახ. ნაშრ; И. Цицишвили, Гробница у станции Мцхета, КСИИМК, вып. 54, 1954, стр. 116—126.

[15] В. Гайдукевич, Илурат. Итоги арх. исслед., 1948—1953 гг., МИА, 85— П, М., 1958, стр. 139, рис. 152.

[16] Л. Славин, Древний город Ольвия, Киев, 1951, стр. 55—60.

ლოსათვის უკვე კარგად ნაცნობი, ჯერ კიდევ გვიანანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი სამშენებლო ტრადიცია და ქვის თავისებური წყობა. ეს მოვლენა, როგორც უკვე აღინიშნა, დამახასიათებელია არა მარტო სიონის ძეგლებისათვის, არამედ ადრიფეოდალური ხანის მთელი ქართლ-კახეთისათვის და განსაკუთრებით კი იორ-ალაზნის შუა და ზემო ნაწილში აღნუსხულ ნაგებობათათვის.

ქვის წყობის ამ თავისებურებით სიონის აკლდამა განსაკუთრებით ახლოს დგას სიონისავე ზემოთ განხილულ ბაზილიკასთან.

ჩვენი აზრით, სიონის აკლდამის ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთრივ სიონის ბაზილიკის შესწავლას და განსაკუთრებით დათარიღების საკითხს. უეჭველია, სიონის აკლდამა იმთავითვე ეკლესიასთან იყო დაკავშირებული. ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის სიახლოვეს ასეთ საპატიო ადგილას დიდი აკლდამის აგება უკვე გვაგულისხმებინებს იქ ეკლესიის არსებობას; ხოლო ქვის წყობის მხრივ მათ შორის უმჭიდროესი მსგავსება-კავშირი თავისუფლად გვაფიქრებინებს იმასაც, რომ ეს ორი ძეგლი დროის ძალიან დიდი განსხვავებით არ უნდა იყოს წარმოქმნილი. ამიტომ აკლდამის დათარიღებისა და უკეთ გააზრებისათვის, ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თვით ბაზილიკის ხნოვანების სწორად გარკვევას.

მაგრამ დღესდღეობით ეს არც თუ მთლად ადვილ საქმედ გვესახება, იმიტომ რომ, როგორც უკვე ითქვა, [illegible] სამეცნიერო ლიტერატურაში სიონის ბაზილიკის დათარიღების ორი, ერთიმეორისაგან საკმაოდ განსხვავებული ცდა არსებობს.

თუ ისტორიულ წყაროთა ცნობებს გავითვალისწინებთ, ერწო-ჟალეთის მიდამოებში ეკლესია უძველესი დროიდანვე უნდა არსებულიყო, რადგან, ტრადიციის თანახმად, ქართლის მოქცევისთანავე წმინდა ნინოს მოღვაწეობის ერთერთ უპირველეს სარბიელს სწორედ ერწო-თიანეთის ქვეყანა წარმოადგენდა. მემატიანის სიტყვით, წმ. ნინომ „წარიყვანა იაკობ მღდელი საბერძნეთით მოსული, და ერისთავი ერთი, წარვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა მთეულთა, ჭართლელთა და ფხოელთა და წილკნელთა და უქადაგა სარწმუნოება ქრისტესი, ხოლო მათ განუყარეს თავი და ერისთავთან მცირედ წარჰმართა მახვილი და შიშითა მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად და გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემა და ნათელსცა ერწუ-თიანეთელთა“[17]. მოსალოდნელია, რომ მსგავსად სხვა ადგილებისა, „ჟალეთის ქვეყანაში“ მოსული წმ. ნინო, იმხანად საგანგებო ქრისტიანული ნაგებობის უქონლობის გამო, აღმართავდა ჯვარს და ამის შემდეგ ჟალეთი ამ მხარის ერთგვარი რელიგიური ცენტრი გახდებოდა[18]. ამჟამად ჩვენთვის ძნელია ნინოსეული ჯვრის

---

[17] სამი ისტორიული ქრონიკა (ქართლის მოქცევისა, სუმბატისა ბაგრატიონების შესახებ და მესხური დაეთნისა), გამოცემული ვრცელი წინასიტყვაობით და შედარებით ქც-სა და სხვა ქრონიკებთან, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1890, გვ. 19.

[18] ქრისტიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი გარეგნული ემბლემა და სიმბოლო, რომელიც ამ სარწმუნოებამ ჩვენშიც თავიდანვე მოიტანა და მას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა, იყო ჯვარი (აკად. ს. ჯანაშიას მართებული აზრით, ახალი სარწმუნოების მიღების პირველი აქტები მდგომარეობდა ნათლისღებასა და ხის ჯვრის აღმართვაში. ჯვრის, როგორც ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოს დიდი როლი კარგად ჩანს ისტორიული წყაროებიდანაც. (ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 235).

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქრისტიანობის გავრცელების გარიჟრაჟზე წმინდა ნინოს მირიან მეფისათვის უბრძანებია: „წარიხუენით ორნი ჯუარნი და აღმართენით ერთი თხოთას, სა-

ზედმიწევნითი ლოკალიზაცია, მაგრამ ვარაუდის სახით შეგვიძლია დავუშვათ, რომ იგი მდებარეობდა თანამედროვე სიონის ადგილას რადგან მომდევნო ხანაში სწორედ იქ განვითარებულა საკმაოდ ძლიერი სამოსახლო თავისი დიდი ეკლესიით, სასახლითა და ციხე-სიმაგრითურთ. საფიქრებელია, რომ იგივე სამოსახლო ყოფილიყო ისტორიული ჟალეთის „ქვეყნის“ პოლიტიკური ცენტრი, თორემ შეუძლებელია იგი აერჩიათ ისეთი უმნიშვნელოვანესი აქტის ჩასატარებელ ადგილად, როგორიც იმ მხარის მოსახლეობის ნათლიღება იყო.

ასეა თუ ისე, მოსალოდნელი იყო, რომ იმ ადგილას (იმ გეოგრაფიულ პუნქტში), საიდანაც IV ს-ის დასაწყისში მთელ ერწო-თიანეთს უქადაგეს ახალი სარწმუნოება, ეკლესია ადრევე აეგოთ, მაგრამ ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიის ზოგი სპეციალისტის ვარაუდით, „ჟალეთის ქვეყანაში“ არსებული ვერც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ეკლესია წმინდა ნინოს ეპოქასთან მიახლოებული ხანითაც კი ვერ დათარიღდება. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა[19], გ. ჩუბინაშვილი სიონის ბაზილიკას VIII—IX სს-ით ხოლო ჟალეთის „ხატს“ IX—X სს-ით ათარიღებს[20].

---

და გამხილა ღმერთმან ძალი მისი და ერთიც მიეც სალომეს, მხევალსა ქრისტესსა, და აღმართოს უჯარმოს ქალაქსა“ (ანასეული ნუსხა, თბ., 1942, გვ. 77). ასევე არანაკლებ ცნობილია ღეგენდარული „ჯვარი პატიოსანი“ მცხეთაში (ქც-ა, I გვ. 121), უჯარმის ციხეში და სხვაგან.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოს იმის საშუალება არ ჰქონდა, რომ სადაც კი ნათლისღების ჯვრები აღემართა, ყველგან მაშინვე ეკლესიები აეშენებინა. თვით მცხეთაშიც კი მხოლოდ VI ს-ის ბოლოს, გურამ კურაპალატმა „იწყო ეკლესია ჯუარისა პატიოსნისა, და აჷმომდე ჯუარი ველსა ზედა იყო“. (ქ-ცა, I, ჯუანშერი, გვ. 221). ასე რომ, შესაძლოა, წარმართული სალოცავების ადგილას აღმართული ჯვრები საკმაოდ ხანს მდგარიყვნენ, ვიდრე იქ სათანადო შენობები გაჩნდებოდნენ. თავისთავად ეს ჯვრები ეკლესიის არშიც უკვე ასრულებდნენ ხოლმე თავის დანიშნულებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიონის ეკლესიის შიდა ივერცის გათხრისას (1962 წ.) ცენტრალური ნავის შუაში აღმოჩნდა რიყის ქვებით ამოვსებული საკმაოდ ღრმა ორმო (ტაბ. IX, 3) და გაჩნდა პირობითი ვარაუდი, რომ ეს ორმო იყო ნაგებობა ქართლ-კახეთში ქრისტიანობის გავრცელების გარიჟრაჟზე აქ აღმართული ჯვრისა, რომელზედაც შემდგომ ეკლესია აშენდა.

[19] Г. Чубинашвили, გვ. 132—133 და 190, სქოლიო 5. სიონის ეკლესია ბერეთის საკმაოდ ვრცლად აქვს განხილული რ. შ ე რ ვ ა შ ი ძ ე ს, რომელიც აღნიშნულ ძეგლს VIII ს-ით, ათარიღებს. იხ. მ ი ს ი ვ ე, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, стр. 31—32 (Рис. 50).

[20] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 136—13[illegible] და ამისა, ჟალეთის ხუროთმოძღვრულ ძეგლს საგანგებო მონოგრაფია უძღვნა ხელოვნებათმცოდნე ნ. ქ ა დ ე ი შ ვ ი ლ მ ა (იხ. მ ი ს ი, „ჟალეთის ხუროთმოძღვრული ძეგლი, თბ., 1965). ამ მონოგრაფიაში, რომელიც აკად. გ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით დაწერილი, ავტორი სავსებით იზიარებს ზემოთ მოტანილ თარიღს, რაც თავის მხრივ ძეგლის მეტად ფართო მხატვრულ-სტილისტიკურ ანალიზზეა დაფუძნებული. რა თქმა უნდა, ასეთი საფუძვლიანი კვლევა-ძიების შემდეგ ჩვენთვის ძნელია რაიმე განსხვავებულის თქმა, მაგრამ მაინც გვინდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი ნიშნით ჟალეთის ეკლესია IX—X სს-ზე უფრო ადრინდელ ძეგლებსაც უკავშირდება. მაგალითად, ამ მხრივ საყურადღებოა ჟალეთის სარკმელთა თავსამკაული, რომელიც ადრეფეოდალური ხანის ადრე ეტაპებისათვისაა დამახასიათებელი.

არანაკლებ საყურადღებოა ეკლესიის შიგნით, საკურთხევლის წინ ცისრიმის ქვათლილებით ნაგები ექვსკუთხედის, სექსაგონის აღმოჩენის ფაქტი, რაც აღნიშნულ ძეგლს საკმაოდ ახლო აკავშირებს მცხეთის ჯვართან, სადაც მოპირფარეშე ფუნქციის მატარებელი ოქტაგონია დადასტურებული (მცხეთის ჯვრის ეკლესიის ოქტოგონის დანიშნულების შესახებ იხ. Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари. Тб., 1948. стр. 78—86). უნდა შეინიშნოს, რომ მცხეთის ჯვრის შემდეგ ჟალეთის „ხატი“ ერთადერთია, სადაც მსგავსი ნაგებობა იქნა მიკვლეული.

გარდა ზემოთქმულისა, ძეგლის შედარებით არქაულობის მანიშნებელი უნდა იყოს გათხრითი მუშაობის დროს აქ აღმოჩენილი დამტვრეული სანათლავიც, რომელიც, უდავოა, იმთავითვე ჟალეთის ეკლესიასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (იხ. ნ. ქ ა დ ე ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 14, ტაბ. II, 12). თავის დროზე, ჩანს, სანათლავი წარმოადგენდა საკმაოდ დიდ (85x60x45 სმ)

მაგრამ, თუ გულდასმით ჩაეუკვირდებით არქეოლოგიური კვლევა-ძიებით მოპოვებული მასალების ხასიათს და შევუჯერებთ მათ ისტორიულ წყაროთა საკმაოდ ანგარიშგასაწევ ჩვენებას და ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ თვით ამ ხუროთმოძღვრულ ძეგლის სტილისტურ-მხატვრულ ზოგ თავისებურებას, ვფიქრობთ, შეუძლებელი არ უნდა იყოს სიონის ბაზილიკის ხნოვანების რამდენადმე უფრო ღრმად გადატანა, მითუმეტეს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი ცდა უკვე არის[21].

უპირველეს ყოვლისა ეკლესიის ხნოვანებაზე მსჯელობისას ყურადღებას იპყრობს თვით ძეგლის სახელწოდება „სიონი“, რომელიც საკმაოდ ძველი ჩანს[22]. კ. კეკელიძე საქართველოში სახელწოდება „სიონის“ გაჩენას სავსებით მართებულად უკავშირებს ქრისტიანობის გავრცელების საწყისებს და ფიქ-

---

ოთხკუთხა ყუთს, რომელიც გამოთლილი იყო ერთი მთლიანი მაგარი ქვისაგან. სანათლავის კედლები სამი მხრივ მორთული ყოფილა რელიეფური გამოსახულებით, ხოლო მეოთხე მხარე სრულიად გლუვი ჰქონია. სანათლავის შემორჩენილ ერთ კედელზე გამოხატულია ნათლისღების სცენა, მეორეზე—სამი მდგომარე ფიგურა და ტოლჭვალავება ჯვარი. სიუჟეტების, განსაკუთრებით ნათლისღების სცენის მიხედვით ნ. ჭადეიშვილი ამ სანათლავსაც იმავე დროით ათარიღებს, რითაც ეკლესიას თუმც გარკვეული ეჭვი მის შედარებით არქაულობაში მაინც გამოთქმული აქვს (გვ. 57—66). მაგალითად, ორივე კომპოზიციის გარშემო მოცემული ორნამენტული არშია, რომელიც მცენარეული მოტივებითაა შესრულებული, ნ. ჭადეიშვილს სავსებით სამართლიანად მიაჩნია არქაული იერის მატარებლად. აღნიშნული ორნამენტი, რომელსაც მრავლად მოეძებნება პარალელები ადრეულ შუასაუკუნეთა ხუროთმოძღვრულ ძეგლებში (აკაურთა, თელოვანი, ჯვრის მცირე ტაძარი ქართლში და თეკორის ეკლესია სომხეთში) საკმაოდ დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს გვიანსასანური ხანის ორნამენტულ მოტივებთან, რაც გარკვეულად მის ასაკზედაც უნდა მიგვითითებდეს. გარდა ამისა, არქაულობის თვალსაზრისით არანაკლებ საყურადღებოა ნათლიღების კომპოზიციაში გამოხატული მტრედი, რომელსაც ნისკარტში გვირგვინი უპყრია. მსგავსი ფრინველი, სხვათა შორის, აგრეთვე ნისკარტში გვირგვინითურთ გამოსახულია ბოლნისის სიონში (იხ. Г. Чубинашвили, Болниси. ИИЯИМК. IV. стр. 164, рис. 93).

რაც შეეხება ჯვრის გამოსახულებას, მასაც ზუსტი ანალოგები უფრო ადრეული ხანის ძეგლებში მოეპოვება (ბოლნისის სიონი, ედიქილისა, ერედვი, ჯვრის ტაძარი და სხვა). მართალია, ჟალეთის სანათლავის ჯვარს აქვს თავისებურებაც. იგი ოთხკუთხა ჩარჩოშია ჩასმული და მკლაეებშორისი არეები ვარდულებით აქვს შემკული. მაგრამ მკლავების მოხაზულობით მისი განსხვავება, მაგალითად, მცხეთის ჯვრის ამაღლების კომპოზიციაში წარმოდგენილი ჯვრისაგან თითქმის შეუძლებელია (იხ. Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари. табл. 24, 25).

ჩვენ მიერ აქ დასახელებული სანათლავიცა და სექსაგონიც ეგება უფრო ადრინდელი იყოს, ვიდრე საკუთრივ ჟალეთის ეკლესია, მაგრამ მათი კავშირი ამ უკანასკნელთან მაინც დამაფიქრებელი ჩანს.

[21] იერის სიონისადმი მიძღვნილი ნაშრომი, რომელიც 1951 წ. 20 დეკემბერს ისტორიის ინსტიტუტში, საანგარიშო მოხსენების სახით წაიკითხა არქ. ირ. ციციშვილმა ჯერჯერობით კიდევ არ არის გამოქვეყნებული.

გ. ჩუბინაშვილი, (იხ. Архитектура Кахетии, გვ. 133), აცხადებს, რომ ირ. ციციშვილი ძეგლის ხნოვანების განსაზღვრისას იმდენად მისი ხუროთმოძღვრულ ანალიზს არ ეყრდნობა, რამდენადაც ისტორიულ წყაროთა ცნობებს. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ირ. ციციშვილს 1951 წ. წაკითხულ მოხსენებაში საკმაოდ ვრცლად ჰქონდა განხილული სიონის ბაზილიკის მხატვრულ-სტილისტური მხარეც.

მოგვიანებით (1955 წ.) გამოქვეყნებულ ლექციების კურსში (ქართული არქიტექტურის ისტორია, გვ. 49) ირ. ციციშვილი სიონის ეკლესიას მოიხსენიებს V—VII სს. დათარიღებულ ძეგლთა ჯგუფში. სიონის ბაზილიკას გაკვრით ეხება დ. მუსხელიშვილიც (იხ. მისი „ციხე-ქალაქი უჯარმა, ივერია-ალვანეთის ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 1966, გვ. 26), რომელიც აღნიშნავს სიონის ტაძრის დათარიღების შესახებ ორი აზრის არსებობას (V ს. — ირ. ციციშვილი და VIII—IX სს. გ. ჩუბინაშვილი და რ. შმერლინგი).

[22] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. К. Кекелидзе. Об Иерусалимском происхождении грузинских церквей. ეტიუდები ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან.

რობს, რომ „სიონი“ შეიძლებოდა აღმოცენებულიყო მხოლოდ ისეთ განსაკუთრებულ ადგილებში, რომლებიც იმთავითვე იჩემებდა ამა თუ იმ მხარის რელიგიური მესვეურის როლს.

„სიონის“ ამგვარი გაგებიდან გამომდინარეობს ნ. ბერძენიშვილის ერთი მეტად საყურადღებო მოსაზრებაც, რომელიც მას სწორედ ივრის სიონთან დაკავშირებით აქვს გამოთქმული. (ეს მოსაზრება შემდგომ გაიზიარა და განავითარა დ. მუსხელიშვილმა).

ამ ვარაუდით, „უკვე ასეთი სახელწოდება (სიონი) უნდა მოწმობდეს, რომ აქ (იგულისხმება ივრის სიონი. რ. რ.) ოდესღაც საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა“[23].

ახლა რაც შეეხება საკუთრივ ამ ძეგლის გეგმისა და მხატვრული გაფორმების ზოგიერთ საკითხს, რომლებთაც უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭებათ მის დასათარიღებლად.

როგორც შესავალშივე ითქვა, სიონის ბაზილიკის გეგმის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს აღმოსავლეთ კედლის ხაზს გარეთ გამოშვერილი ხუთწახნაგა აფსიდა და დიდი სვეტების ორი მწკრივი, რომლებიც პილონებთან ერთად, ეკლესიის შიდა სივრცეს, სამ ნავად ყოფს (ტაბ. I).

როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, საქართველოში ცნობილი რამდენიმე ათასი ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლიდან გეგმის გარეთ გამოსული აფსიდა (როგორც ნახევარწრიული, ასევე მრავალწახნაგა) მხოლოდ სამ ათეულ ნაგებობას თუ აქვს[24]. მაგრამ თუ საქართველოს და სხვა მხარეთა სათანადო ძეგლებს კარგად დავაკვირდებით, აშკარად გამოჩნდება, რომ გარეთ გამოშვერილი აბსიდის მქონე ეკლესიები უპირატესად ჩვენში ადრექრისტიანული ხანისთვისაა დამახასიათებელი (მაგ., ბოლნისი[25], ქვემო [illegible]ლნისი[26],

---

[23] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 26. სხვაგვარად აქვს განმარტებული „სიონი“ ივ. ჯავახიშვილს: მისი აზრით, „სიტყვა სიონი — გეგმის განსაკუთრებული სახის დამახასიათებელი სახელია. სიონი ქართულად ბაზილიკას ჰნიშნავს“ (მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, გვ. 77). ამა თუ იმ ეკლესიის „სიონად აღშენება...“, ივ. ჯავახიშვილის რწმენით ნიშნავდა ძეგლის ბაზილიკურ წესზე აგებას. მაგრამ ამ რიგის ძეგლთა ურთიერთშედარებისა და მათი ისტორიულ ჭრილში განხილვით ირკვევა, რომ ტერმინ „სიონში“ ხუროთმოძღვრული ძეგლის თავისებური სახის ძებნა არ უნდა იყოს მართებული. სხვა რომ არა იყოს რა, საქართველოში ზოგი ისეთი სიონიცაა ცნობილი, რომლებიც არასდროს ბაზილიკები არ ყოფილან. სხვათაშორის ამ უხერხულობაზე თვით პატივცემული მკვლევარიც მიუთითებს, კერძოდ, როდესაც ატენის ტაძარზე მსჯელობს (გვ. 78). მაგრამ ამას ივ. ჯავახიშვილი იმით ხსნის, რომ ატენის სიონი, რომელიც ჯვრის ტიპის ნაგებობაა, თავდაპირველად ბაზილიკა უნდა ყოფილიყო. ატენის სიონის ხუროთმოძღვრული ანალიზი კი ცხადყოფს, რომ იგი იმთავითვე ჯვრის ტიპის ნაგებობად იყო გათვალისწინებული (Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари, стр. 44—49). ამიტომ ისტორიულ წყაროებში არც თუ იშვიათად ხმარებული გამოთქმა „სიონად აღშენება“ შესაძლოა გულისხმობდეს არა გეგმის განსაკუთრებულ სახეს, არამედ წინასწარი განზრახვით მის საეკლესიო ცენტრად აგებას.

[24] Г. Чубинашвили, Болниси, 1940, стр. 126.

[25] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი.

[26] Г. Чубинашвили, Церковь близ селения Болниси—Капанакчи, „Христ. Восток“, том V, вып. III, 1917, табл. XLVII.

ბიჭვინთა[27], ჭერემის ბაზილიკა[28], აკაურთა, წყაროსთავი[29] და სხვა; აგრეთვე სომხეთში ბაშ-აპარანი[30], ეგვარდის ბაზილიკა[31] და სხვა).

ამიტომაა, რომ გ. ჩუბინაშვილი ჭერემის საკათედრო ეკლესიის განხილვისას გამოჰყოფს ამ ნაგებობის უძველეს ფენას და სწორედ გამოშვერილი ჩუთწახნაგა აფსიდის მიხედვით ათარიღებს მას ვახტანგ გორგასალის ან მისი მახლობელი ხანით[32].

ხოლო სიონის ბაზილიკის კავშირი ჭერემის უძველეს ნაგებობასთან და სხვა თითქმის იმავე დროის ეკლესიებთან იმდენად ნათელია[33], რომ, ვფიქრობთ, ამ ნიშნით იგი ამკარად VIII—IX სს. უფრო ადრეულ ხანს უნდა მიეკუთვნოს. მაგრამ, გარდა ამისა, სიონის ბაზილიკის გეგმა იმითაც იპყრობს ყურადღებას, რომ მას არ გააჩნია პასტოფორიუმები, რაც აგრეთვე ძეგლის არქაულობის მანიშნებელია[34]. დღეისათვის უკვე აღიარებულია ის ფაქტი, რომ განსხვავებით მცირეაზიური ადრეფეოდალური საქრისტიანო ხუროთმოძღვრული ძეგლებისაგან, საქართველოსა და სომხეთში უკვე VI საუკუნიდან პასტოფორიუმები არა თუ ცნობილი იყო, არამედ სავალდებულოდაც ითვლებოდა[35]. ამასთანავე საინტერესოა აღინიშნოს ის მეტად საყურადღებო ფაქტი, რომ იქრის სიონის ბაზილიკას უახლოესი კავშირი აქვს სწორედ ისეთ აბსიდაგამოშვერილ უძველეს ძეგლებთან, რომლებსაც აგრეთვე არ გააჩნიათ პასტოფორიუმები (ბოლნისი, ჭერემი, ბიჭვინთის ნაქალაქარის მოზაიკური ტაძარი, და სხვა).

იქრის სიონის შედარებით გვიანი ხანით დათარიღების ერთ-ერთ უმთავრეს საბუთად გ. ჩუბინაშვილს მიაჩნია მონოლითური სვეტების ისეთი განლაგება, როგორიც გუმბათიანი ტაძრებისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ, რო-

---

[27] იხ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., ტაბ. XVII; რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინთაში, მსკა, III, 1963, გვ. 70, სურ. 1.

[28] Г. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Кахетии, стр. 190—191.

[29] Г. Ч у б и н а ш в и л и, Болниси, стр. 126.

[30] J. S t r z y g o w s k i, Die Baukunst der Armenier, I, Wein, 1918, გვ. 144—158, სურ. 169.

[31] В. ю т ю н я н и С. С а ф а р я н, Памятники армянского зодчества, М., 1951, стр. 37, рис. 9.

[32] Г. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Кахетии, стр. 190, აგრეთვე სქოლიო 2 და 3. პატივცემული მკვლევარის სიტყვით, ეკლესიის უძველეს ფენას, უძველეს ნაგებობას უკვე ნახევარი ათასწლეულის არსებობის ისტორია უნდა ჰქონოდა, როცა X—XI სს. იგი საფუძვლიანად გადაუკეთებიათ. ამ ძველი ფენის არსებობის საბუთად მას მიაჩნია:... «Прежде всего выступающая наружу пятигранная обсида ее (таб.112). Это по моему мнению, несомненный пережиток старины, форм основного древнего, замененного стоящей поныне постройкой епископского храма. Только как такое повторение первоначальных форм и можно понять, пояснить, почему бы в Черемн в X—XI веке вывели базиличную церковь со средней выступающей пятью гранями абсидою» (стр. 190).

[33] მაგ. სიონის ტაძრის გეგმა, ბევრი ნიშნით ჰგავს V—VI სს. მიჯნით დათარიღებული აკაურთის გეგმას (იხ. ლ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, „ქართული ხელოვნება", № 2, გვ. 28, სურ. 1.

[34] Г. Ч у б и н а ш в и л и, Болниси, გვ. 124—126. ინტერესს იწვევს გამოშვერილი აბსიდის მქონე ძეგლთა ჩვენში გავრცელების გზებიც: შესაძლოა მათ, მცირე აზიიდან, სომხეთის გავლით უშუალოდ უნდა შემოეღწიათ ქართლ-კახეთში, მაგრამ უფრო მართებული იქნება, თუ მათ შემოსვლას საქართველოში ბიზანტიურ სამყაროს დავუკავშირებთ და კავკასიაში შემოღწევის გზებს დასავლეთ საქართველოში ვეძიებთ. საამისოდ მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება ბიჭვინთის ნაქალაქარში აღმოჩენილი მოზაიკური ტაძარი.

[35] Г. Ч у б и н а ш в и л и, Там же, стр. 126.

გორც სიონის ბაზილიკის არქეოლოგიურმა გამოკვლევამ (1962 წ.) და მისმა სრულმა გაშიშვლებამ ცხადყო, სვეტები ცენტრალურ ნავში კვადრატულად კი არ არიან განლაგებული, როგორც გ. ჩუბინაშვილს აქვს აღნიშნული[36], არამედ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ წაგრძელებით: მანძილი სვეტებს შორის NS ხაზზე გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე WO ხაზზე. ასეთ ვითარებაში სიონის ბაზილიკის გეგმა უკვე აღარ ჰგავს საქართველოში გუმბათიანი ხუროთმოძღვრებისათვის შემუშავებულ ტიპიურ გეგმას, რომელიც უეჭველად სვეტების კვადრატულ განლაგებას გულისხმობს.

ივრის სიონის ბაზილიკის გეგმას არქაულობის მაჩვენებელი სხვა ნიშნებიც ახასიათებს, კერძოდ ის, რომ ეკლესიის აბსიდას არა მარტო კამარა აქვს ნალისებურად შეკრული (ტაბ. XVIII), არამედ თვით აბსიდაც აშკარად ნალისებრი მოყვანილობისაა. მაგრამ ამ ძეგლის VIII—IX სს. უფრო ადრეული ხანით დათარიღებისათვის საჭირო საბუთიანობა ამითაც არ ამოიწურება.

როგორც შესავალშივე გვქონდა აღნიშნული, ივრის სიონის ბაზილიკა შიგნიდან უხვად ყოფილა მორთული ჩუქურთმით, რომლის ნაშთები არა მარტო 1950—1951, არამედ 1962 წელსაც მრავლად იქნა მიკვლეული თხრისას. მდიდრული ორნამენტით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მონოლითური სვეტისთავები და კონქში მოთავსებული იმპოსტები, რომლებიც, როგორც ცხოველური და მცენარეული, ასევე გეომეტრიული სახეების გამოყენებით, საკმაოდ მჭიდროდ უკავშირდებიან ისეთ არქაულ ძეგლს, როგორიც ბოლნისის სიონია. ამ ორნამენტიდან უპირველეს ყოვლისა განვიხილავთ ზოომორფულ მოტივებს, რომლებიც კონქის მარცხენა იმპოსტის სიბრტყეზეა შემორჩენილი[37]. იმპოსტი (რომლის სიმაღლე დაახლოებით 36 სმ-ია, ხოლო ზედა ნაწილის სიგანე —



სურ. 6. ივრის სიონის ბაზილიკა. ჩუქურთმა მარცხენა იმპოსტიდან.

---

[36] Г. Чубинашвили. Архитектура Кахетии, стр. 132.

[37] იხ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. ტაბ. XVII, სურ. 10. მ ი ს ი ვ ე, სამგორის არქეოლოგია, „დროშა" 1951, № 4, გვ. 18.

70 სმ.) საკმაოდ დაზიანებულია იმის გამო, რომ ქვიშაქვა, რომელზედაც ორნამენტია ამოკვეთილი, მეტად რბილია და ადვილად ფხვნადი. მაგრამ, მიუხედავად ცუდი დაცულობისა, კომპოზიცია საკმაოდ ნათელია. იგი შედგება ერთი მთავარი ფრიზისაგან, რომელიც ზემოდან, განიერ ნაწილში ორნამენტული თაროთია დასრულებული (იხ. სურ. 6). ფრიზის ცენტრი უჭირავს ხმირტოტებდაშვებულ დიდ ხეს, რომელსაც აქეთ-იქიდან მიდგომია ორი ცხოველი. ამათგან მარცხენა, რქების მოყვანილობით ჯიხვს ან არჩვს მოგვაგონებს, ხოლო მარჯვენა—შველს. ორივე ცხოველი მოძრაობს, დრუნჩი მიტანილი აქვთ ხესთან და მის ტოტებს კვნეტენ. სიბრტყის მარცხენა კუთხეში გამოსახულია მოზრდილი ფრინველი (ფარშავანგი?), რომელიც თითქოს ხისაკენ მოემართება. სიბრტყის თავისუფალი არეები, ფრინველს ქვემოთ, შველის ზურგთან და ფეხებთან შევსებულია მცირე ფოთლოვანი მცენარეებით. არა მარტო საერთო კომპოზიციური ჩანაფიქრით, არამედ ცალკეულ კონკრეტულ ორნამენტულ მოტივთა შინაარსითა და ამოკვეთის მანერითაც კონქის იმპოსტის ზოომორფული რელიეფი მეტად დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს ბოლნისის სვეტისთავებზე ამოკვეთილ რელიეფებთან. კერძოდ, ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბოლნისის ტაძრის ბაპტისტერიუმის იმპოსტები, სადაც ერთგან[38], მცენარის ტოტების ფონზე გამოსახულია ორი ურქო შველი: ერთი, ფური მოქცეულია ზემოთ და მცენარის ფოთლებს კვნეტს, ხოლო მეორე, ნუკრი წოვს ძუძუს. რაც შეეხება მეორე გამოსახულებას, აქ შველი უკვე რქიანია და დრუნჩი მასაც მცენარისაკენ აქვს გაშვერილი. მსგავსად ივრის სიონის რელიეფისა, აქაც ირმის წინ და ზემოთ ფოთლოვანი მცენარეებია გამოსახული[39].

ივრის სიონის ეს ზემოთ აღწერილი კომპოზიცია არა მარტო ცხოველთა გადმოცემით, არამედ მცენარეთა გამოსახულებითაც კი ძალზე ახლოა ბოლნისის სიონის რელიეფებთან. მართალია ივრის სიონის ოსტატი შესრულების კულტურით რამდენადმე ჩამორჩება ბოლნისისას, მაგრამ მარტივად გამოხატული სურათების რეალურობითა და კომპოზიციით იგი მთლად ბოლნელის თანამედროვე თუ არა, უახლოესი თანამედროვე მაინც უნდა იყოს.

როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ადრექრისტიანულ ხელოვნებაში შველის გამოსახულება საკმაოდ გავრცელებული იყო, რადგან იგი იმ დროს სიმბოლურად გამოხატავდა მორწმუნე სულს. ამიტომ როგორც ბოლნისში, ასევე სიონში მცენარეების წინაშე მდგარი შვლები სრულიად კონკრეტული შინაარსის მატარებელია. გ. ჩუბინაშვილის სიტყვით: „...эти композиции (საუბარია ბოლნისზე) нужно понимать, как символическое изображение верующей души, получающей в изобилии пищу веры".[40]

ივრის სიონის ბაზილიკის ცხოველთა კომპოზიციაში ჩართულ ფრინველს კი, რომელშიაც შესაძლოა დედალი ფარშავანგი შევიცნოთ, აგრეთვე მოეძებნება შესატყვისები ბოლნისის სიუჟეტებში[41].

სიონის ბაზილიკაში განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი მცენარეული და გეომეტრიული ჩუქურთმა, რომელთა შორის ბევრს ზუსტი ანალოგიები მოეძებნება ბოლნისის შიდა მორთულობაში.

---

[38] Г. Чубинашвили, Болниси, стр. 160, табл. III.

[39] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., ტაბ. I, III, და სხვ.

[40] იქვე, გვ. 161.

[41] იქვე, გვ. 159, ტაბ. IV.

ზოომორფულ კომპოზიციებში შესული მცენარეთა ზოგიერთი გამოსახულება უკვე ვახსენეთ, მაგრამ, გარდა ამისა, ივრის სიონში საკმაოდ ფართოდაა გამოყენებული ვაზის გამოსახულებაც. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა დასავლეთი კარის ჩარჩო და № 2 სვეტისთავი[42] (სურ. 7 და სურ. 3).



სურ. 7. ივრის სიონის ბაზილიკა. ვაზის გამოსახულება დასავლეთ კარის ჩარჩოზე.

№ 2 სვეტისთავზე, მაგალითად ვაზის კლაკნილი რქა სიგრძივ არის გამოხატული; საკმაოდ რეალისტურადაა გადმოცემული დანაკვთული ფოთლები და მსხვილმარცვლება მტევნები. ამ მაგალითის მიხედვით, ჩუქურთმის მჭრელი ოსტატისათვის ვაზი იმდენად მახლობელი და ყოფითი ჩრამ ჩანს, რომ მას არც მოსაჭიდი „ულვაშების“ გამოხატვა დავიწყებია. მსგავსი კომპოზიცია, როგორც



სურ. 8. სიონის სვეტისთავი ვაზის გამოსახულებით.

[42] სვეტისთავის, ვაზის გამოსახულებით დამშვენებული სიბრტყის სიგანე უდრის ქვედა ნაწილში 71,5 სმ, ზედაში კი — 81 სმ, საერთო სიმაღლე—69 სმ. ამათგან სვეტისთავის ზედა სარტ-

ცნობილია, დამახასიათებელია ბოლნისის სიონისთვისაც.[43], მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ივრის სიონის ხელოსანი ვაზის გადმოცემას უფრო რეალისტურად, უფრო ცოცხლად ახერხებს. ამასთანავე თუ ფოთლის დანაკვთულობისა და მტევნების მოყვანილობის მიხედვით ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ ბოლნისსა და ივრის სიონში სხვადასხვა ჯიშის ვაზებია გამოსახული.

მცენარეული მოტივების შემცველი ჩუქურთმებიდან ივრის სიონში კიდევ ერთი დეტალი იქცევს ყურადღებას (სურ. 9). ესაა ერთ-ერთი სვეტის ტანზე გამოსახული ხე, რომელსაც ძირთან თითქოს მდინარე ჩამოუდის. ეს დეკორატიული ხე შედგება ბრტყელფოთლებიანი ტოტებისა და რაღაც ნაყოფების მსგავსი გამოსახულებისაგან.



სურ. 9. ხის გამოსახულება სიონის სვეტზე.

ივრის სიონის სვეტზე გამოსახული ხე საერთოდ ივერით გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს იმ ხესთან, რომელიც ბოლნისის სიონის ცხენის გამოსახულებიან სვეტისთავზეა მოცემული[44].

რაც შეეხება გეომეტრიული მოტივების მქონე ჩუქურთმას, აქ, მიუხედავად იმისა, რომ შინაარსით და კომპოზიციურად ბოლნისთან საკმაოდ ბევრი რამაა საერთო, შესრულების ხარისხითა და ნახაზის სიზუსტით ივრის სიონის ნიმუშები საგრძნობლად ჩამოუვარდება ბოლნურს, რაც, ჩვენი აზრით, მათ შორის ქრონოლოგიური სხვაობით კი არ უნდა აიხსნას, არამედ იმ ხელოსნის ნაკლები ოსტატობით, რომელსაც ივრის სიონის ჩუქურთმა გამოუკვეთია. ჩუქურთმის მჭრელს, რომელსაც შედარებით იოლად დაუძლევია ზოომორფული და მცენარეული სახეები და ბევრ რამეში ბოლნურისთვის ტოლი არ დაუგდია, გეომეტრიული ორნამენტის შესრულებისას აშკარად სისუსტე გამოუჩენია. ხელოსანს აქ ხშირად მოსდის შეცდომები, როგორც ცალკეულ სახეთა განლაგებაში, ასევე სიბრტყის გაანგარიშებაში, თუმცა ისიც უნდა შეინიშნოს, რომ კარგად გამოყვანილი გეომეტრიული ორნამენტის რამდენიმე ნიმუში სიონის ბაზილიკაშიც მოიძებნება (სურ. 10).

ივრის სიონის გეომეტრიულ ორნამენტში ორი ძირითადი მოტივია გაბატონებული.

ერთი ამათგანი (სურ. 10) № 3 სამარხთან დაკავშირებით გვექნება განხილული. პირობით მას ხევსურული „ხუთანა“ ვუწოდეთ (სამეცნიერო ლიტერატურაში „გადაჯვარედინებულ წრეხაზულ მოტივსაც“ უწოდებენ[45]),

---

ყელის სიგანეზე (იქ, სადაც ვაზია გამოხატული) მოდის 14 სმ. ანაზომები და ნახატი შესრულებულია 1950 წ. ირ. ციციშვილის მიერ. მასალა ინახება კულტურის ძეგლთა სარესტავრაციო-სამეცნიერო სახელოსნოს არქივში.

[43] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 158 და 168—169, სურ. 101, ტაბ. IV, ჭვედა, მარჯვნივ.

[44] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრ., გვ. 164, სურ. 95.

[45] იქვე, გვ. 177 და შემდეგი.



სურ. 10. გეომეტრიული ორნამენტის ნიმუში საკურთხევლის იატაკის კარნიზიდან.

მეორე მოტივი კი წარმოდგენილია სხვადასხვა მოყვანილობისა და სიდიდის ვარდულებით, რომლებიც პირობითად მზეს გამოხატავენ (სურ. 11, 12).



სურ. 11. ვარდულებით შემკული სვეტისთავი.

გადაჯვარედინებულ წრეხაზთა მოტივი, ანუ „ხუთანა“ ივრის სიონის ბაზილიკაში განსაკუთრებით უხვადაა გამოყენებული, რაც ადრექრისტიანულ ხანაში მის პოპულარობასა და დიდ გავრცელებაზე მეტყველებს. ისევე როგორც ბოლნისში, ივრის სიონის მომჩუქურთმებელ ხელოსნისთვისაც ეს მოტივი მეტად მიმზიდველი და სასურველი ყოფილა. მსგავსი ჩუქურთმის დიდძალ ნიმუშებს შორის კარგი ხარისხით გამოირჩევა № 3 სვეტისთავის ერთი მხარე და საკურთხევლის იატაკის კარნიზის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელთაც უახლოესი ანალოგიები მოეძებნებათ ბოლნისში[46].

[46] Г. Чубинашвили, იქვე, ტაბ. IV, სურ. 105, 106, 107; ტაბ. VII, VIII და სხვ.

აღნიშნულ მოტივს, გარდა ადრექრისტიანული აღმოსავლეთ საქართველოსი, სხვაგანაც ვხვდებით[47]. თუმცა ისეთ ადრეულ ძეგლში, როგორიც მაგალითად, თეკორის ეკლესიაა სომხეთში და რომელიც ჩუქურთმების მოტივებით გარკვეულად ენათესავება ბოლნისს, ჩვენი „ხუთანა“ ჯერ კიდევ არა ჩანს[48].



სურ. 12. ვარდულებით შემკული სვეტისთავი.

ჩვენი დაკვირვებით, ეს მეტად ორიგინალური მოტივი წარმოშობილი უნდა იყოს წრეში ჩასმული ე. წ. „ბოლნური“ ჯვრების ურთიერთმიჯრით და ამიტომაცაა, რომ ადრეული ხანის ასეთ ორნამენტში თავისუფლად შეგვიძლია ამოვიკითხოთ ბოლნური ჯვრები და, პირიქით, ყოველ ბოლნურ ჯვარში შეიძლება ურთიერთგადამკვეთ სეგმენტთა დანახვა—სწორედ იმ სეგმენტებისა, რომელნიც ხევსურულ „ხუთანას“ ქმნიან.

რაც შეეხება ვარდულს, ეს მოტივიც საკმაოდ ძველია და მას ვხვდებით ისეთ ადრეულ ძეგლებზე, როგორიცაა ბოლნისის სიონი[49], თრიალეთის ოლთისი[50] და სხვა.

გარდა ზემოთქმულისა, სიონის ბაზილიკის ადრეული ხანით დათარიღებასთან დაკავშირებით კიდევ შეიძლებოდა სხვა საკითხებზედაც გაგვემახვილებინა ყურადღება[51], მაგრამ ასეთი დაწვრილებითი მსჯელობა ამჯერად ჩვენს უშუ-

---

[47] Памятники Армянского зодчества, სურ. 36. ზვართნოცი, სადაც აღნიშნული მოტივია გამოყენებული, აშენებულია VII ს-ის შუა ხანებში.

[48] იქვე, სურ. 15.

[49] იქვე, ურ. 68, 69.

[50] Г. Чубинашвили, Храмы в древних селениях Триалети, Олтиси и Тетри-Цкаро, ქართული ხელოვნება, 2, გვ. 7—54, სურ. 10.

[51] ამ მხრივ საყურადღებოა, მაგალითად საკურთხევლის იატაკისა და კანკელის კონსტრუქციისა და მდებარეობის საკითხი. როგორც ცნობილია, იატაკის დონეზე მაღლა მდებარე საკურთხევლები აგრეთვე ადრეული ხანისთვისაა დამახასიათებელი. რაც შეეხება კანკელის მეტად ორიგინალურ მდებარეობას (ძალზე წინ იყო გამოწეული), იგი იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ მისი ადგილი იმ ხანისათვის ჯერ-ჯერობით ზუსტად დადგენილი კიდევ არ იყო. ასევე საყურადღებოა ქვის წყობის თავისებური ხასიათი (რიგების არაჰორიზონტალურობა) და სხვა მრავალი. რაც შეე-

ალო მიზანს სცილდება და ვფიქრობთ ნათქვამიც საკმარისია იმისათვის, რათა საკითხისადმი ჩვენი დამოკიდებულება ნათელი იყოს.

ახლა გადავხედოთ ისტორიულ წყაროებსაც და ვნახოთ, შეიძლებოდა თუ არა ივრის ხეობაში ისეთ ადრეულ ხანაში, როგორიც არის V საუკუნის მეორე ნახევარი, აშენებულიყო ამგვარი მასშტაბისა და დანიშნულების მქონე ეკლესია?

როგორც ცნობილია, V ს-ის მეორე ნახევარში, ქართლის ძლიერი მეფის ვახტანგ გორგასალის დროს ქვეყანა საერთო აღმავლობის გზაზე იდგა. რაც არ უნდა „ლეგენდარულად" გვეჩვენოს ზოგჯერ ჯუანშერისეული ისტორია ამ სახელოვანი მეფისა, ერთი ამკარაა: ქართლი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებდა ისეთ დიდს აღმშენებლობით საქმიანობას, როგორიც უწარმოებიათ სწორედ V ს. მეორე ნახევარში, რომ მას საამისო ეკონომიური საფუძველი და პოლიტიკური ხელშეწყობა არ ჰქონოდა. ამის ნათელსაყოფად მარტო ბოლნისის სიონისა და უჯარმის ციხე-ქალაქის გახსენებაც, ვფიქრობთ, საკმარისია.

განსაკუთრებით ინტენსიურად ვახტანგ გორგასალი, როგორც ჩანს, კახეთში საქმიანობდა, სწორედ ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ ჯუანშერის თხზულებაში: „ხოლო ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი ჰერემისა და ნეკრესისა და ქალაქი კამბეჩოვანისა, რომელ არს ხოხნაბუჯი, და ყოველი ქვეყანა მტკუარსა აღმოსავლით. და თვით დაჯდა უჯარმოს, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა"[52].

ასე, რომ შეუძლებელი იყო ივრის ხეობაში ვახტანგ გორგასლის ინტენსიური საქმიანობის კვალი არ დამჩნეოდა ისეთ მნიშვნელოვან მხარეს, როგორსაც წარმოადგენდა „ჟალეთის ქვეყანა" და სადაც, ტრადიციით, ვახტანგ გორგასალს საეპისკოპოსო კათედრაც კი ჰქონდა დაარსებული, ბევრი სხვა კათედრის თანადროულად[53].

ნ. ბერძენიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ ტრადიციას, რომელიც ყველაზე კარგად ვახუშტი ბატონიშვილთანაა შემონახული. ვახუშტის მიხედვით, „კვალად ამავ წყლის შესართავს ზეით (იგულისხმება ერწოს წყალი), იორის პირზედ, არს, აღმოსავლით კერძ, ჟალეთი, შენობა დიდი და შემუსვრილი, ვგონებთ ამას ჩელეთად, რომელი აღაშენა კახოს ქალაქი, რომელსა პირველ ბერ ერქვა. შემდგომად გორგასალ აღაშენა ეკლესია კეთილშვენიერი, გუნბათიანი და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, შფავ-ხევსურეთისა და ხერკისა"[54].

ნ. ბერძენიშვილის აზრით, ვახუშტი ჟალეთისა და ჩელეთის იგივეობას შემდეგ საფუძველზე ამყარებს: 1) ლეონტი მროველის თხზულების კონტექსტზე, რომელშიც სავარაუდებელია ჩელეთის მდებარეობა ბოჭორმის მახლობლად; 2) ჟალეთის ნანგრევთა ხასიათზე — „შენობა დიდი და შემუსვრილი":

---

ხება იმას, რომ ამ ეკლესიის კარნიზი პროფილითა და სხვა მონაცემებით არ შეესატყვისება ადრეულ ხანას (იხ. Архитектура Кахетии, стр. 133), ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ძეგლის დაშლის პროცესში აშკარად გამოჩნდა ამ ეკლესიის რამდენიმეგზის საფუძვლიანად შეკეთების ნიშნები, რაც გვაფიქრებინებს, რომ კარნიზები მართლაც შეიძლებოდა მოგვიანებით ხელახლა გაეკეთებინათ.

[52] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. I, გვ. 199.

[53] იქვე, გვ. 199.

[54] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 91.

3) ქალეთის საეპისკოპოსო სამწყსოს საზღვრებზე; 4) გადმოცემაზე, რომ აქ „გორგასალ აღაშენა ეკლესია“ (ქართლის ცხოვრებით“ კი გორგასალ დასვა მეცხრე ეპისკოპოსი „ჩელთას, რომელ სოფელს შუა აღაშენა“ (იხ. მარიამისეული ნუსხა, გვ. 179); 5) უეჭველია, ვახუშტიმ ისიც კარგად იცოდა, რომ ქალეთი ძველად ქვეყნის ადმინისტრაციული ცენტრი იყო და შეიძლება ქალაქიც (იხ. მარიამისეული „ქ“ცა“, გვ. 274). „ამრიგად, დაასკვნის ნ. ბერძენიშვილი, — ჩელეთი კახოსის მიერ აგებული ცენტრი იყო კახეთისა, გორგასალმა ჩელთას დასვა ეპისკოპოზი და აქ ეკლესია ააგო. ორივე ამ ცნობათა—ლეონტისა და ჯუანშერის — კონტექსტებით ჩელეთი და ჩელთა ივრის ხეობაში არის საგულისხმებელი“[55].

ჩელეთისა და ქალეთის გაიგივება და აქ ისტორიული ცენტრის ძებნა ნაყოფი იყო ნ. ბერძენიშვილის ხანგრძლივი და მრავალმხრივი დაკვირვებისა და ამდენად მისი მოსაზრება „ქალეთის ქვეყნის“, „ქალეთის ციხის“, „ქალეთის ხატისა“ და „ქალეთის სიონის“ შესახებ, ჩვენთვის საესებით გასაზიარებელია[56].

ხოლო რაც შეეხება ვახუშტის მიერ მოხსენიებულ „დიდი და აწ შემუსვრილი“ შენობების ადგილმდებარეობის საკითხს, 1962 წ. განათხარის შემდეგ, ვფიქრობთ ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს, რომ იგი სწორედ სიონის ბაზილიკის ადგილასაა საძებნი. ივრის ამ მონაკვეთზე, მდინარის „აღმოსავლეთ კერძ“, ძველი ფენების შემცველი ჯერჯერობით მხოლოდ ივრის სიონის არქეოლოგიური კომპლექსია ცნობილი[57].

---

[55] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ექსპედიცია ივრის ხეობაში 1935 წელს, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 180. ქალეთი რომ უძველესი დროიდანვე მნიშვნელოვანი კულტურული და პოლიტიკური ცენტრი იყო, საკმაოდ კარგად დაასაბუთა დ. მუსხელიშვილმა, თუმცა მისი აზრით „ჯერჯერობით ქალეთის გაიგივება ჩელეთთან და ბერთან მაინც ნაადრევია და ამიტომ ეს საკითხი ღიად უნდა დარჩეს“. (დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 27; ამასთანავე იხ. შენიშვნა 82).

[56] ნ. ბერძენიშვილი, ქალეთ-ჩელეთის საკითხის განხილვისას იქვე ეხება აწინდელი შილდისა და მასთან მდებარე მდინარე ჩელეთის საკითხს და ჯუანშერისეული ჩელეთას ძიებაში იმ ადგილებში უმართებულოდ მიაჩნია, რაც სავსებით სწორი ჩანს. მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, შესაძლებელია საკითხის სხვაგვარი დაყენებაც. დ. მუსხელიშვილმა ივერია-ალვანეთის ურთიერთობათა კვლევისას ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „არაგვის თუ ივრის ხეობაში და ძველი ჰერეთის ტერიტორიაზე ერთი და იგივე სახელწოდების სოფლები გვხვდება, ხოლო ხშირად ჰერეთის ტერიტორიაზე დამოწმებული სახელწოდებანი სადაურობის სუფიქსითაა წარმოდგენილი“ (დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 39). დ. მუსხელიშვილს ეს მოვლენა მიაჩნია იმის დამადასტურებლად, რომ უძველესი დროიდანვე ხდებოდა ქართული ეთნიკური და კულტურული ელემენტის უწყვეტი დინება აღმოსავლეთისაკენ. ამ ასპექტში შესაძლოა ვთქვათ, რომ ჩელეთ-ჩელთასაც იგივე დაემართა და ივრის ხეობიდან ეს სახელწოდება გადატანილ იქნა ალაზნის ხეობაში, მაგრამ იმდენად შორეულ წარსულში, რომ იქრის ხეობაში იგი თითქმის უკვალოდ გაქრა. ხოლო ალაზნის ხეობაში დღემდე შემოინახა თავი (შილდა -ჩელთა).

ყოველივე ზემოთქმულის გამო ვერ დავეთანხმებით ნ. ქადეიშვილს, რომელიც კატეგორიულად აცხადებს რომ „ქ. ჩელეთი მდებარეობდა მდ. ჩელეთზე და არა ქალეთში“ (ნ. ქ ა დ ე ი შ ვ ი ლ ი, ქალეთის ხუროთმოძღვრული ძეგლი, გვ. 7).

[57] „ქალეთის ხატს“ რომ ძველ ქალეთად (იგულისხმება ადმინისტრაციული ცენტრი) ვერ ჩავთვლით, ეს იქიდანაც ჩანს რომ იგი ივრის დასავლეთით მდებარეობს და არა აღმოსავლეთით როგორც ვახუშტის აქვს აღნიშნული. ხოლო რაც შეეხება „ქალეთის ციხეს“, 1963—64 წწ. იქ დ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა თხრამ დაგვანახვა რომ იმ მაღალ კონცხზე, სადაც აღნიშნული ძეგლი მდებარეობს, შუასაუკუნეებზე ადრინდელი ფენების პოვნის შესაძლებლობა გამორიცხულია (იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ქალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წ. მუშაობის ანგარიში, XII საველე-არქეოლოგიური სესიის ანოტაციები, 1964).

ამრიგად, ძეგლის მხატერულ ანალიზთან ერთად, ისტორიულ წყაროთა განხილვაც ვფიქრობთ, გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვახტანგ გორგასალის დროს ქალეთის მხარეში ვივარაუდოთ მნიშვნელოვანი მშენებლობა. ყოველივე ეს კი, ჩვენის აზრით, მხარს უჭერს სიონად წოდებული ეკლესიის V ს-ის II ნახევრით (მიწურულით?) დათარიღებას.

ივრის სიონის ბაზილიკაზე მსჯელობა იმის გამო გაგვიგრძელდა, რომ სიონის აკლდამის ხნოვანების განსაზღვრას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ უკანასკნელის სწორ დათარიღებას ვუკავშირებთ.

შედარებით საიმედოდ დათარიღებული ეკლესიის გვერდით აკლდამის არსებობა უკვე საგრძნობლად გვიადვილებს საქმეს, რადგან, გარდა იმისა რომ ეს ორივე ნაგებობა ადრექრისტიანულ ხანაშია შექმნილი, მათ შორის ჩანს აშკარა მსგავსება, როგორც საშენი მასალის ერთგვაროვანების, ასევე ქვის წყობის მეტად თავისებური მანერის მხრივ.

სიონის აკლდამა, როგორც ქრისტიანული ხანის საგანგებო სამარხავი, აშკარად ეკლესიის შემდეგაა აგებული, მაგრამ ვგონებთ, რომ მათ შორის ძალიან დიდი ქრონოლოგიური სხვაობა არ უნდა იყოს საძებნი. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სიონის აკლდამის დათარიღების მხოლოდ ამ გზით წარმართვა მეტად ცალმხრივი იქნებოდა. ჩვენი რწმენით, არანაკლებ მნიშვნელოვანია პარალელური ძეგლებისა თუ მასალების კომპლექსურად განხილვა და მათი სიონის აკლდამასთან შეპირისპირება-შედარების გზით უფრო კონკრეტული თარიღის ძიება—მით უმეტეს რომ უკანასკნელ ხანებში დაგროვილი არქეოლოგიური მასალები საამისო საშუალებას იძლევა. ადრექრისტიანულ საქართველოში აკლდამების მშენებლობის გვიანანტიკური ტრადიცია რომ კვლავ ცოცხალი იყო, ეს არა მარტო არქეოლოგიური განათხრებით დასტურდება, არამედ ქართული წერილობითი წყაროებიდანაც საკმაოდ ნათლად ჩანს.

ლეონტი მროველის ცნობით, „მოქცევითგან მარიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევ, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომლისადავე მიეცა მეფობა სიცოცხლესავე მისსა. და დაფლეს აკლდამასავე, რომელი თვით მასვე რევს აღეშენა“[58].

როგორც ჩანს, მსგავსი ნაგებობანი არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ სომხეთშიც ყოფილა გავრცელებული. კერძოდ ჩვენ მხედველობაშია გვაქვს აშტარაკის რაიონის სოფ. ახცისში მიკვლეული მავზოლეუმის ტიპის აკლდამა, რომელსაც ზოგი რამ აქვს საერთო ივრის სიონის აკლდამასთან. ახცის აკლდამა მიჩნეულია არშაკიდების დინასტიის იმ სომეხი მეფეების საძვალედ, რომლებიც ამ ქვეყნის სათავეში IV ს. 50—60-იან წლებში იმყოფებოდნენ[59]. ახცის აკლდამა წარმოადგენს ნახევრად მიწისქვეშა მოზრდილ ნაგებობას, რომლის თაღოვან საკანშიც (3,8×2,6 მ, სიმაღლე—2,9 მ) შესვლა შეიძლება აგრეთვე თაღოვანი ტალანისა და დაბალი კარის გავლით, რომელშიაც, ივრის სიონის აკლდამის მსგავსად, კიბის საფეხურებია დატანებული.[60] მსგავსად სი-

---

[58] ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, I, გვ. 129. ჯერჯერობით 362 წელს რევ მირიანის ძის მიერ აგებული აკლდამა მიკვლეული არ არის. ვარაუდით კი მისი ძიება საჭიროა მცხეთაში, სადაც უნდა ყოფილიყო მეფის ოჯახის წევრთა განსასვენებელი. საყურადღებოა, რომ წილკნის ეკლესიის აღმშენებელი ბაქარ მირიან მეფის ძე (რევ უფლისწულის ძმა) გარდაცვალების შემდეგ „დაეფლა ძმასაე, თუისსა თანა“. ანასეული ქ-ცა, გვ. 85.

[59] В. Арутюнян, С. Сафарян, Памятники армянского зодчества, М., 1951, стр. 47—48, рис. 33.

[60] იქვე

ონისა, ეს აკლდამაც კარგად გათლილი კვადრებითაა ნაგები, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ახცის საძვალეში მკაცრადაა დაცული პერანგის ქვათლილთა მწკრივების ჰორიზონტალურობა.

მაგრამ სიონისა და ახცის აკლდამებს შორის სხვა თვალსაჩინო სხვაობაცაა. არშაკიდ მეფეთა განსასვენებელი საკანი, მართალია, სიონისაზე ოდნავ პატარაა, მაგრამ იგი შიგნიდან უფრო მდიდრულადაა გაფორმებული; კერძოდ, შიდა სივრცის გასალამაზებლად გამოყენებულია საკმაოდ არქაული რელიეფები. ხოლო კედელში ორივე მხრივ დატანებულია ნალისებრთაღიანი ღრმა ნიშები (2,10×1,60 მ), რომლებიც საცხედრეებს წარმოადგენენ. ასეთივე ოვალური, ღრმა ნიშა, რომელიც ერთგვარად საკურთხეველსაც კი მოგვაგონებს, გამოკვანილია დასავლეთ კედელში. სიონის აკლდამაში აქ ბსენებული ნიშების მაგივრობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდრონი ქვის საცხედრე—სარეცლები ეწეოდა.

საცხედრე ნიშებს თუ არ ვიგულისხმებთ, მაშინ აშკარად შევამჩნევთ, რომ სიონის აკლდამა როგორც საკნის, ასევე ტალანის გეგმით, დამხრობითა და კამარის გადაყვანის ტექნიკით უდავოდ ამჟღავნებს მსგავსებას ახცის სამეფო საძვალესთან. სამწუხაროდ, ხელთ არა გვაქვს ამ ძეგლის უფრო დაწვრილებითი აღწერა და ამდენად ძნელია დაბეჯითებით ითქვას, თუ რამდენად სანდოა ახცის აკლდამის ზემოთ მოტანილი თარიღი, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ როგორც ახცის ასევე სიონის აკლდამები აშკარად ერთი ტიპის ნაგებობებს წარმოადგენენ, ორივენი ადრექრისტიანულ ხანას განეკუთვნებიან და, რაც მთავარია, მათი ერთიდაიგივე სოციალური ფენისადმი კუთვნილება არავითარ ეჭვს არ იწვევს.

ივრის სიონის აკლდამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა 1938-39 წწ. ქიზიყის, ძველი ქალაქის ხ ო რ ნ ა ბ უ ჯ ი ს მიდამოებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილი მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ძეგლები, რომელთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია აკლდამები[61].

რადგან სიონის აკლდამის ანალიზისათვის ყოღოთოს აკლდამებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, აქვე მოგვაქვს ზოგიერთი მათგანის მოკლე აღწერა.

ა კ ლ დ ა მ ა № 1 წარმოადგენს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილ მოგრძო, თაღოვან ნაგებობას, რომლის კედლებიც მტკიცე დუღაბზე ნაწყობი რიყის ქვითაა ამოყვანილი[62]. აკლდამის დასაკრძალავ საკანში, რომელშიც შესვლა შეიძლება ექვსსაფეხურიანი კიბით და ვიწრო ტალანით, გრძივ კედლებზე მიდგმულია ორი სასთუმალშემაღლებული საცხედრე (თითოეული

---

[61] ქიზიყის არქეოლოგიურ ექსპედიციას (1938 და 1939 წწ.) ხელმძღვანელობდა აწ განსვენებული სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი, რომელსაც შემდგომ აღარ დასცალდა ყოღოთის მასალების დამუშავება და გამოქვეყნება. ამჟამად მთელი ეს მონაპოვარი სათანადო დოკუმენტაციასთან ერთად, დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, საიდანაც არაერთხელ გვისარგებლია კიდეც, მაგრამ იმის გამო, რომ ამ უკანასკნელ ხანს მუზეუმის თანამშრომელმა მ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე მ ამ მასალებს საყურადღებო ნაშრომი უძღვნა, ჩვენ ხორნაბუჯის მახლობლად ადგილ, ყოღოთოში გამოვლენილ აკლდამებს, როგორც პარალელურ მასალას, სწორედ ამ ნაშრომის მიხედვით მივუთითებთ (იხ. მ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, ქიზიყის 1938—1939 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები. სსმმ, XXV, თბ., 1968, გვ. 47—88,) აკლდამები ველზე აზომა და გამოხაზა ხურთმოძღვარმა ირ. ქავთარაძემ.

[62] მ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

1,9 მ სიგრძით და 0,9 მ სიგანით), ხოლო მათ შორის ვიწრო გასავალია დატოვებული, ერთი ასეთივე სარეცელი მოწყობილია საცხედრეების გარდიგარდმო (2,2×0,85 მ). აკლდამის დასავლეთ კედელში, საცხედრეების დონეზე, საკნის კუთხეებში, დატანებულია ორი მოზრდილი თახჩა, რომლებიც ტახტისაგან მცირე ბარიერითაა გამოყოფილი[63] (ტაბ. X, 1).

ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შიგნიდან შელესილი, ოდნავ შეისრული კამარა, რომლითაც გადახურულია როგორც საკანი, ასევე კიბეებიანი ტალანი. ასეთი რამ ადრეული შუასაუკუნეების ქართული და განსაკუთრებით კახური ხუროთმოძღვრებისათვის არ წარმოადგენს უცხო მოვლენას. უდავოა რომ, ისევე როგორც სიონში, ამ აკლდამის თაღიც წინასწარ მომზადებული ქარგილების მეშვეობითაა გადაყვანილი. შენების ტექნიკაში ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი დეტალი, რითაც ყოლოთოს № 1 აკლდამა აგრეთვე გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს სიონთან. აქაც, ჩანს, ხელოსანს ჯერ საკნის აღმოსავლეთი და დასავლეთი თავმომრგვალებული კედლები ამოუყვანია, ხოლო შემდგომ ქარგილის საშუალებით შეუკრავს საკნის მომცველი მთავარი თაღი, რომლის აღმოსავლეთსა და დასავლეთ საყრდენებს გვერდითი კედლები წარმოადგენენ. ეტყობა, ოდნავ უფრო დაბალი კამარა ჰქონია ექვსსაფეხურიან კიბეს, ასე რომ გრძივ ჭრილში აკლდამის სახურავი საფეხუროვანი ჩანს.

აღსანიშნავია ისიც, რომ № 1 აკლდამის თაღოვან სახურავში სიმტკიცისათვის რიყის ქვის ორპირი წყობაა გამოყენებული. მთელი ნაგებობის სიგრძე უდრის 6,8 მ, საკნის სიგრძე — 2,8 მ, სიგანე — 2,3 მ, სიმაღლე — 2,3 მ-ს.

აკლდამა გაძარცული იყო, მაგრამ ძვლებისა და ჩაცვენილი მიწის გროვაში აღმოჩნდა რამდენიმე ნივთი (მშვილდსაკინძები, სამაჯური, ბეჭედი), რომლებიც საშუალებას აძლევს მ. სინაურიძეს № 1 აკლდამა — V—VII სს. დაათარიღოს[64]. შესაძლოა ეს თარიღი უფრო დაზუსტდეს.

ყოლოთოს საკმაოდ მრავალრიცხოვან აკლდამებს შორის № 1 აკლდამა, არა მარტო მასში მიკვლეული სამარხეული მასალებით, არამედ საერთო აღნაგობითაც, საკმაოდ ძველი ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს და მიეკუთვნება იქაური აკლდამების შედარებით არქაულ ჯგუფს. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს კერძოდ ისიც, რომ № 1 აკლდამას ჯერ კიდევ არა აქვს საძვალე განყოფილება (სხვათა შორის იგი ამ ნიშნით ეხმაურება ახცის აკლდამას).

აკლდამებში საგანგებო საძვალე განყოფილებათა გაჩენა კი, ჩვენი ვარაუდით, დაკავშირებული უნდა იყოს იმასთან, რომ ადრეფეოდალურ ხანაში წინააღმდეგ წინარე ქრისტიანული ტრადიციისა, თანდათანობით იზრდება აკლდამის, როგორც კოლექტიური სამარხის ფუნქცია და ამდენად „დაგროვილი“ ძვლების შესანახი განყოფილების გაჩენაც აუცილებელი ხდება. მართალია, ყოლოთოს № 1 აკლდამა უკვე კოლექტიური სამარხია (ორი საცხედრეა შიგ), მაგრამ იგი თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო გამიზნული მრავალგზისი დაკრძალვისათვის. შესაძლოა, მოგვიანებით აკლდამას კვლავაც იყენებდნენ (რაც VI—VIII საუკუნეთა ინვენტარის აღმოჩენითაც დასტურდება), მაგრამ მასში ისეთი მშვილდსაკინძის აღმოჩენა, რომელსაც პარალელები IV—

---

[63] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., იქვე, სურ. 1.

[64] იქვე, გვ. 49—50.

V საუკუნეთა სამარხებში მოეძებნება, ვფიქრობთ საყურადღებო საბუთია იმისათვის, რომ ეს საძვალე ნაგებობა უფრო V ს-ში აგებულად მივიჩნიოთ.

გეგმითა და სამშენებლო-კონსტრუქციული თავისებურებით ყოღოთოს № 1 აკლდამა სიონის აკლდამის უშუალო წინამორბედი ჩანს.

აკლდამა № 3 დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. წარმოადგენს რიყის ქვებითა და მტკიცე დუღაბით ნაგებ, მოგრძო მიწისქვეშა ნაგებობას (საერთო სიგრძე — 7,2 მ, სიგანე — 3,3 მ), რომელსაც, მსგავსად პირველი აკლდამისა, აქვს ვიწრო, სამსაფეხურიანი ტალანი და საგრძნობლად წაგრძელებული დასაკრძალავი საკანი (4×2 მ, სიმაღლე—2,4 მ)[65]. ტალანისა და დასაკრძალავი საკნის თაღოვანი სახურავის ნაწილი ჩანრგეულია. საკნის ჩრდილო და სამხრეთი კედლების გასწვრივ, მთელ სიგრძეზე მოწყობილია ორი გრძელი საცხედრე (4×0,8 მ), რომელთა შორისაც დატოვებულია შუაში ჩატიხრული ვიწრო გასავლელი (ტაბ. X—2). ამ გასავლელის დასავლეთი ნახევარი საძვალედ ყოფილა გამოყენებული (1,9×0,4 მ).

აკლდამის თითქმის ცილინდრული თაღი გადაყვანილია რიყის ქვების ორპირი წყობით. თაღის შენებისას, ბუნებრივია, იგულისხმება წინასწარ მომზადებული ხის ჭარგილების გამოყენება.

საკნის შიდა კედლები და საცხედრეები შელესილია კირით. მიუხედავად იმისა, რომ განძის მაძიებელთა მიერ აკლდამა უკვე „გასინჯული“ იყო, საძვალე განყოფილებაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ბეჭედი. მას აქვს ფუყე რკალი და თვალბუდე, რომელშიც ზის მწვანე მინის თვალი. მართალია ფუყე რკალითა და შიგ ამოჭრილი თვალბუდით იგი ემსგავსება საერთოდ მცხეთისა და განსაკუთრებით კი არმაზისხევის II—III საუკუნეთა ბეჭდებს[66], მაგრამ როგორც მართებულად არის აღნიშნული, ზოგიერთი ნიშნით (დაბალი რკალი, მინის თვალი) იგი უფრო გვიანდელი უნდა იყოს[67]. გარკვეულ საყრდენს ამ ნაგებობის დასათარიღებლად, ვფიქრობთ, თვით აკლდამის კონსტრუქციული თავისებურებაც გვაძლევს. კერძოდ, აქ მხედველობაში გვაქვს ძალზე გრძელი საცხედრეები და მათ შორის დატოვებული ზოლის დასავლეთ ნახევარში საძვალე განყოფილების გაჩენა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მომდევნო ხანის აკლდამებში საძვალე განყოფილების მოწყობას უკვე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, უნდა ვივარაუდოთ, რომ № 3 აკლდამა ტიპოლოგიურად გარდამავალია № 1 აკლდამასა (რომელსაც საძვალე განყოფილება არ აქვს) და ყოღოთოს სხვა აკლდამებს შორის, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ № 1 და № 3 აკლდამებს შორის ქრონოლოგიური სხვაობა მეტად მცირე უნდა იყოს.

№ 3 აკლდამის ტიპისაა ყოღოთოს № 6 აკლდამაც[68], რომელსაც პირველისაგან განსხვავებით, საცხედრეებს შორის (დასავლეთით) დატოვებული ვიწრო გასავლელი ორი ტიხრით აქვს დაყოფილი, რითაც შექმნილია ორი საძვალე განყოფილება (ტაბ. X, 3).

ყოღოთოს დანარჩენი აკლდამები, ჩვენი აზრით, უნდა გაერთიანდეს ერთ ცალკე ჯგუფში, რომლისათვისაც უპირველეს ყოვლისა დამახასიათებელია დასავლეთი კედლის გასწვრივ მოწყობილი საგანგებო საძვალეები. პირველ

---

[65] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 51—52, სურ. 3.

[66] მცხეთა, I, გვ. 201.

[67] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 52.

[68] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54—55.

ხანებში ასეთი საძვალეები მცირე ყოფილა, ხოლო შემდგომ, ჩანს, მათ მთელი დასავლეთი კედლის გასწვრივ აკეთებდნენ: ამის საილუსტრაციოდ აღვწერთ ყოღოთოში გათხრილ კიდევ რამდენიმე აკლდამას.

აკლდამა № 7 დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ[69]. წარმოადგენს რიყის ქვებითა და მაღალხარისხოვანი დუღაბით ნაგებ, შიგნიდან შელესილ მოგრძო ნაგებობას (საერთო სიგრძე 4,5 მ, სიგანე—3,8 მ), რომელსაც თაღის უდიდესი ნაწილი ჩაქცეული აქვს (ტაბ. XI, 1). ზემოაღწერილ აკლდამებთან შედარებით, აქ კიბიანი ტალანი განიერია (1 მ), თუმცა კი საგრძნობლად მოკლეც: სამარხი საკანი სწორკუთხოვანია (სიგრძე—2,90; სიგანე—2,5 მ, სიმაღლე — 2 მ) და მასში მოწყობილია „П“-სებრი საცხედრე სარეცლები[70], რომელთა შორისაც დატოვებულია ვიწრო გასასვლელი. აკლდამას სამხრ.-დას. კუთხეში გაკეთებული აქვს საგანგებო საძვალე განყოფილება, რომელიც სხვა ასეთებთან შედარებით ყველაზე პატარაა (0,8×0,5 მ). № 7 აკლდამა ამ ნიშნით მივიჩნიეთ ისეთ სამარხავ ნაგებობად, რომელიც აღნიშნული ჯგუფის აკლდამებს შორის ყველაზე ადრეულთაგანია და ქრონოლოგიურად უშუალოდ ებმის წინაღწერილ აკლდამებს.

საძვალე განყოფილების მოწყობის თვალსაზრისით № 7 აკლდამის უფრო განვითარებულ ვარიანტს წარმოადგენენ № 5 და № 9 აკლდამები (ტაბ. XI, 2.3), რომელთა საძვალე განყოფილება გაცილებით უფრო დიდია (1,80×0,5 მ)[71], მაგრამ მაინც ჯერ კიდევ არ მოიცავს აკლდამის დასავლეთ კედელს მთელ სიგრძეზე, ისე, როგორც ვხედავთ №№ 2,8 და 10 აკლდამებში.

აკლდამა № 10 დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. გეგმით წარმოადგენს ყოღოთოსათვის დამახასიათებელ ტიპიურ აკლდამას საკმაოდ ძლიერ წაგრძელებული დასაკრძალავი საკნითა და ორსაფეხურიანი მოკლე ტალანითურთ[72]. (მთლიანი სიგრძე—7 მ, სიგანე—3,5 მ) რიყის ქვის ორპირი წყობით გადაყვანილი თაღი თითქმის მთლიანად ჩანგრეულია. დასაკრძალავ საკანში (შიდა ფართობი—4,6 მ×2,5 მ, სიმაღლე 2.7) მოწყობილია „П“-ს მოყვანილობის საცხედრეები, რომელთა გრძივ გვერდებს შორის დატოვებულია ვიწრო გასასვლელი (ტაბ. XI, 4), ხოლო დასავლეთი კედლის მთელ სიგანეზე მოწყობილია 50 სმ სიგანე საძვალე, რომლის ძირსაც წარმოადგენს აკლდამის იატაკის დონე. აკლდამა გაძარცული იყო და ამდენად უინვენტარო. სამწუხაროდ, ძვლები ისე იყო არეული, რომ დაკრძალვის წესის შესახებ ვერაფერი ითქმის, მაგრამ ამავე ტიპის № 2 აკლდამაში ყოფილა შედარებით უკეთ დაცული ჩონჩხები, რომელთა მიხედვითაც ჩანს, რომ ადამიანები საცხედრეებზე მოხრილი დაუსვენებიათ, ერთი მარცხენა გვერდზე, ხოლო მეორე — მარჯვენაზე[73]. გარდა ამ ორი, უკანასკნელად ჩასვენებული ჩონჩხისა, № 2 აკლდამაში აღმოჩნდა ადრე დაკრძალულთა მრავალი ძვალიც.

ყოღოთოს აკლდამების შედარებით გვიანდელ ჯგუფში დაკრძალვის ასეთი წესის არსებობა მეტად საყურადღებო მოვლენად მიგვაჩნია, იმის გამო,

---

[69] მ. სინაურიძე. იქვე, გვ. 55, სურ. 7.

[70] როგორც სტ. მენთეშაშვილის დღიურიდან ჩანს (დაცულია საქ. სახ. მუზეუმში), № 7 აკლდამის დასავლეთ კედელზე შემონახული ყოფილა კედლის მხატვრობის ნაშთები თითქოს ადამიანის გამოსახულებითაც კი.

[71] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 54 და 57.

[72] იქვე, გვ. 58, სურ. 10.

[73] იქვე, გვ. 51.

რომ მათში ჯერ კიდევ ნათლადაა შემონახული დაკრძალვის წინარექრისტიანული ტრადიციის ზოგიერთი ელემენტი[74], რაც გარკვეულ მასალას გვაწვდის ყოღოთოს აკლდამების მშენებლობისა და გამოყენების ქრონოლოგიური ჩარჩოების დასადგენად.

გარდა ძველი ანაგის იმ აკლდამების ჯგუფისა, რომელთა ნაწილიც აქ აღვწერეთ, სოფლის შემოგარენში ჩნდებოდა სხვა აკლდამებიც, რომელთა შორისაც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფ. ძვ. ანაგის მცხოვრებ ხაზარაშვილის მიერ 1925 წ. მიკვლეული ერთი მიწისქვეშა ნაგებობა, სადაც აღმოჩენილია საკმაოდ მდიდრული ინვენტარი[75]. ამ მასალების დაწვრილებითი მიმოხილვა და ანალიზი მ. სინაურიძეს საშუალებას აძლევს ყოღოთოს 1945 წ. აღმოჩენილი სამარხული კომპლექსი და შესაბამისად თვით აკლდამაც VI—VIII სს. დაათარიღოს[76].

თუ შევაჯამებთ ყოღოთოს აკლდამათა შესახებ აქ მოტანილ მოკლე მსჯელობას, აშკარა გახდება, რომ საქმე გვაქვს მეტად საყურადღებო ძეგლებთან, რომლის ჯეროვანი ანალიზიც საშუალებას გვაძლევს არა მარტო გავარკვიოთ მათი შენების დრო და თანმიმდევრობა, არამედ უკვე საკმაოდ მყარი საფუძველი შევქმნათ ამ ნაგებობათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის შესამუშავებლადაც, რაც, ვფიქრობთ, გაგვიადვილებს არა მარტო სიონის აკლდამის გააზრებას, არამედ საერთოდ ჩვენში ამ ტიპის ძეგლთა მომავალ კვლევა-ძიებასაც.

უპირველეს ყოვლისა, ბუნებრივია, მთავარ ყურადღებას იპყრობს ამ ძეგლთა შენების თარიღის დადგენის საკითხი, რაც თავის მხრივ მჭიდროდ უკავშირდება მათ ტიპოლოგიურ ევოლუციას.

ჩვენი ვარაუდით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოღოთოს აკლდამებს შორის ყველაზე ძველი უნდა იყოს № 1 აკლდამა, რომელიც არა მარტო არქიტექტურული დეტალებით გამოირჩევა დანარჩენიდან, არამედ მასში მოპოვებული მასალების თავისებურებითაც. თაღის გადაყვანის ტექნიკით იგი უახლეს მსგავსებას ამჟღავნებს ივრის სიონის აკლდამასთან.

ყოღოთოს აკლდამებს შორის ცალკე გამოიყოფა ერთი ჯგუფი, რომელშიც თახჩები აღარ არის, საცხედრე-სარეცლები მოწყობილია სამხრეთ და ჩრდილო კედლების მთელ სიგრძეზე, ხოლო საძვლედ შუაში დარჩენილი გასასვლელია ჩატიხრული (დასავლეთ ნახევარში).

---

[74] ეს მოვლენა (აკლდამებში აღმოჩენილ მცირერიცხოვან მასალებთან ერთად) ერთხელ კიდევ მიგვითითებს, რომ ყოღოთოს აკლდამები მიტოვებული ყოფილა ადრეფეოდალურ ხანაშივე, თორემ შეუძლებელია მიცვალებულთა მოხრით ჩასვენების ძველი წესი ასე დიდხანს ყოფილიყო შემონახული. მსგავსი მოვლენა, სხვათა შორის, დადასტურდა ადრექრისტიანული ხანის ერთ-ერთ სამაროვანზეც მატნის იაღსარში (ახმეტის რაიონი) 1966 წ. (იხ. Р. М. Рамишвили, Исследование раннефеодального могильника «Нагсари», ТКАЭ, I, Тб., 1969, стр. III.

[75] აღსანიშნავია, რომ გარდა რიყის ქვისა, აკლდამების საშენებლად უხმარიათ ქვიშაქვის ქვათლილებიც. კერძოდ, წითელწყაროს აღმოსავლეთით, „სერებიან ველზე“ აღგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით (ცნობები შეკრიბა სტ. მენთეშაშვილმა) უპოვნიათ კარგად გათლილი ქვადრებით ნაგები აკლდამა, რომელსაც თაღიც ქვათლილებით ჰქონია გადაყვანილი. სიონის აკლდამასთან შედარებისათვის, ბუნებრივია, ამ „უგზოუკვლოდ“ დაკარგულ ძეგლს გაცილებით მეტი ღირებულება ექნებოდა.

[76] მ. სინაურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 59—71.

საგანგებო საძვლეების გაჩენა ახალი საფეხურია აკლდამების მშენებლობის საქმეში. თუმცა აშკარაა, რომ აკლდამების ამ ჯგუფს ჯერ კიდევ არ გააჩნია ჩამოყალიბებული სახე (№№ 3, 6). ისინი ქრონოლოგიურად უშუალოდ ებმიან № 1 აკლდამას და მათი მშენებლობის ძირითად ხანად V ს. ბოლო უნდა მიეჩნიოთ, მით უმეტეს, რომ მათში ნაპოვნი მცირეოდენი მასალაც უპირატესად იმდროინდელია.

ყოღოთოს აკლდამების მომდევნო, ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფი ხასიათდება სრულიად მარტივი გეგმით და შედარებით უფრო წაგრძელებული მოყვანილობით. საცხედრე სარეცლები იღებენ „П“-სებრ მოყვანილობას და რაც მთავარია, საცხედრეებს უკან, დასავლეთით, აკლდამის დასავლეთი კედლის ძირას, ჩნდება საგანგებო საძვალე განყოფილება, რომელიც თავდაპირველად, ჩანს, შედარებით მცირეა, ხოლო მოგვიანებით კი კედლის მთელ სიგრძეს მოიცავს (აკლდამები № 5, 7, 9, 10); აღნიშნული აკლდამები ქრონოლოგიურად, ჩანს, უშუალოდ ებმიან აკლდამების II ჯგუფს და მათი მშენებლობის ძირითად ხანად V ს. ბოლო და VI ს. უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ყოღოთოს აკლდამებში აღმოჩენილი ინვენტარის მიმოხილვიდან ჩანს, თითქმის ყველა მათგანი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ყოფილა გამოყენებული, რასაც საძვალეებში დაგროვილი ძვლების დიდი რაოდენობაც მოწმობს, მაგრამ მაინც არც ისე ხანგრძლივ, როგორც ეს სიონის აკლდამაში დადასტურდა. ყოღოთოს აკლდამებიდან მიმდინარე ნივთიერი მასალა სრულიად გარკვევით თარიღდება V—VIII სს. VIII ს, გვიანდელი საგნები მათ არ მოუცია.

როგორც ჩანს, აღნიშნული სამარხები VIII საუკუნის გასულს უნდა იყოს მიტოვებულ-მივიწყებული, თორემ შეუძლებელია მომდევნო საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მასალის ერთი-ორი ნიმუში მაინც არ აღმოჩენილიყო რომელიმე მათგანში (მსგავსად ივრის სიონისა).

გეგმით ყოღოთოს აკლდამები თითქმის ყველა ერთი ყაიდისაა და საკმაოდ დიდ სიახლოვეს ამჟღავნებენ ივრის სიონის აკლდამასთან. როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოში (და საერთოდ კავკასიაში) ადრეფეოდალური ხანის დასაწყისისათვის გავრცელდა აკლდამების გარკვეული ტიპი, რომელიც დამახასიათებელია როგორც ყოღოთოსათვის, ასევე სიონისათვის. მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, სიონის აკლდამის უშუალო თანამედროვეებად მაინც უნდა მიეჩნიოთ ყოღოთოს III ჯგუფში გაერთიანებული აკლდამები, რომლებიც ძირითადად VI ს-თაა დათარიღებული[77].

---

[77] ადრეფეოდალურ ხანაში, გარდა კავკასიისა, მსგავსი მიწისქვეშა აკლდამები ფართოდ ყოფილა გავრცელებული სხვა ქვეყნებშიც. ასე მაგალითად, იუგოსლავიაში, ადგილ ნიშში აღმოჩენილია აკლდამა, რომელიც გეგმითა და შენების თავისებურებით ძლიერ წააგავს ჩვენებურ აკლდამებს.

ნიშის აკლდამას აქვს ნახევარწრიული თაღით გადახურული მოგრძო, ოთხკუთხა საკანი და რამდენიმე მოკლე შესასვლელი ტალანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნიშის აკლდამა, შიდა ფართობის განაწილებით, საკმაოდ თავისებურია: საკნის წინა ნაწილი ორი ტიხრით სამ თითქოს თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი (იხ. ტაბ. XXIV, სურ. 7). ამ ძეგლის გამთხრელი ლ. მირკოვიჩი ნიშის აკლდამას ადრექრისტიანული ხანით, კერძოდ IV—V სს. ათარიღებს (იხ. Л. Мирковић, Старохришанска гробница у Нишу, «Старинар», новая серия, V—VI, Белград, 1956, стр. 53.

მაგრამ, არა თუ ასეთ შორეულ მხარეებში, არამედ თითქმის მთელ ჩრდილოეთ კავკასიაში, აგრეთვე ადრეფეოდალური ხანიდან იწყებს გავრცელებას მიწისქვეშა აკლდამები, თუმცა მათს გვერ-

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ჩვენი რწმენით, ივრის სიონის აკლდამა VI საუკუნით უნდა დათარიღდეს.[78].

აკლდამის ხნოვანების განსაზღვრის შემდეგ, ბუნებრივია, ისმის მისი კუთვნილების საკითხი. როგორც სიონის, ასევე მისი თანადროული და მსგავსი სხვა აკლდამები, ვფიქრობთ, უნდა მივაკუთვნოთ ადრეულ შუასაუკუნეთა საზოგადოების იმ სოციალურ ფენას, რომელიც სათავეში ედგა ქვეყნის ფეოდალიზაციას, თანაც აქვე უნდა დავძინოთ, რომ ასეთი მიწისქვეშა საძვალე-სამარხები ძირითადად წარჩინებულ საერო პირთა კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ.

როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გვიანანტიკურ საქართველოში არსებული ტრადიცია კვლავ განაგრძობს არსებობას[79] და წარჩინებულთათვის შენდება საგანგებო მიწისქვეშა სამარხავები. მაგრამ თუ ანტიკური ხანისათვის ჯერ კიდევ არ ვიცით, იყო თუ არა ერთიმეორისაგან განცალკევებული საერო და სასულიერო პირთა სასაფლაოები, ადრეფეოდალურ ხანაში სავსებით აშკარად ჩანს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შემდგომ წარჩინებულ საერო და სასულიერო პირთა სამარხები ცალ-ცალკე შენდებოდა. სასულიერო პირთა საძვალეები უპირატესად ეწყობოდა ახლად დაარსებულ ეკლესია-მონასტრებში, კერძოდ კი უძველეს საეკლესიო ნაგებობათა ქვეშ საამისოდ ნაგებ საძვალეებში, რომლებიც იმთავითვე გამიზნული იყო სასულიერო მამათა განსასვენებლად. ამის მეტყველ მაგალითს, სხვა რომ არა იყოს რა, წარმოადგენენ იყალთოსა და ნეკრესის უძველესი ეკლესიები, რომელთა ქვეშაც დიდი და კარგად მოწყობილი საძვალეებია გამართული[80].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ გვიანანტიკური ხანისათვის დიდრონი მიწისქვეშა აკლდამები ძირითადად ქართლის სამეფოს დედაქალაქ მცხეთისთვის ჩანს დამახასიათებელი, ადრეფეოდალური ხანიდან, ეტყობა, მათი გავრცელების არეალი საგრძნობლად გაფართოებულა, რაც გამოწვეული უნდა იყოს ცალკეულ მხარეებში, ახალ ფეოდალურ მიკროპოლიტიკურ ორგანიზმთა წარმოქმნა-ჩამოყალიბებით. ან კიდევ ძველადვე არსებულის გაძლიერება-განმტკიცებით.

ამგვარი პოლიტიკური ერთეულები არა თუ ადრეფეოდალურ ხანაში, არამედ უფრო ადრეც რომ არსებობდნენ ქართლის სამეფოში და რომ ამ ტრადიციას

---

დით ხშირად გვხვდება ნახევრადმიწისქვეშა, კერძოდ ფასადგამოჩენილი აკლდამები. (В. Л. К у з н е ц о в, Аланские племена Северного Кавказа, МИА, 106, 1962). ჩრდილო კავკასიის მაგალითებრ, მიწისქვეშა აკლდამები მიჩნეულია აბორიგენული კავკასიური ტომების საკუთრებად. როგორც ცნობილია მიწისქვეშა აკლდამები ჩრდილო კავკასიაში ადრეფეოდალური ხანიდან მოკიდებული თითქმის XV ს-მდე განაგრძობენ არსებობას, ხოლო მომდევნო ხანაში უპირატესობას იჩემებს მიწისზედა, ორფერდსახურავიანი საძვალე სახლები.

[78] ასეთ დათარიღებას მხარს უჭერს აკლდამის გარშემო აღმოჩენილი კრამიტიც.

[79] მცხეთის სადგურის აკლდამას გამთხრელი, ვარაუდით, ანტიკური ქართლის წარჩინებულთა წრეს მიაკუთვნებს. (გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ.). პროფ. ა. აფაქიძის მიხედვით, ანტიკური ხანისათვის მაუზოლეუმის ტიპის სამარხები ქართლის სამეფოს უმაღლესი და უმდიდრესი მოხელეების დასაკრძალავ ნაგებობად უნდა მივიჩნიოთ (ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბილისი, 1963, გვ. 108—109). ეს ასეა მიჩნეული არა მარტო საქართველოს, არამედ ჩრდილო შავი ზღვისპირეთის მასალებთაც ) იხ. Б. Б. Ф а р м а к о в с к и й, Склеп Евписивия и Ареты в Ольвии, ИАК, вып. 3, стр. 19; აგრეთვე В. В. Л а т ы ш е в, Надписи, найденные в 1901, ИАК, вып. 3, 1902, стр. 56.

[80] Г. Ч у б и н а ш в и л и, Архитектура Кахетии, стр. 39—43 и 260.

გაცილებით უფრო ძველი ფესვები ჰქონდა, ეს არქეოლოგიური ძეგლების მიხედვითაც კარგად ჩანს. კერძოდ, ისტორიული კახეთის ტერიტორიაზე სადღეისოდ მიკვლეულია ორი მდიდრული სამაროვანი: ერთი ახმეტის რაიონის ახალდაბაში და მეორე ერწოს სოფელ მაგრანეთში, სადაც აღმოჩნდა არმაზისხევის ერისთავთა სამაროვნის თანადროული და მსგავსი კომპლექსები. 1948 წ. შემთხვევითი აღმონაჩენი ახალდაბაში, დ. მუსხელიშვილის აზრით, „ქმნის საფუძველს ამ ტერიტორიაზე ცალკე ადმინისტრაციული ერთეული ვივარაუდოთ, მსგავსად იმისა, როგორიც დაახლოებით ამავე ხანებში ქართლის სამეფოს საპირისპირო დასავლეთ ნაწილში, გვიანდელი არგთვეთის საერისთაოს ტერიტორიაზე, ლომსიანთ ხეობაში, საკმარისი საფუძვლით ივარაუდება“[81].

ამ თვალსაზრისით ჩვენთვის კიდევ უფრო საყურადღებოა ერწოს ველზე 1966 წელს აღმოჩენა მდიდრული სამარხებისა, რომლებიც უკვე ახ. წ. II—III საუკუნეებისათვის იქ გარკვეულ პოლიტიკურ ცენტრსაც გვავარაუდებინებს[82].

ბუნებრივია, ქართლის ფეოდალიზაცია, რომელსაც თითქმის მთელი გვიანანტიკური ხანა მოხმარდა, მეტად რთული, მაგრამ აღმავალი პროცესი იყო და იგი საბოლოოდ ახალი ფორმაციის სრული გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. ფეოდალიზმის გამარჯვება კი, უკვე თავისთავად, ნიშნავდა ცალკეულ ფეოდალურ ერთეულთა სრულიად გამოკვეთილი სახით ჩამოყალიბებას[83].

---

[81] დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

[82] რ. რამიშვილი. ერწოს ველის არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედეგები, XVI საველე-არქეოლ. სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, გვ. 71—74.

[83] ასეთი რამ ქართლის სამეფოში, ყველა ნიშნის მიხედვით, VI ს. უკვე მომხდარი ფაქტია. აკად. ს. ჯანაშიას აზრით „მეექვსე საუკუნე ნამდვილი ისტორიული მოსაბრუნია ჩვენი ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით (შრომები, I, 1949, გვ. 1). სწორედ ამ მრავლისმეტყველ საუკუნეში გარეშე ძალამ, სასანიდთა სპარსეთმა ადგილობრივი ფეოდალური ძალების მხარდაჭერითა და ხელშეწყობით შესძლო ქართლში სამეფო ხელისუფლების გაუქმება და „ვინაიდან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისაჲ, მით ჟამითაგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა“ (ქართლის ცხოვრება მარიამისეული ნუსხა, თბილისი 1906, გვ. 338).

ჯუანშერს აღნიშნული მოვლენა კარგად აქვს შემჩნეული. უმეფოდ დარჩენილ ქართლში სპარსელებს მომხრეები სპირდებოდათ, ხოლო თავიანთ მამულებში ჩამსხდარ ფეოდალებს — მფარველი. ამიტომ იყო, რომ VI ს. პირველ ნახევარში სპარსეთის მეფის ვაჟმა ამბარვეზმა, რომელიც საუფლისწულო მამულებს ბარდავიდან განაგებდა, მემატიანის სიტყვით, „უწყო ზრახვად ერისთავთა ქართლისათა; აღუთქვა კეთილი დიდი, და დაუწერა საერისთაოთა მათთა მამულობა შვილითი—შვილობამდე, და ესრეთ წარიბირნა ლიქნითა და განდგეს ერისთავნი და თჳს-თჳსად, ხარკსა მისცემდეს ქასრე ამბარვეზსა“ (ქ ც ა, I, გვ. 217).

როგორც ჩანს, ამგვარ სამემკვიდრო დაწურილებსა და სიგელებს არა მარტო სპარსეთის შაჰები, არამედ ბიზანტიის იმპერატორებიც ურიგებდნენ ქართლის ფეოდალებს და ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებში მემკვიდრეობითი უფლება ერთ დროს სამოხელო „ქვეყანაზე“ იმ ზომამდე განმტკიცებულა, რომ ჯუანშერის ცნობით, იმავე VI ს. ბოლოსათვის გუარამ კურაპალატმა „ერისთავნი ქართლისანი ვერ სცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკვიდრობისათჳს საერისთოთა მათთა“ (ქ ც ა, გვ. 221). ს. ჯანაშიას აზრით, ეს ცნობა ეხებოდა იმ ძლიერ მიწათმფლობელთ, რომელთაც მაღალი სახელმწიფოებრივი თანამდებობანი ეჭირათ, მაგრამ წყაროების გულდასმითი განხილვა ს. ჯანაშიას არწმუნებს, „რომ მიწისმფლობელობის საკონცენტრაციო ცენტრების, ფეოდალურ სენიორიათა პროტოტიპების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე უმაღლეს სამოხელეო პატივთა რიცხვი. ამ ცენტრების გათვალისწინება ნაწილობრივ ქართლის ეკლესიის ჰიერარქიული ფაქტების ნიადაგზეა შესაძლებელი (ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 19—20). როგორც უკვე ითქვა, ს. ჯანაშიას ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია საეპისკოპოსოების ისტორია, რადგან, მისი აზრით, საეკლესიო სტრუქტურა სოციალური და პოლიტიკური აღნაგობის შესაბამისად იყო აშენებული (იქვე). VI ს. დამდეგისათვის კი ქართლის სამეფოში, საკმაოდ არასრული ცნობებით, 24 საეპისკო-

ეტყობა, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აკლდამების განსაკუთრებით ფართო გავრცელება თან ახლავს ფეოდალიზაციის აღმავალ პროცესს და ამდენად აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათი აღმოჩენის შემთხვევები იქნებ დაგვეხმაროს ადრეფეოდალური ხანის ცალკეული, შედარებით მცირე ადმინისტრაციული ცენტრების მიგნებას, ან კიდევ მიახლოებით ცნობილთა ადგილსამყოფელის დაზუსტებაში.

რადგან სიონის აკლდამა, რომლის კუთვნილების საკითხიც ამჟამად ჩვენი ყურადღების ცენტრში დგას, აღმოჩენილია ჟალეთის „ქვეყანაში“, ამიტომ ბუნებრივია კითხვა, თუ რა მოცულობისა და პოლიტიკური შინაარსის მქონე შეიძლებოდა ყოფილიყო ჟალეთი VI საუკუნისათვის და რა რეალური საფუძველი არსებობდა ამ მხარეში ასეთი განსაკუთრებული სამარხი ნაგებობის შექმნისათვის?

როგორც ჯუანშერის მიხედვით ცნობილია, ვახტანგ გორგასლის დროს საუფლისწულო კახეთში სულ ცოტა, 6 საეპისკოპოსო კათედრაა სავარაუდებელი, კერძოდ: რუსთავისა, ნინოწმინდისა, ჭერემისა, ჩელეთისა, ხორნაბუჯისა და ავარაყისა[84].

აქ ჩამოთვლილი საეპისკოპოსო ცენტრებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ჩელეთი, რომელიც, როგორც აღინიშნა კიდევაც, გაიგივებულია ისტორიულ ჟალეთთან და ამ მხარის არა მარტო საეკლესიო, არამედ პოლიტიკურ ცენტრადაცაა მიჩნეული[85].

მას შემდეგ, რაც ძველი კახეთის პოლიტიკურმა ცენტრმა ბერ-ჩელეთმა (ანუ მერმინდელმა ჟალეთმა) პირველობა დაუთმო გაერთიანებული კახეთ-კუხეთისა (და მასთან ნაწილობრივ შეერთებული ჰერეთის) ახალ პოლიტიკურ ცენტრს—უჯარმას[86], ჩანს, ჟალეთს მაინც შეუნარჩუნებია ამ ახალ დიდ საერისთავოში შემავალი, შედარებით უფრო მომცრო პოლიტიკური ერთეულის მესვეურის როლი (ამის დადასტურებაა წმინდა ნინოს შეჩერება ჟალეთის ქვეყანაში)[87].

---

პოსო ყოფილა. ხოლო VII ს. დამდეგისათვის მათი რიცხვი 35-ს აღწევდა (ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, იქვე, გვ. 20).

ეტყობა, თავის მხრივ, ასეთ დაყოფასაც უფრო ძველი საფუძველი აქვს, რაც არქეოლოგიური მასალების მიხედვით ვივარაუდეთ კიდევაც (გავიხსენოთ ბორის, კლდეეთის, ზღუდრის და სხვა კომპლექსები). შეგვიძლია ისიც ვივარაუდოთ, რომ წინარექრისტიანულ ქართლში ასეთი მიკრო-პოლიტიკური ერთეულები (ცალკეული „ხევების“ სახით) გაცილებით უფრო მეტი ყოფილა, ვიდრე ადრეფეოდალურ ხანაში. ჩვენი აზრით, ადრეფეოდალური ხანის დამდეგიდანვე მიმდინარეობდა შედარებით წვრილ პოლიტიკურ ერთეულთა გამსხვილება-გაერთიანების პროცესი.

84 მემატიანის სიტყვით, კახეთის საუფლისწულოში ვახტანგ გორგასალს ეპისკოპოსები დაუსვამს: „ერთი რუსთავს ერთი ნინოწმინდას, უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა; ერთი ჭერემს მისსავე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა: ერთი ჩ ე ლ ე თ ს, რ ო მ ე ლ ი ს ო ფ ე ლ ს ა შ უ ა აღაშენა; ერთი ხორნაბუჯს და ერთი აგარაკს რომელ არს ხუნანს გამართებით“ (ქ ც ა, I, გვ. 199).

ამ წყაროში დაცული, საეპისკოპოსთა ნუსხა, როგორც ს. ჯანაშია თავის დროზე შენიშნავდა, არ უნდა იყოს სრული.

85 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 180—181; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 42—27.

86 დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 46—47.

87 ცხადია, ეს „მომცრო“ პოლიტიკური ერთეული ფაქტიურად სხვა არაფერია, თუ არა ისტორიული კახეთის უდიდესი ნაწილი, კერძოდ იერის მთელი ზემოწელი. ეს უკანასკნელი თავის მხრივ ჩანს, დაყოფილი იყო რამდენიმე ცალკე „ქვეყანად“, რომელთა შორისაც სადღეისოდ სამი მაინც

ასევე მოწინავე და მეტად მნიშვნელოვან მხარედ რჩება ქალეთი ვახტანგ გორგასლის დროს, როდესაც იქ არსდება ახალი საეპისკოპოსო კათედრა და შენდება სათანადო ეკლესია[88]. ჩანს ქალეთი იმ დროისათვის კვლავ ივრის ზემო ნაწილის ადმინისტრაციული ცენტრია[89].

VI საუკუნისათვის, როდესაც ქართლში მეფობა გაუქმდა და როდესაც ქვეყნის აღმოსავლეთ პერიფერიაზე საფუძველი ჩაეყარა კახეთისა და ჰერეთის დიდ სამთავროებს, კახეთი დაჩის შთამომავლებს დარჩენიათ სამემკვიდროდ[90]. წყაროების ჩვენებით, ეს ახალი ადმინისტრაციული ერთეული თითქმის მთლიანად მოიცავს მთელ ივრის ხეობას, ხოლო, მისი ცენტრი კვლავ უჯარმაშია. ასეთ ვითარებაში უნდა ვიფიქროთ, რომ ახლად ჩამოყალიბებულ სამთავროში ქალეთის როლი კიდევ უნდა გაზრდილიყო — კერძოდ, იმის გამოისობითაც, რომ ეს „ქვეყანა“ კონტროლს უწევდა იმ დროისათვის მოქმედ მეტად მნიშვნელოვან სავაჭრო-საქარავნო გზას, რომელიც ალაზნისპირეთიდან თბილისის გვერდის ავლით პირდაპირ მცხეთაში შედიოდა. სპარსეთ-ბიზანტიის ომების მიმდინარეობასა და შედეგებს თუ გავითვალისწინებთ, კახეთზე გამავალ ე. წ. „შემოვლით გზას“ V—VI სს. მთელ მანძილზე უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა არა მარტო აღმ. საქართველოსათვის, არამედ მთელი კავკასიისთვისაც და ქალეთის „ქვეყნის“ განსაკუთრებული დაწინაურებაც სწორედ ამ გზასთან უნდა იყოს დაკავშირებული. შესაბამისად ამისა, უშუალოდ იმ მხარეში მჯდომი ფეოდალური სახლი, ცხადია, განსაკუთრებით უნდა დაწინაურებულიყო, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურადაც. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მიერ VI ს. დათარიღებული სიონის აკლდამა, უნდა მივიჩნიოთ ქალეთის ქვეყნის მფლობელთა ეკონომიური (resp.—პოლიტიკური) დაწინაურების საკმაოდ მეტყველ საბუთად.

როგორც უკვე ითქვა, ქართლის სამეფოში ადრეფეოდალური ხანის აკლდამების შენების წესი განვითარებული უნდა იყოს ერთი მხრივ ადგილობრივ არსებული ტრადიციის ნიადაგზე (იგულისხმება ანტიკური ხანის მცხეთის აკლდამები), ხოლო მეორე მხრივ მისი ფართო გავრცელებისათვის ბიძგი უნდა მიეცა მახლობელი აღმოსავლეთის, კერძოდ, სირია-პალესტინის ქრისტიანულ სამყაროს.

თავის მხრივ, ადრეფეოდალური ხანისათვის ჩრდილო კავკასიაში გავრცელებული მიწისქვეშა აკლდამების ერთ-ერთი სათავე ამიერკავკასიაშია საძებარი, თუმცა მათი იქ შეღწევა შეიძლებოდა ყუბანისპირეთში შავი ზღვის „ადიღეური“ სანაპიროდანაც, რომელსაც უშუალოდ მცირე აზიასთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა უძველესი დროიდანვე[91].

---

საკმაოდ ცხადადაა დადგენილი (ერწოსი, თიანეთისა და საკუთრივ ქალეთისა; იხ. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 180—181).

88 შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქალეთი, როგორც სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი და ხელსაყრელი მხარე, ვახტანგ ვორგასლის დროს ყოფილიყო კახეთ-კუხეთის ერისთავის დემეტრეს რეზიდენციაც კი (თუ დავუშვებთ, რომ კახეთ-კუხეთის ერისთავის სახლ-კარი მდებარეობდა სამეფო და საუფლისწულო ქალაქ უჯარმის გარეთ).

89 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 180.

90 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 219.

91 აღსანიშნავია, რომ ივრის სიონის ტიპის მიწისქვეშა აკლდამები დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის. ვაშნარში მიკვლეული და გათხრილი, ასეთი დანიშნულების ნაგებობა წარმოადგენს მიწისზედა მაგზოლეუმს (იხ. გ. გობეჯიშვილი, ვაშნარის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, ხელნაწერი; მისივე, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქარ-

ივრის სიონის აკლდამა ერწო-თიანეთის მხარეში ჯერჯერობით ერთადერთია, რომელიც ჯეროვნად არის შესწავლილი. გარდა ამისა, როგორც არქეოლოგიურმა ზვერვამ დაგვანახვა, ამ მხარეში, სახელდობრ ერწოში, კიდევ რამდენიმე აკლდამის გამოვლენაა მოსალოდნელი. კერძოდ, ასეთები გვეგულება სოფ. ბეწენწურებში (სოფ. ნაქალაქარის სიახლოვეს) და სიონთგორში, სადაც არჩილ მეფის დროინდელი ნაგებობებია შემორჩენილი. ჯერჯერობით არ ვიცით იმ სავარაუდო აკლდამათა ზუსტი აღნაგობა და ხნოვანება, თუმცა, როგორც სოფ. ნაქალაქარში ჩატარებულმა საცდელმა თხრამ დაგვანახვა, ბევრად უფრო ნომცრო რიყის მსხვილი ქვებით ნაგები და თაღიანი აკლდამები იმ კუთხეში გვიანფეოდალურ ხანაშიც ყოფილა გავრცელებული[92].

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთ თქმულს, ივრის სიონის არქეოლოგიური კომპლექსის ორი უმთავრესი ძეგლი—ბაზილიკა და აკლდამა—ადრეფეოდალური ხანის პირველი საფეხურით უნდა დათარიღდეს მათგან შედარებით უფრო ძველად მიგვაჩნია სიონის ბაზილიკა (V ს.) და უშუალოდ მომდევნო ხანისად—აკლდამა (VI ს.). მათი მშენებლობა საკმაოდ კარგად ასახავს ქალეთის „ქვეყანაში“ მდებარე პოლიტიკური ცენტრის შემდგომ გაძლიერება-დაწინაურებას. სამწუხაროდ, სიონის არქეოლოგიურ ძეგლთა ერთი ნაწილი უკვე განადგურებული დაგვხვდა, თორემ უჯარმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჯერ კიდევ 1951 წ. მიაქცია ყურადღება სიონის ეკლესიის მახლობლად მდგარი ორსართულიანი სასახლის ნანგრევს, ხოლო ოდნავ უფრო აღმოსავლეთით—ციხე-სიმაგრის ნაშთებს[93], რომლებსაც ამჟამად წყალსაცავის ქვაბულიდან ამოყრილი მიწის სქელი ფენა ფარავს. მართალია, იმ ნაგებობათა ხასიათი და რაც მთავარია, ხნოვანება ჩვენთვის მთლად გარკვეული არ არის, მაგრამ ზოგი ნიშნის მიხედვით მათში საკმაოდ არქაული ნაწილებიც უნდა ვიგულისხმოთ.

ციხე-სიმაგრე, კათედრალური ეკლესია, სასახლე და საგვარეულო საძვალე-აკლდამა კი ისეთი კომპლექსებია, რომლებიც ძალზე კარგად ახასიათებენ ამა თუ იმ სამოსახლოს როლსა და მნიშვნელობას მისი მიმდებარე „ქვეყნის“ პოლიტიკურ, ეკონომიურსა და კულტურულ „ცხოვრებაში“.

***

**ჩუქურთმიანი სამარხი.** აღნიშნული სამარხი მდებარეობდა აღმოსავლეთ უბნის აღმოსავლეთ ბოლოზე, აკლდამის შესასვლელის სიახლოვეს (იხ. სამაროვნის გეგმა, ტაბ. I). ნაგები იყო მოყვითალო, ადვილად ფხვნადი ქვიშაქვის უზარმაზარი ფილებით[94]; შედგებოდა ორი სრულიად თანაბარი სიდიდის გან-

---

თელოში, თბ. 1952, გვ. 154—156; А. Лекванадзе, Материалы по монументальному строительству в Лазике, ССМ, XXII-B, თბ., გვ. 158—165, ტაბ. III.

[92] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწოს ველის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში. გვ. 13—22.

[93] სასახლის ნაშთების შესახებ ზეპირი ცნობა მოგვაწოდა პროფ. ირ. ციციშვილმა. რაც შეეხება ციხე-კოშკს, იგი 1951 წელსვე უკვე სრულიად განადგურებული ყოფილა. ციხე-სიმაგრის ადგილას სიონის საეკლესიო და კლუბია აღმართული.

[94] ქვიშაქვას, რომელიც მესამე სამარხის ასაგებადაა გამოყენებული, ადგილობრივი მოსახლეობა „ქასურს“ უწოდებს და რამდენადაც ცნობილია, მისი სამტეხლო არც სიონის მახლობლად და არც მის მიმდებარე ადგილებში მოიპოვება. აქვე აღსანიშნავია, რომ უჩვეულო არ არის ამგვარი ქვის გამოყენება სიონის სხვა ძეგლებშიც — კერძოდ, სამაროვნის ტერიტორიაზე მდებარე ადრეფეოდალური ხანის ბაზილიკაში, რომლის პერანგი ძირითადად შირიმის ქვისაგან იყო ნაგები, „ქასური“ უხვადაა გამოყენებული სვეტების, სვეტისთავებისა და სხვა ჩუქურთმიანი დეტალებისათვის.

ყოფილებისაგან, რომელთაგან ჩრდილოეთით მდებარე არქეოლოგიური ქვლევა-ძიების დაწყებამდე შემთხვევით დაეზიანებინათ და მონგრეულ კუთხიდან პირწმინდად გამოესუფთავებინათ[95]. ჩანს, სამარხის ამ განყოფილებიდან დიდძალ ძვლებთან ერთად გამოუღიათ რამდენიმე ნივთიც (თიხის ჭურჭელი და სხვა „წვრილი“ სამკაული), მაგრამ მათი შეგროვება ვერ შევძელით. რაც შეეხება მეორე, სამხრეთით მდებარე განყოფილებას, იგი ხელუხლებლად იყო გადარჩენილი (ტაბ. XII, 2).

აღნაგობით, შენების ხელოვნებით და შემკულობით ეს სამარხი განცალკევებით დგას არა მარტო სიონის სამაროვნის სხვა სამარხებს შორის, უფრო მეტიც: მას შესატყვისი არაფერი მოეძებნება უფრო შორსაც, რის გამოც ამ სამარხს შედარებით ვრცლად განვიხილავთ.

სამარხის კედლები და სახურავი ნაგები იყო მთლიანი ქვებით, რომლებსაც შიგნითა პირი საგულდაგულოდ აქვთ მოსწორებულ-დამუშავებული, ხოლო გარეთა ამობურცული ზედაპირი—უხეშად ნაჩორკნი. ასევე მთლიანი ქვებისაგან უნდა ყოფილიყო შედგენილი თავის დროზე ორივე განყოფილების სახურავებიც, მაგრამ ეტყობა სამარხის ხანგრძლივ და არაერთგზის გამოყენების გამო სახურავის მონოლითური ქვები დაზიანდნენ. კერძოდ, ჩრდილო განყოფილების სახურავის ქვა ერთიანად დაბზარული და ნაკლული იყო, ხოლო სამხრეთი განყოფილებისა დასავლეთით ამოხვრეტილი იმ ზომაზე, რომ შიგ როგორმე ადამიანი ჩატეულიყო. ჩანს სახურავად გამოყენებული უზარმაზარი მონოლითის ახდა-დახურვა არც ისეთი იოლი საქმე ყოფილა, მით უმეტეს, რომ „ქასური“ ადვილად ფხვნილადი და სიმტკიცეს მოკლებული ქვაა. ამ ხვრელს, ეტყობა, ფარავდნენ სხვადასხვა სიდიდის ბრტყელი ქვებით, რათა საჭიროების შემთხვევაში იოლად ასახდელი ყოფილიყო. სამარხის სამხრეთ განყოფილებაში, რომელიც ხელუხლებელი დაგვხვდა, უკანასკნელი მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ სახურავში ამოკვეთილი ხვრელი უსწორმასწორო ბრტყელი ფილებით და რიყის მომსხო ქვებით იყო დაფარული. (ტაბ. XII, 1), აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამხრეთი განყოფილების სამხრეთ-დასავლეთ კუთხეზე და ჩრდილოეთი განყოფილების დასავლეთ ბოლოზე ნაწილობრივ დაბჯენილი იყო სამაროვნის ზედა ფენის კუთვნილი ორი ქვის სამარხი (№ 2 და № 4, იხ. ტაბ. I), რომლებიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

მესამე სამარხის ორივე განყოფილებას გარედან, ძირის დონეზე შემოწყობილი ჰქონდა რიყის მომსხო ქვები.

სახურავის ქვების მოცილების შემდგომ გამოირკვა, რომ ორივე განყოფილებას ჰქონდა ერთი საერთო ტიხარი, რომელიც იმავე „ქასურის“ უზარმაზარი მონოლითისაგან იყო გამოთლილი. სწორედ ეს შუათანა ქვა წარმოადგენდა სამარხის ყველაზე უფრო სრულყოფილად დამუშავებულ ნაწილს. ტიხარის ქვას, ისევე როგორც ორ დანარჩენ გვერდითს, თავსა და ბოლოებში ამოჭრილი ჰქონდა ნარიშანდები, რომლებშიც თავკედლების მონოლითური გვერდები ჯდებოდა (ტაბ. XIII, 1). მიუხედავად იმისა, რომ ქვის ზედმიწევნით კარგად დამუშავების წყალობით სამარხის ორივე ნაწილი მეტად მკვიდრად იყო

---

[95] სწორედ სამარხის ამ მონგრეული კუთხიდან იყო აღებული ის ჩუქურთმიანი ქვა, რომელიც 1962 წ. დასაწყისში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა ი. კიკვიძემ და ი. გაგოშიძემ მუზეუმში ჩამოიტანეს.

შეკრული, მშენებლები ამას არ დასჯერებიან და აქა-იქ კუთხეებში მაღალხარისხოვანი დუღაბიც გამოუყენებიათ. სამარხს ჰქონდა ასევე წესიერად დამუშავებული ქვით მოგებული იატაკი. საყურადღებოა, რომ მის მშენებლებს ჯერ დაუგიათ ერთი მთლიანი იატაკი (ორივე განყოფილებისათვის), რომელიც ორი ნაჭრისაგან შედგებოდა, ხოლო შემდეგ სამარხის შვეული გვერდები ამ იატაკზე დაუფუძნებიათ (ტაბ. XIII, 1).

ამრიგად, მესამე სამარხის მშენებლებს ამ ნაგებობის მოსაწყობად საკმაოდ დიდი ჯაფა აქვთ გაწეული და, რაც მთავარია, ისინი ქვის დამუშავების ჩინებული ოსტატებიც ყოფილან[96]. რა თქმა უნდა, მისი შემკვეთი ოჯახიც არ უნდა ყოფილიყო სოციალურად რიგითი: დიდი ხელოვნებით აგებული ასეთი წყვილი „სარკოფაგის“ ამენებას უეჭველად დიდი ხარჯის გაღებაც დასჭირდებოდა.

მაგრამ, მესამე სამარხის განსაკუთრებული ხასიათი მის ასაშენებლად გამოყენებული მასალის ხარისხითა და დამუშავების მაღალი ხელოვნებით როდი ამოიწურება. ამ მოზრდილ საგვარეულო განსასვენებელს შიგნიდან ორივე განყოფილების კედლების ზედა ნაწილში შემოუყვება 15 სმ სიგანე ჩუქურთმიანი ფრიზი, რომელზედაც გამოკვეთილია ადრეფეოდალური საქართველოს ხუროთმოძღვრებაში ფართოდ გავრცელებული გეომეტრიული ორნამენტი (ტაბ. XIV). ეს არის წრეებში ჩასმული, ფოთლისებური მოყვანილობის ჯვარედინი ნაქდევები. როგორც უკვე ითქვა, ორნამენტის ამ სახეს, ხევსურული მასალების მიხედვით „ოთხკუთხაი ხუთანი“ ეწოდება[97]. მსგავსი მოტივები ცნობილია საეკლესიო ხუროთმოძღვრების ისეთ მნიშვნელოვან ძეგლებზე, როგორიცაა ბოლნისის ტაძარი[98], სვეტიცხოვლის უძველესი ნაგებობა[99], აკვანება[100], წრომი, ივრის სიონის ბაზილიკა[101], წოფის ეკლესია და სხვა[102].

ასეთი შემკულობა ქართულ არქიტექტურაში ხანგრძლივ გამოიყენებოდა. მაინცდამაინც იგი ცნობილია V საუკუნიდან და საეკლესიო ხუროთმოძღვრება მას ძირითადად ადრეფეოდალურ ხანაში იყენებს.

ივრის სიონის მესამე სამარხის ჩუქურთმის ხნოვანების დადგენაში გვეხმარება თვით მისი ამოკვეთის მანერა და ხარისხი. ბოლნისის, სვეტიცხოვლის ძველი ნაგებობის, აკვნების და სხვათა კედლებზე ამოკვეთილი ასეთი ორნამენტი ხასიათდება შესრულების სინატიფით, ოსტატის დახვეწილი ხელით და, რაც მთავარია, ღრმა რელიეფურობით, რაც წარმოქმნის შუქ-ჩრდილის ეფექტურ შეხამებას. მართალია, ივრის სიონის ორნამენტული ფრიზი ნაკვეთია დიდი სიზუსტით, ისე რომ მილიმეტრობლივ არის დაცული ფრიზის სიგანე

---

[96] საყურადღებოა, რომ სამარხის ქვებს გარედან, უხეშად დამუშავებულ ზედაპირზე, ეტყობა ორი სხვადასხვა იარაღის კვალი. რაც შეეხება სამარხის კედლების შიგნითა გლუვ ზედაპირს, აქ ქვები საბოლოოდ ხეხვით არის დამუშავებული.

[97] ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული 1939, ტაბ. VIII.

[98] Г. Чубинашвили, Болнисский Сион, НЯ ИМК, IX, 1940, табл. VII—VIII.

[99] Д. Мшвениерадзе, Строительное дело в древней Грузии, 1952, табл. 80—81.

[100] ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, ქართული ხელოვნება, II, თბ., 1948.

[101] ირ. ციციშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 49—50.

[102] გ. ქოქიტი შვილი, წოფი (ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი), საქ. ისტ. გეოგრაფიის კრებული, I, 1960, გვ. 83—94, ტაბ. 18, 2.

და ორნამენტის დეტალთა ზომა, მაგრამ იგი მაინც რამდენადმე ზედაპირული, მშრალი და სქემატურია, რაც ეგებ ბოლნურ, მცხეთურ და სხვა შესატყვისებთან შედარებით მის უფრო გვიანდელობას მოასწავებდეს. ამ ნიშნით იგი VIII—IX სს. უნდა დათარიღდეს. აქვე აღსანიშნავია, რომ ჩუქურთმიანი სამარხის „ავტორს“ ორნამენტის ნიმუშის შესარჩევად შორს არ დასჭირდებოდა წასვლა, რადგანაც სწორედ ამ მოტივით საკმაოდ უხვად იყო შემკული სიონის ბაზილიკა.

მესამე სამარხის სამხრეთი განყოფილება, რომელიც თითქმის პირთამდე იყო სავსე ერთიმეორეზე დაშრევებული ჩონჩხებით, შეიცავდა 14 თავის ქალას. ამასთან ზედა ხუთი ჩონჩხი შედარებით სწორად იდო თავის ადგილზე, ხოლო დანარჩენთა ძვლები არეული იყო. არც თუ ისე მრავალრიცხოვან ინვენტარს, რომელიც ამ სამარხშია აღმოჩენილი[103], შუასაუკუნეთა კუთვნილ მასალებთან ერთად, მომდევნო თავში უფრო ვრცლად დავახასიათებთ. ოღონდ მოკლედ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველაზე ზედა ჩონჩხს ჩატანებული ჰქონდა აქ აღწერილი თიხის ორყურა ჭურჭელი და ბრინჯაოს საყურე-რგოლი, ხოლო მის ქვედას—ღია მწვანე მინის ძაბრისებრი სასმისი (ტაბ. XXXII, 4). აღნიშნულ ინვენტარს იქვე, სიონში გათხრილ სხვა სამარხებშიც მრავლად მოეპოვება შესატყვისი. ამას გარდა, მათ საკმაოდ ახლო ანალოგები უჩნდებათ ერთი მხრივ შუა საუკუნეთა საქართველოს ნაქალაქარების—დმანისის[104], რუსთა-

---

[103] მესამე სამარხის სამხრეთ განყოფილებაში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: 1) ჭ უ რ ჭ ე ლ ი თ ი ხ ი ს ა, ორყურა (№ 8, ტაბ. XXIX,). იდგა ყველაზე ზედა ჩონჩხის თავთან; აქვს ოდნავ ოვალური პირი, საკმაოდ მაღალი ცილინდრული ყელი, მრგვალი მუცელი, ბრტყელი ძირი და ამფორისებრი მოყვანილობის ღერობრტყელი, ორი ყური. ყურები ისეა მიძერწილი ჭურჭელზე, რომ მათი თავები პირის დონეზე მაღლა ადის. თიხა ძალზე წმინდაა, დამუშავებულია ჩარხზე და გამომწვარია კარგად. სიმაღლე — 9,5 სმ, პირის დმ — 5,8 სმ; ძირის დმ — 4,6 სმ. 2) ს ა ს მ ი ს ი მ ი ნ ი ს ა (№9, ტაბ. XXXII), იდო მეორე ფენის მიცვალებულის თავთან, სამარხის სამხრ.-აღმ. კუთხეში, სახურავიდან 25—27 სმ სიღრმეზე. წარმოადგენს ძაბრისებრი მოყვანილობის ფეხიან ჭურჭელს. აქვს გაშლილი მრგვალი პირი; ტანი ძირისაკენ მკვეთრად უვიწროვდება და შემკულია კოპებითა მინისავე ძაფისებრი ხვიებით. მრგვალი ქუსლი ქვეშიდან ოდნავ შეღრმავებულია. მინა თეთრადაა გამჭვირვალე, ხოლო კოპები და მინის „ძაფები“ მოყავისფრო და მომწვანოა. სიმაღლე — 20 სმ, პირის დმ — 8,7 სმ, ძირის ანუ ქუსლის დმ — 4 სმ. ჭურჭელი სამარხში ჩალეწილი იყო, ამჟამად აღდგენილია. 3) ს ა ყ უ რ ე ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 13). იდო II ფენის მიცვალებულის თავქვეშ, სამარხის სახურავიდან 28 სმ-ს სიღრმეზე. წარმოადგენს ბრინჯაოს მომსხო მავთულის ნახევარსპირალს. დმ — 2,3 სმ, ღეროს დმ—2,5 მმ. 4) ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი რ კ ი ნ ი ს ა (№ 10). აღმოჩნდა სამარხის შუა და ქვედა ფენებში. გარდა ერთისა, ყველა დამტვრეულია. ის ერთი თავგახსნილი და წრიულად მორკალულია. ჯანგისაგან ძლიერ დაზიანებული. რკალის დმ — 5,5 სმ. 5) ღ ი ლ ე ბ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი ს 3 ც. (№ 11). აღმოჩნდა სამარხის ყველაზე ქვედა ფენებში. ტიპიური ღილი წარმოადგენს ღრუ ბურთულას, რომელსაც ერთ მხარეს მირჩილული აქვს ძაფის გასაყრელი ყუნწი. ღილები სხვადასხვა ზომისაა. უდიდესის დმ უდრის 0,9 სმ. შესაძლოა ეს „ღილები“ თავის დროზე მძივებადაც ყოფილიყო გამოყენებული. 6) ბ ე ჭ ე დ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 12). აღმოჩნდა სამარხის აღმ. ბოლოში, სახურავიდან 60 სმ სიღრმეზე. რკალი მრგვალია, ფარაკი ვიწრო და ბრტყელი, ორივე ერთადაა ჩამოსხმული. რკალის დმ — 1,8 სმ. 7) მ ძ ი ვ ე ბ ი მ ი ნ ი ს ა 3 ც. (№ 14). აღმოჩნდა სამარხის ქვედა ფენაში. ერთი ღია ცისფერია (დმ.—1,3 სმ), მეორე ბრტყელი და შუქი ლურჯი, მესამე მოყვითალო (დმ. — 0,6 სმ).

[104] ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული კერამიკა (XI—XII სს.), 1956, გვ. 18, ტაბ. I.

ეის[105], თბილისის[106], უჯარმის[107], და სხვა განათხარებში, ხოლო მეორე მხრივ — ამიერკავკასიის ფეოდალური ცენტრებიდან მომდინარე კერამიკულსა და მინის ნაკეთობაში. ყველა ეს ანალოგი ძირითადად XII—XIII სს. თარიღდება. შესაბამისად, რამდენადმე უფრო ხნიერად უნდა მივიჩნიოთ ბრინჯაოს ის სამაჯურები, ბეჭდები, ღილები, მინის ჭურჭლის ნატეხები და ზოგიც სხვა რამ, რომლებიც სამარხის ქვედა ფენებიდან მომდინარეობენ. მაგრამ მათი კავშირი ადრეფეოდალური ხანის სამარხეულ ინვენტართან საეჭვოა და ამდენად XI ს. უწინარეს დროს მათ მაინც ვერ მივაკუთვნებთ.

ამრიგად, ირკვევა, რომ მესამე სამარხს, რომელიც ორნამენტის მიხედვით VIII—IX სს. თარიღდება, შუაფეოდალურ ხანაში სხვები დაჰპატრონებიან და თავიანთ საოჯახო საძვალედ უქცევიათ იგი. უფრო მეტიც, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამარხმა თვით შუაფეოდალურ ხანაშიც კი გამოიცვალა პატრონი, მაინცდამაინც, შესაძლოა, ხუთი უკანასკნელი მიცვალებული, რომელთა ძვლებიც არ იყო არეული, იმ ერთი გვარის ან ოჯახისა იყოს, რომლებსაც საბოლოოდ დაუსაკუთრებიათ აღნიშნული სამარხი.

სამარხის გარეგანი ზომა: ორივე განყოფილების საერთო სიგრძე 2,40 მ; სიგანე—2,05 მ; სიმაღლე—1,05 მ; შინაგანი ზომა: ჩრდილო განყოფილების სიგრძე—1,99 მ, სიგანე აღმ. ნაწილში—0,59 მ, დასავლეთ ნაწილში—0,60 მ; სიღრმე—0,78 მ; სამხრეთი განყოფილების სიგრძე—2,02 მ; სიგანე აღმ. ბოლოს—61,5 მ, ხოლო დასავლეთ ნაწილში—0,63 მ, სიღრმე—0,78 მ, ჩრდილო გრძელი კედლის სისქე 0,25 — 0,27 მ; შუათანა კედლისა—0,27,5 მ, სამხრეთი კედლისა 0,26—0,28 მ. რაც შეეხება სახურავის ქვებს, მათი საშუალო სისქე უდრის 22—25 სმ-ს.

საქართველოსა და საერთოდ ამიერკავკასიაში შესწავლილ სამაროვნებზე, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, შიგნიდან ჩუქურთმით შემკული სამარხის აღმოჩენის შემთხვევა არსად აღუნიშნავთ. შესაძლებელია, ამა თუ იმ სამარხის შიდა კედელზე აღმოჩნდეს რაიმე ცალკეული ნიშანი თუ მონოგრამა, ან ქვისმთლელის დამღა, მაგრამ ასეთი რთული ორნამენტული ფრიზის არსებობა კავკასიაში უპრეცენდენტოა. საერთოდ სამარხთა შიგნიდან მოხატვა ბევრგანაა ცნობილი და საამისოდ თუნდაც ბოსფორის სამეფოს ნეკროპოლთა მაგალითი გამოდგებოდა, მაგრამ საქართველოში ცნობილ აკლდამა-სამარხებში არც ფერწერული მოხატულებაა ცნობილი[108].

არანაკლებ საყურადღებოა თვით სამარხის აღნაგობაც. იგი თავიდანვე მოფიქრებული ყოფილა როგორც ორგანყოფილებიანი ნაგებობა, ხოლო ამგვარი სამარხები არც თუ ისე ხშირად გვხვდება საქართველოში და საერთოდ კავკასიაში[109].

---

[105] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, I, თბილისი, 1955, გვ. 171—196. მ. ჩხატარაშვილი, რუსთავის შუა საუკუნეთა მოუჭიქავი კერამიკის ერთი თავისებური სახეობა, „მაცნე", 1964, № 3.

[106] გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში, მსკა, I, თბილისი, 1955, გვ. 119—165.

[107] გ. ლომთათიძე, უჯარმაში წარმოებული თხრის წინასწარი ანგარიში, 1953.

[108] თუ არ მივიღებთ მხედველობაში სტ. მენთეშაშვილის ზემოთაც დამოწმებულ ცნობას, რომლის მიხედვითაც ყოლოთოს ერთ-ერთ აკლდამაში თითქოს შენიშნულ იქნა კედლის მხატვრობის ნაშთი.

[109] შეიძლებოდა გახსენება არმაზისხევის, IV ს. სამარხთა შორის გამორეული 46-ე ქვისსამარხისა, რომელიც გრძივი ტიხარით იყო ორად გაყოფილი (მცხეთა, I, 1955, გვ. 124, მარჯვ. შენ. I, სურ. 89).

## თავი მეოთხე

# უშუალოდალური ხანის ძეგლები

ადრეფეოდალური ხანის ბოლოსათვის აღმოსავლეთ საქართველომ მრავალმხრივი ცვლილება განიცადა. ცალკეული სამთავროები იშუშებდნენ მურვან ყრუს მიერ მიყენებულ უმძიმეს ჭრილობებს და თანდათანობით ძლიერდებოდნენ; მტკიცე საფუძველი ეყრებოდა საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას. პირველობისათვის ჰიდილში კახეთის სამთავრო ერთ-ერთი მოწინავე იყო: იგი ხომ ქართლის სამეფოს განაპირა მხარეებიდან ყველაზე ადრე განცალკევდა და დაწინაურდა. ახალმა პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ვითარებამ, რამაც განსაკუთრებით ნათლად VIII ს. ბოლოდან იჩინა თავი, გაძლიერების გზაზე მდგომი კახეთის სამთავროს ცხოვრება საკმაოდ თავისებური გზით წარმართა[1].

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ VII ს. ბოლოდან დაკნინება იწყო ქ. უჯარმამ და კახეთის სამთავროს პოლიტიკური ცენტრი ჯერ ბოჭორმაში, ხოლო XI ს. დასაწყისისათვის თიანეთში გადავიდა[2].

მართალია, კახეთზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზის მოშლამ და მურვან ყრუს შემოსევის შემდეგ მცხეთის დაკნინებამ უარყოფითად იმოქმედა ივრის ხეობის შემდგომ განვითარებაზე, მაგრამ ერწო-თიანეთის მხარეს მაინც არ დაუკარგავს მნიშვნელობა—მეტადრე მაშინ, როდესაც საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა.

„ქართლსა ზედა“ ბრძოლისათვის კახეთის მთავრებს დიდ უპირატესობას ანიჭებდა მათი ქვეყნის ძალზე ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კერძოდ კი—ივრის ხეობიდან არაგვზე გარდამავალი გზები, რომელთა უმთავრესი ნაწილი სწორედ ერწო-ჟალეთის მხარეში იყო მოქცეული.

ამ მხარისა და კერძოდ ერწო-ჟალეთის სტრატეგიული მნიშვნელობისა და როლის შესახებ „ქართლის ცხოვრება“ გვაწვდის უაღრესად საყურადღებო ცნობას, რომელიც განძის ამირა ფადლონის და სრულიად საქართველოს მპყრო-

---

[1] მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963.

[2] დ. მუსხელიშვილი, დამოწმ. ნაშრ., გვ. 112.

როგორც ცნობილია, კვირიკე დიდის მიერ თიანეთში აშენებული „სახლი სახელოვანი“ აგრეთვე დიდხანს არ დარჩენილა კახეთის სამთავროს ცენტრად. ბაგრატ მესამის მიერ ამ სასახლის აოხრების შემდეგ, კვირიკეს სამთავროს ცენტრი უფრო აღმოსავლეთით, ალაზნის ხეობაში, თელავში გადააქვს: სამთავროთა შორის გამართულ ბრძოლაში ეს უკანასკნელი მოწინააღმდეგისათვის უფრო მიუწვდომელი იყო.

ბელის ბაგრატ IV-ის ბრძოლას ეხება. როდესაც ბაგრატის მიერ განადგურებული ფადლონის ლაშქარი ღართისკარის მიდამოებში დანებდა ქართველებს, გაქცეულმა „ფადლონ თხუთმეტითა ოდენ ცხენოსნითა წარვლო გზა წილკნისა და მიეხვა პირსა არაგვისასა, და გახდა ნარღუევთა გზით ერწოდ“[3], სადაც მან თავი ფადლონის მოციქულად გამოაცხადა. ერწოში ფადლონს „დახუდა კაცი ვინმე მეცნიერი, რომელი იცნობდა ფადლონს“ და იგი შეიპყრო იმ მიზნით, რომ მიეგვარა თელავში მყოფი აღსართანისათვის. მაგრამ ამას ერწოელი კაცი დამოუკიდებლად კი არ სჩადის, არამედ ტყვე ჯერ მიჰყავს ჟალეთს, სადაც ზის მესხი აზნაური ისაკ ტოლობელისძე. იმ დროს ციხე-ქალაქები უჯარმა და, ბოჭორმა უკვე ბაგრატ IV-ს უჭირავს, მაგრამ, მიუხედავად საქართველოს მეფის ასეთი უპირატესობისა, ისაკ ტოლობელისძეს ტყვე ფადლონი ჟალეთიდან იქვე ბოჭორმაში ბაგრატ მეოთხესთან კი არ მიჰყავს არამედ, უმოკლესი გადასასვლელით — თელავში აღსართანთან. ერწოელი კაციცა და ისაკ ტოლობელისძეც მაინცდამაინც კახეთის მთავრის მომხრეები ჩანან და მის ხელისუფლებას სცნობენ. მატიანეს დამოწმებული ადგილიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ერწოს „ქვეყანა“ XI ს. დასაწყისისათვის ემორჩილება ჟალეთს, რომლის სათავეშიც აზნაური ზის. ჩვენი ვარაუდით, აზნაური ტოლობელისძის რეზიდენცია საგულისხმებელია სწორედ აწინდელი სიონის ადგილას არსებულ იმ, ტრადიციულ დაბასა თუ ქალაქური ტიპის სამოსახლოში, სადაც ადრეფეოდალური ხანისათვის ერწო-ჟალეთის ქვეყნის რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი გვქონდა ნაგულისხმევი და სადაც რამდენადმე უფრო გვიანდელი სასახლისა და ციხის ნანგრევები უკანასკნელ დრომდე იყო შემონახული, ვიდრე წყალსაცავმა არ დაფარა ისინი (იხ. ზემოთ).

რომ X—XI სს. ივრის სიონი მართლაც დაწინაურებული და ძლიერი სამოსახლო ყოფილა, ეს ნათელჰყო ჩვენ მიერ იქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ. უკვე ვნახეთ, რომ სიონის ბაზილიკის გარშემო შუასაუკუნეთა დასაწყისშივე გაჩენილა საკმაოდ დიდი სასაფლაო, რომელიც რამდენიმე ასეული წლის მანძილზე ემსახურებოდა იქაურ მოსახლეობას. სამაროვნის სიდიდე, მრავალფენიანობა და კოლექტიურ ქვისსამარხებში დაკრძალულთა სიხშირე უნდა ჩაითვალოს იმის მეტყველ საბუთად, რომ შუაფეოდალურ ხანაში სიონის მოსახლეობა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყოფილა. შუა ფეოდალურ ხანაში არ შეწყვეტილა დიდი აკლდამით სარგებლობაც; ამის გამო ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალების მომცემ ჯგუფს სიონში შეადგენდა შუასაუკუნეთა სამარხები და მათში დაცული ინვენტარი. აღნიშნული მასალა შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც უძვირფასესი პირველწყარო, რომლის მეშვეობითაც საშუალება გვეძლევა თვალი გავადევნოთ სიონისა და საერთოდ ივრის ხეობის მოსახლეობის სოციალური, ეკონომიური და კულტურული ისტორიის არაერთ მეტად საყურადღებო საკითხს.

მაგრამ, ვიდრე უშუალოდ ივრის სიონის შუაფეოდალური ხანის სამარხების და მათში დაცულ ნივთთა კომპლექსების აღწერასა და ზოგად დახასიათებაზე გადავიდოდეთ საჭიროდ მიგვაჩნია ცალკე გამოვყოთ სამარხების ერთი ჯგუფი, რომლებიც, მართალია, აღნაგობითა და გარეგნული ნიშნებით დიდ სიახლოვეს იჩენენ ადრეფეოდალური ხანის შირიმით ნაგებ სამარხებთან, მაგ-

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 311—312.

რამ ზოგი ნიშნით და მეტადრე ინვენტარის შედგენილობით უკვე სრულიად განსხვავებული არიან ადრეფეოდალური ხანის ტიპიური სამარხებისაგან.

ჩვენი ვარაუდით, სიონის სამარხთა ეს ჯგუფი განეკუთვნება იმ გარდამავალ ხანას, როდესაც იწყება ეკლესიათა გარშემო რიგითი ადამიანების სამარხთა თავმოყრა და თანდათანობით ეყრება საფუძველი შუაფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელ სამარხეულ კომპლექსს. რადგან სამარხთა აღნიშნული ჯგუფი შინაარსით უფრო შუაფეოდალური ხანის სამარხებს უახლოვდება, მათაც განვიხილავთ შუაფეოდალური ხანის ძეგლებისადმი მიძღვნილ თავში.

ამ გარდამავალი ხანის, ასე ვთქვათ, შუაფეოდალური ხანის გარიჟრაჟის— სამარხებს, მომდევნო ხანებში მრავალგზის გამოყენების გამო, ეტყობათ გადაკეთებათა კვალი და ახასიათებთ მრავალფენიანობა (საკუთრივ სამარხს შიგნით). ამასთანავე უმეტეს მათგანში თავდაპირველი ფენები დარღვეული და განადგურებულიც კი არის. მიუხედავად ამისა, სამარხთა აღნიშნულმა ჯგუფმა შემოგვინახა საკმაოდ საყურადღებო მასალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ნაწილობრივ მაინც წარმოვიდგინოთ ის თავისებურება, რაც ახასიათებდა ადრეფეოდალურიდან შუაფეოდალურისაკენ გარდამავალ ხანას და ამ უკანასკნელის ადრეულ საფეხურს.

**გარდამავალ ჯგუფში** გაერთიანებული გვაქვს ქვემოთ აღწერილი სამარხები.

**სამარხი № 5** (ტაბ. XIV—1, 2). მდებარეობდა აღმოსავლეთი უბნის აღმოსავლეთ ნაწილში. ნაგები იყო შირიმის ფილებით. თავდაპირველად ჰქონია შირიმისვე ორფერდა, სამნაწილედი სახურავი. მაგრამ მრავალგზის ახდა-დახურვის გამო, სახურავის დასავლეთი ნაწილი დაზიანებულა და სხვა ქვით შეუცვლიათ.

ორფერდა სახურავის სიგრძე—2,95 მ. სიგანე აღმოსავლეთ მხარეს 1 მ, სისქე კეხთან—0,20 მ, ნაპირთან—0,18 მ, სამარხის შიდა სიგრძე—2,60 ს, სიგანე—75—80 სმ, სიღრმე—0,6 მ. გრძივი კედლებისათვის გამოყენებული შირიმის ფილების სისქე—0,16—0,17 მ. სამარხში, გარდა უკანასკნელად ჩასვენებული ორი მიცვალებულის ჩონჩხისა, აღმოჩნდა რამდენიმე ჩონჩხის ნაშთი. რომლებიც სამარხის აღმოსავლეთ ბოლოზე იყო მიხვეტილი. ამ ძვლებში, სამარხის აღმოსავლეთი კედლიდან 0,64 მეტრზე იდო რკინის დანისა თუ მახვილის ორი მოზრდილი ნატეხი (ინვ. № 19), რომლებიც დაფარულია სქელი ჟანგით და ქსოვილის ანაბეჭდებით (ორთავე ნატეხის სიგრძე — 0,16 მ. პირის სიგანე — 1,8 სმ).

**სამარხი №6** (ტაბ. XIV, 3). აღმოსავლეთი უბანი წარმოადგენს იმის კარგ ნიმუშს, თუ როგორ იყენებდნენ ადრეული ხანის სამარხებს შუაფეოდალურ ხანაშიც. აღნაგობით უნდა ჩაითვალოს ტიპიურად ადრეფეოდალური ხანის დასასრულის ქვისსამარხებისათვის. შედგენილი იყო შირიმის სქელი, კარგად დამუშავებული, ერთიმეორეში ნარიმანდებით ჩასმული კედლებისაგან. მრავალგზის გამოყენების გამო შირიმისვე სახურავი დამტვრეულა და უკანასკნელი მიცვალებულის ჩასვენებისას იგი ქვიშაქვის ორი უსწორმასწორო ფილით გადაუხურავთ. სახურავის სიგრძე უდრიდა 2,10 მ, სიგანე შუაში—1,10 მ, სისქე 0,8 მ ეს სახურავი, ჩანს, მჭიდროდ ჰფარავდა სამარხს, ისე რომ გადახდის შემდეგ ზედა ფენას თითქმის არ დასჭირებია პრეპარაცია. სამარხის შინაგანი სიგრძე უდრიდა 1,80 მ, სიგანე 0,70 მ, სიღრმე — 0,65 მ; გვერდითი ქვების სისქე—0,18—0,20 მ.

სამარხში აღმოჩნდა დაკრძალულთა სამი სხვადასხვა დროის ფენა. ამათგან ყველაზე ზემოთ ეწყო სამი ჩონჩხი, რომელთა შორისაც სულ უკანასკნელი (ეტყობა ქალი) ისე ჩაუსვენებიათ, რომ ადრე დამარხულთა ძვლები არ გაუნძრევიათ. მას შემორჩენილი ჰქონდა ტანისამოსის რამდენიმე ნაშთი და ერთიც მეტად წმინდა ქსოვილის (შესაძლოა ლეჩაქის) მოზრდილი ნაწილი, გარდა ერთი, შუაფეოდალურ ხანაში ფართოდ ცნობილი ბრინჯაოს ყუნწიანი ბურთულა ღილისა, ზედა ფენაში რაიმე ნივთი არ აღმოჩენილა.

შუათანა ფენა, რომელიც სამარხის პირიდან 0,45—0,60 მ სიღრმეზე იყო, შეიცავდა მთლად არეულ ძვლებს და სამი თავის ქალას ნაშთს, რომლებიც სამარხის სხვადასხვა მხარეს უწესრიგოდ იყო მიმობნეული. ეტყობა, ზედა ფენაში დაკრძალულთა ჭირისუფლებმა მთლიანად არ ამოხვეტეს ეს სამარხი და უფრო ადრე დაკრძალულთაგან რამდენიმე ნაშთი კიდევ დარჩა მის ძირა ნაწილში, ამ არეულ ძვლებში და მიწანარევ მტვერში აღმოჩნდა:

1. ჯვარი ბრინჯაოსი გულსაკიდი. (№ 22. ტაბ. XXXIV, 2) გაკეთებულია საკმაოდ სქელი ფირფიტისაგან, აქვს ორკაპა მკლავები, რომელთაგან ზედაზე ყუნწია მირჩილული. ქვედა მკლავი სხვებთან შედარებით დიდია, რაც, ყუნწთან ერთად, ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ჯვარი ღერძის ხაზზეა დაგრძელებული. ჯვრის სიგრძე ყუნწიანად უდრის 4,7 სმ, სიგანე— 3,8 სმ.

2. მძივი მინისა, ცრემლისებრი მოყვანილობისა, ლურჯი, დაწვრილებულ ნაწილში გახვრეტილი სიგრძე უდრის 0,9 სმ.

რა თქმა უნდა, ინვენტარის სიმცირე ხელს გვიშლის გადაჭრით მსჯელობაში, მაგრამ მაინც შეიძლება გარკვეული დასკვნის გამოტანა. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს სამარხი II ფენაში აღმოჩენილი ორკაპა მკლავებიანი ჯვარი. ამგვარი ჯვრები ჩვენში ძირითადად ცნობილია ადრეფეოდალურ ხანაში, როდესაც ისინი ფართოდ გამოიყენებოდა ხუროთმოძღვრული ძეგლების შემკულობაში (ბოლნისი, აკვანება, თეთრი წყარო, წრომი და სხვა)[4]. გარდა აღნიშნული ძეგლებისა, ეს ე. წ. ბოლნური ჯვრები ხშირადაა გამოსახული ქვემო ქართლში ცნობილ სტელებზედაც. სიონის მე-6 სამარხის ბრინჯაოს ჯვარი ახლო დგას თეთრიწყაროს იმ ეკლესიაზე გამოსახულ ჯვართან, რომელიც ადრეფეოდალური ხანით თარიღდება[5] და აგრეთვე აკვანების ეკლესიაზე ყურძნის მტევნებისა და ფრინველთა კომპოზიციაში მოქცეულ რამდენადმე უფრო ადრეულ ჯვარის გამოსახულებასთან. მაგრამ სიონის ჯვარი მათგან იმით განსხვავდება, რომ თუ ბოლნისის, აკვანებისა და თეთრიწყაროს ჯვრებს ტოლი მკლავები აქვთ, სიონის ჯვრის ღერძის მკლავები ოდნავ უფრო დაგრძელებული და მასიურია, ვიდრე გვერდითი, რაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ სიონის ჯვარი შედარებით გვიანი დროისაა (IX—X სს.).

**სამარხი №8** (ტაბ. XV, 2), აღმოსავლეთი უბანი. ნაგები იყო შირიმის, საკმაოდ კარგად დამუშავებული ფილებით. სამარხს ჰქონდა სამ-სამნაწილიანი გრძივი კედლები და აგრეთვე სამნაწილიანი ორფერდა სახურავი. სახურავის ერთი ქვა ჩატეხილი იყო. სამარხის სახურავის სიგრძე — 2,05 მ, სიგანე —

---

[4] რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბ., 1955, გვ. 31.

[5] ნ. ბერძენიშვილი, ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული, II, 1964, ტაბ. V.

0.9 მ, სისქე შუაში, კეხთან — 0,23 მ, ნაპირთან — 0,3 მ, შიდა სიგრძე — 1,90 მ, სიგანე—0,85 მ, სიღრმე—0,64 მ. გრძივი კედლის სისქე—0,15—0,17 მ.

პრეპარაციის შემდეგ გაირკვა, რომ ჩასვენებული ყოფილა ორი მიცვალებული. ადრე დამარხულის ძვლები აღმოსავლეთით იყო მიხვეტილი. სამარხში აღმოჩნდა რამდენიმე მძივი: ერთი ქალცედონისა, რძისფერი, ოვალური (№ 33); მეორე—მთის ბროლისა, მრავალწახნაგა (№ 34), მესამე—ლურჯი მინისა, მეოთხე — მოწითალო სარდიონისა, ოვალური (№ 34).

**სამარხი № 10** მდებარეობდა აღმოსავლეთი უბნის სამხრეთ დასავლეთ კუთხეში. მონგრეული ჰქონდა დასავლეთი ბოლო და სახურავი. ნაგები იყო შირიმის მასიური და კარგად გათლილი ფილებით. სიგრძე—2,10 მ, სიგანე — 0,70 მ, სიმაღლე—0.62 მ. სამარხი კოლექტიური იყო და შეიცავდა ჩონჩხების რამდენსამე ფენას, სულ ზედა ორი არეული იყო, შესაძლოა განძის მაძიებელთა მიერაც, თუმცა თავის ქალები კარგად იყო დაცული. სულ ზემოთ, ძვლებს შორის, აღმოჩნდა მოჭიქული ჭურჭლის ძირის ნატეხი (№ 65).

შემდეგ ფენაში, რომელიც აგრეთვე არეულ ძვლებს შეიცავდა, აღმოჩნდა: რკინის ორი სამაჯური 7 ნატეხად (№ 55) და ბრინჯაოს რგოლი (№ 56).

სამარხის სულ ქვედა ფენაში აღმოჩნდა ორი ცუდად დაცული ჩონჩხი, რომლის გარშემო ნაპოვნია შემდეგი ნივთები: მინის მოზრდილი ჭურჭლის 10 ნატეხი (№ 60); თხელი, მწვანე, გამჭვირვალე. შემორჩენილია მრგვალი, ქვეშიდან ოდნავ შეზნექილი ქუსლი (დმ— 7 სმ); სანელსაცხებლე მინისა (№ 61, ტაბ. XXXII). მასიური ქუსლით; მრგვალი მუცლის, ოდნავ მაღალი, მრგვალი ყელისა და სწორი, განიერი ბაკის მქონე. მინა სქელია და ოდნავ მომწვანო ელფერი გადაჰკრავს. იდგა სამარხის ჩრდილო კედლის ძირის დონეზე. სიმაღლე—4,8 სმ, ძირის დმ—2,8 სმ, მუცლისა—3,5 სმ, პირისა—2,1 სმ, ყელის სიმაღლე—1,8 სმ; სამაჯურები მინისა (№ 64, ტაბ. XXXIII). ერთი მთელია, მეორისგან კი ორი ნატეხია დარჩენილი. ორთავე განივკვეთი სამწახნაგაა. გადაბმის ადგილას ღერო დაბრტყელებული აქვთ. მთელი სამაჯური შომწვანოა (დმ —5,5 სმ), ხოლო გატეხილი—დახშული ლურჯი; მძივები მინისა (№ 62), მათ შორის 3 მუქი ლურჯი, ინკრუსტაციით შემკული. მძივები სარდიონისა (№ 62—63) ერთი მრგვალია, მეორე პატარა და ბრტყელი. ბრინჯაოს სამაჯურის ნატეხები (№ 57) თხელი ფურცლისაგან ნაკეთები. ერთ ნატეხზე საკეტის ნაშთია შემონახული. რკალის სიგანე 0,8 სმ, ფირფიტის სისქე — 1 მმ; საყურე ბრინჯაოსი (№ 58). წვრილი რგოლი, რომლის თავებიც ერთიმეორეზეა გადასული (დმ — 1,5 სმ). ბეჭედი ვერცხლისა (№ 59. სურ. 17). აღმოჩნდა სამარხის შუა ნაწილში, სულ ქვედა ფენის ძვლებს ქვეშ. ვერცხლის ერთი მთლიანი ღეროსაგან არის გამოჭედილი, ვიწრო რკალი მხრებისაკენ თანდათანობით ფართოვდება და უშუალოდ გადადის ოვალურ ბრტყელ ფარაკში, რომელზედაც შუაში ამოკაწრულია ირიბი ნაჭდევებით შემოსაზღვრული, მოგრძო ოთხკუთხედი. ბეჭდის დმ—1,9 სმ, ფარაკის სიგანე—0,8 სმ.

საყურადღებოა, რომ მე-10 სამარხის ყველაზე ქვედა ფენა რამდენიმე სანტიმეტრით უფრო ღრმად იყო. ვიდრე საკუთრივ სამარხის კედლების ქვედა დონე. ასეთი რამ სიონის სამაროვანზე არც თუ იშვიათია. მე-10 სამარხი იმი-

თაც იქცევს ყურადღებას, რომ მისი ქვედა ფენის ნივთები შუასაუკუნეების კვალობაზე საკმაოდ არქაული ჩანს და, თუ სამარხის აღნაგობისა და მისი ქვედა ფენის ნივთიერი მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი შესაძლოა აგებული იყო ადრე ფეოდალური ხანის დასასრულს. მაინცდამაინც მისი სულ ზედა ფენა შუაფეოდალურ ხანას არ გადმოსცილდება.

**სამარხი № 12** მდებარეობდა № 11 სამარხის დასავლეთ გაგრძელებაზე. ნაგები იყო შირიმის კარგად თლილი და ნარიმანდებით მტკიცედ დაკავშირებული ფილებით (ტაბ. XV, 3), ხოლო შირიმისავე ორფერდა თავსახური სამი ნაწილისაგან შედგებოდა. სახურავის სიგრძე—2,20 მ, სიგანე—0,80 მ, სისქე კეხთან—0,17 მ, ნაპირებში—0,11 მ; სამარხის შიდა სიგრძე—1,80 მ, სიგანე აღმ. ბოლოში—0,48 მ, დასავლეთ ბოლოში—0,51 მ. თითოეული გრძივი კედელი შედგენილი იყო ორ-ორი ფილისაგან. კედლის სისქე უდრიდა 13—15 სმ, სამარხის სიმაღლე—0,5 მ. სამარხში მიწა არ იყო ჩასული, შიგ დაკრძალული სამი მიცვალებულის ძვლები თითქმის მთლიანად დაშლილი იყო. სამარხის ჩრდ. აღმ. კუთხეში აღმოჩნდა ბრინჯაოს რგოლი (№ 105).

გარდა ზემოთ აღწერილი სამარხებისა, სამაროვნის აღმოსავლეთ უბანზე კიდევ იყო შირიმის კარგად დამუშავებული, ნარიმანდიანი ფილებით ნაგები № 14 სამარხიც (ტაბ. XV, 1). რაც შეეხება დასავლეთ უბანს, იქ ადრეფეოდალურიდან შუაფეოდალურისაკენ გარდამავალი ხანის სულ ორიოდე სამარხი გამოვლინდა. მათ შორის საყურადღებოა შემდეგი:

**სამარხი № 8** მდებარეობდა დასავლეთი უბნის სამხრეთ ნაწილში. მისი სახურავი მდებარეობდა 0,7 მეტრის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. ნაგები იყო შირიმის საკმაოდ სქელი და მასიური ფილებით. გრძივი კედლები სამ-სამი ნაწილისაგან შედგებოდა. თავკედლებს ამოკვეთილი ჰქონდათ ნარიმანდები. თავის დროზე სამარხს ჰქონია შირიმისავე ორფერი სახურავი, რომელიც დაზიანებული აღმოჩნდა (ტაბ. XVI, 1). სახურავის სიგრძე—2,10 მ. ორფერდა ნაწილის სიგანე 0,72 მ, სისქე კეხთან—23 სმ, ნაპირზე—10 სმ; სამარხის შიდა სიგრძე—1,88 მ, სიგანე—0,48 მ, სიღრმე—0,56 მ.

სამარხში მიწა იყო ჩაცვენილი უკანასკნელ დაკრძალულთა სახურავის დონიდან 0,4 მ სიღრმეზე. ამას გარდა, სამარხის თიხატკეპნილ იატაკზე ეყარა ადრე დაკრძალულთა დაფერფლილი ძვლები, რომელთა შორის მხოლოდ თიხის ჭურჭლის ერთი ნატეხი იქნა ნაპოვნი.

**სამარხი № 14** (ტაბ. XVI, 2) ნაგები იყო შირიმის კარგად თლილი, ნარიმანდებიანი ფილებით, გრძივი კედლები შედგენილი იყო ორ-ორი ფილისაგან, ხოლო თავკედლებად თითო-თითო ეყენა. თავის დროზე ამ სამარხსაც ორფერდა სახურავი უნდა ჰქონოდა, მაგრამ დროთა ვითარებაში ერთი ქვა შირიმის ბრტყელი ლოდით შეუცვლიათ. სახურავის სიგრძე—2,1 მ, სიგანე— 1 მ, შიდა სიგრძე 1,90 მ, სამარხის სიგანე—0,56 მ, სიღრმე—0,65 მ, ქვების სისქე—0,13 მ. (ტაბ. XVI, 3). სამარხში აღმოჩნდა სამი ჩონჩხი, რომელთაგანაც ყველაზე უკეთ სულ ქვედა იყო დაცული. ზედა, დაზიანებულ ძვლებს შორის სახურავიდან 0,3 მ სიღრმეზე აღმოჩნდა. ვერცხლის ბეჭედი (№ 308, სურ. 27) ბრტყელრკალიანი (დმ — 2 სმ). მხრები ოდნავ გაგანივრებულია და უშუალოდ უერთდება გულის მოყვანილობის ფარაკს, რომელიც შუაზე გაღარულია და შემკულია ორნამენტით (ზედ თითქოს სევადის კვალიც ჩანს). სულ ქვედა ჩონჩხს (სიღრმე—0,60 მ) ახლდა ვერცხლისავე ორი ბეჭედი, ერთი მათ-

განი (№ 306, სურ. 17) მასიურია და ჩამოსხმით უნდა იყოს ნაკეთები. აქვს შიგნიდან ბრტყელი რკალი, რომელიც მხრებისაკენ ოდნავ განიერდება და უერთდება მაღალ, კონუსური მოყვანილობის „ფარაკს". რკალის დმ—2,3 სმ „ფარაკის" სიმაღლე 0,5 სმ. მეორე (№ 307, სურ. 17) ბრტყელია და აქვს განიერი რკალი, რომელიც უშუალოდ ერთვის ბრტყელსა და მასიურ ფარაკს. ფარაკზე ამოკაწრულია M-ის მსგავსი ნიშანი. რკალის გარეთა სიბრტყეც შემკულია წყვილ-წყვილი ნაჭდევებითა და მონოგრამის მსგავსი ნიშნებით (მხრებზე), ბეჭდის დმ—2,2 სმ, რკალის სიგანე—0,7 სმ, ფარაკის სიგრძე—1 სმ, სიგრძე—0,8 სმ.

გარდა სამაროვნის ამ ძირითადი უბნებისა შირიმის ფილებით ნაგები ორი სამარხი აღმოჩნდა ეკლესიის შიგნითაც.

**სამარხი № 1** მდებარეობდა ეკლესიის შუა ნავში, საკურთხეველის მხარეს (იხ. გეგმა). აგებული იყო შირიმის საუცხოოდ დამუშავებული ფილებით. სამარხის სახურავი დაენგრიათ იქ მომუშავე მანქანებს, მაგრამ ნაშთების მიხედვით მაინც ჩანდა, რომ იგი ორნაწილედი და ორფერდა ყოფილა (ტაბ. XVII, 1), სამარხის სახურავის სიგრძე—2,40 მ, სიგანე—1 მ, სისქე კეხთან—0,18 მ; ნაპირებში—0,12 მ, სამარხის შიდა სიგრძე — 1,90, მ, სიგანე — 0,55 მ, სიღრმე—0,65 მ, კედლების სისქე—8 სმ. სამარხში აღმოჩნდა ერთი ძლიერ ცუდად დაცული ჩონჩხი და იმ სუდარის ნაშთები, რომელშიც იგი ყოფილა გახვეული. თავის ქალაზე შერჩენილი ჰქონდა ქუდის ნაშთები (შემდგომ ქუდი ნაწილობრივ აღდგენილ იქნა). გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ვიწრო-ფარაჯიანი ბეჭედი (№ 510).

**სამარხი №2.** შედგენილი იყო შირიმის კარგად თლილი ფილებით და № 1 სამარხს დასავლეთიდან ებჯინებოდა. ეტყობა, ამ სამარხში მიწა მხოლოდ სახურავის ჩანგრევის შემდეგ ჩაცვენილა. სამარხის შიდა სიგრძე—1,80 მ, სიგანე—0,52 მ, სიღრმე—0,52 მ, ფილების სისქე—10—12 სმ (ტაბ. XVII, 2). სამარხში აღმოჩნდა ერთი უთავო ჩონჩხი, რომელსაც არავითარი ნივთი არ ხლებია თან.

შირიმით ნაგები ეს ორი სამარხი, ჩანს, ყველაზე ძველთაგანი უნდა იყოს ეკლესიის შიგნით. ისინი ძლიერ ემსგავსებიან ეკლესიის გარეთ აღმოჩენილ შირიმის სამარხების ზემოაღწერილ ჯგუფს, რომლებიც შემდგომ არაერთგზის ყოფილან გამოყენებული. მაგრამ, მათგან განსხვავებით, ეკლესიის შიგნით აღმოჩენილი № 1 და № 2 სამარხები ხელმეორედ აღარ გამოუყენებიათ და მათ ჩვენამდე პირვანდელი სახით მოაღწიეს. სავარაუდოა, რომ ამ ორ სამარხში შედარებით დაწინაურებული სასულიერო ან საერო პირები იყვნენ ჩასვენებული. ამასთანავე № 2 სამარხში აღმოჩენილი უთავო ჩონჩხი, შესაძლოა, შორეულ ომში დაღუპული წარჩინებული მხედრისა იყოს (თუ კი მტერმა მისი მოკვეთილი თავი წაიღო).

ადრეფეოდალურიდან შუაფეოდალურისაკენ გარდამავალი ხანისა და შუაფეოდალური ხანის ადრეული საფეხურის კუთვნილი სამარხებისათვის, როგორც აღწერილობიდან ჩანდა, დამახასიათებელია შემდეგი:

1) სამარხთა ძირითად საშენ მასალად გამოყენებულია შირიმის კარგად დამუშავებული ფილები, რომლებიც კუთხეებში ნარიმანდებითაა დაკავშირებული. ამასთანავე ამ სამარხთა სახურავების ცალკეული ქვები, გვიანანტიკუ-

რი და ადრეფეოდალური ტრადიციისამებრ ისეა გათლილი, რომ ორფერდა სახურავის შთაბეჭდილება იქმნება.

სამარხთა მოწყობის აღნიშნული წესი სიონში, ეტყობა, ადრეფეოდალური ხანიდანვე კარგად ყოფილა ცნობილი, რაც იქვე, ეკლესიის შორიახლოს, VI—VIII სს. შირიმით ნაგები სამარხების აღმოჩენითაც დადასტურდა.

სამარხთა მოწყობის ამგვარი წესი ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში, მაგრამ განსაკუთრებით იგი იორ-ალაზნის აუზისათვისაა დამახასიათებელი (მაგ. ერწო, თიანეთი, მატანი).

აქვე უნდა შეინიშნოს, რომ, თუ საკუთრივ ადრეფეოდალურ ხანაში სამარხთა კედლები უპირატესად მთლიანი ფილებით შენდებოდა, გარდამავალი ხანის სამარხთა გრძივი კედლები რამდენიმე ფილისაგან არის შედგენილი, რაც ამ ტიპის სამარხთა შენების ხელოვნების დაქვეითების მანიშნებელია.

2) გარდამავალი და შუაფეოდალური ხანის ადრეული საფეხურის კუთვნილ შირიმით ნაგებ სამარხებში ძალზე ცოტაა ხოლმე ნივთები. მართალია ხანგრძლივი და მრავალგზისი გამოყენების შედეგად მაშინდელ სამარხთა თავდაპირველი ფენები ძალზე შელახულია, მაგრამ მათში ინვენტარის სიმცირე მარტო ამით არ უნდა აიხსნას. თუ ეკლესიის შიგნით ღმოჩენილი ორი ხელუხლებელი სამარხის მიხედვით ვიმსჯელებთ, საერთოდ იმ დროის სამარხებში ნივთების ჩატანება, ეტყობა, მინიმუმამდე ყოფილა უკვე დაყვანილი.

3) ადრეფეოდალურიდან შუაფეოდალურისაკენ გარდამავალი ხანისათვის უკვე გამქრალია ის ტიპიური კომპლექსები, რომელნიც ადრეფეოდალური ხანის სამარხებისათვის საერთოდ იყო დამახასიათებელი. ამასთანავე თანდათანობით წარმოიქმნება სამარხეული ნივთების ისეთი კომპლექსები, როგორიც შემდგომ შუაფეოდალურ ხანაში ესოდენ დამახასიათებელი ხდება ინვენტარიანი სამარხებისათვის (რუსთავი, ერწო, მცხეთა, მატანი.).

როგორც განათხარი მასალა გვიჩვენებს, სიონის მოსახლეობა შუაფეოდალური ხანისათვის თანდათანობით კარგავს სამარხთა შენების ძველ წესს და სათანადო ნაგებობათა გამარტივებისა და გაიაფების ხარჯზე სამარხთა გარეგნული სახე უარესდება. უპირველეს ყოვლისა აღარ ხმარობენ შირიმის ქვას, რაც ან სათანადო სამტეხლოების ამოწურვით, ან ამ ქანის მოპოვება-დამუშავების სირთულითა და სიძვირით უნდა იყოს ნაკარნახევი.

ამასთანავე საყურადღებოა, რომ მოსახლეობის სწრაფი ზრდის შედეგად თავს იჩენს დასაკრძალავი ადგილის ნაკლებობა, რაც აიძულებს ჭირისუფალს ერთი მხრივ ხელმეორედ გამოიყენოს უფრო ძველი უპატრონოდ დარჩენილი სამარხები, ხოლო მეორე მხრივ, ორ და სამ სართულად განალაგოს შედარებით გვიანდელი სამარხები.

მიუხედავად საკუთრივ შუაფეოდალური ხანის სამარხთა შენების ხელოვნების გაუარესებისა, მაშინდელი სამარხები დიდი მეცნიერული ინტერესის აღმძვრელია იმის გამო, რომ სამარხეული კომპლექსები თანდათანობით კვლავ მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ხდება. ამ მხრივ სიონის სამაროვანმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მაგრამ ვიდრე სიონის საკუთრივ შუაფეოდალური ხანის სამარხეული კომპლექსების დახასიათებაზე გადავიდოდეთ, სა-

ჰიროდ მიგვაჩნია აღწერა რამდენიმე მაშინდელი ტიპიური სამარხისა ცალცალკე უბნების მიხედვით[6].

**აღმოსავლეთი უბანი** მოიცავდა სიონის ბაზილიკის აღმოსავლეთი კედლის მიჯრით მდებარე მცირე ფართობს, რომელზედაც, გარდა ზემოთ აღწერილი აკლდამისა და ჩუქურთმიანი სამარხისა, გაითხარა 27 რიგითი, კოლექტიური სამარხი. ამათგან რამდენიმე, შედარებით უფრო ადრეული, შირიმით ნაგები სამარხი წინამდებარე თავის დასაწყისშივე აღვწერეთ.

გარდა ორიოდე გამონაკლისისა (№№ 18, 20, 24), შუაფეოდალური ხანის ყველა სამარხი, როგორც ითქვა, შეიცავდა მეტ-ნაკლებ ინვენტარს.

აღმოსავლეთი უბნის შუაფეოდალური ხანის სამარხებს შორის საყურადღებოა:

**სამარხი №1** (ტაბ. I) სანახევროდ დანგრეული, მდებარეობდა თხრილის სამხრ. აღმ. ნაწილში, ფლატის პირას. სამარხის კედლები შედგებოდა მოლურჯო ქვიშაქვის სქელი, საკმაოდ დაუდევრად გათლილი ფილებისაგან. სამარხის ერთ-ერთი გვერდითი ქვის სიგრძე — 2,15 მ, სიგანე — 0,90 მ, სისქე — 0,20 მ.

მიუხედავად იმისა, რომ ცნობისმოყვარეებს სამარხი გადაეჩხრიკათ, მაინც მოხერხდა დადგენა, რომ მასში 12 მიცვალებული ყოფილა ჩასვენებული. ძვლებს შორის აღმოჩნდა:

1) სამაჯური ბრინჯაოსი (ინვ. № 1) თავგახსნილი, ოვალურად მორკალული, შიგნიდან ბრტყელი, გარედან მომრგვალებული და თავებისაკენ რამდენადმე გაწვრილებული.

2) სამაჯური რკინისა, თავგახსნილი, ნაკლული (№ 2).

3) ბეჭედი რკინისა (№ 3), რკალმოტეხილი, ბრტყელფარაკიანი, ცუდად დაცული.

4) მინის ჭურჭლის პირის ნატეხი (№ 4), მწვანედ გამჭვირვალე.

**სამარხი № 9** (ტაბ. XVIII, 1) წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე უფრო დიდ სამარხს მთელ სამაროვანზე. მისი კედლებიც ნაგები იყო შირიმის ფილებით. ჩვეულებრივი სამარხებისაგან იგი, გარდა მოცულობისა, იმითაც განსხვავდებოდა, რომ კედლები მთლიანი ფილებით კი არ ჰქონდა ნაგები, არამედ შირიმის, შეუღლად დაყენებული ფილების რამდენიმე მწკრივით. წყობაში მეტადრე კედლების ზედა ნაწილში გამოყენებული იყო დუღაბიც. ამასთანავე უფრო დიდროინი ფილები სამარხის ქვედა ნაწილში იყო ნახმარი, ხოლო ზედა ხუთი მწკრივი შირიმისავე მომცრო ქვებისაგან შედგებოდა (ტაბ. XVIII, სურ. 2).

სამარხის სახურავი, რომელიც შეიცავდა შირიმისა და ქვიშაქვის მეტ-ნაკლები სიდიდის 10 ფილას, ეყრდნობოდა სამარხის გრძივ გვერდებზე გარდიგარდმო გადებული ქვის ორ „კოჭს“ (ტაბ. XVIII, 2). სახურავი ხშირი ახდადახურვისაგან ძალზე დაზიანებული ჩანდა. სამარხს აშკარად ეტყობოდა, რომ რამოდენიმეჯერ იყო გადაკეთებული. სახურავის სიგრძე უდრიდა 3,30 მ, სი-

[6] წიგნის მოცულობის შეზღუდვის გამო არ გვიხერხდება სიონის სამაროვნის ყველა სამარხის გამოქვეყნება, რაც ამგვარი ნაშრომისათვის დიდ დანაკლისს წარმოადგენს, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამარხებისა და სამარხეული კომპლექსების ზოგადი დახასიათებისას მთელი მასალა იქნება გათვალისწინებული.

განე—1,70 მ. სამარხის შიდა სიგრძე—2,70 მ, სიგანე—1.1 მ სიღრმე (სახურავის დონიდან)—1,8—1,9 მ.

ზემოდან მდებარე ძვლები მთლად ჩანაცრული იყო, მაგრამ მაინც აშკარად ჩანდა, რომ ჩვენ წინაშე იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი კოლექტიური სამარხი: მასში სხვადასხვა დროს დაკრძალულთა 42 თავის ქალას ნაშთი იპოვეს. განსაკუთრებით მრავლად იყო ადამიანის ძვლები მიხვეტილი სამარხის აღმოსავლეთ ბოლოში.

ბუნებრივია, საკმაოდ ხანგრძლივი არსებობის მანძილზე (რაც 42 მიცვალებულისათვის აქ ჩასასვენებლად უნდა ყოფილიყო საჭირო) სამარხში ჩონჩხები რამდენიმე ფენად უნდა დაშრეველებულიყო. სახურავიდან 0.80—1,20 მეტრის სიღრმეზე ჩნდებოდა მხოლოდ უწესრიგოდ დაბნეული თავის ქალები, შემდეგ კი დანაცრულ ძვლებთან ერთად გამოჩენა იწყო სამარხულმა ნივთებმა: მონეტა ვერცხლისა აღმოჩნდა სამარხის ჩ/დ კუთხეში, 1,20 მ სიღრმეზე, ქართული, XV ს. კონსტანტინე II-ისაა (№ 538); ქვევრის ნატეხი (№ 53), მოწითალო, ცუდად გამომწვარი. ზედაპირზე რელიეფური წიბო აქვს. აღმოჩნდა 1, 30 მ სიღრმეზე; თიხის ჭურჭლის 5 ნატეხი (№ 54) ორი მონაცრისფეროდაა გამომწვარი და გარედან გაცვილულია. ძირის დმ—11 სმ. სამი ნატეხი მოწითალოა და ეკუთვნის სასუფრე ჭურჭელს, აღმოჩნდა 1,20—1,30 მ სიღრმეზე; აბზინდა ბრინჯაოსი (№ 42) აღმოჩნდა სამარხის აღმ. ნაწილში, სახურავიდან 1,40 მ სიღრმეზე. მრგვალია. დაბრტყელებულ ღეროზე ტყავის ნაშთით; ღილი ბრინჯაოსი, ბურთულა, ყუნწიანი, ფუყე (№ 43). მირჩილვის ადგილას წიბო აქვს. სიგრძე —1,4 სმ, დმ—0,9 სმ, აღმოჩნდა იქვე.

მონეტა ბრინჯაოსი (№ 537) აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-აღმ. კუთხესთან, 1,45 მ-ის სიღრმეზე. გატეხილია ორად, გაუწმენდავია, ვერ განისაზღვრა.

მომდევნო ფენაში (სიღრმე—1,45—1,65 მ) აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: ნატეხები მინის სხვადასხვა ჭურჭლისა (№ 46, 47. ტაბ. XXXII), მომწვანო, გამჭვირვალე. მათ შორის საყურადღებოა ოდნავ სქელი პირის ნატეხები, რომლებსაც გარედან, ერთიმეორისაგან 3—4 მმ-ით დაშორებული ყავისფერი ნაწიბურები შემოუყვება. აქვე საყურადღებოა მრგვალდიამეტრიანი ქუსლებიც.

რკინის სამაჯურის 7 ნატეხი (№ 37) მიმოფანტული იყო მთელი სამარხის ფართობზე, 1,5 მ სიღრმეზე.

საყურე ვერცხლისა (№ 41, სურ. 18). აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაპირას, 1,60 მ სიღრმეზე, გატეხილია ორად. კითხვის ნიშნის მოყვანილობისაა, თავდება ლიოთონისავე მრავალწახნაგა გამსხვილებული ბოლოთი. სიგრძე—3,6 სმ. რკალის დმ—1,5 სმ.

ორი ბეჭედი ბრინჯაოსი (№ 38, სურ. 15) აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო ნაწილში; 1,60 მ სიღრმეზე. ერთი მთელია, წვრილი ფარაკის მქონე. (ბეჭდის დმ—1,7 სმ). მეორე ოთხად არის გატეხილი. ბრტყელი ფარაკი და რკალი ერთიანად აქვს ჩამოსხმული;

საყურე ბრინჯაოსი, რგოლიანი (№ 44, სურ. 18). აღმოჩნდა სამარხის შუაში, 1,65 მ. სიღრმეზე. ბრინჯაოს რგოლზე (დმ. — 1,8 სმ) ჩამოკიდებული ყოფილა ვერცხლის ღეროზე აგებული ქვის, ცრემლისებრი საკიდი (სიგრძე 2,5 სმ). მთლიანად საყურის სიგრძე უდრის 5,5 სმ;

მ ძ ი ვ ი მ ი ნ ი ს ა (№ 45) ცისფერი, გამჭვირვალე, ოვალური, ოდნავ დაბრტყელებული. სიგრძე—0,7 სმ, სიგანე—0,5 სმ. აღმოჩნდა იქვე, სადაც საყურე.

№ 9 სამარხის ყველაზე უფრო ქვედა ფენაში (სიღრმე—1,70—1,90 მ) არც ერთი ჩონჩხი თავდაპირველი სახით არ იყო შემონახული. ჩალეწილ ძვლებში კიდევ აღმოჩნდა რამდენიმე ქვემოაღწერილი ნივთი, რომლებიც ამ სამარხის არსებობის ყველაზე უფრო ძველ ხანას მიეკუთვნება.

ო თ ხ ი ბ ე ჭ ე დ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 50. სურ. 15). მხოლოდ ერთია მთელი, მას აქვს ვიწრო ფარაკი შუაში ნაჭდევი წერტილით. (დმ. 1,8 სმ). ერთ-ერთ გატეხილ ბეჭედს აქვს მოზრდილი ფარაკი, რომელზედაც ლათინური N-ის მსგავსი ნიშანია გამოყვანილი.

ს ა მ ა ჯ უ რ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 49) აღმოჩნდა სამარხის ჩრდ.—აღმ. კუთხეში, 1,65 მ სიღრმეზე, რკალი ბრტყელია, ოვალური, თავგახსნილი. უდიდესი დმ—5,6 სმ.

მ ძ ი ვ ე ბ ი მ ი ნ ი ს ა ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ზ ო მ ი ს ა და ფ ე რ ი ს ა (№ 48). ოთხი ცისფერია, ერთი ლურჯი, ერთიც დაღარულზედაპირიანი, ცისფერი.

მ ი ნ ი ს ჰ უ რ ჭ ლ ი ს 5 ნ ა ტ ე ხ ი (№ 51) თხელი, მომწვანო. ერთი—პირისაა. აღმოჩნდა 1,85 მ სიღრმეზე.

**სამარხი № 11** მდებარეობდა აკლდამის ტალანის სამხრეთი კედლის გვერდით (იხ. გეგმა), ისე რომ ამ სამარხის შენებისას ნაწილობრივ აკლდამის კედლის გარეთა მხარეც კი იყო დაზიანებული. მსგავსად მე-9 სამარხისა, ესეც შირიმის ფილებით იყო ნაგები და წარმოადგენდა საკმაოდ მოზრდილ „შენობას“, რომლის კედლის ცალკეული ქვათლილები მაღალხარისხოვანი დუღაბით იყო შეკავშირებული. ამათგან უფრო დიდრონნი სამარხის საძირკველში იყვნენ ჩადგმული, ხოლო მომდევნო მწკრივებში შედარებით პატარა ქვათლილები იყო შეხმარებული (ტაბ. XIX). სახურავი შედგებოდა შირიმისა და ქვიშაქვის დიდრონი ფილებისაგან, თუმცა აღმ. ბოლოში ცირზე ნაწყობი წვრილი ქვებიც შეიმჩნეოდა. სახურავის სიგრძე 2,7 მ, სიგანე — 1,3 მ, სამარხის შიდა სიგრძე—2,30 მ, სიგანე—1,10 მ. სიმაღლე—1,50 მ. სამარხში მიწა უმნიშვნელო რაოდენობით იყო ჩაცვენილი, ხოლო დალეწილი ძვლები და სამარხეული მტვერი შეეზვინათ სამარხის აღმ. ბოლოზე. ეს გროვა უნდა წარმოქმნილიყო მაშინ, როდესაც № 11 სამარხში სულ უკანასკნელი მიცვალებული ჩაუსვენებიათ. იგი იწვა სამარხის ჩრდ.-დას. ნაწილში, სახურავის დონიდან 0,8—0,9 მ სიღრმეზე (ტაბ. XIX, 1). ყველაზე ზედა ჩონჩხის სრული პრეპარაციისათვის საჭირო გახდა აღმოსავლეთით მიზვინული სამარხეული ნაშთების გადარჩევა და ამოყრა. ამ გროვაში ძვლებს შორის აღმოჩნდა:

თ ი ხ ი ს ჰ უ რ ჭ ლ ი ს ხ უ თ ი ნ ა ტ ე ხ ი (№ 71), ღია ფერად გამომწვარი ორყურა სასმისის, რომელსაც ტალღოვანი პირი, მაღალი ყურები და შიგნიდან დატანებული ირიბი „ფრჩხილისებრი“ ნაჭდევები აქვს. ეს ჰურჭელი დამახასიათებელია შუაფეოდალური ხანისათვის.

ქ უ ს ლ ი მ ი ნ ი ს ჰ უ რ ჭ ლ ი ს ა (№ 69), მწვანე, გამჭვირვალე, მრგვალი, შიგნით შეზნექილი. დმ—7 სმ (ტაბ. XXXII და XXI).

ნ ა ტ ე ხ ე ბ ი მ ი ნ ი ს ჰ უ რ ჭ ლ ი ს ა (№ 70). ცხრავე ეკუთვნის მუცელგამობერილ ჰურჭელს, ღია მწვანე, გამჭვირვალე.

ბ ე ჭ ე დ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 66, სურ. 15). მრგვალი, წვრილი, ოდნავ დაბრტყელებული რკალი ექვსქიმიან ფარაკთან ერთადაა ჩამოსხმული. ფარაკის ზედაპირი დაწინწკლულია. დმ—2 სმ, ფარაკის დმ—1,2 სმ.

საყურეები ბრინჯაოსი (№ 67, სურ. 18). ერთი მოზრდილია, კითხვის ნიშნის მოყვანილობისაა და თავდება მრავალწახნაგა, გამსხვილებული ბოლოთი. რკალი გრეხილია; სიგრძე—4,7 სმ; რკალის დმ—2 სმ. მეორე მომცროა და ბოლო მოტეხილი აქვს. (ტაბ.—XXI).

ბეჭედი რკინისა (№ 68). დაფარულია სქელი ჟანგით. აქვს მრგვალი რკალი და რომბისებრი ფარაკი. დმ—2,2 სმ, ფარაკის სიგანე—1,8 სმ.

მონეტა სპილენძისა (№ 539). არათანაბრად მრგვალი, ნაპირჩამოტეხილი, საქართველოს მეფე კონსტანტინე II-ისა. დმ 1,3 სმ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ-აღმ. კუთხეში, სახურავიდან 0.92 მ სიღრმეზე. ეს, XV სმ. მონეტა აღნიშნული სამარხის ერთ-ერთი ყველაზე ზედა ფენის კუთვნილება უნდა იყოს, ან არა და სამარხის აღმ. ნაწილში ძვლებისა და მიწის შეზვინვის დროს უნდა იყოს იქ მოხვედრილი. მაინცდამაინც, აშკარაა, რომ მე-11 სამარხი გვიანფეოდალური ხანის დასაწყისში კვლავ გამოყენებული ყოფილა. ბუნებრივია მთელი ის მასალა, რაც სამარხის უფრო ქვედა ფენებმა მოგვცა, უფრო ადრინდელია.

მე-11 სამარხის მომდევნო ფენაში სამარხის სახურავიდან 1,0 მ სიღრმეზე თავი იჩინა ჩონჩხების ახალმა ჯგუფმა, რომელსაც ეჭირა სამარხის უფრო აღმოსავლეთი ნაწილი. ხუთი ერთიმეორის გვერდით ჩალაგებული ჩონჩხის აღებისას სამარხში კიდევ შემდეგი ნივთები იქნა მოპოვებული:

ბეჭედი ბრინჯაოსი (№ 72 ტაბ. XXI, 3), გატეხილია, ჰქონია წვრილი რკალი და ოდნავ შესამჩნევი ფარაკი, სიგრძით 0,5 სმ.

საყურე ბრინჯაოსი (№ 73, სურ. 18). აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში, 1,10 მ სიღრმეზე. რკალი წვრილი და მრგვალი აქვს (დმ—1.5 სმ). ზედ მირჩილულია პატარა რგოლი.

ზარაკი ბრინჯაოსი (№ 74). აღმოჩნდა იქვე. ყუნწიც და კონუსური ტანიც ერთდროულადაა ჩამოსხმული. აკლია ენა. სიგრძე—2 სმ, ფუძის დმ—1.5 სმ. (ტაბ. XX, 2).

ბეჭედი ბრინჯაოსი (№ 75, სურ. 15). აღმოჩნდა სამარხის ჩრდილ. კედელთან, 1,08 მ სიღრმეზე. გამოჭედილია ძალზე თხელი ფირფიტისაგან. წვრილი რკალი მხრებში ოდნავ განიერდება და გადადის ოვალურ ფარაკში. რკალის დმ—2 სმ, ფარაკის სიგანე—0,8 მ.

ორი ღილი ბრინჯაოსი (№ 76). აღმოჩნდა წინ განხილული ბეჭდის სიახლოვეს. ორივე მრგვალია, ფუყე, მრგვალი ყუნწითა და მოპირდაპირე მხარეს პატარა შვეირლით. მოზრდილის დმ—1 ,1 სმ (ტაბ. XX, 2).

ლურსმანი რკინისა (№ 77) პატარა. სოკოსებრი თავიანი. სიგრძე—2.5 სმ თავის დმ—1,5 სმ (ტაბ. XXI, 1).

ბეჭედი რკინისა (№ 78) რკალმოტეხილი. ბრტყელფარაკიანი. აღმოჩნდა 1.05 მ სიღრმეზე, სამარხის შუა ნაწილში.

რკინის სამაჯურის ნატეხები (№ 79—80). 3 ეკუთვნის ბრტყელრკალიან, თავშეკრულ სამაჯურს (დმ. 6 სმ), დანარჩენი 15 კი ოვალურად მორკალულ თავგახსნილ სამაჯურებს (ალბათ ხუთს).

რკინის ღერო გაურკვეველი დანიშნულებისა (№ 81).

მძივები მინისა (№ 82), 14 ცალი, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობისა. აღმოჩნდა 1,05—1,15 მ სიღრმეზე. მათ შორის საყურადღებოა ცისფერი და ცისფერი წერტილებით ინკრუსტაციაქმნილი მძივები.

მინის საგანი (№ 83) სამკუთხა მოყვანილობისა, ყურიანი.

ძ ი ნ ი ს ჭ უ რ ჭ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი (№ 85 და 86; ტაბ. XXXII), ორზე ყელ-ყურის ნაწილებია შემორჩენილი. ყელზე, რომლის სიგრძე უდრის 4 სმ, აქვს შვეული ზოლები, რომლებიც ქვემოთკენ თანდათანობით იშლებიან.

ჭ უ რ ჭ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი, თ ი ხ ი ს (№ 87). სამივე სხვადასხვა მოყვანილობის. სამზარეულო ჭურჭლისა უნდა იყოს.

აღნიშნული ფენის აღების შემდეგ, თითქმის უშუალოდ მის ქვეშ, სულ რაღაც 3—8 სმ სისქე მიწის აღებისთანავე, სამარხის სახურავიდან 1,3 მ სიმაღლეზე თავი იჩინა დაკრძალულთა კიდევ ერთმა ჯგუფმა (ტაბ. XIX, 2), სადაც ჩონჩხები ერთიმეორის გვერდით, საკმაოდ მჭიდროდ იყვნენ ჩალაგებული (6 თუ 7 თავის ქალა). სამარხის ეს მესამე ფენა ყველაზე მძლავრი გამოდგა და, გარდა ძვლებისა, 1,2—1,5 მ სიღრმეზე აღმოჩნდა საკმაოდ საყურადღებო ნივთებიც, რომლებიც № 11 სამარხისათვის ყველაზე უფრო არქაულია.

1 3 ნ ა ტ ე ხ ი რ კ ი ნ ი ს ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი ს ა (№ 88). რკალი ყველას ბრტყელი აქვს. (ტაბ. XXI, 1).

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ო რ ი ს ა მ ა ჯ უ რ ი ს 11 ნ ა ტ ე ხ ი (№ 89). რკალი ორივეს ღრუ აქვს. ღეროს დმ—0,5 სმ. აღმოჩნდა სამხრ-დას. კუთხეში, 1,25 მ სიღრმეზე (ტაბ. XXI, 2).

ღ ი ლ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 90) ბურთულა, ფუყე, ყუნწიანი (დმ — 0.8 სმ). იყო სამარხის დასავლ. ნაწილში, 1,3 მ სიღრმეზე.

ჯ ვ ა რ ი ვ ე რ ც ხ ლ ი ს, გ უ ლ ს ა კ ი დ ი (№ 94; ტაბ. XXXIV, 2). აღმოჩნდა სამხრეთით მდებარე ჩონჩხთან, 1,2 მ სიღრმეზე. ტოლმკლავებაა. აქვს ყუნწი და ჩამოსაკიდი რგოლი, მკლავები მომრგვალებულია და თითოეული მათგანი ბურცობითაა შემკული. სიგრძე (ყუნწიანად) უდრის 5,2 სმ, ყოველი მკლავის სიგრძე—2,5 სმ, ჩამოსაკიდი რგოლის დმ—0.8 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი მ ი ნ ი ს ა (№ 91; ტაბ. XXXIII), ორად გატეხილი; ეკეთა „მესამე ფენის“ ერთ-ერთ მიცვალებულს მარჯვენა მაჯაზე (ტაბ. XIX, 3). აღმოჩნდა სამარხის პირიდან 1,20 მ სიღრმეზე. მინა მუქი ლურჯია, განივი კვეთი ოდნავ დაკუთხული აქვს, დმ—8,6 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი მ ი ნ ი ს ა (№ 92, ტაბ. XXXIII), გრეხილი, მომწვანო, გამქვირვალე. თავების გადაბმის ადგილას, დაბრტყელებაზე რამდენიმე გარდიგარდმო ნაჭდევი აქვს. ეკეთა იმავე მიცვალებულს მარცხენა ხელზე. სამაჯურის დმ— 9,3 სმ, რკალის სიმსხო—0,5 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი მ ი ნ ი ს ა (№ 93, ტაბ. XXXIII). თაფლისფერი, გამქვირვალე, გრეხილი. თავების შეერთების ადგილი დაბრტყელებული აქვს. აღმოჩნდა ძვლებს შორის 1.31 მ სიღრმეზე. დმ—7,5 სმ, სიმსხო—0,7 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი მ ი ნ ი ს ა (№ 103; ტაბ. XX, 4), თაფლისფერი, მსხვილად გრეხილი. დმ 8,8 სმ. აღმოჩნდა სამარხის შუაში, 1,35 მ სიღრმეზე.

ს ა მ ა ჯ უ რ ი მ ი ნ ი ს ა (№ 104, ტაბ. XX, 7), თეთრად ირიზებული მრგვალკალიანი, ოდნავ ასიმეტრიული, დმ—5,5 სმ. მაჯაზე ეკეთა სამარხის ჩრდილო კედელთან მდებარე, „მესამე ფენის“ ყველაზე ქვედა მიცვალებულს (სიღრმე—1.45 მ).

ხ უ თ ი მ ძ ი ვ ი მ ი ნ ი ს ა (№ 102). ორი ცისფერია (ტაბ. XX, 2).

ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ს ა მ ი ნ ა ტ ე ხ ი, რკინისა (№ 101).

ღ ი ლ ი ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 95) ყუნწიანი, ბურთულა. ფუყე, აღმოჩნდა სამარხის შუა ნაწილში, 1,4 მ სიღრმეზე (ტაბ. XX, 2).

ოთხი ბეჭედი ბრინჯაოსი (№ 96). ერთი მთელია. აქვს წვრილი, ბრტყელი რკალი და ოდნავ გაგანიერებული ფარაკი, რომლის შუაში წერტილია ამოჭდეული, დანარჩენი ოთხი ნატეხი იმავე ტიპის სამი ბეჭდისაა. მთელი ბეჭდის დმ—2 სმ-ია. ბეჭდები აღმოჩნდა „მესამე ფენის“ ძვლებს შორის 1,40—1,45 მ სიღრმეზე (ტაბ XXI, 3).

ორი ბეჭედი ბრინჯაოსი (№ 99, სურ. 15), მთელი, წინ განხიელულის ტიპისა. ამათაც წერტილები აქვთ ამოჭდეული ვიწრო ფარაკზე.

ნატეხები ბრინჯაოს სამაჯურისა (№ 97), ღრუ რკალიანი, სადა. აღმოჩნდა სამარხის შუა ნაწილში, ჩრდილო კედლის სიახლოვეს, 1,42 მ სიღრმეზე.

საყურე ბრინჯაოსი (№ 98), სპირალური, სადა, დმ—1,8 სმ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. ნაპირთან. თავის ქალას ქვეშ, 1,45 მ სიღრმეზე (სურ. 18).

ღილის ნატეხი, ვერცხლის (№ 100), ფუყე, ღილი ძალზე თხელი ფურცლისაგანაა გაკეთებული.

ჰურჭელი თიხისა (№ 105, ტაბ. XXI) გამომწვარია შოწითალოდ, თხელია და ცალყურა. ყურის რკალი პირის დონეზე მაღლაა აწეული და ზედვეა მიძერწილი. აქვს საკმაოდ მაღალი ყელი, მრგვალი ტანი და მცირეძუსლიანი ძირი. გარიდან მოხატულია შავი საღებავით (წრეები და ზოლები). აღმოჩნდა 1,45 მ სიღრმეზე. სიმაღლე — 8,1 სმ, ძირის დმ — 4,5 სმ, ჭუსლის სიმაღლე — 0,4 სმ, ყელის სიმაღლე — 2,3 სმ, პირის დმ — 4,8 სმ, ყურის სიმაღლე — 6 სმ.

ე. წ. III ფენის აღების შემდეგ 1,5 მ სიღრმეზე თითქოს სამარხის იატაკი უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ კედლების „საძირკველის“ დონეზე ოდნავ ღრმად, ჩრდილო კედლის სიახლოვეს, სამარხის შუა ნაწილში კიდევ აღმოჩნდა ერთი ჩონჩხი (ტაბ. XX, 1), რომელიც ან მანამდე არსებული სხვა სამარხისა უნდა ყოფილიყო, ან კიდევ მე-11 სამარხის ყველაზე უფრო ძველი მიცვალებულისა. მას არავითარი ნივთი არ ხლებია თან.

მე-11 სამარხის სამივე ფენაში სულ 34 თავის ქალა აღირიცხა. ყველაზე ქვედა ფენა (სამარხის თავდაპირველი მშენებლობის დროინდელი) არქეოლოგიური მონაპოვრის მიხედვით, შუაფეოდალურ ხანას ეკუთვნის.

**სამარხი № 16** დასავლეთი ბოლოთი მიდგმული იყო ბაზილიკის აბსიდის ცოკოლზე (იხ. გეგმა). აეგოთ ქვიშაქვის დიდრონი, საკმაოდ უსახური ფილებისაგან. საყურადღებოა, რომ ამ სამარხის მშენებელს „მომჭირნეობა“ გაუწევია და სამარხის დასავლეთ კედლად ეკლესიის აბსიდის საძირკველი გამოუყენებია. ინვენტარის სიღარიბე და ნაშენობის დაუდევრობა ამ სამარხს აშკარად განასხვავებს შირიმის ფილებით კარგად ნაგები სამარხებისაგან (ტაბ. XXII, 1).

სამარხის გარეგანი სიგრძე უდრიდა 2,28 მ, სიგანე—0,91, მ, გვერდის სიმაღლე—0,74 მ. აღმოჩნდა საკმაოდ არეული და დამტვრეული ძვლები, რომელთა შორის 7 თავის ქალა აღირიცხა. ინვენტარი ძირითადად, სამარხის ქვედა ნახევარში იქნა მოპოვებული, თუმცა თითო-ოროლა ნივთი ზედა ფენებშიც იყო გაბნეული.

ღილები ბრინჯაოსი (№ 117). ერთი მთელია, მეორე—სამად გატეხილი; მთელი ღილი ფუყეა, ბურთულა, მოგრძო ყუნწიანი. მისი დიამეტრი — 0,8 სმ-ია, სიგრძე—1,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის ზედა ნახევარში.

წ ყ ვ ი ლ ი  ს ა მ ა ჯ უ რ ი  ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 116). რკალი შიგნიდან ბრტყელია, ზემოდან კი — წიბოიანი ე. ი. სამაჯურს განივკვეთი სამკუთხა აქვს. ორივე ოვალური და თავგახსნილია. მოზრდილის დმ — 5,7 სმ-ია. მსგავსი სამაჯურისაა კიდევ ერთი ნატეხიც (№ 118).

ს ა მ ა ჯ უ რ ი ს  ვ ნ ა ტ ე ხ ი  რ კ ი ნ ი ს ა (№ 119). ღერო ბრტყელი. სიგანე 0,7 სმ.

ო რ ი  ბ უ რ თ უ ლ ა  ვ ე რ ც ხ ლ ი ს ა (№ 120). შესაძლებელია საყურეებისა იყოს. ორივე ფუყეა და შედგება ორ-ორი ნაწილისაგან. ერთი ბურთულა ყუნწიანია. დიდი ბურთულის სიგრძე ყუნწიანად უდრის 3 სმ-ს. აღმოჩნდა სამარხის ქვედა ნახევარში.

რ კ ი ნ ი ს  ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი ს  29  ნ ა ტ ე ხ ი (№ 121), ბრტყელღეროიანები. აღმოჩნდა სამარხის ქვედა ნახევარში.

ს ა ყ უ რ ე  ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 122, სურ. 18) წარმოადგენს ბრინჯაოს ყუნწიან ღეროს, ბოლოზე მარჯნის დუბლირებული ორი მძივით. საყურის სიგრძე—2 სმ, სიგანე თვლებიანად—1,5 სმ.

ბ უ რ თ უ ლ ა  ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 123) ფუყე და მრგვალი, დმ — 0,6 სმ, აღმოჩნდა სამარხის ქვედა ფენაში.

მ ძ ი ვ ე ბ ი  მ ი ნ ი ს ა (№ 124), 13 ცალი. ერთი მოზრდილია და ცისფერი. დანარჩენები წვრილი, ცისფერი და მოყვითალო.

ს ა მ ა ჯ უ რ ი  მ ი ნ ი ს ა (№ 125;) მწვანე, გამჭვირვალე, გრეხილი; დმ — 9.3 სმ.

ს ა ს მ ი ს ი ს  ნ ა ტ ე ხ ე ბ ი  მ ი ნ ი ს ა (№ 126), მწვანე, მათ შორის არის მრგვალი (დმ—5,5 სმ), ქვევიდან შეზნექილი ქუსლი. სასმისის კედლები შემკული ყოფილა ყავისფერი კოპებით და პარალელურ ხვეებად განლაგებული ძაფებით. ერთ ნატეხზე ყურის ნაშთია. აღმოჩნდა სამარხის შუა და ქვედა ფენებში. (ტაბ. XXXII).

ხ ე ლ ა დ ა თ ი ხ ი ს ა (№ 127, ტაბ. XXVIII, 3, და XXX) გამომწვარია მოწითალო ჩალისფრად. აქვს გამობერილი მუცელი, დაბალი ყელი და ბრტყელი ყური, მოხატულია შავი საღებავით. სიმაღლე — 14,5 სმ, ძირის დმ — 6,2 სმ, პირის დმ—6,2 სმ. აღმოჩნდა სამარხის სამხრ.-აღმ. კუთხესთან, 0,4 მ, სიღრმეზე.

**სამარხი № 25** მდებარეობდა აღმოსავლეთ უბნის ჩრდილო განაპირას, აკლდამის დასავლეთი კედლის ჩრდილო კუთხესა და № 24 სამარხს შორის (ტაბ. XXII, სურ. 3). დაუდევრად იყო ნაშენები და ეტყობოდა მრავალგზის გადაკეთების კვალი. სახურავის ქვები მთლად არეული ჩანდა, ხოლო კედლები სხვადასხვანაირი ქვებით იყო ნაგები. სამარხში აღმოჩნდა სხვა და სხვა დროს დაკრძალულთა 5 თავის ქალა და შემდეგი ნივთები:

ს ა მ ა ჯ უ რ ი  ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 174) 5 ნატეხის სახით. ღრუ რკალიანი.

ო რ ი  მ ძ ი ვ ი  მ ი ნ ი ს ა (№ 175). ცისფერი, ცილინდრული და მწვანე, მრგვალი.

ს ა მ ა ჯ უ რ ი  ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 176), თავგახსნილი, ბრტყელრკალიანი, დაბრეცილი. ღეროს სიგანე—0,5 სმ.

ს ა მ ა ჯ უ რ ი ს  ნ ა ტ ე ხ ე ბ ი  მ ი ნ ი ს ა (№ 177), მუქი ლურჯი, გრეხილი: დმ—7 სმ.

**დასავლეთი უბანი** მდებარეობდა ეკლესიის დასავლეთი კედლის ძირობაზე და უფრო ფართო იყო, ვიდრე აღმოსავლეთისა; მაგრამ ამ მხარეზე სამარხები აღნაგობითა და ინვენტარით რამდენადმე უფრო ღარიბი ჩანდა. ამასთანავე, ამ უბანზე ძალიან ბევრი იყო გვიანფეოდალური ხანის სამარხები, ხოლო შუაფეოდალური ხანის თითქმის ყველა სამარხი ან გახსნილ-გასინჯული, ან უფრო გვიან ხელმეორედ გამოყენებული იყო. ისევე როგორც წინა უბნის მასალების განხილვისას, აქაც მხოლოდ იმ სამარხებს აღვწერთ, რომლებსაც სამაროვნის საერთო დახასიათებისათვის მეტი მნიშვნელობა აქვთ.

**სამარხი № 5** წარმოადგენდა უხეშად დაშუშავებული შირიმის ფილებით ნაგებ სამარხს, რომლის სამ ნაწილედ სახურავზე მხოლოდ შუათანა, ვიწრო ქვა იყო შირიმისა (ალბათ სხვა, უფრო ძველი სამარხიდან აღებული). სახურავი მიწის ზედაპირიდან 1,10 მ სიღრმეზე იყო. (ტაბ. XXIII, 1). მისი სიგრძე უდრიდა 2,5 მ, სიგანე—1,35 მ. სამარხის შიდა სიგრძე—2 მ, სიგანე—0,6 მ, სიღრმე—0,7 მ, კედლის ქვის სისქე—0,11 მ. სამარხის ზედა ფენა შეიცავდა სამ დაზიანებულ ჩონჩხს, ხოლო ქვეშ, არეულ ძვლებსა და მიწას შორის კიდევ 5 თავის ქალა აღმოჩნდა. სამარხში იპოვეს შემდეგი ნივთები:

ბეჭედი ბრინჯაოსი (№ 262, სურ. 16) ბრტყელრკალიანი, მრგვალი, ნაპირებდაკეჭნილი, დმ—1,8 სმ.

თიხის ჭურჭლის ორი ნატეხი (№ 263). ერთი მწვანედ მოჭიქული ჯამისაა, მეორე—ორმხრივ მწვანედ მოჭიქული ქალისა.

**სამარხი №12** წარმოადგენდა დასავლეთი უბნის ყველაზე უფრო საყურადღებო და ინვენტარით მდიდარს, რომელიც აღნაგობითა და შინაარსით შეესაბამება აღმოსავლეთ უბნის მე-9 და მე-11 სამარხებს. მდებარეობდა დასავლეთი უბნის დაახლოებით შუა ნაწილში. კედლები ნაგები იყო შირიმის მეტ-ნაკლები სიდიდის ფილებით. წყობაში, რომელიც ორი და ზოგან სამი მწკრივისაგან შედგებოდა, გამოყენებული იყო დუღაბი. სახურავი, აგრეთვე შირიმის დიდრონი ფილებისგან შედგენილი, უკვე დაზიანებული დაგვხვდა (ტაბ. XXIII, 3). საყურადღებოა, რომ მე-12 სამარხის სახურავზე მოგვიანებით დაუკრძალავთ ორი მიცვალებული. ამასთანავე № 15 სამარხის დასავლეთი კედელი ამ სამარხის აღმოსავლეთ კედელზე იყო დაშენებული. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სამარხის კედლების ქვედა ნაწილში უფრო დიდრონი ფილები იყო გამოყენებული, ვიდრე ზემოთ. სამარხის შიდა სიგრძე—1,97 მ, სიგანე—0,85 მ, სიღრმე—1,30 მ. სამარხში ბლომად იყო არეული ძვლები, რომელთა უდიდესი ნაწილი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იყო მიხვეტილი. აქ, და საერთოდ ზედა ფენაში, აღირიცხა 9 თავის ქალა, ხოლო უფრო ღრმად (სამარხის ქვედა ფენებში)—კიდევ 11. რადგან ვერ მოხერხდა ცალკეულ ჩონჩხთა პრეპარაცია თავთავისი თანმხლები ინვენტარითურთ, სამარხში ნაპოვნ საგნებს აღვწერთ სამარხის პირიდან ათვლილი სიღრმის მიხედვით, თანმიმდევრობით ზემოდან ქვემოთ.

ღილი ბრინჯაოსი (№ 298), ბურთულა, ფუყე. შუაზე წიბოიანი: დმ — 0,5 სმ. აღმოჩნდა სამარხის შუა ნაწილში, ჩრდილო კედლის სიახლოვეს (ტაბ. XXIV, 4).

რგოლი ბრინჯაოსი (№ 288), წვრილი, რკალის ბოლოები ერთი-მეორეზეა გადასული.

საყურე ბრინჯაოსი (№ 289). წარმოადგენს მრგვალკვეთიან რგოლს, რომელზედაც ყუნწია მირჩილული. დმ—2 სმ (სურ. 18).

რგოლი ბრინჯაოსი (№ 290) სპირალურად მორკალული (ორ ხვიად). მრგვალკვეთიანი. დმ—1,4 სმ (სურ. 18).

ღილები თუ მძივები ბრინჯაოსი (№ 291) სამი ცალი, ბურთულა, ყუნწიანი, მასიური. ერთს ყუნწის მოპიდდაპირე მხარეს კუწუბო აქვს. დმ—0,6—0,7 სმ (ტაბ. XXIV, 4).

საყურის ნაწილი, ბრინჯაოსი (№ 292). წარმოადგენს ყუნწიან ღეროს, რომელსაც ბოლოში მიმაგრებული აქვს მარჯნის ორი მძივი. სიგრძე — 1,8 სმ; სიგანე—1,6 სმ (სურ. 18).

მძივი მინისა (№ 293) ცილინდრული, გლუვი, ცისფერი, დმ—1 სმ.

ზემოთ ჩამოთვლილი ნივთები (№ 88—93) აღმოჩნდა ერთად, სამარხის აღმ. ნაწილში, 064 მ სიღრმეზე და სავარაუდოა, რომ მათი სახით ხელი გვაქვს კომპლექსი, რომელიც სამარხში ერთდროულადაა მოხვედრილი. უფრო ღრმა ფენამ მოგვცა შემდეგი ნივთები:

საყურე ბრინჯაოსი (№ 299), მრგვალკვეთიანი, ყუნწიანი რგოლი. დმ—2 სმ. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში, 0,8—0,9 მ სიღრმეზე. (სურ. 18).

იმავე ნივთის სიახლოვეს, იმავე დონეზე იყო აგრეთვე:

რგოლი ბრინჯაოსი (№ 300). შესაძლებელია სასაფეთქლე, სპირალური; დმ—1,8—2 სმ.

სამაჯურის ორი ნატეხი რკინისა (№ 301).

თიხის ჯამის ნატეხი (№ 302). კეცი გამომწვარია მოწითალოდ, დაფარულია ცისფერი ჰიქურით.

სასმისი თიხისა (№ 303) მოჩალისფროდ გამომწვარი. აქვს ბრტყელი ქუსლი, შებრტყელებული მუცელი, ოდნავ მაღალი ყელი და ტალღოვანი პირი. ყური მუცელზე და პირზე ჰქონია მიძერწილი, პირის ირგვლივ შავი საღებავით გამოყვანილი ხაზი შემოუყვება. სიმაღლე—9,5 სმ. ქუსლის დმ—4,6 სმ, მუცლის დმ—7 სმ (ტაბ. XXIX 2).

რგოლი ბრინჯაოსი (№ 279) წვრილრკალიანი, სპირალური, დმ—1,8 სმ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდ-აღმ. ნაწილში, 0,90—0,95 მეტრის სიღრმეზე. იქვე იყო:

სამაჯური რკინისა (№ 280) ოვალურად მორკალული, თავგახსნილი, ორად გატეხილი.

სამაჯური მინისა (№ 281) მწვანე, გამჭვირვალე, გრეხილი. ღეროს შიგნით, აქა-იქ შეიმჩნევა მოწითალო ლაქები. დმ—4,5 სმ, ღეროს დმ—0,5 სმ (ტაბ. XXIV, 2, ქვედა).

მძივი მინისა (№ 282) ცისფერი, მრგვალი; მოგვაგონებს გაფცქვნილ მანდარინს. დმ—0,7 სმ (ტაბ. XXIV, 5).

მძივი სარდიონისა (№ 297) ცილინდრული, მოწითალო. დმ—1 სმ. აღმოჩნდა სამარხის აღმ. ნაწილში, 1 მ სიღრმეზე. (ტაბ. XXIV, 5).

ოთხბეჭედი ბრინჯაოსი (№ 286). სამი რკალმოტეხილია, მეოთხე—მთელი, ოთხივე ერთი ტიპისაა: აქვთ წვრილი რკალი და ოდნავ დაბრტყელებული მხრები, ხოლო ზედ მცირე შვერილები. ამ შვერილებს შორის მოქცეულია ვიწრო და პატარა ფარაკები, რომლებზედაც შუაში წრეხაზებია ნაჭდევი. დმ—2,1 სმ, ფარაკის დმ—0,5 სმ, აღმოჩნდა სამარხის ჩრდ. ნაწილში 1,05 მ სიღრმეზე. (ტაბ. XXIV, 6. მარჯვნივ).

რკინის სამაჯურების 10 ნატეხი (№ 287). ბრტყელღეროიანები. აღმოჩნდა 1,05 მ სიღრმეზე.

ბეჭედი ბრინჯაოსი (№ 275), რკალი წვრილი აქვს და ოდნავ გაგანიერებული, მოგრძო ფარაკი შუაში ჩაჩხვლეტილი. დმ—2 სმ. აღმოჩნდა 1.13 მეტრის სიღრმეზე (სურ. 15).

რკინის სამაჯურის 8 ნატეხი (№ 276).

ბეჭედი ბრინჯაოსი (№ 277) წვრილრკალიანი. მხრებზე აქვს თითო მცირე შვერილი. ბრტყელი ოვალური; ფარაკის შუაში წერტილიანი წრეხაზია ნაჭდევი. დმ—2 სმ, ფარაკის სიგანე—0,8 სმ. აღმოჩნდა სამარხის შუა ნაწილში, 1,15 მ სიღრმეზე (სურ. 15).

რკინის სამაჯურის 4 ნატეხი (№ 278) ბრტყელი.

ღილი ბრინჯაოსი (№ 294) ბურთულა, შიგნიდან ფუყე. აქვს პატარა ყუნწი და მოპირდაპირე მხარეს—კუწობო. დმ—1,3 სმ. აღმოჩნდა სამარხის დასავლ. ნაწილში, 1,2 მეტრ სიღრმეზე.

ორი ბეჭედი ბრინჯაოსი (№ 283) იმავე ტიპისა, რაც № 277. ერთი მთელია. აღმოჩნდა სამარხის შუა ნაწილში 1.17 მ სიღრმეზე. (ტაბ. XXIV, 6).

სამაჯური ბრინჯაოსი (№ 284) რკალი ოვალური აქვს, ბრტყელი, თავგახსნილი; დმ—5,8×4,8 სმ (ტაბ. XXIV, 3).

რგოლი ბრინჯაოსი (№ 285). წვრილი რკალის ბოლოები ერთიმეორეზე გადადის. დმ—1.5 სმ. აღმოჩნდა თავის ქალების გროვის ქვეშ, 1,2 მ სიღრმეზე.

ბრინჯაოს სამაჯურების 23 ნატეხი (№ 70). ყველა ღრუ დასადაა. ერთის დმ—5,4 სმ-ია. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში, 1,15—1,20 მ სიღრმეზე.

წვრილი რგოლის ნატეხები ბრინჯაოსი (№ 271).

რკინის სამაჯურის 4 ნატეხი (№ 272). აღმოჩნდა სამხრეთ კედელთან, 1,20 მ სიღრმეზე.

სამაჯური მინისა (№ 273), მუქი შავი, გლუვი, შეერთების ადგილას დაბრტყელებული; დმ—6,3 სმ. ღეროს სიმსხო—0,5 სმ (ტაბ. XXIV, 2, ზედა).

მინის სამაჯურის 12 ნატეხი (№ 274) წინ განხილულის ტიპისა. აღმოჩნდა სამხრეთ კედელთან, 1.2 მ სიღრმეზე.

ბეჭედი ბრინჯაოსი (№ 295) წვრილრკალიანი, ვიწროფარაკიანი, შუაში ჩაჩხვლეტილი. აღმოჩნდა სამარხის დასავლეთ ნაწილში, 1,25 მ სიღრმეზე.

ორი ნატეხი რკინის სამაჯურისა (№ 296).

საყურადღებოა, რომ სამარხის ძირზედაც კი ვერ მივაკვლიეთ ვერც ერთ ხელუხლებელ ჩონჩხს.

**სამარხი № 29 ა** მდებარეობდა № 39 სამარხს შიგნით, მისი იატაკის დონეზე. სახურავის ქვები გადაცლილი ჰქონდა, ეტყობა, № 29 სამარხის შენების დროს, ამასთანავე როგორც სურათიდან ჩანს (ტაბ. XXV, 1), №29ა სამარხი უფრო პატარა ყოფილა და მასზე დაშენებული № 29 სამარხის იატა-

კის მხოლოდ ნაწილს მოიცავდა. სიგრძე — 1.88 მ, სიგანე — 0.70 მ, სიღრმე — 1,40 მ. კედლების სისქე — 8 - 9 სმ, სამარხი კოლექტიური იყო, თუმცა ძვლები და მიწა ისე იყო არეული, რომ არ მოხერხდა არც ერთი ჩონჩხის პრეპარაცია. შიგ აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

ბეჭედი ბრინჯაოსი (№ 338) ვიწროორკალიანი, ვიწრო ფარაკი შუაში ჩაჩხვლეტილია.

რკალი სპილენძისა (№ 339), წვრილი, დაბრეცილი.

მძივი ბრინჯაოსი (№ 340) ბრტყელყუნწიანი და ძალზე წვრილნახვრეტიანი, ფუძის დმ —0,5 სმ.

მძივსაკიდი და მძივი ძვლისა (№ 341). მძივსაკიდი მრგვალია. ბრტყელი ყუნწით. სიგრძე—1,5 სმ, ბურთულის დმ—0.9 სმ (სურ. 18).

რკინის სამაჯურის ხუთი ნატეხი (№ 342).

მინის სამაჯურის 7 ნატეხი (№ 343). მუქი ლურჯი, გრეხილი.

ობსიდიანის ნატეხი (№ 344).

ღილი მინისა (№ 345), არათანაბრივ მრგვალი, ბრტყელფუძიანი, ორნახვრეტიანი.

მძივები მინისა (№ 346), 32 ცალი, მრგვალი. 21 ზედაპირდაღარულია. უმეტესობა შავია, ურევია ცისფერიც.

„კაური" (ნიქარა) 2 ც. (№ 347), საკიდებად გამოყენებული, თითო ნახვრეტიანი. უნდა წარმოადგენდეს ჩვენში ფართოდ გავრცელებულ ავგაროზებს.

**სამარხი № 30** მდებარეობდა აღმოსავლეთი უბნის ჩრდილო განაპირას. წარმოადგენდა მეტად უსახურ ქვისსამარხს, რომლის კედლებიც სხვადასხვა ზომის, თითქმის დაუმუშავებელი ბრტყელი ლოდებით იყო ამოშენებული (ტაბ. XXV, 2). სახურავის სიგრძე—2,25 მ, სიგანე—1 მ, სამარხის შიდა სიგრძე—1,80 მ, სიგანე—0,75 მ, სიღრმე—1 მ. მასში არეულ ძვლებთან ერთად აღმოჩნდა:

ბრინჯაოს სამაჯურების 15 ნატეხი (№ 348). სამი სხვადასხვა სამაჯურისა უნდა იყოს, ყველა ფუყეა.

ხვია ბრინჯაოსი (№ 349) ჰგავს სასაფეთქლე რგოლს. დმ—1,9 სმ.

სამაჯური რკინისა (№ 350), თავგახსნილი, ოვალურად მორკალული.

ნატეხები რკინის ბეჭდისა (№ 351). ერთზე შემორჩენილია ფარაკი, რომელზედაც მირჩილულია ვერცხლის ელიფსური ფირფიტა, ფირფიტაზე ამოკაწრულია ჩარჩოში ჩასმული ქართული მხედრული ასო (ს).

როგორც მონაპოვრის განხილვამ დაგვარწმუნა, დასავლეთ უბანზე დაკრძალულთა ქონებრივი მდგომარეობა რამდენადმე უარესი უნდა იყოს ეკლესიის აღმოსავლეთით დაკრძალულთაგან. ალბათ ეს იქნებ იმითაც იყოს გამოწვეული, რომ ეკლესიის დასავლეთით მდებარე სასაფლაოს ნაკვეთი შედარებით დაბალ სოციალურ ფენას ჰქონდა მიჩენილი. ამასთანავე დასავლეთი უბნის იმ მონაკვეთმა, რომლის შესწავლაც გვხვდა წილად, უფრო მეტი გვიანფეოდალური ხანის სამარხები მოგვცა, ვიდრე აღმოსავლეთის უბანმა.

*
* *

სამხრეთი უბანი. მას სხვებთან შედარებით ძალზე მცირე ფართობი ეკავა. ფაქტიურად ეს იყო ვიწრო, ორმეტრიანი ზოლი, რომელიც ეკლესიის სამხრეთით

მინაშენის კედლის ძირას, მის მთელ სიგრძეზე გადარჩენოდათ წყალსაცავის მშენებლებს[7]. მიუხედავად ამისა, მაინც მივაკვლიეთ და შევისწავლეთ ორმწკრივად განლაგებული 15 სამარხი (იხ. გეგმა), რომლებმაც უაღრესად საყურადღებო მასალები შეგვძინეს—როგორც სამარხთა აღნაგობის და თავისებურების, ისე სამარხეული კომპლექსიის შესწავლის თვალსაზრისით. სამხრეთ უბანზე გათხრილთა შორის სხვებზე უფრო საყურადღებო იყო:

**სამარხი № 3** (ტაბ. XXVI, 1). იგი მდებარეობდა ეკლესიის სამხ-დას. კუთხესთან. პრეპარაციამ ცხადყო, რომ სამარხს თავდაპირველი სახე აღარ ჰქონდა შემორჩენილი და იგი საფუძვლიანად იყო გადაკეთებული. თავდაპირველად იგი, ჩანს, წარმოადგენდა კარგად დამუშავებული შირიმის ნარიმანდებიანი ფილებით ნაგებ სამარხს, რომელსაც ალბათ შირიმისავე სახურავი ედგა მჭიდროდ. სამარხი გადაუკეთებიათ (თუ მასში მოპოვებული ნივთების მიხედვით ვიმსჯელებთ) შუაფეოდალურ ხანაშივე. კერძოდ, გადაკეთების დროს სამხრეთი კედელი გარეთ გაუწევიათ, ხოლო ნარიმანდებიან კუთხეებში დარჩენილი სიცარიელე ჩვეულებრივი ქვებით ამოუჭოლავთ. გარდა ამისა, სამარხისთვის მიუმატებიათ სიმაღლეც (შედარებით წვრილი ქვებისა და დუღაბის გამოყენებით). ეტყობა, ამ გადაკეთებას შეეწირა ადრინდელი ინვენტარიც. სამარხის სიგრძე გარედან—2,7 მ, სიგანე აღმ. თავში—0,78 მ, სიგანე დასავლეთ თავში — 1,27 მ; შიდა სიგრძე — 2,06 მ, შიდა სიგანე აღმ. თავში—0,58 მ, დასავლეთ თავში—0,84 მ, სიღრმე—0,80 მ. სამარხის თავდაპირველი შინაგანი სიგრძე უნდა ყოფილიყო 2,06 მ, სიგანე—0,50 მ, სიმაღლე—0,58 მ. სამარხში ძვლები ერთიანად არეული იყო და თან სახურავის ქვებიც შიგ ეყარა.

ნაპოვნი ნივთებიდან საყურადღებოა:

ღილი ბრინჯაოსი (№ 398). მრგვალი, ფუყე, ოვალურ-ყუნწიანი და მის მოპირდაპირე მხარეს—კუნწუბოიანი. დმ—0,9 სმ.

სამი ნატეხი რკინის სამაჯურისა (№ 399).

მძივები მინისა და ერთიც ავგაროზი—ნიქარა (№ 400). მძივი ოთხია, მეტ-ნაკლები სიდიდისა, ცისფერი.

ჩამოთვლილი ნივთები აღმოჩნდა სამარხის შედარებით ზედა ფენებში, უშუალოდ ჩაქცეული თავსახურის ქვეშ, ხოლო ამ უკანასკნელს ზემოდან მდებარე უინვენტარო ჩონჩხის ნაშთები ჩანს გვიანფეოდალურ ხანას ეკუთვნოდა.

უფრო ღრმად, თითქმის სამარხის ძირობაზე, აღმოჩნდა:

რკინის სამაჯურის 7 ნატეხი (№ 395).

ლურსმანი რკინისა (№ 396) სოკოსებრთავიანი. სიგრძე — 2 სმ.

ორი სამაჯური მინისა (№ 397) მომწვანო, გრეხილი, თავების შეერთების ადგილას დაბრტყელებული. მოზრდილის დმ—7,3 სმ; პატარასი—5,3 სმ.

**სამარხი № 5** (ტაბ. XXVI, 2) მდებარეობდა სამხრეთი უბნის ფლატეში და სამხრეთი გვერდი გაშიშვლებული ჰქონდა. სამარხის კედლები აშენებული იყო ქვიშაქვის დაკუთხული ნატეხებითა და დუღაბით.

თავდაპირველი სახით შემორჩენილ ჩრდილო კედელში ქვების ექვსი მწკრივი აღირიცხა. ქვები ნაწყობი იყო მშენებლობის წესისამებრ, აღ-

---

[7] მშენებლობის უბნის უფროსის ჯ. სირბილაძის ცნობით, ამ მხარეს დიდძალი **სამარხები** დაუნგრევიათ.

ბათ ისე, როგორც იმდროინდელი ქვითხუროობისათვის იყო დამახასიათებელი. სამარხის გარეგანი სიგრძე — 2,58 მ, სიგანე დასავლეთ ბოლოში — 1,54 მ, შინაგანი სიგრძე—1,90 მ, სიგანე აღმ. ნაწილში—0,76 მ, დასავლეთ ნაწილში—0,90 მ, სიღრმე—0,90 მ.

აღსანიშნავია, რომ ცნობისმოყვარეებს, ჩვენს მისვლამდე, გაშიშვლებული კედლიდან სამარხი ნაწილობრივ უკვე გამოეჩიჩქნათ. იგი სავსე იყო მიწაში არეული, დაფერფლილ-დალეწილი ძვლებით, მაგრამ საყურადღებოა, რომ ყოველივე ეს იატაკის დონეზე კი არ გათავდა, არამედ სამარხის „საძირკველზე" გაცილებით უფრო ღრმადაც იყო. რადგან „საძირკველის" ქვეშ მოქცეულ. ძვალთა ფენას საკუთრივ სამარხისაგან სტერილური შრე არ გამოჰყოფდა. იატაკის დონეზე დაბლა მიგნებული ძვლებიცა და ინვენტარიც ამ უკანასკნელს მივაკუთვნეთ, თუმცა მათ შორის ბუნებრივად იგულისხმება გარკვეული ქრონოლოგიური სხვაობა (სამარხის იატაკს კიდევ 0,35 — 0,40 მ-ით ჩავცდით). სამარხში სულ იატაკის დონის ზემოთაც და ქვემოთაც, აღირიცხა 25 თავის ქალა და დიდძალი ნივთები, რომლებიც უპირატესად სამარხის ქვედა ფენებში აღმოჩნდა შემდეგი თანმიმდევრობით:

საყურე ბრინჯაოსი (№ 404), წვრილრკალიანი, მირჩილულყუნწიანი. დმ — 2,2 სმ (სურ. 18).

ჰურჭლის ნატეხი. მინისა (№ 405), სქელი, მწვანე, გამჭვირვალე.

სამაჯურების 33 ნატეხი რკინისა (№ 407). ერთი თითჩის მთელია. უმეტესობა ეკუთვნის თავგახსნილ სამაჯურებს.

სამი სამაჯური, ბრინჯაოსი (№ 406), სამივე რკალდაბრტყელებულია, თავგახსნილი და ოვალური. ერთი გამოირჩევა წიბოიანი ზურგითა და თევზიფხური ორნამენტით (დმ—5—5,8 სმ). (ტაბ. XXVII, 3).

ორი ბეჭედი რკინისა (№ 408) ბრტყელრკალიანი და ფარაკიანი, ძლიერ დაჟანგული. (ტაბ. XXVII, 3. ქვედა მწკრივი).

მძივები მინისა (№ 409 და 410), 26 ცალი სხვადასხვა ზომისა და ფერისა, უმეტესობა ოდნავ გაბრტყელებული და დაღარულია. ზოგი—ელიფსური, ჭარბობს თეთრი და ცისფერი. (ტაბ. XXVII, 1).

მძივები მინისა და ბრინჯაოსი (№ 409), 8 ცალი, ლითონის მავთულზე ასხმული. ამათგან ერთი ბურთულაა, შიგნიდან ფუყე, ორი კი ნაჭდევებითაა შემკული. (ტაბ. XXVII, 1).

ორი სამაჯური მინისა (№ 411) მწვანე, გამჭვირვალე, ერთი გრეხილი, მეორე გლუვი, გრეხილის დმ—8 სმ. გლუვისა—7,8 სმ. (ტაბ. XXVII, 4).

სამაჯურის ნატეხები მინისა (№ 412) 17, მწვანე. 4 გლუვია, დანარჩენი—გრეხილი. (ტაბ. XXVII, 2).

ჰურჭლის ნატეხი მინისა (№ 413) თხელი, მომწვანო, გამჭვირვალე.

სამარილე თიხისა (№ 414). წითლადაა გამომწვარი, აქვს პატარა ჭუსლი, შეღებული კალთები და ოდნავ განიერი ბაკო. შიგნიდან მწვანე ჰიჭურითაა დაფარული. სიმაღლე—2,5 სმ, პირის დმ—7,5 სმ, ჭუსლის დმ 5 სმ.

ჰურჭლის ნატეხები თიხისა (№ 415,). მათ შორის გამოირჩევა ნატეხები, რომლებიც მოჩალისფროდაა გამომწვარი და მცირე ზომის ჰურჭლებს ეკუთვნის. სამი მოწითალოა, გარედან სუსტად გაპრიალებული.

ჭურჭლის ოთხი ნატეხი მინისა (№ 416) მომწვანო, გამჭვირვალე. ერთი — სასმისის ქუსლია (ტაბ. XXXIII).

ორი სასაფეთქლე რგოლი ბრინჯაოსი (№ 417) ერთიმეორეზეა შეჟანგული და ორივეს ნაწილი ჩამოტეხილი აქვს. რკალები ღრუა და სადა. დმ — 2 სმ.

ბოლოს აღწერილი ნივთები (თიხისა და მინის ჭურჭლის ნატეხები და სხვ.) აღმოჩნდა მე-5 სამარხის იატაკის დონეზე დაბლა.

**სამარხი № 8** მდებარეობდა ეკლესიის სამხრეთი მინაშენის კედლის ძირობაზე. სანახევროდ დანგრეული იყო და სახურავიც გადაცლილი ჰქონდა. სამარხში სხვადასხვა დონეზე აღმოჩნდა ერთიმეორეში არეულ-ჩამტვრეული 7 ჩონჩხის ნაშთი. ამასთანავე, ისევე როგორც სიონის არაერთ სამარხში, აქაც დადასტურდა იატაკის დონეზე დაბლა, საგანგებოდ ამოჭრილი პატარა ორმო ადამიანის ძვლებით. ჩანს, მე-8 სამარხის გამართვისას მშენებლებს ან უფრო ადრინდელი სამარხი დაუნგრევიათ და შიგ ნაპოვნი ძვლები ცალკე ჩაუფლავთ, ან ამ სამარხის მეორედ გამოყენების დროს ახალ პატრონს შიგ არსებული ძველი ძვლები შეუგროვებია, იატაკის დონეზე დაბლა ჩაუფლავს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოუყენებია ხელმეორედ აღნიშნული სამარხი. სამარხის შინაგანი სიგრძე—1,9 სმ, სიგანე—0,62, სიღრმე—0,75 მ.

სამარხის იატაკის დონეზე ოდნავ მაღლა იპოვნეს შემდეგი ნივთები:

ბეჭედი ვერცხლისა (№ 424, სურ. 17). მრგვალკალიანი ერთიმეორესაგან დაშორებულ თავებზე დარჩილული აქვს მაღალი, ფუყე თვალბუდე, რომელშიც ჩასმულია ლურჯი მინის თვალი—გემმა ფრინველის გამოსახულებით. რკალთან მიერთების ადგილას, გვერდებიდან, თვალბუდეზე სამ-სამი წვრილი მეჩეჩია დასმული. რკალის დმ—2,2 სმ, ბეჭდის სიმაღლე, თვალბუდიანად—2,9 სმ, ფარაკის სიმაღლე—0,8 სმ, ფუძის დმ—1,1 სმ. თვალი ოვალურია, მისი სიგრძე 1,1 სმ, სიგანე—0,8 სმ. მინა თხელია, გამოსახულება—სქემატური.

ბეჭედი ვერცხლისა (№ 425, სურ. 17). ზუსტად მსგავსი წინ განხილულისა, ოღონდ აქვს შედარებით პატარა თვალბუდე, რომელიც სამბურთულიანი კოპებით არის ოთხი მხრიდან შემკული. მასაც აქვს მინის გემიანი თვალი, ოღონდ მინა შედარებით ღია ლურჯია. ხოლო ზედ ცხოველის (ჯიხვის?) გამოსახულებაა ამოკვეთილი (სქემატურად). რკალის დმ—2,2 სმ, ბეჭდის სიმაღლე თვალბუდიანად—2,7 სმ, თვალბუდის სიმაღლე—0,5 სმ, ფუძის დმ—1,1 სმ, თვალის სიგრძე—0,9 სმ, სიგანე—0,7 სმ, სისქე—0,2 სმ.

მძივი სარდიონისა (№ 426) მოწითალო, ბრტყელი, მრგვალი. დმ.—1 სმ.

**სამარხი № 15** მდებარეობდა ეკლესიის ხუთწახნაგა აფსიდისა და სამხრეთის ნავს შორის წარმოქმნილ გარეთა კუთხეში (ტაბ. 1). აშენებული იყო ქვიშაქვის დიდრონი ფილებით. ჩანს, მრავალგზის გამოყენებისას სამარხს გადაკეთებაც განუცდია. კერძოდ, მისი კედლების ზედა უსწორმასწორო ნაწილი შეუვსიათ და მერე აუმაღლებიათ დუღაბით ნაწყობი რიყის მსხვილი ქვებით. სამარხის სახურავი შიგ იყო ჩაქცეული. კედლების ამაღლების გამო მე-15 სამარხის ზედაპირი თითქმის ეკლესიის ზეძირკვლის დონემდე ადიოდა და, შესაბამისად, მიწის თხელი (0,5 მ) ფენით იყო დაფარული. ეს გადაკეთება სამარხმა, ჩანს, გვიანფეოდალურ ხანაში განიცადა — მაშინ, როდესაც მისი სახურავის ქვები უკვე სამარხში იყო ჩაქცეული. ჩაქცეულ ქვებზე დასვენებული იყო ის

უკანასკნელი ცხედარი, რომლის დამარხვისასაც, ალბათ, „შეასწორეს" სამარხი.

სახურავის ქვებისა და 15—20 სმ სისქე მიწის ფენის აღების შემდეგ გამოჩნდა არეული ძვლები, რომელთა უმეტესობა თავმოყრილი იყო სამარხის სამხრეთ კედელთან. ამასთანავე სამარხში ბლომად იყო ჩასული ნეშომპალა მიწა.

სამარხის სიგრძე—2,08 მ, სიგანე აღმ. ბოლოში—0,80 მ; დასავლეთ ბოლოში — 0,89 მ, სიღრმე გადაკეთებულ ადგილას — 1,35 მ; თავდაპირველი სიღრმე — 0,81 მ.

ჩაქცეული სახურავისა და სტერილური ფენის ქვეშ მდებარე არეულ ძვლებში მოხერხდა ორი ძირითადი ფენის გამოყოფა, რომელთა შორის კიდევ იყო მცირე სტერილური შრე. ზედა ფენაში აღრიცხული იქნა 5 თავის ქალა, ხოლო ქვედაში—8. სახურავს ზემოთ დაკრძალულს ინვენტარი არ ახლდა, ხოლო ქვედა ორ ფენაში, თანმიმდევრობით. შემდეგი ნივთები იქნა მოპოვებული:

რგოლი ვერცხლისა (№ 441) წრიული, რკალდაბრტყელებული, თავებმიდგმული. ზურგზე ორი კონცენტრული წრეხაზით. დმ—1,5 სმ.

სამაჯურის ორი ნატეხი, ვერცხლისა (№ 442), რკალი ორივეს ფუყე აქვს.

სამაჯური ბრინჯაოსი (№ 442 ა), რკალდაბრტყელებული, ოვალური, თავგახსნილი, დმ—4,8—5,8 სმ.

ხვია ბრინჯაოსი (№ 443), მრგვალი, დმ—2 სმ.

რკინის სამაჯურების 15 ნატეხი (№ 444), ჟანგად ქცეული.

ავგაროზი ნიქარისა (№ 445), ერთ ბოლოზე გახვრეტილი. (ტაბ. XXIV, 7).

სამაჯური მინისა (№ 446), მწვანე, სადა. დმ—8,3 სმ, ღეროს დმ—0,7 სმ.

მძივები მინისა (№ 447) 13 ცალი. 12 ცისფერია და მრგვალი, მეცამეტე თეთრია და გლუვი (ტაბ. XXIV, 7).

ჭურჭლის ნატეხები მინისა (№ 448), 39 ც., თხელი, მწვანე, გამჭვირვალე. ოთხი პირისაა, ერთი — შეზნექილი ძირისა, ხოლო დანარჩენი— კედლისა. ჭურჭელი პირფართო და ცალყურა უნდა ყოფილიყო.

ქვედა ფენაში აღმოჩნდა:

ღილი ბრინჯაოსი (№ 434) ბურთულა, ფუყე, მოგრძო ყუნწიანი. ბურთულას დმ—1 სმ. (ტაბ. XXIV, 7).

საყურის საკიდი მინისა (№ 435) მრგვალი, რკინის ყუნწიანი. მინა მუქი ლურჯია, ხოლო ყუნწის მოპირდაპირე მხარეზე აქვს ინკრუსტაცია— ცისფერი თვალი. დმ—0,8 სმ (ტაბ. XXIV, 7).

სამაჯურის ოთხი ნატეხი რკინისა (№ 436). ერთი თითქმის მთელია. დმ—6,2 სმ.

რგოლის სამი ნატეხი რკინისა (№ 437).

მძივები სარდიონისა (№ 438). 3 ცალი. ორი მრგვალია, მოწითალო, დმ — 1 სმ. მესამე დაკუთხულია (ტაბ. XXIV, 7. ქვედა, მარჯვენა კუთხეში).

ჭურჭლის 23 ნატეხი მინისა (№ 439), ძალზე თხელი, მწვანე, გამჭვირვალე, 13 ნატეხი პირისაა, ერთი — ყურისაა, დანარჩენი—კედლებისა.

ჭურჭლის სამი ნატეხი თიხის (№ 440). მოწითალო.

უკანასკნელი ფენის აღებით სამარხის პრეპარაცია არ დამთავრებულა: იატაკის შემოწმებისას გაირკვა, რომ მის აღმ. ბოლოზე ამოთხრილი იყო პატარა ორმო, რომელშიაც ეყარა დანაცრებული ძვლები. შესაძლებელია (ისევე, როგორც ზოგ სხვა სამარხში) ეს ძვლები მე-15 სამარხის შენების დროს დანგრეული, უფრო ადრეული სამარხიდან იყოს, მაგრამ ისიც ვივარაუდეთ, რომ მე-15 სამარხი მოგვიანებით სხვა ოჯახის ხელში გადასულა. იატაკის ქვეშ ძვლების ერთ პატარა ორმოში ჩამარხვა, სამარხის ხელახალი გამოყენების მიზნით ჩატარებული „გაწმენდის“ შედეგია. თუ ეს ასეა, მაშინ მე-15 სამარხს სულ ცოტა, ორჯერ გამოუცვლია მფლობელი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნივთების შემცველი ორი ძირითადი ფენა, სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ზოგადად ერთი დროისაა.

*
* *

სამარხები ეკლესიაში. ეკლესიას ძველთაგანვე ჰქონდა თავისი კრიპტა, რომელიც მოთავსებული იყო ეკლესიის თანადროულად მიჩნეული ჩრდილო მინაშენის საკურთხეველში. სამწუხაროდ, კრიპტა უკვე გახსნილი დაგვხვდა და იქიდან ძვლები სულ ერთიანად ამოყრილი იყო. სავარაუდოა, რომ ეს იყო ეკლესიის ძირითადი საძვალე (სურ. 13). მაგრამ სიონის ტაძრის არსებობის ხანგრძლივ მანძილზე, ბუნებრივია, იგი საკმარისი არ იქნებოდა იმ სასულიერო პირთა დასაკრძალავად, რომლებსაც უღლება ექნებოდათ სიონის კათედრალის შიგნით დაკრძალულიყვნენ. ამასთანავე, ეკლესიის შიგნით შეიძლებოდა დაეკრძალათ საერო პირები. ვფიქრობთ, სწორედ ამ მოვლენით უნდა აიხსნას, რომ ეკლესიის სხვადასხვა კუთხეებში კიდევ გაჩენილა მეტ-ნაკლები სიდიდის საძვლეები, რომლებშიაც განსაკუთრებით მძლავრად წარმოდგენილია შუათეოდალური ხანის ფენები. ეკლესიის შიდა ფართობზე მოპოვებული სამარხებიდან ორი აღვწერეთ მეორე თავის დასაწყისში. შედარებით ადრეული, შირიმს ქვებით ნაგები სამარხების ჯგუფთან ერთად. რაც შეეხება დანარჩენებს, შევჩერდებით ერთ მათგანზე.



სურ. 13. ეკლესიის ჩრდილო მინაშენის საძვალე.

**სამარხი № 6** მდებარეობდა ეკლესიის სამხრეთი მინაშენის საკურთხევლის სიახლოვეს. ჩანს, იგი საგანგებო საძვალედ მოუწყვიათ მინაშენის აგებისთანავე (იხ. ტაბ. I).

როგორც აღინიშნა, სამხრეთი მინაშენი ეკლესიის კომპლექსში ყველაზე გვიანდელი ნაგებობა იყო, მაგრამ იმის გამო, რომ იგი თავიდანვე მთლად მკვრივად არ ყოფილა ნაგები, ადრევე დანგრეულა. მე-6 სამარხი, მასში აღმოჩენილი ნივთების მიხედვით უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ სამხრეთი მინაშენი შუაფეოდალური ხანისათვის უკვე არსებულა.

სამარხი ნაშენები იყო დუღაბით, ქვიშაქვის საკმაოდ უსახური ქვებითა და რიყით. აქა-იქ შირიმიც იყო გამოყენებული—კერძოდ, სამარხის კედლების წყობის ზედა, უკანასკნელ მწკრივში. სამარხის შიდაპირი შელესილ-მოსწორებული იყო კირით.

**სამარხის სიგრძე—2,20 მ, სიგანე—1,10 მ, სიღრმე 1,5 მ.** სამარხის ზედა ნახევარში ეყარა დიდრონი ქვები და გვიანფეოდალური ხანის კერამიკის შემცველი მიწა-ღორღი. საერთოდ სამარხი არეული ჩანდა და ძვლებიც ისე იყო მტვრად ქცეული, რომ დაკრძალულთა რაოდენობის აღრიცხვაც კი შეუძლებელი გახდა. დაახლოებით 0,70 — 0,75 მ სიღრმიდან (სიღრმეები ითვლებოდა სამარხის პირიდან), ძვლებთან ერთად გამოჩენა იწყო ინვენტარმაც, რომელიც სამარხში შემდეგი თანმიმდევრობით იყო დაშრევებული:

ჯამის ნატეხი თიხისა (№ 451 ტაბ. XXVIII, 2). შემორჩენილია გვერდის ერთი ნაწილი. მოხატულია თეთრი ანგობით, მოუჭიქავია, აღმოჩნდა 0,73 მ სიღრმეზე.

ბეჭედი რკინისა (№ 452), ბრტყელრკალიანი და ოვალურფარაკიანი, ძლიერ დაჟანგული. აღმოჩნდა 0,75 მ სიღრმეზე (ტაბ. XXVIII, 7).

სამაჯური მინისა (№ 453, ტაბ. XXVIII, 6) (მუქი ლურჯი, გლუვი, დმ—7,2 სმ, რკალის დმ — 05 სმ.

2 მძივი, მინის (№ 454) ინკრუსტაციით შემკული, (ტაბ. XXVIII, 9).

ჯამის ნატეხი თიხის (№ 455). კეცი მოწითალოა, შიდაპირი—ცისფრად მოჭიქული. აღმოჩნდა 0,8 მ-ის სიღრმეზე. (ტაბ. XXVIII, 8).

სასმისი თიხისა (№ 456). შემორჩენილია ჭურჭლის ნახევარი (სიმაღლით), ჩალისფერია. აქვს ოდნავ გამობერილი, შიგნიდან დაკეჭნილი მუცელი, ძალზე განიერი პირი და პატარა მოტეხილი ყური, რომელიც პირის დონეზე მაღლა ადის. სიმაღლე—5 სმ; პირის დმ—8 სმ; მუცლისა—9 სმ; ძირისა—6 სმ; ყელის სიმაღლე — 1 სმ (ტაბ. XXVIII, 1. შუათანა).

3 სამაჯური რკინისა (№ 457), ერთიმეორეზე შეჟანგული. აღმოჩნდა 0,83 მ სიღრმეზე. (ტაბ. XXVIII, 4).

სამაჯური მინისა (№ 458; ტაბ. XXVIII, 3), შავი, გაუმჭვირვალე, გრეხილი, დმ—6,6 სმ რკ. დმ.—0,5 სმ.

სამაჯური ბრინჯაოსი (№ 459), თავგახსნილი, ოვალურად მორკალული, შიგნიდან დაბრტყელებული. დმ.—4—6 სმ, რკ. სიგანე—0,7 სმ. აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო კუთხეში, 1 მ სიღრმეზე (ტაბ. XXVIII, 5).

რკინის სამაჯურის 7 ნატეხი (№ 460 და 462).

ღილი ბრინჯაოსი (№ 461). ბურთულა, ფუყე, აქვს ოვალური ყუნწი და ბოლოზე წიბო. ნაპოვნია 1 მ სიღრმეზე (ტაბ. XXVIII, 9).

მ ძ ი ვ ი მ ი ნ ი ს ა (№ 463), მოცისფრო, მრგვალი; დმ—0,9 სმ.

თ ი ხ ი ს ჰ უ რ ჰ ლ ი ს ო რ ი ნ ა ტ ე ხ ი (№ 462), ყურის ნაშთითურთ. გამომწვარია ლეგად. აღმოჩნდა 1 მ სიღრმეზე.

ნ ა ტ ე ხ ე ბ ი თ ი ხ ი ს ჯ ა მ ი ს ა (№ 465, 466, 467). ერთი მოჭიქულია, ყავისფერი და მწვანე საღებავებით მოხატული, დანარჩენები კი ანგობით არის მოხატული და აქა-იქ დაღვენთილი აქვს ცისფერი ჭიქური. აღმოჩნდა 1,0 — 1,08 მ სიღრმეზე (ტაბ. XXVIII, 8).

ს ა მ ა ჯ უ რ ი მ ი ნ ი ს ა (№ 468 ტაბ. XXVIII, სურ. 3, მარჯვენა) ორფერი, შავი და თაფლისფერი, გრეხილი. დმ—6,5 სმ: რკ. დმ — 0.5 სმ. აღმოჩნდა 1.1 მ სიღრმეზე.

მ ი ნ ი ს ჰ უ რ ჰ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ი (№ 469), თხელი, მწვანე, გამჭვირვალე.

მ ძ ი ვ ი მ ი ნ ი ს ა (№ 470) არათანაბრად მრგვალი, ცისფერი.

მ ძ ი ე მ ი ნ ი ს ა (№ 471) ცისფერი, მრგვალი, დაღარული; დმ—1,5 სმ, აღმოჩნდა 1,19 მ სიღრმეზე (ტაბ. XXVIII, 9).

მ ი ნ ი ს ჰ უ რ ჰ ლ ი ს ყ უ რ ი ს ნ ა ტ ე ხ ი (№ 472). თეთრად გამოფიტული, ბრტყელღარებიანი.

ხ ე ლ ა დ ა თ ი ხ ი ს ა (№ 473. ტაბ. XXX, 3), პატარა. აკლია ყელ-პირისა და მუცლის მცირე ნაწილი. ფერად ღიაა; აქვს სამტუჩა პირი, დაბალი ყელი. გამობერილი მუცელი და მცირე-ქუსლიანი ძირი. ყური ბრტყელია და მისი რკალი პირის დონეზე მაღლა ადის. სიმაღლე პირამდე — 13 სმ, ყურის რკალამდე—15,5 სმ, პირის დმ —5,5 სმ, მუცლისა—12 სმ, ძირისა—5,8 სმ, აღმოჩნდა 1,2 მ სიღრმეზე (აგრეთვე იხ. ტაბ. XXVIII, 1. მარჯვენა).

კ ო ჭ ო ბ ი თ ი ხ ი ს ა (№ 475 ტაბ. XXVIII, 1) მოყვითალო, ჩალისფრად გამომწვარი, გარედან წითლად გაპრიალებული. აქვს მრგვალი პირი, რომელიც ასეთივე განივკვეთის მქონე ყურის მიძერწვის ადგილას დაბრტყელებულია. ყელიც მრგვალი და ზემოთკენ მცირედ შევიწროებულია, ტანი — გამობერილი, ხოლო მცირექუსლიანი ძირი — მრგვალი. ყურის რკალი პირის დონეს ოდნავ მაღლა სცილდება. ყელზე და მხარზე შემოუყვება შავი საღებავით გამოყვანილი ორნამენტი. სიმაღლე პირამდე 9 სმ, ყურის რკალამდე — 9,2 სმ. პირის დმ —4,5 სმ; მუცლის დმ—7 სმ; ძირის დმ—4 სმ, აღმოჩნდა 1,3 მ სიღრმეზე.

ხ ე ი ა ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი (№ 476). ღერო მრგვალი, რკალის დმ—1 სმ. აღმოჩნდა, 1,4 მ სიღრმეზე.

ამ სამარხის ყველაზე ქვედა ფენიდან (სიღრმე — 1,4—1,5 მ) კიდევ შემდეგი ნივთები აღმოჩნდა:

ლ ურ ს მ ა ნ ი რ კ ი ნ ი ს ა (№ 478), ბრტყელთავიანი—3,2 სმ (ტაბ. XXVIII, 7).

თ ი ხ ი ს ჰ უ რ ჰ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ი (№ 479), ცისფრად მოჭიქული.

კ რ ა მ ი ტ ი ს ო რ ი ნ ა ტ ე ხ ი (№ 480). ერთი გვერდებგაკეცილისაა, მეორე—ღარისებრისა.

თ ი ხ ი ს ჰ უ რ ჰ ლ ი ს რ ვ ა ნ ა ტ ე ხ ი (№№ 481 და 482), ლეგად გამომწვარი. ორი ნატეხი პირისაა.

თ ი ხ ი ს ჰ უ რ ჰ ლ ი ს ს ა მ ი ნ ა ტ ე ხ ი (№ 483), წითელკეციანი, ყავისფრად გაპრიალებული

თიხის ჭურჭლის ნატეხები (№ 484), წითელკეციანი. ერთზე შემორჩენილია რელიეფური ორნამენტი.

როგორც ყველაზე ქვედა ფენაში მოპოვებული მასალების ჩამოთვლითაც კი ჩანს, მე-6 სამარხი (ეკლესიის შიგნით) აუგიათ შუაფეოდალურ ხანაში.

აღწერილთა გარდა სიონის სამაროვანზე მოვახერხეთ აქა-იქ გადარჩენილი რამდენიმე სამარხის გათხრა-შესწავლაც — კერძოდ, აღმოსავლეთი უბნის აღმოსავლეთ ნაწილში, იქ სადაც ამჟამად საჰაერო ხიდის შესასვლელი ჩანს, სამაროვანი აღმოსავლეთ მხარეს თითქმის 100—150 მეტრზე ვრცელდებოდა. მაგრამ ის ადგილები მთლად გადათხრილი დაგვხვდა, გარდა ერთი მცირე კონცხისა, რომელიც აკლდამის შესასვლელს 30 — 40 მ-ით იყო დაცილებული. ამ კონცხზე მიკვლეულ იქნა ოთხი სამარხი, რომელთაგან ორი ტიპიური, მრავალგზის გამოყენებული ქვისსამარხი იყო, ხოლო ორი (აგრეთვე შუაფეოდალური ხანისა) წარმოადგენდა ე. წ. ორმოსამარხს, რომელშიაც თითო მიცვალებული იყო ჩასვენებული ქრისტიანული წესით.

ამ სამარხებში მოპოვებული ნივთები და თვით სამარხთა აღნაგობა არავითარ ახალ დამატებით მასალას არ იძლევა სამაროვნის დასახასიათებლად და ამდენად მათ ცალკე აღარ აღვწერთ, მაგრამ მასალის ზოგადი დახასიათებისას იქაურ კომპლექსებსაც გავითვალისწინებთ.

თავი მესამე

# შუაფეოდალური ხანის სამარხების და სამარხეული ინვენტარის დახასიათება

## 1. სამარხთა აგებულება და დაკრძალვის წესი

როგორც უკვე აღინიშნა, სიონის ეკლესიის გარშემო, ნგრევას გადარჩენილ მცირე ფართობზე გაითხარა ასიოდე ქვისსამარხი, რომლებიც მჭიდროდ ეკრა გარშემო V ს-ით დათარიღებულ ეკლესიას.

ფართობის სიმცირის გამო შუაფეოდალურ ხანაშივე წარმოქმნილა დასაკრძალავი ადგილის სივიწროვე, რის გამოც სიონელებს დაუწყიათ ერთი მხრივ უპატრონოდ დარჩენილ ძველ სამარხთა ხელახლა გამოყენება, ხოლო მეორე მხრივ — უკვე არსებულ სამარხებზე ახლების დაშენება. სწორედ ამის გამო იყო, რომ დროთა ვითარებაში, ზოგან სამარხები რამდენიმე სართულად დალაგდა. ასეთ მონაკვეთებზე საშუალება მოგვეცა თვალი გვედევნებინა სამაროვნის სტრატიგრაფიული სურათისათვის, სადაც კარგად ჩანს დროის მხრივ ურთიერთმონაცვლე ქვისსამარხები.

სამარხთა ასეთი მრავალსართულიანობა დამახასიათებელი ჩანს უმთავრესად ეკლესიის უშუალო სიახლოვეს მდებარე ადგილებისათვის.

თუ სამარხთა აღნაგობის, მათი განლაგების და ინვენტარის მიხედვით ვიმსჯელებთ, სამაროვნის ყველაზე უფრო საპატიო და გამორჩეული ადგილი უნდა ყოფილიყო ეკლესიის აღმოსავლეთით, აბსიდის გარეთ მდებარე მხარე, მისგან 20—25 მ ფარგლებში სადაც ჩანს, იმარხებოდა „ჟალეთის ქვეყნის“ მოსახლეობის წარჩინებული, სოციალურად დაწინაურებული ნაწილი. იქ, გარდა აკლდამისა, როგორც ითქვა, გაითხარა ორგანყოფილებიანი და ჩუქურთმიანი ქვისსამარხი და სხვა, უაღრესად საყურადღებო და იმ დროის კვალობაზე მდიდრული მასალების შემცველი არაერთი სამარხი.

ეკონომიურად და მაშასადამე სოციალურად დაწინაურებული ფენისავე კუთვნილი უნდა იყოს ეკლესიის სამხრეთით მდებარე ზოლში შემორჩენილი სამარხებიც, სადაც, მინის ჭურჭლისა და ვერცხლის ბეჭდების განსაკუთრებული სიუხვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა ადგილობრივ ვაჭარ-ხელოსანთა თუ „მოქალაქეთა“ დაწინაურებული ფენის წარმომადგენლები ვიგულოთ.

შედარებით უფრო ღარიბულ და უსახურ სამარხთა შემცველი გამოდგა დასავლეთი უბანი, ე. ი. ეკლესიის დასავლეთი კედლის მიჯრით მდებარე ფართობი, სადაც გარდა ორიოდე გამონაკლისისა, უმთავრესად უინვენტაროო, ან ღარიბული ინვენტარის მქონე სამარხები გაითხარა.

სიონის სამაროვნის სამარხთა შორის მიწაში ყველაზე ღრმად „იჯდა“ აკლდამა, რომელიც, ბუნებრივია, თავისი განსაკუთრებული მოცულობის გამო მოითხოვდა უზარმაზარი ქვაბულის ამოღებას. რაც შეეხება ჩვეულებრივ სამარხებს, მათი უმეტესობის სახურავები მიწის ზედაპირიდან საშუალოდ 1—1,5 მეტრზე ჩნდებოდა. სამარხთა იატაკის დონე კი მერყეობდა მათი მდებარეობისა და სიდიდის მიხედვით. მაგალითად, ყველაზე დიდი მე-9 და მე-11 სამარხები რომლების სიმაღლე 1,5 — 1,7 მ უდრიდა, სახურავებით შუაფეოდალური ხანის სხვა სამარხთა დონეზე იყვნენ, ხოლო მათი ძირები გაცილებით უფრო ღრმად იყო ჩასმული ნიადაგში (მიწის ზედაპირიდან დაახლ. 3 მეტრზე).

ამასთანავე, სამარხთა აღწერილობიდან ისიც ჩანდა, რომ იმავე შუასაუკუნეთა ქვისსამარხებს ხშირად ზემოდან უფრო გვიანდელი სამარხები ედგა. ასე მაგ., ადრეფეოდალური ხანის გვიან საფეხურზე აგებულ მე-3, ჩუქურთმიან სამარხს, რომელიც შუაფეოდალურ ხანაშიც ყოფილა გამოყენებული, ზემოდან ნაწილობრივ ფარავდა ორი გვიანდელი სამარხი (№ 2 და № 4); ასევე მე-5 სამარხს (აღმ. უბანი) ზემოდან ედგა გვიანდელი „ქვაყუთი“, რომელსაც თავის მხრივ, გვიანფეოდალური ხანის სულ ბოლო საფეხურის კუთვნილი სამარხი ფარავდა და სხვა.



სურ. 13-ა. შირიმის ნარიმანდიანი ფილებით ნაგები სამარხის ნიმუში.

სამარხთა აღნაგობის, საშენად გამოყენებული მასალისა და მშენებლობის ხელოვნების თავისებურების მიხედვით სიონის, შუაფეოდალური ხანის ქვის სამარხებს შორის გამოიყოფა შემდეგი ტიპები:

1. შირიმის, კარგად თლილი და ერთიმეორეზე მჭიდროდ მორგებული ფილებით ნაგები და კუთხეებში ნარიმანდებით დაკავშირებული სამარხები (სურ. 13-ა).

ასეთ სამარხთა გრძივი კედლები მიწაწილად 2 ან 3 ფილისაგან შედგება, ხოლო თავკედლები — თითო ქვისაგან. ამ ტიპის სამარხთა ძირს წარმოადგენდა ნიადაგი, რაც შეეხება სახურავს, იგი შირიმისავე 2 ან 3 ფილისაგან შეუდგენიათ და ორფერდა სახურავის მიბაძვით გაუთლიათ. (მაგ. სამარხები №№ 5,6, 8, 10, 12 და სხვ. აღმ. უბ.; 8, 14, 24... დას. უბანზე და სხვ.).

საყურადღებოა, რომ ამ ტიპის სამარხთა არც ერთი სახურავი მთლიანად არ იყო შემონახული.

შირიმის ფილებით ნაგები სამარხები ერთიანდება სიონის სამარხთა იმ, ყველაზე ადრეულ ჯგუფში, რომელიც ეკლესიის უშუალო სიახლოვეს, ადრეფეოდალური ხანის ბოლოს და შუაფეოდალური ხანის დამდეგს უნდა წარმოქმნილიყო. მათი რიცხვი უფრო დიდი იქნებოდა, მაგრამ მომდევნო ხანებში. სამარხთა ხელმეორედ გამოყენებისას, ზოგს ეტყობა ანგრევდნენ და მათგან აღებულ ცალკეულ ფილაქვებს სხვა სამარხთა საშენებლად იყენებდნენ.

შირიმის ფილებით ნაგები სამარხები, როგორც ქრისტიანულ ხანას შეეფერებოდა, აღმოსავლეთიდან დასავლეთით იყო დამხრობილი და იმთავითვე კოლექტიური დაკრძალვისათვის ყოფილა განკუთვნილი.

2. ქვიშაქვის ან იშვიათად კირქვის, შედარებით უსწორმასწორო და ცუდად დამუშავებული დიდრონი ფილაქვებით შედგენილი ქვისსამარხები, რომლებსაც მეტწილად ორი ან სამნაწილედი ბრტყელი სახურავები ჰქონდათ ხშირი ახდა დახურვის გამო. სახურავთა დასავლეთი ნაწილი ყველა შემთხვევაში, დაძრულ-დაზიანებული იყო. ამ ტიპის სამარხთა ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია დაუდევრად ნაგები კედლები და სახურავი, რაც მათ მკვეთრად განასხვავებს წინ განხილული ჯგუფის სამარხებისაგან. ისინი, გარდა იმისა, რომ იმთავითვე საოჯახო სამარხებად ყოფილან განკუთვნილი, ჩანს, ხშირად გამოიყენებოდა უფრო შორეულ, მომდევნო თაობათა მიერაც. ამიტომაც თითქმის ყველა მათგანში შეიმჩნევა ადამიანთა ძვლების რამდენიმე ფენა. აქვე აღსანიშნავია, რომ ცუდად დამუშავებული ფილაქვებით ნაგებ სამარხებს, პირველი ტიპის სამარხებთან შედარებით, რამდენადმე მეტი სიდიდე ახასიათებთ.

3. ცალკეა გამოსაყოფი სამარხების შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომლებსაც კედლები ნატეხი ქვით ჰქონდათ ამოყვანილი (ტაბ. XXVI, 2). ამ ტიპის სამარხთა კედლის წყობაში ნახმარი იყო ტალახი ან დუღაბი. რაც შეეხება მათ სახურავებს, მსგავსად სხვა სამარხებისა, მათში გამოყენებული იყო ბრტყელი, უსწორმასწორო ფილები.

ამოშენებულკედლიანი სამარხები ჩვენში უძველესი დროიდანვე არის ცნობილი (ადრებრინჯაოს ხანიდან მაინც). ეტყობა, ეს ძველი ტრადიცია უკვალოდ არ დაკარგულა და ზოგ ადგილას, ადრეფეოდალურ ხანამდე შემოუნახავს თავი (მაგ., კარნისხევში[1]), ზოგან კი არა თუ ადრეფეოდალურ, არამედ შუაფეოდალურ ხანაშიც არ ყოფილა მთლად მივიწყებული. სიონში, კერძოდ, ასეთებია: მე-7 სამარხი აღმ. უბ., მე-5 სამარხი სამხრ. უბ. და მე-15 სამარხი დას. უბ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიონის სამი სამარხიდან ერთ შემთხვევაში ქვისწყობიანი კედლები სამარხის გადაკეთების დროს ამოუყვანიათ, ხოლო დანარჩენები იმთავითვე ამ წესით აუშენებიათ.

---

[1] ნ. უგრელიძე, კარსნისხევის სამაროვანი, ხელნაწერი ინახება არქეოლოგიის სექტორის არქივში.

4. სამარხთა მეტად საინტერესო ტიპს წარმოადგენს დიდრონი კოლექტიური ქვისსამარხები, რომელთა შიდა ფართობიც სამჯერ და ზოგჯერ უფრო მეტჯერაც დიდი იყო, ვიდრე ჩვეულებრივი სამარხებისა (სამარხები № 9 და № 11, აღმ. უბ; № 12, დას. უბ.). მათ ჰქონდათ მეტწილად შირიმის თხელი. სხვადასხვა სიდიდის ფილებით ნაშენები კედლები, სადაც ქვათლილები ერთიმეორეზე ვიწრო გვერდებით იყო დაშენებული. იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი კედლის წყობა შედგებოდა 3 ან 5 მწკრივისაგან. თავისთავად ცხადია, რომ კოლექტიური დაკრძალვისათვის განკუთვნილი ეს საოჯახო თუ საგვარეულო სამარხები თავიდანვე მრავალი მიცვალებულისათვის იყო განკუთვნილი, რისთვისაც ისინი, მოცულობის მოგების მიზნით, სხვა სამარხებთან შედარებით უფრო ღრმად ჩაუსვამთ ნიადაგში; მაგრამ მაინც აშკარაა, რომ ეს სამარხები ასე დიდრონები თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყვნენ. მათი მოცულობის ესოდენ უჩვეულო გაზრდა შედეგი უნდა იყოს იმ გადაკეთებისა, რაც მათ განუცდიათ ხანგრძლივი გამოყენების ერთ-ერთ უკანასკნელ ეტაპზე. ჩვენი ვარაუდით, ასეთი რამ უნდა მომხდარიყო შუაფეოდალური ხანის გასულს, ან გვიანფეოდალური ხანისაკენ გარდამავალ პერიოდში. ამის საბუთს გვაძლევს მათი ინტენსიური გამოყენება XV და ალბათ XVI საუკუნეშიც კი. ამ ტიპის სამარხების განსაკუთრებული სიდიდე (სიგრძე 2,30 — 2,70 მ, სიგანე — 1,10—1.30 მ, სიმაღლე—1.50—1,70 მ) ჯარნახობდა მათ მშენებლებს დუღაბის გამოყენებას წყობაში, რათა კედლები უფრო მყარი გამოსულიყო. ამასთანავე სახურავის მრავალრიცხოვანი და დიდრონი ქვების შესაკავებლად ერთ შემთხვევაში ქვის საყრდენი „კოჭებიც" კია გამოყენებული (სამარხი № 9).

5. გარდა ქვისსამარხებისა, სიონის სამაროვნისთვის უცხო არა ჩანს ორმოსამარხებიც, რომლებშიაც ჩნდებოდა ქრისტიანული წესების დაცვით ჩასვენებული თითო მიცვალებული. როგორც ეკლესიის აღმოსავლეთით გადარჩენილი სამაროვნის მცირე ნაწილის შესწავლამ ცხადჰყო, ორმოსამარხები აქ საკმარისი რაოდენობით უნდა ყოფილიყო (იქ შესწავლილი 4 სამარხიდან 2 ორმოსამარხი იყო). ეკლესიიდან მოშორებით, სამაროვნის შედარებით არათვალსაჩინო ადგილას მათი არსებობა, ამ ტიპის სამარხთა სოციალური კუთვნილების მანიშნებელიც უნდა იყოს[2].

საერთოდ შუაფეოდალური ხანის სამაროვნები საქართველოში ჯერჯერობით არ არის საკმარისად გამოვლენილი და შესწავლილი, მაგრამ ფეოდალური ხანის ზოგი დიდი ნაქალაქარის ტერიტორიაზე და აგრეთვე ცალკეულ ადგილებში გათხრილი სამარხები უკვე საყურადღებო მასალებს გვაძლევს შუაფეოდალური ხანის სამარხთა არხეოგრაფიისა და დაკრძალვის წესის შესახებ. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კუხეთის რუსთავის ნაქალაქარზე გათხრილ იმ სამაროვნებს, სადაც შუაფეოდალური ხანის ინვენტარიანი სამარხებია გამოვლენილი. ასე, მაგალითად, 1950 წ. რუსთავის ერთ-ერთ ძველ უბანში გაითხარა შუაფეოდალური ხანის სამაროვნის ნაწილი, სადაც სულ 25 სამარხი იქნა მიკვლეული[3]. (19 ორმოსამარხი, 5 ქვისსამარხი და 1 ალიზსამარხი).

---

[2] ასეთივე დაკვირვება აქვს ლ. ჭილაშვილს რუსთავის სამაროვნის მიმართ (იხ. მისი ქალაქი რუსთავი, 1958, გვ. 147).

[3] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, № 1, 1955, გვ. 192; ლ. ჭილაშვილის ჩვენებით გათხრილია 27 სამარხი (იხ. მისი ქალაქი რუსთავი, გვ. 137).

ამჟამად ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რუსთავის ქვისსამარხთა ჯგუფი, რომლებიც ნაგები ყოფილა დაუდევრად, სხვადასხვაგვარი, დიდ-პატარა ფილებით. სამარხის კედლებში, არაერთხელ, გამოუყენებიათ ძველ ნაგებობათა დეტალებიც. თუ შევადარებთ რუსთავისა და სიონის ქვისსამარხებს, შევამჩნევთ, რომ სიონში მათი შენების ხარისხი რამდენადმე უკეთესია. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ორმოსამარხებში, რომლებიც წინააღმდეგ სიონისა, რუსთავში გაბატონებულ ტიპს წარმოადგენს, ხშირად ჩნდებოდა მიცვალებულებზე ზემოდან დაფარებული ხის ჩარჩოთა ნაშთები[4], რაც მიჩნეულია ხის სარკოფაგული სამარხებისაკენ გარდამავალ მოვლენად.

რუსთავის სამაროვანი განსაკუთრებით მრავალისმეტყველი იმითაა, რომ აქ თითქმის 20 სამარხში მიკვლეულ იქნა ინვენტარი, რაც ქართულ არქეოლოგიაში, იმ დროისათვის, თვალშისაცემ სიახლედ იყო მიჩნეული[5].

რუსთავის, მცხეთის[6], უჯარმის[7], აბელიის[8], ბოლნისის[9], ქალეთის[10] და სხვა სამაროვნებზე შესწავლილი სამარხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღმოსავლეთ საქართველოსათვის შუაფეოდალურ ხანაში ყველაზე უფრო გავრცელებულ ტიპს ქვისსამარხები წარმოადგენდნენ, ამას სავსებით უჭერს მხარს ივრის სიონის განათხარიც. ამასთანავე შუასაუკუნეთა ქვისსამარხები, წინააღმდეგ ადრეფეოდალური ხანის წესიერად ნაგები „ქვაყუთებისა“, ხასიათდება ცუდად დამუშავებული ქვებით ნაგები კედლებითა და სახურავით. სამარხთა აღნაგობის თვალსაზრისით სიონის სამაროვანმა უთუოდ საგრძნობლად გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ამ მხრივ და საშუალება მოგვცა საკუთრივ ქვისსამარხებში რამდენიმე ტიპი გამოგვეყო.

რაც შეეხება დაკრძალვის წესს, იგი სიონში ისეთივეა, როგორიც მთელ მაშინდელ ქრისტიანულ საქართველოში იყო გაბატონებული. მიცვალებულები წვანან პირაღმა, თავით აღმოსავლეთისაკენ, ხელები ან ჩაშვებული, ან გულზე დაკრეფილი აქვთ. საოჯახო სავანეულო სამარხებში, რომლებშიც ხანგრძლივ ხდებოდა დაკრძალვა, წინამორბედთა ძვლები თითქმის ყოველთვის დაძრული და სამარხის ერთ ნაწილშია ხოლმე მიხვეტილი. სიონში ამ მხრივ განსაკუთრებით მეტყველი სურათი გვაქვს რადგან იშვიათი იყო სამარხი, სადაც რამდენიმე ჩონჩხი არ ყოფილიყო აღრიცხული, ხოლო ზოგიერთში მათი რიცხვი 40-ს და მეტს აღწევდა.

---

[4] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 193; ლ. ჭილაშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 37.

[5] Г. А. Ломтатидзе, Некоторые итоги археологических раскопок памятников феодальной Грузии. СА, XXVII, 1967, стр. 183—184.

[6] ა. აფაქიძე, 1953, წ. მცხეთის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, კოდმანის სამაროვნის თხრის შესახებ; Д. М. Мшвениерадзе, Строительное дело в древней Грузии, Тбилиси, 1952, Табл. 125.

[7] გ. ლომთათიძე, უჯარმის არქეოლოგიური თხრის ანგარიში, 1953.

[8] გ. ლომთათიძე, ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის არქეოლოგიური საქმიანობის ანგარიში, 1957.

[9] ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 360—372.

[10] დ. მუსხელიშვილი, რ. რამიშვილი, ქალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წ. ანგარიში. XII. საველე-არქეოლოგიური სესიის თეზისები, 1964.

როგორც უკვე სავსებით მართებულად არის შენიშნული, შუაფეოდალური ხანის სამაროვანთა არასათანადო შესწავლილობას ხელს უწყობდა ისიც, რომ იმ დროის სამარხები საერთოდ უინვენტაროდ ან მცირე ინვენტარის შემცველად იყო მიჩნეული, რაც თავისთავად არ იზიდავდა არქეოლოგებს[11]. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ იმის გამო, რომ მიცვალებულთათვის ნივთების ჩატანება უარყოფილ იქნა და საერთოდ შეიცვალა დაკრძალვის წესთა მთელი სისტემა, მართლაც, ანტიკურ ხანასთან შედარებით, სამარხეულმა ინვენტარმა მკვეთრად იკლო, მაგრამ ადრეფეოდალური ხანის პირველ საუკუნეებში ძველი ტრადიცია მთლიანად არაა დავიწყებული (რაც კარგად ჩანს ადრეფეოდალური ხანის ისეთი სამაროვნებიდან, როგორიცაა სამთავრო, არმაზისხევი, მაგრანეთი ერწოში, მატნის იაღსარი და სხვა), თუმცა სამარხეული კომპლექსის თანდათანობით გაღარიბება მაინც აშკარად იგრძნობა[12].

როგორც ჩანს, შუაფეოდალური ხანის დასაწყისისათვის საქართველოს ახალი პოლიტიკური და ეკონომიური აღმავლობის დამდეგს სამარხებში თანდათანობით ისევ შეიჭრა ცხოვრებაში ხმარებულ ნივთთა ერთი ნაწილი, ჯერ სამკაულის, ხოლო შემდგომ—საოჯახო და ყოფითი საგნების სახითაც.

რუსთავის სამაროვანი ერთი პირველთაგანი იყო, სადაც აღნიშნული მოვლენა თვალნათლივ იქნა შემჩნეული და ამიტომ იქ ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა შუაფეოდალური ხანის სამაროვანთა შესწავლის შემდგომ საქმეში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სიონში გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი და მდიდრული სამარხები გამოვლინდა, ვიდრე რუსთავში. ეს კი საშუალებას გვაძლევს უფრო სრულყოფილად წარმოვიდგინოთ სამარხთა აღნაგობა და ინვენტარის თავისებურება. ამასთანავე, მთისა და ბარის საზღვარზე აღმოცენებული ქალაქური სამოსახლოს ეს ვრცელი სამაროვანი, სხვა ახალ აღმონაჩენებთან ერთად, საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა შევიქმნათ არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ დაკრძალვის რიტუალზე, არამედ იმ სოციალურ, ეკონომიურ და კულტურულ ვითარებაზედაც, რომელიც წარმოქმნილა ისტორიულ კახეთში ამ მეტად მნიშვნელოვანი ხანისათვის.

**სიონის** სამაროვნის ტიპიური კომპლექსი საკმაოდ მრავალფეროვანია, მასში შედის: თიხის ჭურჭელი — უმთავრესად სასუფრე, სხვადასხვა მოყვანილობისა და ზომისა; მინის ჭურჭელი და მრავალრიცხოვანი სამაჯურები; ბრინჯაოს სამკაულები: ბეჭდები, სამაჯურები, ბურთულა ღილები, საყურეები, მძივები, ბალთები და სხვა; რკინის სმეურნეო და საბრძოლო იარაღი, რომელიც სხვებთან შედარებით მცირეა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სიონის ტიპიურ სამარხეულ კომპლექსში გვხვდება მრავალრიცხოვანი მძივები და მძივსაკიდები; სხვადასხვა მასალისაგან ნაკეთები ჯვრები; ტანისამოსისა და ქსოვილთა

---

[11] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 145.

[12] ლ. ჭილაშვილის ვარაუდით სამარხებში ინვენტარის გაქრობა, განსაკუთრებით VIII საუკუნიდან მაინც, გარდა ქრისტიანული დოგმატიკის საბოლოოდ დანერგვისა უნდა გამოეწვია იმ მძი-

ნაშთები და ზოგჯერ მონეტებიც, რაც ერთობლივ საკმაოდ მყარ საფუძველს ქმნის სამაროვნის ზოგადი დათარიღებისა და მათში ცალკეულ ქრონოლოგიური ჯგუფების გამოყოფისათვის.

ვიდრე უშუალოდ თარიღის საკითხს შევეხებოდეთ, ქვემოთ შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ შუასაუკუნეთა კომპლექსებში შემავალი ნივთები ცალკეულ სახეობათა მიხედვით.

### 3. თიხის ჭურჭელი

ფეოდალური ხანის სამარხებში თიხის ჭურჭელი საკმაოდ იშვიათია. ადრეფეოდალური ხანიდან, როდესაც ნივთების ოდენობამ სამარხებში მკვეთრად იწყო შემცირება, უპირველეს ყოვლისა ინვენტარიდან კერამიკა გაქრა. შემდგომ მთელი ადრეფეოდალური ხანის განმავლობაში (თუ ვიმსჯელებთ მცხეთის[13], ერწოს[14] და სხვა სამაროვანთა მიხედვით), თიხის ნაწარმი სამარხეულ კომპლექსებში თითქმის აღარსად გვხვდება.

ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის, მას შემდეგ, რაც ქრისტიანულმა სასაფლაოებმა მიიღო საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე (იგულისხმება მათი დაჯგუფება ეკლესიების გარშემო) და მას შემდეგ რაც საქართველოს ცალკეულმა მხარეებმა მოიპოვეს გარკვეული ეკონომიური წარმატება, სამარხეულ კომპლექსებს ეტყობათ ერთგვარი გამოცოცხლება. უკვე IX—X სს. ზოგიერთ სამაროვანზე შეიმჩნევა თიხის ჭურჭლის კვლავ გაჩენა ინვენტარში[15]. მაგრამ იმ ხანებისათვის ჭირისუფალთა ნივთიერი შემძლეობა იმდენად სამარხეულ ინვენტარში არ არის ასახული, რამდენადაც თვით სამარხების საშენ, ძვირად ღირებულ მასალასა და შენების მაღალ ხარისხში.

შუასაუკუნეთა სამაროვნებს შორის თიხის ჭურჭელი (კერძოდ მოჭიქულიც) პირველად რუსთავის სამარხებში იქნა აღმოჩენილი[16], მაგრამ სიონის სამაროვანმა ამ მხრივ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და დაგვიროვდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი თიხის ჭურჭელი.

სიონის სამარხებში აღმოჩენილია უმთავრესად სასუფრე ჭურჭელი, სასმისებისა და ჯამების სახით. ზოგჯერ ერთ სამარხში 4—5 ჭურჭელიც კია მოპოვებული.

თიხის ნაწარმი გარდა სამარხებისა, საკმაოდ უხვად ჩნდებოდა კულტურულ ფენაშიც, თუმცა იქ მოჭიქული ჯამების ნატეხები უფრო ჭარბობდა.

სიონის სამაროვანზე მოპოვებული თიხის ჭურჭელი იყოფა ორ ძირითად ო ო უ ჭ ი ქ ა ვ დ ა მ ო ჭ ი ქ უ ლ ჯგუფად. აქვე ცალკეა გამოსაყოფი თიხის

---

მე ეკონომიურ მდგომარეობასაც, რომელშიც აღმოჩნდა არაბების მიერ დაპყრობილი და ხარკდამძიმებული საქართველო (იხ. მ ი ს ი ა ქალაქი რუსთავი, გვ. 145—47).

[13] ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.

[14] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე. ერწოს ველის საველე-დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, XII არქეოლოგიური სესია, 1964; ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ფეოდალური ხანის ახლად აღმოჩენილი ძეგლები ერწოს ველიდან, XVI საველე-არქეოლოგიური სესია, 1967, გვ. 74—76.

[15] ლ. წ ი თ ლ ა ნ ა ძ ე, ა. კ ა ხ ი ძ ე, ზ. შ ა ტ ბ ე რ ა შ ვ ი ლ ი, 1966 წელს დარიალის ხეობაში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, XVI საველე-არქეოლოგიური სესია, 1967, გვ. 76—77.

[16] გ. ლ ო მ თ ა ტ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 193.

ჭურჭლის ერთი სახეობა თეთრი ანგობის სახეებითა და ჭიქურის ნაღვენთი ხალებით შემკული წითელკეციანი ჯამები, რომლებიც ნახევარფაბრიკატს კი არ წარმოადგენენ, როგორც აქამდე გვეგონა, არამედ აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ჭურჭლის თავისებურ სახეობას.

*
* *

მოუჭიქავი ჭურჭელი, მოუჭიქავი კერამიკა სიონის სამაროვანზე ძირითადად წარმოდგენილია ღია ფერის საშუალო და წვრილი ჭურჭლით[17]. ამათგან საშუალო ან მცირე ზომის საღვინე ხელადები სულ თითო-ოროლაა ხოლო სასმისებად მიჩნეული წვრილი ჭურჭელი დიდ უმრავლესობას წარმოადგენს.

ამ ჯგუფში გაერთიანებული ჭურჭლისათვის დამახასიათებელია კარგად განლექილი, ძალზე წმინდა თიხა, რომელიც მეტწილად ღია ჩალისფრადაა გამომწვარი. ზოგიერთი ჭურჭელი კი გარედან მოწითალოა და საგულდაგულოდ გაპრიალებული. ხშირია ჭურჭელთა მოხატვა შავი და წითელი საღებავით და კოპებით შემკობა. კოპები წარმოქმნილია ჭურჭელთა შიგნიდან ღრმა და ირიბი ნაჭდევებით.

მოუჭიქავ ჭურჭელში მოყვანილობით შემდეგი ძირითადი ტიპები გამოიყოფა:

პირტალღიანი სასმისები (ინვ. №№ 71, 115, 129, 149, 150, 162, 189, 217, 394, ტაბ. XXIX, 1). ეს არის მცირე, თხელკედლიანი ჭურჭელი, რომელსაც აქვს დაბალი ცილინდრული ყელი, აგრეთვე დაბალი (ირიბი კოპებით შემკული) მუცელი, ბრტყელი, ოდნავ შეღრმავებული ძირი და ბრტყელი, შუაში ჩაღარული ორი ყური. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჭურჭლის ტალღოვანი პირი, რომელიც შედგება მთელ პერიმეტრზე თანაბარი მანძილით დაშორებული ოთხი მოზრდილი „ტუჩისაგან". ტიპიური ჭურჭლის სიმაღლე უდრის 5,5—6 სმ, ყელის სიმაღლე—2 სმ, პირის დმ—6 სმ, ძირის დმ—4,5—5 სმ.

სიონის მოუჭიქავ, წვრილ ჭურჭელში პირტალღიანი სასმისები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანია და უპირატესად დამახასიათებელია იმ სამარხეული ფენებისათვის, რომლებიც XI—XIII სს. თარიღდებიან.

შედარებით უფრო დიდრონი მაგრამ ასეთივე პირის მქონე, ღია ფერის თხელკედლიანი ჭურჭელი მოპოვებულია რუსთავში[18] და იყალთოს XI—XIII სს. დათარიღებულ ფენებში[19].

მოყვანილობით ჭურჭლის ამავე ტიპის მსგავსია ორყურა, ძალზე დაბალყელიანი, ოდნავ პირგადაშლილი სასმისი, რომელიც მხოლოდ ბაკის მოყვანილობით განსხვავდება ზემოთ აღწერილებისაგან (№ 188, ტაბ. XXIX, 1). ამ სასმისს აქვს მრგვალი, სწორბაკოიანი პირი და კეციც მოწითალოდაა გამომწვარი.

---

[17] ლიტერატურაში კერამიკული ნაწარმის აღნიშნულ ჯგუფს „ფერმკრთალ" ჭურჭელსაც უწოდებენ. (იხ. მ. ჩხატარაშვილი, რუსთავის შუასაუკუნეთა მოუჭიქავი კერამიკის ერთი თავისებური სახეობა, „მაცნე", № 3, 1964, გვ. 165—176).

[18] მ. ჩხატარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 172—173, ტაბ. IV, სურ. 8.

[19] რ. რამიშვილი, გ. ჭეიშვილი, აღდგენითი მუშაობა და მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება იყალთოში 1966 წელს, XVI საველე არქეოლოგიური სესია, 1967, გვ. 85—89. მასალა ინახება იყალთოს მუზეუმში (მონასტერში).

სასმისები სიგრძივი კანელურებით (ინვ. № 419, მთელი და № 385, ნატეხი. ტაბ. XXVIIIა, 2. და ტაბ. XXIX, 1).

ახასიათებს დაგრძელებული ყელი და ოდნავ შემაღლებული ბრტყელი ძუსლი. ყურის რკალი ადის პირის დონეზე მაღლა, ხოლო მუცლის გარეთა გაპრიალებული ზედაპირი შემკულია 7 გრძივი ღრმა კანელურით. შემკულია ჭურჭლის ცილინდრული ყელიც ხშირი კონცენტრული ნაჭდევებით. სიმაღლე — 13,1 სმ-ია.

მსგავსი ჭურჭელი საქართველოს ძველ ცენტრებში საკმაოდ მრავლადაა მიკვლეული. კერძოდ, გუდარეხის XI—XIII სს. დათარიღებული ფენიდან ცნობილია რამდენიმე ასეთი ჭურჭლის ნატეხი, რომელთა შორის ერთი (ინვ. 2—51—314)[20] განსაკუთრებით დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს სიონის კანელურებიან ჭურჭელთან. ამასთანავე მსგავსი ჭურჭელი ცნობილია თბილისის[21], დმანისის[22], უჯარმის[23], რუსთავის[24] და სხვა განათხარში. ყველა ესენი სრულიად გარკვევით თარიღდებიან შუაფეოდალური ხანით, თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ მას სახელდობრ XII—XIII სს. მივაკუთვნებთ. კანელურებიანი ჭურჭელი, როგორც მოუჭიქავი თიხის ნაკეთობის საუცხოო ნიმუში, ქართული სამეთუნეო ხელოვნების მშვენებადაა მიჩნეული და გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც საიმედო დამათარიღებელი.

ცალყურა სასმისები. ამ ტიპის ჭურჭელს ახასიათებს მრგვალი, სადა პირი (რომელიც ყურის მიერთების ადგილას ოდნავ დაბრტყელებულია), ცილინდრული ყელი, მსხლისებრი მუცელი და მცირედ გამოყოფილი ბრტყელი ძუსლი. მრგვალკვეთიანი ყურის ზედა რკალი პირის დონეზე მაღლაა ასული (ინვ. №№ 105, 161, 303, 475) საშუალო სიმაღლე უდრის 8—9 სმ.

სიონში ნაპოვნი ოთხი ასეთი ჭურჭლიდან ორს ზედაპირი შედარებით მოწითალო აქვთ, ხოლო მხარ-ყელი შემკულია შავი საღებავით გამოყვანილი სახეებით (ტაბ. XXVIII, 1; XXIX, 2), დანარჩენი ორი (161, 303. ტაბ. XXIX, 2) კი ძალზე ღია ფერისაა. ამათგან ერთს (ინვ. 303) აქვს სამტუჩიანი პირი და ოდნავ დაბრტყელებული ტანი.

ზუსტად სიონურის მსგავსი ცალყურა სასმისები ჯერჯერობით არ არის ცნობილი აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კერამიკული ცენტრებიდან, სიონის ცალყურა სასმისები თითქოს წარმოადგენენ საღვინე ხელადების მინაბაძს, მათ აქვთ სრულიად გლუვი და კარგად დამუშავებული ზედაპირი.

საერთო იერით მათში მსგავსი ჩანს რუსთავში აღმოჩენილი ერთი ცალყურა, პატარა სასმისი[25] და ასეთივე ჭურჭელი დმანისიდან[26]. თუმც ტანი ორთავეს სუსტად გამოსახული კოპებით აქვს შემკული. მცირე სასუფრე ჭურჭლის მოხა-

---

[20] ლ. მუსხელიშვილი, შ. ხიდაშელი, ვ. ჯაფარიძე, გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში, თბ., 1954, გვ. 80, სურ. 33; ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, გვ. 58, ტაბ. X—1.

[21] ვ. ჯაფარიძე, XI—XIII საუკუნეების თბილისის კერამიკა, სსმმ XIV-B. 1950, გვ. 156; მისივე, ქართული კერამიკა, 1956, ტაბ. X, სურ. 2.

[22] ვ. ჯაფარიძე ქართული კერამიკა, გვ. 21, ტაბ. IX, სურ. 11.

[23] გ. ლომთათიძე, უჯარმის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, 1953.

[24] მ. ჩხატარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 170, ტაბ. III, სურ. 6.

[25] მ. ჩხატარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 171, ტაბ. III, სურ. 7. ამ ტიპის ჭურჭელს ავტორი „ფინჯნისებრ სასმისს“ უწოდებს.

[26] ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, ტაბ. XI, სურ. 3. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა. ჩვენი ცალყურა სასმისის შედარებით უფრო ახლო ანალოგია გამოქვეყნებული აქვს ხსენებულ ავ-

ტვა ანგობით ან შავი და წითელი საღებავით არ წარმოადგენს იშვიათ შემთხვევას და შუაფეოდალური ხანის კერამიკულ ცენტრებში მათი არა ერთი და ორი ნიმუშია დადასტურებული.

ო რ ყ უ რ ა ს ა ს მ ი ს ი (№ 8, ტაბ. XXIX, 2) სიონის სამაროვანზე ერთი ცალია მოპოვებული და ისიც მე-3, შიგნიდან მოჩუქურთმებულ სამარხში. ორი მაღლა აზიდული ამფორისებრი ბრტყელი ყური და მეტად მოხდენილი პროპორციები აღნიშნულ სასმისს აერთიანებს თიხის ჭურჭლების იმ მაღალმხატვრულ ჯგუფში, რომელშიც კანელურებიანი სასმისიც ექცევა და რომელიც მოწინავე სოციალური ფენების სასუფრე ჭურჭლად არის მიჩნეული[27].

იმ ორყურა და შედარებით უხეში, მოწითალო ჭურჭლებისაგან, რომლებიც დმანისშია მოპოვებული[28], სიონური, გარდა მოხდენილი ფორმისა, იმითაც აშკარად განსხვავდება, რომ მისი თიხა უაღრესად წმინდაა და მკვრივი.

ცალკე უნდა გამოიყოს ძალზე დაბალი ო რ ყ უ რ ა ს ა ს მ ი ს ი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ო რ ყ უ რ ა ფ ი ნ ჯ ა ნ ი (№ 456, ტაბ. XXX, 2). იგი ნაკეთებია ძალზე წმინდად განლექილი თიხისაგან და ღია ჩალისფრადაა გამომწვარი. ამ ტიპის სასმისებს ახასიათებთ განიერი პირი და ძალზე „დაბალი" პროპორციები. ტანი შემკული აქვთ ირიბი რელიეფით, რომელიც შიგნიდან დაწნევის წესითაა მიღებული.

ღია ფერის მოუჭიქავი ჭურჭლეულის ჯგუფშივე განვიხილავთ პატარა ს ა ღ ვ ი ნ ე ხ ე ლ ა დ ე ბ ს ა ც, რომლებიც თიხის დამუშავების ტექნოლოგიური თავისებურებით სრულ მსგავსებას იჩენენ ზემოთ განხილულ წვრილ ჭურჭელთან. ამათგან საყურადღებოა მ რ გ ვ ა ლ პ ი რ ა ხ ე ლ ა დ ე ბ ი (№ 127, 422, ტაბ. XXVIII ა, 3, XXX, 1), რომელთაგანაც ერთი მთელია (№ 127). მას აქვს მრგვალი ყელი, გადაშლილი პირი, სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი (სიმაღლე—15 სმ), ზედა ნახევარი და ყელი მოხატულია შავი და მოწითალო საღებავებით. აღსანიშნავია აგრეთვე ს ა მ ტ უ ჩ ა ხ ე ლ ა დ ა (ინვ. 496), რომელსაც ჰქონია მკვეთრად დანაკვთული პირი და წითელი საღებავით მოხატული ყელ-პირი (აღდგენა არ მოხერხდა). მართალია, ამ ხელადას ზუსტი ანალოგები არ მოეძებნება, მაგრამ რუსთავის, გუდარეხის, დმანისის, თბილისის, უჯარმისა და სხვა მონაპოვრებში გვეგულება ისეთები, რომლებიც გარკვეულ სიახლოვეს იჩენენ სიონის ხელადებთან. ამ მხრივ სხვებზე უფრო საყურადღებოა რუსთავი[29], სადაც სხვადასხვა მოყვანილობის მცირე საღვინეები საკმაოდ მრავალადაა წარმოდგენილი და თბილისი, სადაც აგრეთვე დადასტურებულია რამდენიმე ღია ფერის საღვინე ხელადა[30].

გარდა ზემოთ აღწერილისა, ღია ფერის ჭურჭლის სხვა მრავალი წვრილი ნატეხი იქნა მოპოვებული, როგორც სამარხებში, ასევე კულტურულ ფენაში. მართალია, ამ ნატეხთა მიხედვით ფორმების აღდგენა ძნელდება, მაგრამ ივრის სიონში მათი სიმრავლის თვით ფაქტი უაღრესად საყურადღებოა. საქმე იმაშია,

---

ტორს (ტაბ. IX, სურ. 1). ეს უკანასკნელი თრიალეთურია და შავი და წითელი საღებავებითაა მოხატული.

[27] მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ.172. შდრ. გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 383.

[28] ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 55, ტაბ. I, სურ. 7 და 9.

[29] მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 174, ტაბ. V, სურ. .11 და 12.

[30] ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, XI—XIII საუკუნეების თბილისის კერამიკა, სსმმ, XVI-B. თბ., 1950.

რომ ღია ფერის სასუფრე ჭურჭელი, თიხის დამუშავების კარგი ხარისხითა და საკმაოდ დახვეწილი და ნატიფი ფორმებით (აგრეთვე მაღალხარისხოვან მოჭიქულ ჭურჭელთან ერთად) მიჩნეულია შუაფეოდალური ხანის საქართველოს თიხის ნაწარმის ერთ-ერთ საყურადღებო ჯგუფად. მაგრამ, თუ მოჭიქული ჭურჭელი მასობრივად იხმარებოდა (განსაკუთრებით ქალაქებსა და ქალაქური ტიპის სამოსახლოებში), ღია ფერის წვრილი ჭურჭელი საზოგადოების უფრო ვიწრო წრის კუთვნილებად გამოიყურება და შეძლებული სოციალური ფენებისადმი მათი მიკუთვნება თითქოს ეჭვს არ იწვევს. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ღია ფერის ნატიფი ჭურჭელი მხოლოდ მოწინავე კერამიკული ცენტრებისათვისაა დამახასიათებელი (რუსთავი, დმანისი, თბილისი, იყალთო...) და ამასთანავე მათი რიცხვი საგრძნობლად ჩამოუვარდება მოჭიქული ჭურჭლისას. გამოთქმულია მართებული მოსაზრება, რომ ღია ფერის ამ მეტად მაღალხარისხოვანი და რთული ჭურჭლების დასამზადებლად არსებობდნენ საგანგებოდ დასპეციალებული მეთუნეები[31].

გარდა ამისა, ღია ფერის ჭურჭლის გამოყენების (და იქნებ წარმოების) კიდევ ერთი ცენტრის აღმოჩენით საგრძნობლად ფართოვდება ჩვენი წარმოდგენა თიხის ნაწარმის ამ სახეობაზე. ახლა, როდესაც მისი გავრცელება მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ცენტრებში უტყუარი ფაქტია, მომიჯნავე ქვეყნების კერამიკულ ნაწარმთან შედარების შემდეგ, უფრო თამამად შეიძლება დაისვას ამ ჭურჭლის ადგილობრივ, საქართველოში წარმოების საკითხი — მით უფრო, რომ შუაფეოდალური ხანის აზერბაიჯანში შესწავლილ ძეგლებზე მსგავსი ნაკეთობა სრულიად უცნობია[32]. რაც შეეხება სომხეთს, ღია ფერის წვრილი სასუფრე ჭურჭელი იქ ძალზე მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც გვხვდება[33] და მათი ფორმებისა და კეცის ქართულ ნაწარმთან იდენტურობა თავისთავად მიგვითითებს ამ ქვეყანაში მისი გავრცელების გზებზე. საქართველოდან სომხეთში ამ ტიპის ჭურჭლის გატანა უნდა მივიჩნიოთ ჩვეულებრივ მოვლენად, თუნდაც იმიტომ, რომ, ჯერ ერთი სომხეთის დიდი ნაწილი უშუალოდ საქართველოს შემადგენლობაში შემავალ და ამდენად იოლად „ხელმისაწვდომ“ პროვინციას წარმოადგენდა და მეორე ის, რომ ჩვენ ქალაქებს სომხეთის სავაჭრო-ეკონომიურ ცენტრებთან უაღრესად მჭიდრო კავშირი ჰქონდათ მთელი შუაფეოდალური ხანის მანძილზე და ამდენად მათ შორის ხელოსნური ნაწარმის გაცვლა-გამოცვლა სრულიად ჩვეულებრივ მოვლენადაა მისაჩნევი; მით უმეტეს, რომ ამგვარი ურთიერთობა, როგორც ქვევითაც დავინახეთ, სხვა მასალებიდანაც ჩანს.

*
* *

მოჭიქული ჭურჭელი, სიონში მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები საკმაოდ მრავლადაა მოპოვებული (ინვ. №№ 65, 110, 137, 147, 222, 238, 239,

---

[31] მ. ჩხატარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ 175. აღსანიშნავია, რომ ივრის სიონის დასავლეთ უბანზე, სადაც რიგით მაცხოვრებელთა სამარხები გვეგულება, ამგვარი ჭურჭელი თითქმის არ აღმოჩენილა.

[32] Г. Ахмедов, Неполивная керамика Орен-Кала IX—VIII вв., МИА, 67; Труды Азербайджанской (Орен-Калинской) археологической экспедиции, т. I. Москва, 1959, стр. 186—226.

[33] სომხეთში, მაგ. ანისის კოლექციაში არის სიონურის მსგავსი ერთი ანგელურებიანი ჭურჭელი (სომხ. ისტ. მუზ. № 123 (226), რომელსაც ვ. ჯაფარიძის შენიშვნით ქართულ სათანადო მასალებთან საკმაოდ მეტყველი კავშირი აქვს.

255, 260, 263, 302, 314, 359, 363, 364, 373, 414, 423, 429, 455, 465, 479, 487, 493). მაგრამ უმთავრესად წვრილი და იშვიათად მოზრდილი ნატეხების სახით. ამიტომ მათი მოყვანილობის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. მოჭიქული ჭურჭლის ნატეხების სიხშირე კულტურულ ფენებში იმის საბუთად უნდა მივიჩნიოთ, რომ სიონელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში მას საკმაოდ ფართო გამოყენება ჰქონია.

რაც შეეხება მოჭიქული ჭურჭლის ნატეხების სამარხებში აღმოჩენის ფაქტებს, მათი მეტისმეტი ფრაგმენტულობა გვაფიქრებინებს, რომ ის ნატეხები სამარხებში უფრო შემთხვევით უნდა იყოს მოხვედრილი, ვიდრე საგანგებოდ ჩატანებული. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოჭიქული ჭურჭლის ერთი ნაწილი გვიანფეოდალურისაკენ გარდამავალი ან საკუთრივ გვიანფეოდალური ხანის კუთვნილია.

სიონის შუაფეოდალური ხანის მოჭიქული ჭურჭლის ნატეხებს შორის გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

ჯამები, რომლებიც მოხატულია თეთრი ანგობის სქელი საღებავით და დაფარულია ფერადი ჭიქურით. ასეთ ჭურჭელს, თუ გავითვალისწინებთ ავრეთვე თბილისის, რუსთავის, უჯარმის, იყალთოს, დმანისის, გუდარეხისა და სხვა მსგავს მასალებს, თითქოს მთელ საქართველოში ერთი წესით ამზადებდნენ. უშუალოდ კეცზე წასმული თეთრი ანგობის სახეები რამდენიმეგვარია, ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება „მანები“, წრეები და დიდრონი „გულისებრი“ ხალები[34]. სიონური მასალების მიხედვით, უმთავრესად „მანებით“ მოხატვის წესი ჩანს გავრცელებული (ინვ. 221—221/1).

არანაკლებ საყურადღებოა ნატეხები, რომლებიც ეკუთვნიან ერთფერად მოჭიქულ ჯამებს (№ 222 110, 373, 363, 260), რომელთა შორისაც გვხვდება სამი ძირითადი ფერი: მწვანე, ცისფერი და მოყავისფერო, თითოეული რამდენიმე ვარიაციით.

ის ერთადერთი მოჭიქული მთელი სამარილეც, რომელსაც მრავლად მოეძებნება პარალელები შუაფეოდალური ხანის მასალებში[35], დაფარულია ჯერ ანგობითა და შემდეგ მწვანე ჭიქურით[36] (№ 414, XXX, 3).

გარდა ზემოთ აღწერილისა, სიონის მასალებს შორის არის ამოკაწვრის ხერხით შემკული და მრავალფერად მოხატული, მოჭიქული ჭურჭლის ნატეხებიც (ინვ. № 63, 137, 222, 372, 493 და სხვა), რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა აღმ. უბნის მე-10 სამარხში აღმოჩენილი ერთი ნატეხი (ინვ. №63): მასზე ცხოველის (თითქოს ცხენის) გამოსახულების ნაშთი (გავა) უნდა იყოს შემორჩენილი. მეორე, ავრეთვე მრავალფერად მოხატულ, ნატეხზე, ცხოველის

---

[34] ზ. მაისურაძე, ქართული მხატვრული კერამიკა, თბ., 1953; ვ. ჯაფარიძე, კერამიკული წარმოება XI—XIII სს. საქართველოში, 1956, გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მსკა, I, 1955, გვ. 154—148; ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 114—129; ლ. მუსხელიშვილი, შ. ხიდაშელი, და ვ. ჯაფარიძე, გუდარეხი, გვ. 122.

[35] ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ. ტაბ. XXXII და XVIII.

[36] აღსანიშნავია, რომ სრულიად ასეთივე სამარილეები საკმაოდ ბევრია მოპოვებული იყალთოში და სულ ბოლო ხანებში კი კეტერაზე. ამასთან დაკავშირებით იხ. რ. რამიშვილი, გ. ჭეიშვილი, აღდგენითი მუშაობა და მასთან დაკავშირებული კვლევა-ძიება იყალთოში. 1966 წ., XVI საველე არქეოლ. სესია, 1967, გვ. 85; გ. ლომთათიძე, რ. რამიშვილი, პირველი არქეოლოგიური კამპანია კეტერაში XVII საველე-არქეოლ. სესია, 1969, გვ. 29.

თათის ნაშთია შემონახული (ინვ. № 137); მსგავსი ჭურჭლები—ცხოველთა, ფრინველთა და სხვ. გამოსახულებით საკმაოდ ფართოდ ჩანს გავრცელებული მთელ საქართველოში[37].

მართალია, სიონის მოჭიქული კერამიკა ღარიბული ჩანს, მაგრამ იგი მაინც საყურადღებოა თუნდაც იმიტომ, რომ მოჭიქული ჭურჭლის შესწავლის თვალსაზრისით სათანადო ძეგლთა სიას კიდევ ერთი შეემატა.

ზემოთ განხილულ მასალებს შორის ყველაზე ძველ ჯგუფად შეგვიძლია მივიჩნიოთ ანგობით მოხატული და ერთფერად მოჭიქული ჯამის ნატეხები.

მოჭიქული ჭურჭლის ნატეხთა კიდევ ერთ მცირე ჯგუფს შედარებით გვიანდელი იერი გადაჰკრავს, მაგრამ იგი, ფრაგმენტულობის გამო, სრული მსჯელობის საშუალებას არ იძლევა[38].

## ანგობით მოხატული და მოუჭიქავი ჯამები.

ამ ბოლო დროს აღმოსავლეთ საქართველოსა და განსაკუთრებით კი ისტორიული კახეთის მიწა-წყალზე არაერთ არქეოლოგიურ განათხარში, თიხის სხვა ნაწარმთან ერთად ჩნდება ჯამების ერთი სახეობა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთხანს დაუსრულებელი ნაწარმის შთაბეჭდილებას ტოვებდა: მაგრამ, ამ რიგის ჭურჭლის გახშირებამ მონაპოვარში და, მაშასადამე, თავის დროზე ფართო გავრცელებამ საჭირო გახადა კერამიკის ამ ჯგუფის უფრო დაწვრილებით შესწავლა. ამ მხრივ ბიძგის მომცემი გახდა ივრის სიონის საკმაოდ მდიდრული კოლექცია (ინვ. №№ 128, 191, 192, 200, 201, 249, 451, 466, 467 და სხვა), რომელიც მოპოვებულია, როგორც სამარხებში, ასევე ეკლესიის გარშემო მდებარე კულტურულ ფენებში.

ამ ტიპის ჯამებს ჩვეულებისამებრ აქვთ საკმაოდ დამრეცი კალთა, აკეცილი კიდე, მრგვალი და საკმაოდ მაღალი ქუსლი (რომელიც შიგნითაა შეღრმავებული) და სწორი და თხელი ბაკო. თიხა რამდენადმე დაუწმენდავი, მაგრამ შკვრივია, კეცი—მეტწილად კარგად გამომწვარი. ჯამების საკმაოდ ხაოიანი ზედაპირი შემკულია ანგობით გამოყვანილი სახეებით, რომელთა შორის ყველაზე ხშირია ფართო ზოლების სახით ნახატი წრეები, „მანები", „გულები" და სხვა. ამ ნახატებს შორის აქა-იქ დაღვენთილია მწვანე ჰიქურის ხალები[39] (ტაბ. XXXI, 1, 2). ჩვეულებრივ, თეთრი ანგობით მოხატულ ან ხალებით დაწინწკლულ ჯამებს გადავლებული უნდა ჰქონდეს გამჭვირვალე ჰიქური, მაგრამ ეს ძირითადი წესი ამ შემთხვევაში უარყოფილია. ძნელია გადაჭრით პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ რამ გამოიწვია ჯამების ამგვარად კეთება; არის ეს ერთერთი „მოდური" გატაცება, თუ ჰიქურის სიძვირის და ეგებ კრიზისის შედეგად წარმომდგარი „თავისებურება"?

როგორც არ უნდა იყოს, ივრის სიონის მაგალითის მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ამგვარი ჯამები საკმაოდ მტკიცედ ყოფილა დამკვიდრებული ისეთ სამარ-

---

[37] ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", თბ., 1938; მისივე, Раскопки в Дманиси, СА VI, 1940; ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა. В. Джапаридзе, Художественная глазурованная керамика Грузии XI—XIII вв., СА, XVII, 1955; ზ. მაისურაძე, ქართული მხატვრული კერამიკა, თბ., 1953 და სხვ.

[38] მოჭიქული ჭურჭლის გვიანდელი ნატეხები მხოლოდ იმ თვალსაზრისით შეგვიძლია მივიჩნიოთ საყურადღებოდ, რომ გვაგულისხმებინებენ შუაფეოდალურიდან გვიანფეოდალური ხანისაკენ გარდამავალ დროს ივრის ხეობაში მოჭიქული ჭურჭლის კვლავ წარმოებას.

[39] მხოლოდ ორ შემთხვევაშია ხალები ცისფერი.

ხეულ კომპლექსებში, რომლებიც საზოგადოების შედარებით დაწინაურებული ფენის კუთვნილებად მივიჩნიეთ.

ანგობით მოხატული და მოუჭიქავი ჯამები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ მნიშვნელოვან ცენტრში, როგორიცაა რუსთავი[40]. იქ ამგვარი ჯამების სიმრავლე და კულტურული ფენების სხვა მასალებთან ერთად არსებობა მიუთითებს მათ პრაქტიკულ, ყოველდღიურ გამოყენებას. მსგავს ჯამთა ნატეხები გვაქვს აგრეთვე ჟალეთის, შუასაუკუნეებით დათარიღებულ ფენებში[41], თელავში[42], იყალთოში[43] და სხვაგანაც.

როგორც ამ ჯამების თანმხლები მასალის ანალიზიდან ჩანს, ისინი ძირითადად შუაფეოდალური ხანის, კერძოდ XII — XIII საუკუნეებისა უნდა იყოს.

გარდა ზემოთ დახასიათებული მასალებისა, სიონის სამაროვანზე მოპოვებულია სხვადასხვაგვარი საოჯახო ჭურჭლის ნატეხებიც (№№ 54, 71, 130, 180, 193, 194, 195, 216, 229, 231, 240, 261, 264, 385, 415, 416, 433, 464, 431, 482, 483, 484), რომელთა შორის ჭარბობს სამზარეულო კერამიკის, კერძოდ, ლეგა ფერის სადუღარი ქოთნების, მოზრდილი ხელადების, საღვინე ქვევრების და სხვა ნატეხები.

ივრის სიონის სამაროვანზე მოპოვებულ კერამიკაში საკმაოდ საინტერესოდაა წარმოდგენილი სამშენებლო კერამიკაც, კერძოდ, კრამიტი, რომელიც შეიცავს ორივე ტიპს, ბრტყელსა და ღარისებრს (№№ 139, 148, 180, 355, 374, 378, 383, 430, 480, 492, 494, 501—507).

განსაკუთრებით საყურადღებო ჯგუფს ქმნის მოზრდილი და მასიური კრამიტთა ნატეხები, რომლებიც წითელი საღებავითაა დაფარული და ხნოვანებით, შესაძლოა, აკლდამას ღაუკავშირდეს.

### 4. მინა

მინის ნაწარმი სიონის სამარხებში მეტად უხვად და მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი. თითქმის იშვიათია კომპლექსი, რომელშიაც სხვა საგნებთან ერთად მინისაგან დამზადებული რაიმე ნივთიც არ იყოს. ამასთანავე არის შემთხვევები, როდესაც მინის საგნები ინვენტარის უმთავრეს ნაწილსაც კი წარმოადგენს.

შუაფეოდალური საქართველოს სამაროვანთა შორის ივრის სიონი ჯერჯერობით ერთადერთია, რომელშიც მინის ნაკეთობა ასე უხვადაა წარმოდგენილი[44]. თვით რუსთავის სამაროვანზედაც კი მინის ჭურჭელი და სამკაული გაცილებით უფრო მცირერიცხოვანია.

სიონის სამარხებში მოპოვებული მინის ნაწარმი იყოფა სამ ძირითად ჯგუფად. ეს არის: ა) ჭურჭელი; ბ) სამაჯურები; გ) მძივები.

---

[40] გ. ლომთათიძე, კუხეთის რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით, 1966.

[41] დ. მუსხელიშვილი, რ. რამიშვილი, ჟალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წ. ანგარიში, XII საველე-არქეოლოგიური სესია, 1964.

[42] ცნობა თავაზიანად მოგვაწოდა ც. ჩიკოიძემ.

[43] რ. რამიშვილი, გ. ჭეიშვილი, დასახ. ნაშრ.

[44] სიონური მინის ნაწარმი შესასწავლად გადაეცა ექსპედიციის მონაწილეს ბ. ჯორბენაძეს, რომელიც ამზადებს საგანგებო გამოკვლევას (იხ. მისი „შუაფეოდალური მინის ხანის ნაწარმი ივრის სიონის სამაროვნიდან", ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ. ინსტ. და თიანეთის მუზ. სამეცნ. სესიის თეზისები, თბ., 1968, გვ. 18—19).

ა) **ჭურჭელი.** როგორც ცალკეულ სამარხთა აღწერილობიდანაც ჩანდა, მინის ჭურჭელი განსაკუთრებით უხვად აღმოსავლეთი და სამხრეთი უბნების იმ სამარხებშია მოპოვებული, რომლებიც ჩვენ ქონებრივად დაწინაურებული ფენის კუთვნილებად მივიჩნიეთ. ამ მხრივ მაინც გამოსარჩევია სამხრეთი უბნის სამარხები, რომელთაგან ზოგიერთში მინის რამდენიმე ჭურჭელიც კი იყო.

საერთოდ, სამარხებიდან მომდინარე მინის ჭურჭელი ყოველთვის უკეთესად არის ხოლმე დაცული, ვიდრე ფენებში მონაპოვარი, მაგრამ სიონის სამარხებში იგი, გარდა ერთი მცირე სანელსაცხებლისა, სულ ჩალეწილი იყო, რაც ამ სამარხთა ხშირი გამოყენებისა და შიდა ფენების არაერთგზისი დარღვევის შედეგი უნდა იყოს.

დანიშნულების მიხედვით სიონის მინის ჭურჭელი იყოფა ორ ქვეჯგუფად: სასმისებად და საპირფარეშო ჭურჭლებად.

**სასმისები.** გარდა უაღრესად დახვეწილი და ნატიფი ფორმებისა, გამოირჩევა თვით მინის საკმაოდ მაღალი ხარისხითაც. მოყვანილობით მათ შორის გამოირჩევა: ძაბრისებრი მაღალი სასმისები, რომლებსაც აქვთ ძალზე შევიწროებული ქვედა ნაწილი და ვიწრო მრგვალი ჭუსლი (იხვ. №№ 9, 126, 416/1, ტაბ. XXXII). ასეთი სასმისების მინა მეტწილად ღია მწვანე და გამჭვირვალეა, ხოლო ტანი გარედან შემკულია მოყავისფრო კოპებითა და ძაფისებრი ხვიებით.

მსგავსი ჭურჭელი შუაფეოდალური ხანის საქართველოში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. მაგალითად, რუსთავულ მინის კოლექციაში არის ერთი ასეთი მთელი ჭურჭელი, მაგრამ სხვათა ნატეხების მიხედვით, რომელზედაც აგრეთვე ხალებისა და კოპების ნაშთებია შემორჩენილი, ჩანს, რომ მსგავს სასმისებს კარგად იცნობდა რუსთაველის მოსახლეობაც[45].

სიონის ჩუქურთმიან სამარხში აღმოჩენილი მაღალი სასმისი გამოირჩევა უაღრესად დახვეწილი ფორმით და მინის მაღალი ხარისხით. ამ მხრივ სიონური ჭურჭელი მართლაც რომ სანიმუშოა და უნდა მივიჩნიოთ შუაფეოდალურ საქართველოში მხატვრული მინების წარმოების კიდევ ერთ მშვენიერ ეტყველ საბუთად.

ერთი ასეთი ჭურჭელი, მაგრამ ოდნავ უფრო მცირე, აღმოჩენილია დვინშიც, სადაც იგი გამოიყურება როგორც გამონაკლისი[46]. დვინში იგი ნაპოვნია ნივთებთან ერთად, რომლებიც საიმედოდაა დათარიღებული XII—XIII სს-ით. მსგავსად კანელურებიანი თიხის სასმისებისა, შესაძლოა მინის მაღალი, ძაბრისებრი სასმისიც დვინში საქართველოს რომელიმე საწარმოო ცენტრებიდან იყოს გატანილი. ხვია-კოპებით შემკული, მაგრამ მოყვანილობით რამდენადმე განსხვავებული მინის ფეხიანი სასმისები ცნობილია შუა აზიიდანაც[47].

---

[45] ნ. უგრელიძე, მინის წარმოება რუსთავში, 1960; მ. ჩხატარაშვილი, რუსთაველი მინის ნაწარმი, კრებ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, I, 1969.

[46] ამ სასმისის სურათი რ. ჯანფოლადიანმა, რომელიც სწავლობს დვინში განათხარ მინას, გადასცა ბ. ჯორბენაძეს. საყურადღებოა, რომ მინის მსგავსი სასმისები ცნობილია ირანიდანაც, მაგრამ ისინი სიონურისაგან იმით განსხვავდებიან, რომ აქვთ ორმაგი („ორსართულიანი") ფეხი, რაც სრულიად უჭვეულოა საქართველოსათვის. დანარჩენით (ტანის მოყვანილობით და შემკულობით) კი აღნიშნული სასმისი უაღრესად საგულისხმო პარალელია. ირანში ამგვარ სასმისებს X—XII სს-ით ათარიღებენ. იხ. Glass—from the Ancient World, New-Jork, 1957, გვ. 247, სურ. 295. იქ გამოხატული ჭურჭლის სიმაღლე უდრის 14,6 სმ.

[47] А. Абдуразаков, М. Безбородов, Ю. Заднепровский, Стеклоделие Средней Азии в древности и средневековье, Ташкент, 1963, стр. 123, 124, рис. 23, 24, 25.

პირფართო, ქვემოთკენ დავიწროებული, ჭუსლიანი სასმისები, რომლებიც საერთო იერით ძაბრისებრ სასმისებს ემსგავსებიან, მაგრამ მათგან განსხვავებით ახასიათებთ რამდენადმე დაბალი და განიერი პროპორციები (ინვ. №№ 52, 416/2, 490 416/3 ტაბ. XXXII). ჭუსლის მოყვანილობის მიხედვით ამ სასმისებში შესაძლოა გამოიყოს ჭუსლებშეზნექილი და ბრტყელჭუსლიანი ქვეტიპები.

მსგავსი ჭურჭელი, გარდა რუსთავისა და საქართველოს სხვა ცენტრებისა[48], ფართოდ გავრცელებული ჩანს ჩრდილო კავკასიაშიც. კერძოდ, ისინი აღმოჩენილია ზმეისკოეს სამაროვანზე. იქაური № 36 კატაკომბიდან მომდინარეობს ფეხიანი, პირგანიერი სასმისი, რომელიც, მსგავსად ჩვენი ძაბრისებრისა. შემკულია წრიული და მარყუჟისებრი ხვია ძაფებით. № 44 კატაკომბიდან მომდინარე სასმისი კი სადაა[49]. ზმეისკოეს ის კატაკომბები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო სასმისებს შეიცავენ, თარიღდება XI—XII სს-ით.

ჩრდილო კავკასიაში და კერძოდ ზმეისკოეს სამაროვანზე აღმოჩენილი მინის ჭურჭელი არა მარტო იმითაა საყურადღებო, რომ სიონის მინის ჭურჭლების ხნოვანების შემოწმების საშუალება იძლევა, არამედ იმითაც რომ ძუქს ფენს საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობის საკითხებსაც.

ცალკეა გამოსაყოფი ჭიქისებრი სასმისები, რომელთაც აქვთ განიერი დაბალი, ოდნავ გამობერილი ტანი და შეზნექილი ძირი. მინა გამჭვირვალეა, ღია მწვანე (ინვ. № 46, 448, ტაბ. XXXII). მათთვის დამახასიათებელია სადა ზედაპირი. მსგავსი სასმისები საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი რუსთავშიც. თუ ამასთანავე გავითვალისწინებთ ზოგიერთ პარალელურ მასალასაც, ამჟამად გახდება, რომ ჭიქისებრი სასმისების გავრცელების არეალი საკმაოდ ფართო ყოფილა. ამას მოწმობს თუნდაც ზმეისკოეს კატაკომბური სამარხებიდან მომდინარე მინის ჭიქისებრი სასმისები[50], რომელთა ნაწილი სიონის სათანადო სასმისებთან ახლო მსგავსებას იჩენს.

გარდა ზემოთ განხილულისა, ყურადღებას იქცევს მინის ჭურჭლის 4 ნატეხი (ინვ. № 47), რომლებიც ყელშევიწროებულ, პირფართო და გარედან ირიბად დატალღულ სასმისს უნდა ეკუთვნოდეს. ამ ჭურჭელსაც დაძერწილი ჰქონია მოყავისფრო კონცენტრული ხვიები. მინა მომწვანო-მონარინჯისფროა და გამჭვირვალე (ტაბ. XXXII).

მსგავსი ჭურჭლები, როგორც ვარაუდობენ[51], ფართოდ ყოფილა გავრცელებული შუა საუკუნეებში. ჭურჭლის ტალღური ზედაპირის მისაღებად იყენებდნენ საგანგებო შიგნიდან ტალღურ-პირიან ყალიბებს, რომელშიაც ბერავდნენ ამ სასმისებს. ამ წესით მიღებული ტალღური ზედაპირი იძლეოდა შუქჩრდილთა ეფექტურ შეხამებას და ჭურჭელს სასიამოვნო შესახედაობას ანიჭებდა[52].

---

[48] ნ. უგრელიძე, დასახ. ნაშრ.

[49] В. Кузнецов, Исследования Змейского катакомбного могильника, МИА, 114, 1968, табл. X.

[50] В. А. Кузнецов, დასახ. ნაშრ., გვ. 47, ტაბ. X, სურ. 5.

[51] Ф. Д. Гуревич, Р. М. Джанполадян, М. В. Малевская, Восточное стекло в древней Руси, Лнгр., 1968, стр. 13.

[52] იქვე, ტაბ. XI, სურ. 3.

საყურადღებოა, რომ ნოეოგრუდკაში (გროდნოს ოლქი, ბელორუსია) აღმოჩენილ ამგვარ ჭურჭლებს აღმოსავლეთი ბიზანტიიდან შეტანილად მიიჩნევენ. როგორც ცნობილია, აღმოსავლური საქონელი გარდა შავიზღვისპირეთისა, რუსეთში კავკასიის გავლითაც ბლომად შედიოდა და შუასაუკუნეთა საქართველოს იმდროინდელ მდგომარეობას თუ გავიხსენებთ, იქნებ არც ის იყოს ჭეშმარიტებას მოკლებული თუ ვივარაუდებთ, რომ რუსეთისათვის მინის მზა ნაწარმის ყველაზე უხვად მიმწოდებელი კავკასია ყოფილიყო. სხვა არა იყოს რა, მინის საწარმოო-სახელოსნო ცენტრები ჯერ-ჯერობით მხოლოდ საქართველოშია არქეოლოგიურად მიკვლეული, რაც აგრეთვე საკმაოდ ანგარიშგასაწევი საბუთია ჩვენში ხელოსნობის ამ დარგის ძლიერი დაწინაურებისა. ასეთ აღმავლობას კი, გარდა სამინაო საჭიროებისა, საგარეო ბაზრის მოთხოვნაც შეუწყობდა ხელს.

**სააფთიაქო და პირსაფარეშო ჭურჭელი** შედარებით მცირერიცხოვანია და მასში სულ ორი ტიპი გამოიყოფა.

ერთი მათგანი მხოლოდ ჭურჭლის ყელ-პირის სახითაა წარმოდგენილი და ეკუთვნის მცირე „ხელადის“ მსგავს ფლაკონს, რომელსაც პარალელური არქეოლოგიური მასალების მიხედვით, უნდა ჰქონოდა მრგვალი, მაღალი, წიბოიანი ყელი; სფერული მუცელი; ლამაზი, ფართო, მოხრილი ყური და ოდნავ შეზნექილი ძირი (ინვ. № 86, ტაბ. XXXII,).

რუსთავის შუაფეოდალური ხანის სამაროვანზე, ერთ-ერთ დანგრეულ სამარხში აღმოჩენილია მინის ჭურჭელი, რომელსაც სიონური ნიმუში ძლიერ ემსგავსება[53], თუმცა უნდა შეინიშნოს, რომ სიონური ჭურჭლის ყელს ერთი რელიეფური წიბო აქვს, რუსთავულს კი ორი[54].

მეორე ჭურჭელი წარმოადგენს მცირე სანელსაცხებლეს, რომელსაც აქვს მომაღლო მრგვალი ყილი, დაბრტყელებული ბაკო, მრგვალი მუცელი და ბუსლის მსგავსად ოდნავ გამოყოფილი ძირი (ინვ. № 61, ტაბ. XXXII). ძალზე სქელი მინა დახშული თეთრია.

მე-10 სამარხი, საადაც ეს სანელსაცხებლეა აღმოჩენილი, ერთი იმათგანია, რომელნიც ადრეფეოდალური ხანის დასასრულით არიან დათარიღებული. შესაძლებელია, მინის ეს ჭურჭელიც იმ იშვიათ ნივთთაგანი იყოს, რომლებიც აღნიშნულ ხანას უნდა მიეკუთვნოს. ეს მცირე ჭურჭელი მოყვანილობით ძლიერ ჰგავს გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხებში მიკვლეულ ზოგიერთ სანელსაცხებლეს, ამდენად, შესაძლოა იგი უფრო არქაული ფორმის გადმონაშთადაც მივიჩნიოთ, აქვე უნდა ითქვას, რომ სქელკედლიანი მინის მცირე ჭურჭელი მახლობელ აღმოსავლეთში შუაფეოდალურ ხანაშიც ყოფილა გავრცელებული[55].

---

[53] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული..., გვ. 194, ტაბ. XXI, სურ. 1, აღნიშნული ჭურჭლის შესახებ გარდა ამისა იხ.: ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 142, ტაბ. XXVII, სურ. 2; Н. А. Бердзенишвили, В. А. Дондуа, М. К. Думбадзе, Б. А. Меликишвили, Ш. А. Месхия, История Грузии, т. I, Тбилиси, 1962, стр.175.

[54] ამგვარი ჭურჭლის ნატეხები აღმოჩენილია ნატბეურშიც. ესაა საწარმოს ნამთის მახლობლად, გადანაყარში ნაპოვნი ერთი წუნდებული ჭურჭლის ნატეხი: საკმაოდ მაღალ ყელს გარს შემოუყვება სამი გამობერილი წიბო, ყური მიძერწილია ყველაზე ზედა წიბოზე. იქვე უნახავთ ამ ჭურჭლის დაჭყლეტილი ძირიც (ნ. უგრელიძე, ნატბეურის მინის საწარმო, მსკა III, 1963, გვ. 64). აღსანიშნავია, რომ ნატბეურის საწარმო არსებობდა XIV საუკუნემდე.

[55] Ф. Д. Гуревич, Р. М. Джаноладян, М. В. Малевская, დასახ. ნაშრ.

**სამაჯურები და მძივები.** შუასაუკუნეებში გავრცელებულ სამკაულებს შორის მინის სამაჯურებს და მძივებს წამყვანი ადგილი უჭირავთ. ამასთანავე სრულიად აშკარაა, რომ ამ სამკაულებს ხმარობდნენ მოსახლეობის ფართო ფენები, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად.

სირონის მინის სამაჯურების საკმაოდ მეტყველ კოლექციას შეუძლია გარკვეული წვლილი შეიტანოს სამკაულის ამ სახეობის შესწავლის საქმეში მით უმეტეს, რომ ნაწილი კარგადაა შემონახული; რაც გვიადვილებს მათ ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიურ დახასიათებას. რაც შეეხება მძივებს, როგორც თითქმის ყველა ეპოქაში, ისინი შუაფეოდალურ ხანაშიც ფართოდ ჩანს გამოყენებული და ამიტომაა, რომ სიონის თითქმის ყველა სამარხში მეტ-ნაკლები რაოდენობით გვხვდებოდა.

მინის სამაჯურების უმეტესობა ნაკეთებია შედარებით მაღალხარისხოვანი, გამჭვირვალე მინისაგან, მაშინ როდესაც მძივებისათვის გაცილებით უფრო მდარეხარისხოვანი მასალაა გამოყენებული.

იმის გამო, რომ მინის სამაჯურები შუასაუკუნეებში, გარდა კავკასიისა, ფართოდ იყო გავრცელებული ბევრ სხვა ქვეყანაშიც, სადღეისოდ წარმოქმნილია საკმაოდ მდიდარი სათანადო ლიტერატურა, სადაც, გარდა ტიპოლოგიური დახასიათებისა და ქრონოლოგიის საკითხებისა, ხშირად დასმულია მინის სამაჯურების წარმომაელობისა და ამა თუ იმ ქვეყნებში გავრცელების გზების საკითხიც[56].

ამ თვალსაზრისით საქართველო უაღრესად საყურადღებო მხარეს წარმოადგენს, რადგანაც აქ გარდა „არქეოლოგიური მინის" სიუხვისა, მოგვეპოვება

---

[56] გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მსკა, ტ. I, 1955, გვ. 159—160; ნ. უგრელიძე, მინის წარმოება ფეოდალურ საქართველოში (მოხსენდა არქეოლოგთა საკავშირო სესიას 1959 წ.); მისივე, მინა ძველ საქართველოში, 1961; მისივე, ნატბეურის მინის საწარმო, მსკა, III,1963 წ.; რ. დოლაბერიძე, საქართველოს მინის სამაჯურები(IX—XIII სს.). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე,XXVIII-B, 1969; გ. ღემღელიანი, მინისსაბერი წარმოების ნაშთები კარსანში, მცხეთის მახლობლად, საქართველოს მეცნ. აკად. მოამბე, ტ. VI, 1945, № 9.

მართალია, გ. ღემღელიანი ამ ნაშრომში კარსნის საწარმოს XIV—XV საუკუნეებით ათარიღებდა, მაგრამ, როგორც პირად საუბარში განუცხადებია, შეუძლებლად არ მიუჩნევია ამ თარიღის XII—XIII საუკუნეებისაკენ გადაწევა (იხ. გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მსკა, I გვ. 160). М. А. Артамонов, Средневековые поселения на нижнем и среднем Дону, Л., 1935, стр. 15—17; Б. А. Рыбаков, Ремесло древней руси, М., 1948; М. А. Безбородов, Стеклоделие в древней Руси, Минск, 1956; З. А. Львова, Стеклянные браслеты и бусы из Саркела, Белой Вежи, МИА, 75, М.-Л., 1959; Ю. Л. Щапова, Стеклянные изделия древнего Новгорода, МИА, 117; Ю. Л. Щапова, Стеклянные изделия средневековой Тмутаракани, Керамика и стекло древней Тмутаракани, М., 1963; М. Д. Полубояринова, Стеклянные браслеты..., МИА, 117; В. В. Кропоткин, О производстве стекла и стеклянных изделий в средневековых городах Сев. Причерноморья и на Руси, КСИИМК, 68, 1957; Б. Б. Кропоткин, Г. Ф. Соловьева, К вопросу о производстве, распространении и датировке стеклянных браслетов древней Руси КСИИМК, XLIX, 1953;В. А. Богусевич, Мастерские XI в. по изготовлению стекла и смальты в Киеве, КСИА, АН УССР, т. 3, 1954; М. А. Безбородов, А. Л. Якобсон, Химическое исследование средневековых стекол из Байлакана, СА, № 4, 1960; О. В. Милорадович, Христианский могильник на городище Верхний Джулат, МИА-114, М., 1963 и пр.

ამ ბოლო წლებში გათხრილი და შესწავლილი მინის საწარმოებიც[57], რომელთა საშუალებითაც ახლავე იქმნება საკმაოდ მყარი საფუძველი მინის ზოგიერთი ნაკეთობის სადაურობისა და მისი გავრცელების გზების გარკვევისათვის. სწორედ ამ ახალ აღმოჩენათა ფონზე უკვე სადღეისოდ შეგვიძლია შუასაუკუნეთა აღმოსავლეთ საქართველოში მინის წარმოების არა მხოლოდ სამი კერა ვიგულოთ (ჯარსნისხევი, ნატბეური და ორბეთი), არამედ გაცილებით მეტი. კერძოდ, ივრის სიონში მინის ნაკეთობის სიუხვისა და ზოგიერთი თავისებურების, აგრეთვე მთელ ხეობაში მინის ფართოდ გავრცელების მიხედვით, ისიც კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველად ამ „ქვეყანაშიც“ ყოფილა მინის წარმოების საკუთარი კერა.

სიონის სამაჯურები მეტწილად ნაკეთებია შავი, მწვანე, თაფლისფერი და მუქი ლურჯი მინებისაგან. სამაჯურთა გაწელვა-დამუშავების ხელოვნება საკმაოდ დახვეწილია, უმეტესობა წესიერადაა მორკალული.

გარეგნული ნიშნებისა და ტექნოლოგიური თავისებურების მიხედვით სიონის სამაჯურებში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ჯგუფები:

სამკუთხაკვეთიანი, სადა სამაჯურები. მინა ღია მოლურჯოა, დახშული (№ 64, 91, ტაბ. XXXIII), სამაჯურთა ეს ჯგუფი ყველაზე მცირერიცხოვანია და რაც მთავარია, ერთი მათგანი (№ 64) მოპოვებულია იმ სამარხში (№ 10), რომელიც შუტანილი გვაქვს სიონის ქვისსამარხთა აღრეფეოდალურიდან შუაფეოდალაურისაკენ გარდამავალ ჯგუფში. რაც შეეხება მეორეს (№ 91) ის მოპოვებულია № 11 სამარხის (აღმ. ფბანი). შუაფეოდალური ხანის ნივთების შემცველ ფენაში. სამკუთხაკვეთიანი სამაჯურები, როგორც ჩანს, გაჩენილა მინის სამაჯურების გავრცელების პირველსავე საფეხურზე და, სხვა ტიპის სამაჯურებთან ერთად, შუაფეოდალურ ხანაშიც ყოფილა ხმარებაში, მაგრამ მაინც მათი სიმრავლე უფრო აღრეფეოდალური ხანის დასასრულისათვისაა დამახასიათებელი. საყურადღებოა, რომ მსგავსი სამაჯურები მრავლადაა აღმოჩენილი ორბეთის მინის საწარმოშიც[58].

გარდა საქართველოსა, სამკუთხაკვეთიანი სამაჯურები ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიიდანაც. კერძოდ სარკელში ისინი წინასლავური ფენის კუთვნილებადაა მიჩნეული და მათ IX ს-ის II ნახევრითა და X ს-ით ათარიღებენ[59]. რაც შეეხება ტმუტარაკანს, იქ სამკუთხაკვეთიანი სამაჯურების გაჩენის თარიღად X საუკუნეა მიღებული[60].

შემდეგ ჯგუფებში ერთიანდება მრავალკედლიანი, გლუვი სამაჯურები, რომელთა ნაწილს რკალის შეერთების ადგილი დაბრტყელებული

---

[57] ნ. უგრელიძე, 1958, წ. ორბეთის მინის საწარმოს დაზვერვის ანგარიში. 1958 წ. წარმოებული საველე-არქეოლოგიური სესიის თეზისები, 1959 წ.; მისივე, ნატბეურისა და ორბეთის მინის საწარმოთა თხრის ანგარიში, საველე-არქეოლ. სესიის თეზისები, 1960 წ., გვ. 60—61 და 1961 წ., გვ. 57—61; მისივე, ორბეთის მინის საწარმოს თხრის შედეგები, საველე-არქეოლ. სესიის თეზისები, 1962 წ., გვ. 56—59. 1969 წელს წარმოდგენილ მონოგრაფიაში ორბეთის მინის საწარმოს შესახებ ნ. უგრელიძემ საბოლოოდ დააზუსტა ძეგლის თარიღი და იგი VIII—IX საუკუნეებით განსაზღვრა. ესოდენ ძველი საწარმო არათუ კავკასიაში, არამედ უფრო შორეულ მხარეებშიც კი ჯერჯერობით არსად არ არის ცნობილი.

[58] ნ. უგრელიძე, დასახ. ნაშრომები.

[59] З. А. Львова, დასახ. ნაშრ., გვ. 303—323.

[60] Ю. А. Щапова, დასახ. ნაშრ., გვ. 105—111.

აქვს, ხოლო სხვებს — კბილანებიანი (ინვ. №№ 104, 109, 273, 324, 353, 411, 412, 392, 446, 453. ტაბ. XXXIII, 3—3.). უმრავლესობა №№ 273, 324, 353, 392, 453) შავი მინისაა.

შავი სამაჯურები როგორც ვარაუდობენ თბილისის, დმანისის, რუსთავის, დვინის, ანისის, ორენ-ყალას, მინგეჩაურის, ჩუკურ-იურთის და სხვა განათხართა მიხედვით უპირატესად ძიერკვაისათვისაა დამახასიათებელი და სხვა მხარეებშიც აქაური საწარმოო ცენტრებიდან უნდა იყოს გავრცელებული[61]. სადა, მრგვალკვეთიანი სამაჯურების ერთი ნაწილი ნაკეთებია მომწვანო მინისაგანაც. აღნიშნული ტიპის სამაჯურები უპირატესად XI—XIII სს. იყო გავრცელებული.

სიონის სამაჯურთა მ ე ს ა მ ე, ყველაზე დიდ ჯ გ უ ფ ს შეადგენს გრეხილი სამაჯურები, რომლებიც, ზოგიერთი თავისებურების მიხედვით ორ მთავარ ქვეჯგუფად გვაქვს დაყოფილი. ერთს შეადგენენ მ ს ხ ვ ი ლ გ რ ე ხ ი ლ ი, მ რ გ ვ ა ლ კ ვ ე თ ი ა ნ ი ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი (№№ 93, 103, 157, 343, 397, 411, 468, ტაბ. XXXIII, 9—12). ოთხელთა მინაც მეტწილად თაფლისფერი და მომწვანოა.

ზ. ლვოვას ვარაუდით, მსხვილგრეხილი სამაჯური მზადდებოდა სწორ, გაწელილ ღეროზე ჯერ სიგრძივი ღარების გავლებით, ხოლო შემდეგ კი მისი ხელახალი გაცხელებითა და დაწირეხებით[62].

მეორე ქვეჯგუფია წ მ ი ნ დ ა გ რ ე ხ ი ლ ი, მ რ გ ვ ა ლ კ ვ ე თ ი ა ნ ი ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი (ინვ. №№ 92, 125, 157, 177, 212, 281, 393, 412; 458; ტაბ. XXXIII, 13—16). მინა აგრეთვე მომწვანო ან თაფლისფერია. რკალის შეკვრის ადგილას აქაც ხშირად ვხედავთ მეტ-ნაკლები სიდიდის შვერილებს. ამგვარი სამაჯურები უაღრესად დამახასიათებელი ჩანს საქართველოს შუასაუკუნეთა თითქმის ყველა არქეოლოგიური ძეგლისათვის; რაც შეეხება ჩრდილო კავკასიას, საყურადღებოა მათი სიმრავლე სარკელში და ამასთანავე სიმცირე ბიზანტიის უშუალო გავლენის ქვეშ მყოფ ტმუტარაკანში[63].

გრეხილი სამაჯურები (სიონის სამარხებისა და სხვა პარალელური მასალების მიხედვით) ძალზე ფართოდ ყოფილა გავრცელებული შუაფეოდალური ხანის მთელ მანძილზე, მაგრამ, თუ თვალს გადავავლებთ რაოდენობრივ შეფარდებას სხვა ადგილებიდან მომდინარე სამაჯურებთან, დავინახავთ, რომ სიონში მათი ხვედრი წონა განსაკუთრებით დიდია. მსგავსი სურათი შეიმჩნევა უჯარმისა და რუსთავის[64] მასალებშიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ შუაფეოდალური ხანისათვის გრეხილი სამაჯურები, განსაკუთრებით ფართოდ ისტორიული კახეთ-კუხეთის მხარეში ყოფილა გავრცელებული, ეს კი ეგებ ადგილობრივი საწარმოო ცენტრის თუ ცენტრების არსებობით და მისი ნაწარმის თავისებურებითაც შესაძლოა აიხსნებოდეს.

**მინის მძივების** ნაწილი წვრილია და არაწესიერად მრგვალი. ნაკეთებია მდარეხარისხოვანი მინისაგან; დაუდევრად. ჭარბობს ცისფერი, თუმცა

---

[61] З. А. Л ь в о в а, დასახ. ნაშრ., გვ. 311—312.

[62] ი ქ ვ ე, გვ. 303.

[63] Ю. А. Щ а п о в а, დასახ. ნაშრომი. საყურადღებოა, რომ ჩრდ. კავკასიის ისეთ სამაროვნებზე, როგორიცაა ზემეისკოესი და ზემო ჯულათისა, სიონის მსგავს სამარხეულ კომპლექსებში მინის ერთი სამაჯურიც კი არ არის წარმოდგენილი. (იხ. МИА, № 114).

[64] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, უჯარმის ანგარიში; მ ი ს ი ვ ე, რუსთავში წარმოებული..., ტაბ. XVIII—XIX.

საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი შავი, თეთრი და მოყვითალო წვრილი მძივებიც.

სამაგიეროდ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მძივების მეორე წყება. რომელშიაც საკმაოდ მეტყველი და მრავალფეროვანი ნიმუშებია წარმოდგენილი. ამათგან შეიძლება გამოიყოს რამდენიმე უმთავრესი ჯგუფი:



სურ. 14. მძივების ნიმუშები სიონის ზედაპირული ფენის სამარხებიდან.

ინკრუსტაციული მძივები (№№ 6, 62, 334, 361, 454, 312 და სხვა, სურ. 14). უმეტესობა მრგვალდაბრტყელებულია (საშუალო დიამეტრი

1,0—1,2 სმ); მინა ლურჯია და ზედაპირზე აქა-იქ ჩასმული აქვს სხვადასხვა ფერის ხალები, რომლებიც ზოგჯერ შემოფარგლულნი არიან თეთრი წრეებით, ზოგჯერ კი ზიგზაგებით. მსგავსი მძივები უძველესი დროიდანვე საკმაოდ ფართოდ არის ცნობილი მთელ კავკასიაში და უფრო შორსაც. ამდენად, ბუნებრივია, რომ თანმხლები კომპლექსის გარეშე მათი დათარიღება ძალზე ძნელია. ჩანს, ინკრუსტაციული მძივები შუასაუკუნეებშიც საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. გარდა რუსთავის[65], ერწოს, უჯარმისა და სხვა ადგილებისა მათ ვხვდებით ჩრდილო კავკასიის ისეთ სამაროვნებზე როგორიცაა ჩმი, ბალთა, გოუთე[66], ზემო ჯულათი[67], ზმეისკოე[68] და სხვ.

დაღარული მძივები[69] (ინვ. №№ 145, 282, 309, 471, 156, და სხვა სურ. 14) მეტ-ნაკლები სიდიდისაა (სამ. დმ—1 სმ). მინა მეტწილად მოცისფეროა. თუმცა გვხვდება შავი, ლურჯი და თეთრიც. ეს მძივები ჩანს, საგანგებო ყალიბებითაა ნამზადი. გარდა რუსთავის შუაფეოდალური ხანის სამაროვნისა, მსგავსი მძივები მცირეოდენი გვხვდება ჩრდილო კავკასიაშიც, კერძოდ. ზემო ჯულათის, XIII—XIV სს-ის ქრისტიანულ სამაროვანზე[70].

მოგრძო მილისებრი მძივები ზოგი მრგვალკვეთიანი, ზოგი წახნაგოვანი (ინვ. №№ 145, 325, 82, 410, 242 და სხვა). ამასთანავე მოგრძო, წვრილი მძივების ერთიმეორეზე მიკავშირებით არის შედგენილი.

გარდა ჩამოთვლილისა, სიონის სამარხებში, ისევე როგორც რუსთავში, აღმოჩნდა თეთრი მასისაგან ნაკეთები სხვადასხვა მოყვანილობის ასიმეტრიული მძივები, რომლებიც ცისფერი ჭიქურის ფენითაა დაფარული.

ასეთია სიონის სამარხებში მოპოვებული მინის ნაკეთობის მოკლე აღწერა-დახასიათება და სხვა ვანათხარ მასალებთან მისი ურთიერთობის საკითხი.

რა თქმა უნდა, მინის ნიმუშების სპექტრულ და ქიმიურ გამოკვლევამდე. სიონური ნაწარმი საბოლოოდ შესწავლილად ვერ ჩაითვლება. მაგრამ აქ წარმოდგენილი მასალების ანალიზის საფუძველზე უკვე ახლავე გვეძლევა ზოგიერთი ფრიად საყურადღებო დასკვნის გამოტანის საშუალება.

უპირველეს ყოვლისა, სიონის მონაპოვარმა საგრძნობლად შეავსო შუასაუკუნეთა მინის მანამდე არსებული კოლექციები და ჭურჭლის ახალი ფორმების გამოვლენით საგრძნობლად გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა მხატვრული ხელოსნობის ამ დარგზე.

ამას გარდა, სიონის მინის ნაკეთობის შესწავლამ კიდევ უფრო გაამახვილა ჩვენი ყურადღება ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობის საკითხებზე და საშუალება მოგვცა უფრო ნათლად წარმოგვედგინა ის სავაჭრო-ეკონომიური კავშირები რომლებიც მაშინდელ საქართველოს და კავკასიის დანარჩენ მხარეებს შორის ყოფილა.

სიონის სამარხებში მინის სიუხვე, ჩვენი აზრით, კიდევ სხვა მხრივაც არის საყურადღებო. როგორც ცნობილია. მინა და მინის ნაწარმის ზოგი სახეობა, კერძოდ ჭურჭელი, უძველესი დროიდანვე დამახასიათებელი იყო მხოლოდ

---

[65] გ. ლომთათიძე, რუსთავის..., გვ. 189, ტაბ. XVIII, სურ. 2.

[66] О. Б. Дрепик, Классификация и хронология Аланских украшений VI—IX, вв. МИА, 114, стр. 146.

[67] О. В. Милорадович, დასახ. ნაშრ., გვ. 89, სურ. 2.

[68] В. А. Кузнецов, დასახ. ნაშრ., ტაბ. V.

[69] აღნიშნული მძივები მოყვანილობით ძლიერ ემსგავსებიან გაფცქვნილ მანდარინს.

[70] О. В. Милорадович, დასახ. ნაშრ., გვ. სურ. $2^1$, გვ. 92, სურ. $5^1$.

განსაკუთრებით დაწინაურებული სავაჭრო-ეკონომიური ცენტრებისათვის. ამ შეტად თავისებური მასალის აღმოჩენის ადგილთა გეოგრაფიულმა განლაგებამ მკვლევართა ერთი ნაწილი იმ დასკვნამდეც კი მიიყვანა, რომ მინის ჭურჭლის ძირითადი მომხმარებელი ქალაქური მოსახლეობა ყოფილა[71]. ვფიქრობთ, ამ დაკვირვებას საკმაოდ რეალური საფუძველი აქვს. ასეთ ვითარებაში კი, ბუნებრივია, კიდევ უფრო მტკიცდება ჩვენი შეხედულება, რომ შუასაუკუნეებში სიონის ადგილას ვიგულისხმოთ ივრის ხეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრი, რომელიც ალბათ საკმაოდ მოზრდილ, ქალაქური ტიპის სამოსახლოს წარმოადგენდა.

## 5. ბრინჯაოს სამკაული

როგორც სამარხების აღწერილობიდანაც ჩანდა, სიონის სამარხეულ კომპლექსებში ბრინჯაოს სამკაული წარმოდგენილია ისეთი მრავალფეროვნებით, რომ ამ მხრივ აღნიშნულ სამაროვანს თანადროულ ძეგლებს შორის ბადალი არ მოეძებნება. ბრინჯაოს სამკაულის ასეთი სიუხვე საშუალებას გვაძლევს კიდევ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრთა არა მარტო ნივთიერი კულტურის საერთო დონე, არამედ ძლიერების ზენიტზე მყოფი საქართველოს მოსახლეობის ეკონომიური შემძლეობა და სოციალური ურთიერთობის ზოგიერთი თავისებურებაც კი.

სიონის ბრინჯაოს სამკაული განხილული იქნება შემდეგი თანმიმდევრობით: ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, ღილები და სხვანაკეთობა.

**ბეჭდები**[72]. სამაროვანზე მიკვლეული ბრინჯაოს 51 ბეჭდიდან ქიმიური დამუშავების შემდეგ დაიშალა 5, დანარჩენი 46 ბეჭდისათვის საერთო დამახასიათებელი ნიშანია მეტ-ნაკლები სიდიდის ფარაკი, რომელიც რკალთან ერთადაა ჩამოსხმული. ბრინჯაოს თვალბუდიანი ბეჭდები სიონის სამაროვანზე არ აღმოჩენილა.

გარეგნული ნიშნების მიხედვით ამ ბეჭდებს შორის შემდეგი უმთავრესი ჯგუფები გამოიყოფა:

ვიწროფარაკიანი ბეჭდები, რომელთაც აქვთ წრიული, ოდნავ ბრტყელი და წვრილი რკალი, რომელიც მხრებთან მცირედ განიერდება და გადადის ვიწრო და მოგრძო ფარაკში. ზოგიერთი ფარაკი სადაა (№ 72, 95, 275, სურ. 15,), ზოგი კი შუაში ჩაჩხვლეტილი ერთი წერტილით, ან მცირე რკალში ჩასმული წერტილითაა შემკული (№ 96/1, 2, 3; 99/1; 113, 275, 99/2, სურ. 15).

ბეჭდების აღნიშნული ჯგუფი ხასიათდება მეტისმეტი სისადავით და, თუ მათი აღმოჩენის ვითარების მიხედვით ვიმსჯელებთ, ისინი მოსახლეობის დაბალი ფენების საკუთრებად უნდა იქნეს მიჩნეული.

---

[71] ნ. უგრელიძე, ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.

[72] სიონის ბეჭდების ერთი ნაწილი, კერძოდ გემიანი ბეჭდები შესასწავლად გადაეცა ქ. რამიშვილს, რომელმაც თავის ჯერ კიდევ დაუბეჭდავ ნაშრომში, გარდა სიონის მასალებისა, მიმოიხილა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოძიებული ბეჭდების საკმაოდ დიდი ჯგუფიც. იხ. ქ. რამიშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს გემიანი ბეჭდები, 1967. (ხელნაწერი ინახება არქეოლოგიის სექტორის არქივში).




სურ. 15. ბრინჯაოს ბეჭდები სიონის სამარხებიდან.

მსგავსი ბეჭდები, ჩანს, ფართოდ ყოფილა გავრცელებული შუაფეოდალური ხანის მთელ საქართველოში. ამას გვაფიქრებინებს მათი აღმოჩენა უჯარმა-

ში[73], ერწოს ველზე[74], დმანისში და სხვ. გარდა ამისა, მსგავსი ბეჭდები ცნობილია ამიერკავკასიის სხვა მხარეებიდანაც[75].

სამარხეული მასალების მიხედვით ამგვარი ბეჭდები სიონში ძირითადად შუაფეოდალური ხანისათვის არიან დამახასიათებელი და საკმაოდ დიდხანს განაგრძობენ არსებობას (XIV—XV საუკუნეებამდე).

ვიწრო, რომბული ფარაკის მქონე ბეჭდები. შიგნიდან დაბრტყელებული წვრილი რკალი მხრებისაკენ ოდნავ განიერდება. მხრები მცირე ღარებით გამოყოფილია ფარაკისაგან, რომლის შუაზედაც წრე და შიგ ჩასმული წერტილია დაჭდეული. ფარაკის რომბისებრ მოყვანილობას ხაზს უსვამს ის მცირე მორჩები, რომლებიც აქეთ-იქით გვერდებზეა გამოშვერილი (ინვ. №№ 50, 277, 286, 295, 338, 390. სურ. 15). მსგავსი ბეჭდები აღმოჩენილია უჯარმის შუაფეოდალური ხანის სამარხებში[76] და რუსთავში[77]. ეს ჯგუფი ძირითადად XI—XIII სს-ით უნდა დათარიღდეს.

თხელი და ბრტყელი ფარაკის მქონე ბეჭდები. ზოგს რკალიცა და ფარაკიც ძალზე თხელი აქვს (ინვ. № 75; სურ. 15), ზოგის რკალი კი შიგნიდან ბრტყელია, ხოლო გარედან ოდნავ გამობერილი. ფარაკები ბრტყელი და მოგრძო ოვალურია, რკალთან შედარებით ოდნავ შესქელებული (ინვ. №№ 267, 38, 318, სურ. 15). ფარაკი სადაა, გარდა ერთისა, რომელზედაც ლათინური M-ის მსგავსი რამ არის ამოკვეთილი (ინვ. № 318, სურ. 15).

ამავე ჯგუფშია გასაერთიანებელი თხელი და ბრტყელი ფარაკის მქონე ისეთი ბეჭდებიც, რომლებსაც ფარაკები რომბრისებრი (ინვ. № 38, 133, 267, სურ. 15), ან სწორკუთხა და სადა აქვთ (ინვ. № 168), მსგავსი ბეჭდები ცნობილია დმანისიდან და რუსთავიდან[78].

მასიური ფარაკიანი ბეჭდების ჯგუფში გაერთიანებულია ფარაკების მოყვანილობითა და ორნამენტით მკვეთრად განსხვავებული ბეჭდების სამი ტიპი. ამათგან ორს (ინვ. № 66, 143, სურ. 15) აქვს წვრილი, მცირედ

---

[73] გ. ლომთათიძე, უჯარმის არქეოლოგიური თხრის ანგარიში, 1953; მისივე, შუაფეოდალური ხანა, წიგნში „საქართველოს არქეოლოგია“, 1959, გვ. 377.

[74] რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწოს ველის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში, XII საველე-არქეოლოგიური სესია, 1964, გვ. 21.

[75] წინამდებარე მონოგრაფია გამომცემლობაში უკვე გადაცემული გეჭონდა, როდესაც გამოქვეყნდა რ. დოლაბერიძის საყურადღებო ნაშრომი, რომელშიც თითქმის მთელი სისრულითაა წარმოდგენილი შუაფეოდალური ხანის ბეჭდების ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი კოლექციები და აგრეთვე მდიდარი პარალელური მასალა მეზობელი ქვეყნებიდან. სწორედ აღნიშნული ნაშრომიდან ჩანს, რომ სიონის ამ სადა ბეჭდების წესატყვისები ყოფილა გარნისშიც (სომხეთის სახელმწ. ისტ. მუზ. ინვ. № 1964—95; № 1—50 და ორენ-ყალაშიც (აზერბაიჯანის ისტორიული მუზეუმი, ინვ. № 611). რ. დოლაბერიძის კლასიფიკაციით, სიონის ვიწროფარაკიან ბეჭდებს შეესაბამება მის მიერ I ქვეჯგუფად გაერთიანებული პირველი და მეორე ტიპები. (რ. დოლაბერიძე, XI—XII სს. ბეჭდები, სსმმ, ტ. XXII-B, 1967, გვ. 177).

[76] იხ. საქართველოს სახელმწიფო ისტ. მუზ. ფეოდალ. ხანის არქეოლ. ფონდი, ინვ. № 1—57—709, 714 და სხვა.

[77] რ. დოლაბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 178—179. ტიპი VII.

[78] როგორც რ. დოლაბერიძე აღნიშნავს, ოთხკუთხა თხელფარაკიანი ბეჭედი დვინის, X—XIII სს. დათარიღებულ მასალებშიც ყოფილა. დასახ. ნაშრ., გვ. 170.




სურ. 16. ბრინჯაოს ბეჭდები და სამაჯურები სიონის სამარხებიდან.

ოვალური რკალი, ხოლო ფარაკის მოპირდაპირე მხარეს მცირე შვერილი, საკმაოდ შემაღლებული რვაქიმიანი ფარაკი ზემოდან ბრტყელია და შემკულია ნაჭდევი წერტილებით[79].

ერთი ასეთი ბეჭედი ცნობილია დმანისიდან, მაგრამ მისი ფარაკი უფრო მაღალია, ხოლო „ქიმები" სიმეტრიულად განლაგებული. სიონის ეს ორი ბეჭედი, აღმოჩენის ვითარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, XIII—XV სს. უნდა დათარიღდეს[80].

საყურადღებოა, რომ ექვსქიმიანი ფარაკებიც და ზემოთ განხილული, წრეში ჩასმული წერტილებიც წარმოადგენენ ვარსკვლავთა და სხვა მნათობთა სტილიზებულ გამოსახულებას. ამ ასტრალურ ნიშნებს კი უაღრესად ძირძველი ისტორია აქვს და ასეთი გამოსახულების გამოყვანა შუაფეოდალური ხანის სამკაულზე უძველეს რელიგიური რწმენა-წარმოდგენების შორეულ გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ. ცალკეტიპად გამოვყოფთ ამავე ჯგუფის მესამე ბეჭედს (ინვ. № 352, სურ. 16). მას ახასიათებს ძალზე მაღალი და მასიური კონუსური ფარაკი, რომელიც დაბლაა „დაყუდებული". რკალი და ფარაკი, როგორც ყველგან, აქაც ერთადაა ჩამოსხმული. რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან ამობურცული. აქვს სამი მცირე შვერილი: ერთი ფარაკის მოპირდაპირე მხარეს, ხოლო ორი—მხრებზე. ფარაკის ზედაპირზე (დმ—15 მმ) ამოკვეთილია წრეში ჩასმული და ერთი-მეორეზე დადებული ორი სამკუთხედი, ე. ი. ექვსქიმიანი ვარსკვლავი[81], ხოლო შუაში — ურთიერთმკვეთი წვრილი ხაზები, რაც შესაძლოა ვარსკვლავის სტილიზაციას წარმოადგენდეს[82].

ჩვენი ვარაუდით, ეს მაღალფარაკიანი ბეჭედი (დას. უბ. სამარხი № 32) ქრონოლოგიურად, წინ განხილულ მრავალქიმიან ბეჭდებთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამას უპირველეს ყოვლისა სათანადო სამარხის მდებარეობა და აღნაგობა მიგვითითებს.

მასიურფარაკიანი ბეჭდების მესამეტიპად განვიხილავთ ერთ ბეჭედს (ინვ. № 318, სურ. 16), რომელსაც აქვს დიდი და ბრტყელი, მოგრძო ექვსკუთხა ნაჭდევი ხაზებით შედგენილი რთული ორნამენტით შემკული ფარაკი და ოდნავ დაბრტყელებული რკალი. თუ გავითვალისწინებთ იმ სამარხეულ კომპლექსს, სადაც აღნიშნული ბეჭედია აღმოჩენილი, იგი შუაფეოდალური ხანით უნდა დათარიღდეს.

კონუსურთავიანი ბეჭდები. ამ ჯგუფში სულ სამი ცალი შედის. მათ შორის ორს (ინვ. № 250/1, 2, სურ. 16) აქვს ოვალურად დაგრძელებული

---

[79] იხ. დმანისის კოლექცია, ინვ. № 1624. ამ ჯგუფს რ. დოლაბერიძე თავისი კლასიფიკაციის მე-17 ტიპში აერთიანებს და X—XIII სს-ით ათარიღებს.

[80] № 66 ბეჭედი აღმოჩენილია მე-11 სამარხის ზედა, „შეზვინულ" ფენაში, სადაც ნაპოვნი იქნა კონსტანტინე II-ის ერთი მონეტა (XV ს.). მრავალწახნაგა მეორე ბეჭედი კი იყო მე-19 სამარხის ზედა ფენაში იქ, სადაც XIII ს. დამახასიათებელი საყურე და ღილებია ნაპოვნი.

[81] ქ. რამიშვილის დაკვირვებით ბეჭდის ფარაკზე ამოკრილი ექვსქიმიანი ვარსკვლავი უნდა იყოს ე. წ. „დავითის ფარის" ძინაბაძი გამოსახულება. მაგასი მოტივი მოიპოვება შუასაუკუნეების ქართულ მოჭიქულ ჯამებზეც (ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, გვ. 58, ტაბ. XVI). რაც შეეხება ფარაკის შუაში ამოკაწრულ ჯვარედინ ხაზებს, ქ. რამიშვილის ვარაუდით აქ შეიძლება იყოს ჯვრის და ქრისტეს სახელის პირველი ასოს შერწყმა. დასახ. ნაშრ., გვ. 38—39).

[82] საყურადღებოა, რომ ამ ბეჭედს ძალიან ჰგავს დმანისის ზემოხსენებული ბეჭედი (ინვ. № 1624) — ფარაკის სიმაღლითა და მოყვანილობით.

წვრილი რკალი და კონუსური, კუწუბოიანი თავი. მესამე ბეჭედი (ინვ. №205/3 სურ. 16) დაახლოებით ასეთივეა, ოღონდ კუწუბოწაკვეთილი, ამრიგად მიღებულ ბრტყელ ზედაპირზე ჯვარია დაჭდეული.




სურ. 17. ვერცხლის ბეჭედი სიონის შუაფეოდალური ხანის სამარხებიდან.

მსგავსი ბეჭდები სხვა ძეგლებიდან ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. თვით იმ ორმოსამარხში (სიონის სამაროვანზე ასეთი სამარხები იშვიათია), რომელ-

შიაც აღწერილი ბეჭედი აღმოჩნდა, სხვა რამ ნივთი არ ყოფილა და ამიტომაც მათი ხნოვანების შესახებ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით, თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამარხის გარშემო, იმავე დონეზე მხოლოდ შუაფეოდალური ხანით დათარიღებული სამარხები ჩნდებოდა.

გარეგნულად ამავე ჯგუფს უახლოვდება კიდევ ერთი ვერცხლის ბეჭედი (ინვ. 306), რომელსაც ქვემოთ, ვერცხლის ბეჭდებთან ერთად განვიხილავთ.

„სამშაგფარაკიანი" ბეჭდები სულ ორი ცალია (ინვ. 106 /1, 2; სურ. 16), მაგრამ ძლიერ განსხვავებული მოყვანილობის გამო მათ ცალკე ჯგუფად გამოვყოფთ. რკალი ორთავეს ბრტყელი აქვთ, გარედან ოდნავ დაკეცილი. სამშაგი ფარაკიდან შუათანა შედარებით დიდია და გვერდითი მომცრო ფარაკებისაგან ვიწრო ჩანართებითაა გამოყოფილი[83].

სიონის ბეჭდების განხილვა უფრო დიფერენცირებულადაც შეიძლებოდა, რის საშუალებას იძლევა როგორც მასალის მრავალფეროვნება. ასევე, მასალების სიუხვე, მაგრამ სამარხეული კომპლექსების ზოგადი დახასიათებისათვის ამჯერად, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია.

**საყურეები და სასაფეთქლე რგოლები.** ბრინჯაოს სამკაულთა შორის საყურეებსა და სასაფეთქლე რგოლებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. სიონის სამარხეულ კომპლექსებში დაცული ამგვარი სამკაული ისეთი მრავალფეროვნებითა და სისრულითაა წარმოდგენილი, რომ უკვე მათი, როგორც ტიპოლოგიური, ასევე ზოგადი დახასიათების საშუალება გვეძლევა. სიონის საყურეთა კოლექციის ღირებულება განსაკუთრებით იზრდება იმის გამოც, რომ ისეთ სამაროვანზე, როგორიც რუსთავისაა ისინი ძალზე ცოტა აღმოჩნდა. საყურეები ასევე მცირერიცხოვანია იმავდროულ სხვა სამაროვნებზეც.

სიონის 34 საყურე იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

„კითხვის ნიშნისებრ" მოყვანილი საყურეები (ინვ. № 41, 67/1,2, 513, სურ. 18). მათი დამახასიათებელია თითქმის წრიულად მოხრილი თავი და ცალ მხარეს დაგრძელებული ბუნი, რომელიც თავდება ან ლითონისავე ღეროსთან ერთად ჩამოსხმული მრავალწახნაგა ბურთულით, ან ბოლოზე წამოცმული მინის მძივით.

სიონის სამარხებში აღმოჩენილ ასეთ საყურეებს შორის ერთს (ინვ. № 41) შედარებით მასიური ღერო აქვს. ბრინჯაო ძალზე მაღალხარისხოვანი და მბზინვარეა. რკალი და ბუნი შემკულია მავთულის ხვიით, მრავალწახნაგა ბოლო საკმაოდ მოზრდილია, საყურადღებოა კიდევ ერთი საყურე (ინვ. № 513), რომლის მორკალული თავი ღეროზეა გადადებული, ხოლო დაგრძელებულ ბუნზე წამოცმულია მომწვანო მინის ორი მძივი, რომლებიც იმავე ბუნის დაწვრილებული ბოლოთია დამაგრებული.

---

[83] სიონის სამაროვანზე, დასავლეთი უბნის მე-5 სამარხში აღმოჩენილია ვერცხლის თხელი ფირფიტისაგან ნაკეთები ბეჭედი, რომლის მთელი რკალიც შედგენილია მცირე ფარაკებისა და მათ შორის მოჭყეული ოვალებისაგან (ინვ. 262).

მსგავსი საყურეები, ჩანს, არა მარტო შუაფეოდალურ ხანაში, არამედ უფრო ადრეც საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული როგორც კავკასიაში[84], ასევე მის ფარგლებს გარეთ.

„კითხვისნიშნისებრი“ ბრინჯაოს საყურეები, თუ რუსთავის მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, საქართველოში ჯერ კიდევ IV—V სს. ყოფილა[85]. კერძოდ რუსთავში ისინი აღმოჩენილია საკიდმირჩილულ ოქროს საყურეებთან ერთად.

საყურადღებოა, რომ ადრეფეოდალური ხანის ხერსონესის სამაროვანზე[86] და ჩრდილო ოსეთში (ჩმიში)[87] ნაპოვნია წრიულად მორკალული და თავგახსნილი საყურეები, რომელთაც ღეროს ერთ ბოლოზე აქვთ ლითონის მრავალწახნაგა „მძივები“. მართალია, ამ საყურეებს არ გააჩნიათ ბუნი, რომელიც მათ „კითხვისნიშნის“ მოყვანილობას მისცემდა. მაგრამ შეგვიძლია ისინი კითხვისნიშნისებრი საყურეების იმ ჯგუფის პროტოტიპად მივიჩნიოთ, რომელთაც მრავალწახნაგოვანი, დამთავრებული და ჩამოგრძელებული ბუნი განუვითარდათ. ის გარემოება, რომ ასგავსი საყურეები აღმოჩენილია სოუქ-სუში[88] და ესქი-ქერმენში[89], ა. იაკობსონს აფიქრებინებს, რომ ისინი ბიზანტიიდან კი არ გავრცელებულა, არამედ ადგილობრივ, აღმ. ევროპასა და ყირიმის მხარეში მზადდებოდა[90]. შესაძლებელია აღნიშნული ვარაუდი არ იყოს ნიადაგს მოკლებული, მაგრამ კავკასიასა და კერძოდ საქართველოში „კითხვისნიშნისებრი“ საყურეების საკმაოდ ფართო გავრცელებამ და, რაც მთავარია, მათმა არქაულობამ, გვიქრობთ, ახლებურად უნდა გადაგვაწყვეტინოს ამ სამკაულის წარმომავლობის საკითხი.

შუაფეოდალურ ხანაში რომ აღნიშნული ტიპის საყურეები აგრეთვე დიდ მოწონებაში ყოფილა, ეს სიონის განათხრებიდანაც კარგად ჩანს.

აღსანიშნავია, რომ „კითხვისნიშნისებრი“ საყურეები მრავლადაა ნაპოვნი ძველი ოსეთის მიწა-წყალზე მდებარე ზემო ჯულათშიც. ცნობილია, რომ ძველი შუასაუკუნეების მანძილზე ის მხარე საქართველოს უშუალო სამფლობელოში შემოდიოდა და განიცდიდა ქართული კულტურის მძლავრ ზეგავლენას. ამიტომ კავკასიონის ორთავე მხარეს მსგავსი ნივთების შემცველი სამარხების მიკვლევა არ უნდა იყოს მოულოდნელი. ზემო ჯულათის „კითხვისნიშნისებრი საყურეების შემცველი სამარხები ზოგადად XII — XIV სს. დათარიღებული[91]. აღსანიშნავია ,რომ იქაურ ამგვარ საყურეებს ბუნზე მრავალწახნაგა ლითონის ნაცვლად ზოგჯერ ყურძნის მტევნის გამოსახულება აქვს გამოყვანილი, რაც კიდევ უფრო ამახვილებს ჩვენს ყურადღებას მათი წარმომავლობის შესახებ[92].

---

[84] П. С. Уварова, МАК, т. VIII, 1900, табл. XXXIV.

[85] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრ., ტაბ. V, სურ. 1.

[86] А. Л. Якобсон, Раннесредневековый Херсонес, МИА, 63; М. Л., 1959, стр. 279, рис. 143, 1—4.

[87] В. Б. Деопик, დასახ. ნაშრ., გვ. 131, სურ. 2.

[88] Н. Н. Репников, ЗООИД, т. XXVII, 1907, ტაბ. IV, სურ. 1.

[89] Н. Н. Репников, Готский сборник, ИГАИМК, т. XII, рис. 41, 9.

[90] А. Л. Якобсон, დასახ. ნაშრ., გვ. 280.

[91] О. В. Милорадович, დასახ. ნაშრ., გვ. 99, სურ. 8, 1, 5, 10.

[92] შუაფეოდალური ხანის საქართველოში „კითხვისნიშნისებრი“ საყურეების ფართო მოხმარებასა და, შესაძლოა, აქედან გავრცელებასაც კი უნდა მოწმობდეს მათი აღმოჩენა ახმეტის რაიონის სოფ. წაროში (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფონდების კოლექცია 92—12; იხ. სახ.

სიონის მასალების მიხედვით, „კითხვისნიშნისებრი“ საყურეების გავრცელების ხანა მოიცავს მთელ შუასაუკუნეებს და ისინი გვიანფეოდალურისაკენ გარდამავალ ხანაშიც განაგრძობენ არსებობას.

რ გ ო ლ მ ი რ ჩ ი ლ უ ლ ი  ს ა ყ უ რ ე ე ბ ი (ინვ. №№ 44, 73, 214, 289, 299. 310, 404, 514, სურ. 18). დამზადებულია მრგვალკვეთიანი მავთულისაგან, რომელიც მორკალულია წრიულად ისე რომ თავები თითქმის ერთიმეორესთანაა მისული, ხოლო ქვედა მხარეზე მირჩილული აქვს მცირე რგოლი საკიდისათვის. ერთ შემთხვევაში (ინვ. № 214) საყურეზე ორი ასეთი რგოლია მირჩილული და ზედ ჩამოკიდებულია ბრინჯაოს ორი სხვა საკიდი, ბოლოებზე წვრილი თეთრი და მუქი ლურჯი მძივებითურთ. ასეთი საკიდი თავდაპირველი სახით მხოლოდ ერთ საყურეს (ინვ. 44) ახლდა თან, დანარჩენებს კი დაზიანებულ-დაკარგული ჰქონდათ.

საკიდები შეიძლებოდა ყოფილიყო: ც რ ე მ ლ ი ს ე ბ რ ი მოყვანილობისა, ქვისა (ინვ. 44); წ ყ ვ ი ლ ბ უ რ თ უ ლ ი ა ნ ი, მინისა (ინვ. № 122, 192); თ ი თ ო ბ უ რ თ უ ლ ი ა ნ ი, ძვლისა და მინისა (ინვ. № 84, 555), საყურადღებოა, რომ მინის ერთ საკიდს აქვს ცისფერწერტილოვანი ინკრუსტაცია. გვხვდება ვერცხლის წყვილბურთულებიანი ფუყე საკიდიც (ინვ. № 311) და სხვა (სურ. 18).

ამგვარი საყურეების სიმრავლე სიონის სამაროვანზე გვანიშნებს შუაფეოდალურ ხანაში მათ ფართო გავრცელებას. მაგრამ ისინი გაცილებით უფრო ადრეც არანაკლებ ფართოდ ყოფილან ხმარებული, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, ასეთი საყურეების პროტოტიპები ცნობილია ბეშთაშენის ადრე-აქემენიდური ხანის სამაროვნიდან[93], ყაზბეგის განძიდან,[94], ღებიდან, ჩრდილო კავკასიიდან[95] და აგრეთვე ისეთი შორეული მხარიდან, როგორიცაა ორენბურგის ოლქის სოფლები თამარ—უკული[96], ლუბიმოვკა[97] და სარა[98]. საყურადღებოა, რომ ძვ. წ. V—IV სს. დათარიღებულ აქაური საყურეებს უკვე მორჩილული აქვთ მცირე საკიდი რგოლები, რომლებზედაც ჩამოკიდებულია სხვადასხვაგვარი საკიდები (ძეწკვი, ქანდაკება, ღერო და სხვა).

რგოლმირჩილული საყურეები საქართველოში განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება გვიანანტიკური ხანიდან. ძნელია თქმა, სამკაულის ეს სახეობა იმ დროს ადგილობრივ არსებული პროტოტიპებიდან განვითარდა, თუ ჩვენში მზა-მზარეული სახით შემოვიდა. მაგრამ ის კი ფაქტია, რომ გვიანანტიკური ხანის დასასრულიდან მოყოლებული, ასეთი საყურეები ჩრდილო კავკასიასა და მის მომიჯნავე მხარეებში ძალზე იშვიათად გვხვდება, ჩვენში კი მეტად ფართოდაა გავრცელებული. კერძოდ ისინი აღმოჩენილია: არმაზისხევის გვიანდელ სამარ-

---

მუზეუმის არქეოლოგიური მასალების კატალოგი, II, თბ., 1955, გვ. 92—96. ტაბ. III და IV), სადაც გარდა მეტად თავისებური გრძელბუნიანი და ორბურთულიანი საყურეებისა, არის ყურძნისმტევნიანი ორი საყურეც (ტაბ. IV, სურ. 6 და 7).

[93] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941, стр. 43—45, рис. 40, 1, 2.

[94] იქვე, გვ. 45, სურ. 42.

[95] П. С. Уварова, Могильники Сев. Кавказа, МАК, VIII, стр. 60, табл. XXXVI.

[96] К. Ф. Смирнов, В. Г. Петренко, Савроматы поволжья и Южного Приуралья, Свод археол. источников, Д-1—9, М., 1963, стр. 15.табл. 25, сур. 8.

[97] იქვე, ტაბ. 25, სურ. 10.

[98] იქვე, ტაბ. 25, სურ. 3.




სურ. 18. ბრინჯაოს საცვრცხლი სოფლის სამარხებიდან.

ხებში[99], სამთავროს ისეთსავე სამარხებში[100], კარსნისხევში[101], ურბნისში[102] და სხვა. ამათგან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს არმაზისხევის საყურეთა მეტად მრავალფეროვანი ჯგუფი, რომელიც მიჩნეულია იმდროინდელი ქართლის მოსახლეობის ფართო ფენების საკუთრებად და ხალხური გემოვნების ნიმუშებად[103].

შუაფეოდალური ხანის რგოლმირჩილული საყურეები უკვე აშკარად ადგილობრივ ნიადაგზეა განვითარებული. ამასთანავე ჩანს, რომ მათ აღნაგობას ადრეფეოდალური ხანის შემდეგ რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ განუცდია.

თუ სიონის სამარხებში ამ სამკაულთა სტრატიგრაფიული განლაგების მიხედვით ვიმსჯელებთ, რგოლმირჩილული საყურეები უპირატესად დამახასიათებელია შუაფეოდალური ხანის პირველი ნახევრისათვის (XI—XII სს.).

ბოლოკაუჭიანი საყურეები (ინვ. №№ 39, 142, 159, 386, სურ. 18) ერთი შეხედვით თითქოს „კითხვისნიშნისებრ“ საყურეებს მოგვაგონებენ, მაგრამ მათგან არსებითად იმით განსხვავდებიან, რომ გახსნილი რგოლის ცალი თავი მოკაუჭებულია ან შიგნით, ან გარეთ და ამ გზით შექმნილ მცირე რგოლზე სხვადასხვაგვარი საკიდებია მიმაგრებული. საყურის რკალი წვრილი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისგანაა დამზადებული და მეტწილად არაწესიერად არის მორკალული. ამ ჯგუფში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სამხრეთი უბნის № 1 სამარხში აღმოჩენილი წყვილი საყურე (ინვ. № 386), რომელზედაც ბრინჯაოს წვრილი მავთულისაგან ნაკეთები მოგრძო „რვიანების“ ძეწკვებია ჩამოკიდებული. თუ სამარხში შემორჩენილი ამ ძეწკვების ნაწყვეტებსაც გავითვალისწინებთ, თითო საყურეს ხუთი „რვიანისაგან“ შედგენილი ძეწკვი უნდა ჰკიდებოდა.

მსგავსი საყურეები სიონის მასალებში შედარებით მცირერიცხოვანია და რაც არის ისინიც შუაფეოდალური ხანის სამარხთა მხოლოდ ზედა ფენებშია ნაპოვნი. ეს ვითარება გვაფიქრებინებს ,რომ „ბოლოკაუჭიანი“ საყურეები ძირითადად XIII — XIV სს-ში ყოფილა გავრცელებული. ამგვარ დათარიღებას მხარს უბამს ზემო ჯულათის სამაროვანზე მოპოვებული მასალებიც, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შუაფეოდალური ხანის ბოლოსა და გვიანფეოდალურისაკენ გარდამავალ ხანას, ე. ი. XIII—XV სს. მიეკუთვნება[104].

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სიონის სამაროვანზე აღმოჩენილია მარტივი რგოლისებრი საყურეებიც (ინვ. №№ 187, 105, 317, 252, 288. 356, 442 და სხვ.),

---

[99] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ალ. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, 1955, გვ. 201. სურ. 137, 1, 2, 3, და სურ. 138. სამკაულის ამ სახეობას ავტორები რგოლოვან-ღეროვან საყურეებს უწოდებენ.

[100] ნ. უგრელიძე, ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, 1967. ტაბ. I, სურ. 45, 46, 47 და ტაბ. II, მარჯვ. მხარე.

[101] გ. ნიორაძე, კარსნის ხევის სასაფლაო, თბ., 1926, ტაბ. I, სურ. 4, 5, ტაბ. II, სურ. 11, 21.

[102] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, სურ. 34—9, 10.

[103] მცხეთა, I, გვ. 202. უნდა შეინიშნოს, რომ თუ გვიანანტიკურსა და ადრეფეოდალურ ხანებში რგოლმირჩილული საყურეები უპირატესად ძვირფასი ლითონებისაგან მზადდებოდა, შუაფეოდალურ ხანებში საამისოდ მხოლოდ ბრინჯაო ჩანს გამოყენებული.

[104] О. В. Милорадович, დასახელებული ნაშრომი, გვ. 92, სურ. 5—16 და გვ. 99, სურ. 8—12.

რომელთაც ახასიათებთ სადა,მრგვალი ღერო, ზოგჯერ გარედან ოდნავ დაკეჭნილი. ასეთი საყურეების ნაწილი თავგახსნილია ნაწილს კი თავები ერთიმეორეზე ოდნავ გადასული აქვთ. მსგავსი საყურეები, გარდა სიონისა, ცნობილია შუაფეოდალური ხანის სხვა განათხარებიდანაც[105] და უნდა მივიჩნიოთ ყველაზე უფრო ფართოდ მოხმარების იაფფასიან სამკაულად.

**სასაფეთქლე რგოლები,** რომლებიც სიონის სამაროვანზე საკმაოდ ბრაგლადაა მოპოვებული, მხატვრულ ღირებულებას მოკლებული არიან. ისინი გაკეთებულია მდარე ბრინჯაოს მეტ-ნაკლები სიმსხოს მავთულისაგან. გამოიყოფა ორი ძირითადი ჯგუფი: ერთია წ ვ რ ი ლ ღ ე რ ო ი ა ნ ი, ო დ ნ ა ვ თ ა ვ გ ა ხ ს ნ ი ლ ი ან მ ც ი რ ე დ თ ა ვ გ ა დ ა ს უ ლ ი, ხშირად არაწესიერად მორკალული რგოლები (№№ 232, 169, 232, 279 და სხვა), რომელთა უმეტესობა დაზიანებულია. შედარებით უფრო საინტერესო ჯგუფს ქმნის ს პ ი რ ა ლ უ რ ი, ხ ვ ი ა ს ა ს ა ფ ე თ ქ ლ ე ე ბ ი (№№ 13, 98, 290, 300, 315, 399, 476 და სხვა, სურ. 18). რომლებიც ნაკეთებია მომსხო მავთულისაგან ორმაგი ან ერთნახევარი ხვიის სახით[106]. საყურადღებოა, რომ ერთი ასეთი სასაფეთქლე ხვია დამზადებულა ბრინჯაოს ფუყე ღეროსაგან. (№417). ამ ხვია-რგოლების მოხმარების წესი ჩვენთვის გამოუცნობი რჩება. შესაძლებელია, წვრილი თასმით ან ძაფით იმაგრებდნენ ხოლმე თავსაბურავზე.

თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს, შუაფეოდალური ხანის საყურეებს შორის შედარებით ადრეულ ჯგუფს ქმნის საკიდმირჩილული საყურეები, ხოლო ბოლომოკაუჭებული საყურეები, რომლებთან თანაარსებობას განაგრძობენ შუაფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი „კითხვისნიშნისებრი“ საყურეებიც უფრო გვიანდელია.

*
* *

**სამაჯურები.** სიონის ბრინჯაოს სამკაულებს შორის სამაჯურებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. სულ სამარხეულ კომპლექსებში აღრიცხულია 36 ერთეული. მათ შორის 26 ნატეხი ეკუთვნის მასიურ სამაჯურებს, ხოლო დანარჩენი ნატეხები 10 ღრუღეროიანს. 26 მასიური სამაჯურიდან 22 ერთი ტიპისაა. ისინი ოვალურად მორკალული და თავგახსნილი არიან. სამაჯურთა გასაკეთებლად აღებული ღეროები შიგნიდან ბრტყელია, ხოლო ზურგზე აქვთ მეტ-ნაკლები სიდიდის დაბალი, რელიეფური წიბო, რის გამოც კვეთი სამკუთხა გამოდის (იხვ. №№ 1, 49, 116, 118, 164, 176, 207, 243, 284, 316, 329, 388, 406, 442, 459. სურ. 16). ზედაპირი სადაა. რკალი ხშირად არასიმეტრიულადაც კია მორკალული. სამაჯურის ღეროები შუა ადგილას შედარებით მსხვილია, ხოლო გახსნილი თავებისაკენ თანდათანობით თხელდება.

მსგავსი სამაჯურები შუასაუკუნეების მთელ მანძილზე ფართოდ ჩანს გავრცელებული საქართველოსა და კავკასიაში. ამას მოწმობს მათი აღმოჩენა რუსთაველში[107], ახმეტის რაიონში[108], ერწოს ველზე, აგრეთვე ჩმიში[109] და სხვა.

---

[105] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, რუსთაველში წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები..., ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბოლნისი, ენიმკის მოამბე, III, 1938, გვ. 371, სურ. 35 და სხვა.

[106] სასაფეთქლე ხვია რგოლები ცნობილია XI—XIII სს. დათარიღებული სამარხებიდან რუსთაველში, ერწოს ველზე და სხვაგან.

[107] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, რუსთაველში წარმოებული..., გვ. 194, ტაბ. XVIII, სურ. 4, ტაბ. XIX, სურ. 2.

[108] სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური მასალების კატალოგი, II, ტაბ. VIII, სურ. 4, 5.

[109] В. В. Д е о п и к, დასახ. ნაშრ., გვ. 130, სურ. 2, უნდა აღინიშნოს, რომ ჩმის სამაჯურები სიონურზე რამდენამდე ძველია.

გარდა ამისა, სიონში თითო-თითო ცალია აღმოჩენილი: ბრტყელი და თხელი ფირფიტისაგან დამზადებული სამაჯურის ნატეხები (ინვ. № 57); ძალზე წვრილი და მრგვალი ღეროსაგან ნაკეთები სამაჯური (ინვ. 154) და ერთი აგრეთვე მრგვალკვეთიანი, თითქმის წრიულად მოკალული, თავგახსნილი სამაჯური, რომელსაც ზურგი და თავები შემსხვილებული აქვთ (ინვ. № 231, სურ. 16).[110].

რაც შეეხება ღრუ რკალიან სამაჯურებს (ინვ. № 89, 97, 174, 270, 343, 389), ისინი იმდენადაა დაზიანებულ-დამტვრეული, რომ შეუძლებელია მსჯელობა მათი ფორმის შესახებ. ერთი კი აშკარაა: ეს სამაჯურები დამზადებული ყოფილა ბრინჯაოს, სრულიად თანაბარი სიმსხოს, თხელკედლიანი, სადა მილაკისაგან.

იყო შემთხვევები, როდესაც სიონის ცალკეულ სამარხებში ბრინჯაოს 7 სამაჯურიც კი აღმოჩნდა, მაგრამ ტიპიური კომპლექსისათვის დამახასიათებელი იყო ერთი ან ორი.

**ღილები.** სიონის სამარხეული ინვენტარის თითქმის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მცირე ბურთულა, ყუნწიანი საგნები, რომელთაც ღილებს უწოდებენ[111]. გარდა ამ ფუყე ღილებისა, სიონის სამარხებში იყო რამდენიმე მასიური ღილიც („ღირკილო“), უფრო პატარა და წაგრძელებული (ინვ. № 291, 488 და სხვ.). სტრატიგრაფიული დაკვირვების თანახმად, ღილების ეს ჯგუფი უფრო გვიანდელია, ასე რომ შუაფეოდალური ხანისათვის ძირითად ტიპს წარმოადგენს ფუყე ღილები (ინვ. №№ 11, 43, 76, 90, 95, 117, 141, 158, 165, 209, 294, 330, 298, 331, 340, 353, 369, 431, 432 და სხვა, ტაბ. XX), რომლებსაც ახასიათებთ: ბურთულა ორნაწილიანი ტანი[112] და ოვალური ყუნწი. ზოგ ასეთ ღილს ყუნწის მოპირდაპირე მხარეს აქვს მცირედ შვერილი კუნწუბოები (ინვ. № 160, 165/2, 218, 246, 379, 398, 461), ხოლო ერთზე (ინვ. 165/2) ეს შვერილი წვრილი „ცვარათი “არის შემკული.

ბურთულა ღილები, გარდა საქართველოსი, მეზობელ მხარეებშიაც ფართოდ ჩანს გავრცელებული. ამას ადასტურებს მათი აღმოჩენა ჩრდილო კავკასიაში[113], უფრო შორს სალტოვოში[114] და სხვაგანაც.

გარდა ზემოთ აღწერილი სამკაულებისა, სიონის სამაროვანზე აღმოჩენილია ბრინჯაოსაგან ნაკეთები სხვა საგნებიც: აბზინდები, რგოლები, ჯვრები და სხვა.

---

[110] მსგავსი სამაჯური იხ. ვ. დეოპიკის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, გვ. 130, სურ. 2—11.

[111] გ. ღ ო მ თ ა თ ი ძ ე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, I, 1955, გვ. 205. (ტაბულების აღწერილობა) და ტაბ. XVIII-1 და XIX-2.

მათი ასეთი დანიშნულების სასარგებლოდ მეტყველებს სიონის № 6 (აღმ. უბ.) სამარხში აღმოჩენილი ნაშთი ქსოვილისა (ინვ. 20), რომელზედაც მსგავსი ბურთულა იყო დაკერებული. ასევე საყურადღებოა სიონის სამაროვნის დასავლეთი უბნის № 2 სამარხში აღმოჩენილი ერთი ყუნწიანი ბურთულა, რომელსაც ყუნწში ძაფი ჰქონდა შემორჩენილი (ინვ. № 330). თუმცა აქვე უნდა გავიხსენოთ სოფ. მატნის (ახმეტის რ.) გვიანფეოდალური ხანის ერთი განძი, რომელშიც მსგავსი ბურთულა ღილები, ოღონდ ვერცხლისა, ჩართული იყო გულისპირის სამკაულ კომპლექსში და ვერცხლის რგოლებზე ეკიდა.

[112] ბურთულას ზედა და ქვედა ნახევრები უდიდეს დიამეტრზე ისე ოსტატურადაა ერთიმეორეზე მირჩილული, რომ ხშირად „ნაკერი“ შეუმჩნეველი რჩება. შესაძლებელია ყოველი ბურთულის ნახევარსფეროები საგანგებო ჩარხზე მზადდებოდა. ჩანს, მირჩილვამდე ჯერ ზედა ნახევარს უკვეთებდნენ ყუნწს.

[113] О. В. Милорадович, Христианский могильник на городище верхний Джулат, МИА, 114, стр. 92, рис. 5.

[114] Ш. И. Ляпушкин, Памятники Салтово-Маянкой культуры в бассейне р. Дона, МИА, 62, 1958, рис. 21.

ბრინჯაოს ჯვრებს, სხვა მასალისაგან ნაკეთებ რამდენიმე ჯვართან ერთად, ქვემოთ ცალკე განვიხილავთ. რაც შეეხება აბზინდებსა და რგოლებს, მათ მოკლედ აქვე შევეხებით.

აბზინდები სულ ორი ცალია, სხვადასხვა ტიპისა. ერთი (ინვ. 163) შედგება ბრინჯაოს თითქოს ოთხკუთხი ჩარჩოსა და ენისაგან; სამაგრ ღერძზე ტყავის ნაშთია. მსგავსი აბზინდები შუაფეოდალური ხანის, ჩვენთვის ცნობილ სხვა სამაროვნებზე ფრიად იშვიათია. უფრო ადრე კი კერძოდ, გვიანანტიკური ხანიდან მოყოლებული და ადრეფეოდალურ ხანაში, ასეთ საგნებს მრავალ სამაროვანზე ვხვდებით[115]. სიონის სამაროვანზე მისი აღმოჩენა, ისიც შუაფეოდალური ხანისათვის ტიპიურ სამარხში იმის მანიშნებელია, რომ ენიანი აბზინდები ამ დროსაც იხმარებოდა.

აბზინდის მეორე ტიპი წარმოდგენილია ბრინჯაოს უბრალო რგოლებით, რომელთაგან ერთზე (ინვ. № 42) ტყავის ნაშთიც კია შემონახული. ესაა ძალზე მარტივი უენო აბზინდა, რომელიც ალბათ ფართოდ იხმარებოდა როგორც ტანისამოს-ფეხსაცმელში, ასევე მოსართავებში. შესაძლებელია, ბრინჯაოს ის შედარებით მსხვილრკალიანი რგოლები, რომლებიც სიონის სამარხებში ჩნდებოდა, გამოყენებული იყო ამავე მიზნით.

### 6. ვერცხლის საკაული

ვერცხლის ნაკეთობა სიონის კომპლექსებში უმთავრესად ბეჭდებისა და სამაჯურების სახით არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, გვაქვს ვერცხლის ორიოდე ბურთულა ღილი და რამდენიმე უბრალო რგოლი, რომლებიც ალბათ საყურეებად იყო გამოყენებული. აქ განვიხილავთ მხოლოდ ბეჭდებსა და სამაჯურებს.

**ბეჭდები** მრავალგვარია. გარდა ფორმათა ნაირნაირობისა, ისინი გამოირჩევიან მხატვრული ღირებულებითა და დამზადების კარგი ხარისხით. აშკარაა, რომ აღნიშნული სამკაული საკმაოდ მოწინავე სოციალური ფენის წარმომადგენელთა საკუთრებაა.

სიონის ვერცხლის 13 ბეჭედს შორის, თუ სამაროვნის სტრატიგრაფიას გავითვალისწინებთ, ორი (ინვ. № 5, 449) აშკარად გვიანფეოდალურ ხანას უნდა მიეკუთვნოს და ამდენად იმათ სხვაგან, სათანადო ადგილას შევეხებით[116]. რაც შეეხება დანარჩენ 11 ბეჭედს, მათ შორის შემდეგი ძირითადი ტიპებია საყურადღებო:

თ ვ ა ლ ბ უ დ ი ა ნ ი ბ ე ჭ დ ე ბ ი (№№ 182, 424, 425, სურ. 17). მათთვის დამახასიათებელია ოვალური მრგვალგანივკვეთიანი რკალი, რომელიც ქვემოთ ოდნავ გაგანიერებულია. რკალის ბოლოებს შორის დარჩილულია ვერცხლის თხელი ფირფიტისაგან ნაკეთები, წაკვეთილი კონუსის მოყვანილობის, საკმაოდ მაღალი თვალბუდეები, რომლებიც გარედან ორნამენტით არის შემკული. ყველა თვალბუდეში ზის თვალი. ამათგან ორი (ინვ. №№ 424, 425) გემიანია, ხოლო ერთში მინის სადა თვალია ჩასმული.

---

[115] მცხეთა, I, ტაბ. C XVI და CXVIII; ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., ტაბ. I და II. რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ერწოს ველის არქ. ექსპ. 1966 წ. მუშაობის შედეგები. XVI საველე-არქეოლოგიური სესიის თეზისები, 1967, გვ. 71; В. Б. Д е о п и к, დასახ. ნაშრ., გვ. 125, 129, სურ. 1; А. Л. Я к о б с о н, დასახ. ნაშრ., გვ. 267, 276, და სხვ.

[116] წიგნის მოცულობის შეზღუდულობის გამო სიონის გვიანფეოდალური ხანის მასალები მონოგრაფიიდან ამოვიღეთ და შეძლებისამებრ ცალკე იქნება გამოქვეყნებული.

საყურადღებოა, რომ თვალბუდიანი ბეჭდებიდან ერთი (ინვ. № 182) აკლდამაშია აღმოჩენილი, ხოლო ორი (ინვ. № 424, 425) სამხრეთი უბნის მე-8 სამარხში.

შემკულობის თვალსაზრისით გამოირჩევა სადა-თვალიანი ბეჭედი, რომელსაც გარედან თვალბუდის უდიდეს დიამეტრზე დარჩილული აქვს ვერცხლისაგან რელიეფური „მანები“. აღნიშნული მოტივი განსაკუთრებით ფართოდ სწორედ შუაფეოდალურ ხანაში იყო გავრცელებული.

დანარჩენი ორი ბეჭედი, გარდა იმისა, რომ მათი თვალბუდეები გარედან სამკუთხად განლაგებული პაწია კოპებით არის შემკული (ერთ შემთხვევაში ორი წყვილით), განსაკუთრებით დიდ ყურადღებას მინის გემიანი თვლებით იპყრობს: როგორც ცნობილია, გემები შუაფეოდალურ ხანაში საერთოდ ძალიან იშვიათია. ერთ ბეჭედში (ინვ. № 424) ჩასმული, ყალიბით ნაკეთები ინტალიო მუქი ლურჯია; მინა საკმაოდ თხელია. მის ბრტყელ პირზე გამოსახულია გრძელწისკარტიანი, ჩიჩახვ-გამობერილი ფრინველი, რომელსაც ძალზე დიდრონი ფეხები, ორად გაყოფილი ბოლო და თითქოს გაშლილი ფრთები აქვს. რა თქმა უნდა, ანტიკური ხანის ინტალიოებთან შედარებით, ეს გემოსახულება მხატვრულად ძალიან მდარეა.

მეორე ასეთივე გემაზე (ინვ. № 425), როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, გამოსახულია ცხოველი, მარჯვენა მხრივ, პატარა თავით და აზიდული რქებით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს გემა დაუდევრად არის ჩამოსხმული.

მსგავსი თვლიანი ბეჭდები ფართოდ იყო ცნობილი მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც, გაცილებით უფრო ადრეული პერიოდიდან, განსაკუთრებით კი ადრეფეოდალურ ხანაში, რაზედაც მეტყველებს მათი აღმოჩენის ფაქტები მცხეთაში[117], ერწოში[118], კარსნისხევში[119], მატანში[120] და სხვაგან.

შუაფეოდალური ხანით დათარიღებული ასეთი ბეჭდები ჯერჯერობით სულ რამდენიმე ცალია ცნობილი. მათ შორის ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გურჯაანში 1944 წ. შემთხვევით აღმოჩენილი ორი ბეჭედი, რომლებიც, როგორც მოყვანილობითა და დამზადების ტექნიკით, ასევე შემკულობით თითქმის ზედმიწევნის ჰგვანან სიონურ ბეჭდებს[121]. გარდა ამისა, თვალბუდიანი ბეჭდები ცნობილია რუსთავის, შუაფეოდალური ხანის სამაროვნიდანაც[122].

მასიური ბრტყელკვეთიანი რკალის მქონე ბეჭდები (ინვ. №№ 181, 183, 307, სურ. 17). მათ ახასიათებთ შიგნიდან და გარედან დაბრტყელებული რკალი და ოდნავ გასქელებული მხრები, რომლებიც უშუა-

---

[117] მცხეთა, I, ტაბ. XVI, XVII; ნ. უგრელიძე, დასახ. ნაშრ., ტაბ. II.

[118] ბ. ჯორბენაძე. ფეოდალური ხანის ახლად აღმოჩენილი ძეგლები ერწოს ველზე, XVI სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები, გვ. 74—75.

[119] გ. ნიორაძე, კარსნის ხევის სასაფლაო, თბ., 1926, ტაბ. III—17.

[120] Р. М. Рамишвили, Исследование раннефеодального могильника «Ингари», Труды Кахетской археологической экспедиции, I, Тб., 1969, стр. 126.

[121] გურჯაანის ბეჭდების შესახებ იხ. რ. დოლაბერიძე, XI—XIII სს. ბეჭდები, სსმმ XXVII-B, გვ. 182—183, ტაბ. III, სურ. 3 და 4 (ტიპი III).

[122] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 194. ჩვენ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი შუაფეოდალური ხანის თვალბუდიანი ბეჭდები ადრეფეოდალური ხანის ასეთივე სამკაულისაგან ძირითადად იმით განსხვავდება, რომ მათი თვალბუდეები უპირატესად რკალის ბოლოებს შორისაა ხოლმე ჩასმული, მაშინ, როდესაც ადრეფეოდალურ ხანაში ჭარბობდნენ რკალზევე დარჩილული თვალბუდეების მქონე ბეჭდები.

ლოდ გადადიან ოთხკუთხა მასიურ ფარაკებში. სიონში აღმოჩენილი ამგვარი ბეჭდების მხრებიცა და ფარაკებიც შემკულია ჭდეული სახეებით, მათ შორის ორ ფარაკზე ჯვრებია გამოსახული (№№ 181, 307), ხოლო ერთზე (183) მრგვალ ნაჭდევთა „პირამიდა“. ბეჭდის მხრების შემკულობიდან ყურადღებას იქცევს ერთ-ერთზე (ინვ. № 307) მონოგრამის მსგავსი გამოსახულება. ამ ბეჭდების ანალოგიები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ დათარიღებაში გვეხმარება თვით ის სამარხეული კომპლექსები, რომლებშიც ისინია აღმოჩენილი. კერძოდ, ერთი მათგანი (№ 307) აღმოჩენილია იმავე სამარხში, რომელმაც მოგვცა შუაფეოდალური ხანით დათარიღებული ბრინჯაოს ბეჭდები, ხოლო რაც შეეხება სხვა ორს (№№ 181, 183), ისინი აკლდამის იმავე ფენებშია ნაპოვნი, რომლებიც უპირატესად ადრეთვე შუაფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელ მასალებს იძლეოდა. სხვათა შორის, იქვე იყო ნაპოვნი ბუდიანი და სადათვლიანი ბეჭედი. ასე რომ, ამ ბეჭდების გავრცელების ხანად ძირითადად XI—XIII სს. უნდა მივიჩნიოთ.

ვერცხლის დანარჩენი ბეჭდებიდან ერთს (ინვ. № 308, სურ. 17) აქვს „გულისებრი“ მოყვანილობის შუაზე გაღარული ფარაკი, მეორეს—შეზვინული, მაღალი და მასიური წაკვეთილ კონუსისებრი (ინვ. № 306, სურ. 17). ხოლო მესამეს—ოვალური, საკმაოდ ბრტყელი ფარაკი, რომლის ზედაპირი შემკულია ოთხკუთხა ჩარჩოთი და გრძივ ნაპირებზე, იქით-აქეთ ირიბი ჭდეებით (ინვ. 59, სურ. 17.).

საკმაოდ საყურადღებოა აკლდამაში აღმოჩენილი კიდევ ერთი ბეჭედი (ინვ. № 180, სურ. 17), რომელსაც აქვს ოვალური, წერილი რკალი და ზედ დარჩილული ოთხკუთხი ნაპირებჩამოთლილი ფარაკი, რომლის ზედაპირზე გამოსახულია ურთიერთგადამკვეთი მოკლე ხაზებით შედგენილი მონოგრამა. ეს უკანასკნელი საფიქრებელია, გამოხატავს ჯვარს და ქრისტეს სახელის პირველ ასოს. ამგვარი მონოგრამები ფართოდ იყო გავრცელებული ადრეფეოდალურ ხანაში და ჩანს, შუაფეოდალურ ხანაშიც განაგრძობდნენ არსებობას.

სიონის ვერცხლის ბეჭდებმა საგრძნობლად გაამდიდრა ჩვენი წარმოდგენა შუასაუკუნეებში მეტად გავრცელებულ ამ სამკაულზე. ამ აღმოჩენის წყალობით გამოვლინდა ბეჭდების მანამდე სრულიად უცნობი არაერთი ტიპი. ამასთანავე, იმის გამო, რომ მთელი ეს მასალა სათანადო კომპლექსების წყალობით საკმაოდ კარგად თარიღდება, სიონის ბეჭდების კოლექცია მომავალში შეიძლება იქცეს ამ ჯგუფის სამკაულთა კიდევ უფრო საფუძვლიანი შესწავლის წყაროდ.

**სამაჯურები.** ვერცხლის სამაჯური სიონის სამაროვანზე სულ რამდენიმე ცალია აღმოჩენილი და ყველა ნაკლულია. მათ შორის სამხრეთი უბნის მე-15 სამარხში მოპოვებული 9 ნატეხი (ინვ. 442). ღრუ რკალიანი სამაჯურისაა და, ჩანს, ეს უკანასკნელი ძლიერ ემსგავსებოდა ბრინჯაოს ასეთსავე სამაჯურებს (იხ. ზემოთ).

რაც შეეხება აკლდამაში აღმოჩენილ ერთ ნატეხს (ინვ. № 185, ტაბ. XXXIV, 5), იგი ჩვენი ვარაუდით, ორნაწილედი სამაჯურის მომცრო, საკეტ ნაწილს წარმოადგენს. თუ გავიხსენებთ, რომ მსგავსი სამაჯურები ჩვენში უპირატესად გვიანანტიკურ ხანაში ყოფილა გავრცელებული[123], შეგვიძლია ვიფი-

---

[123] მცხეთა, I, გვ. 30, ტაბ. 1, სურ. 3. გარდა ასპარუგ პიტიახშის სამარხისა, მსგავსი ორნაწილედი სამაჯური აღმოჩენილია არმაზის ხევის მე-6 და მე-7 სამარხებშიც; გ. ლომთათიძე, კლდეთის სამაროვანი, თბ., 1957, ტაბ. XXI სურ. 1.

ქროთ, რომ სიონის აკლდამის სამაჯური მათი გვიანდელი „გამოძახილია“. თუ ჩვენი ვარაუდი არმაზისხევის ორნაწილედი სამაჯურისა და სიონის ვერცხლის სამაჯურის ტიპოლოგიური სიახლოვის შესახებ სწორია, იქნებ ისიც ვიფიქროთ, რომ უკანასკნელის ნატეხი ეკუთვნის აკლდამის ყველაზე უფრო ძველ ნივთთა ჯგუფს, რომლისგანაც გასაგები მიზეზის გამო მცირე ნაწილიღა გადარჩენილა.

არანაკლებ საყურადღებოა კ ო მ ბ ი ნ ი რ ე ბ უ ლ ი ს ა მ აჯ უ რ ი (№ 401, ტაბ. XXXIV, 4,) რომელიც შედგება ვერცხლის საკეტიანი თავებისა და ვერცხლისავე ორ წვრილ მავთულზე ასხმული გიშრის მოგრძო მძივებისაგან. ეს მძივები ერთიმეორისაგან თანაბარი მანძილითაა დაშორებული და თითოეული ვერცხლის კიდევ უფრო წვრილი მავთულითაა გამაგრებული ზედ.

მსგავსი სამკაული, რომელიც თავისთავად უაღრესად იშვიათია, ამჟამად ჩვენთვის ცნობილია მატნის „ჟამთა საყდრის“ სამაროვნის იმ ფენიდან, რომელიც XI — XIII საუკუნეებით არის დათარიღებული[124].

### 7. რკინის ნივთები და სამკაულები

რკინისაგან დამზადებული საგნები სიონის სამარხებში რაოდენობრივად თითქმის ყველას აღემატება. მაგრამ ლითონის უაღრესად ცუდი დაცულობის გამო მათზე მსჯელობა მეტწილად თითქმის შეუძლებელი ხდება, თუმცა ზოგი რამ აქაც შეიძლება ითქვას.

რკინის ნივთებს შორის ზოგადად გამოიყოფა ორი ჯგუფი: საბრძოლო-სამეურნეო დანიშნულების საგნები (ხელსაწყო-იარაღი) და სამკაული.

ა) ს ა ბ რ ძ ო ლ ო და ს ა მ ე უ რ ნ ე ო დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი ძალიან ცოტაა. სულ გვაქვს ორი ისრისპირი (ინვ. № 138), რომელთაც წვეტიანი ყუნწი და დაბრტყელებული პირი აქვთ, რამდენიმე დანის ნატეხი (ინვ. №№ 226, 366, 19, 512) და მოკლე სოკოსებრ-ჭუდიანი ლურსმნები (ინვ. №№ 432, 396, 478 და სხვ.).

ბ) რ კ ი ნ ი ს ს ა მ კ ა უ ლ ი გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია და უმთავრესად სამაჯურებისა და ბეჭდებისაგან შედგება.

**რკინის სამაჯურები** (ინვ. №№ 2, 10, 26, 37, 79, 80, 88, 101, 111, 114, 119, 121, 144, 153, 167, 170, 179, 203 და სხვა მრავალი) სიონის სამაროვანზე, თუ ნატეხების მიხედვით ვიმსჯელებთ ასზე მეტია, მაგრამ მათგან მხოლოდ 1 ცალს აქვს შემორჩენილი მეტ-ნაკლებ დაცული ფორმა, დანარჩენები წვრილადაა დამსხვრეული. (ტაბ. XXXIV, 1).

ამ სამაჯურებში ძირითად ტიპს წარმოადგენს ოვალურად მორკალული, თავგახსნილი სამაჯურები, რომლებსაც ჰქონიათ შიგნიდან დაბრტყელებული რკალი და ოდნავ დაწვრილებული თავები. მსგავსი სამაჯურები შუაფეოდალური ხანის სამარხებში ხშირია[125]. გარდა ამისა, რკინის სამაჯურებს შორის გვხვდება: ბ რ ტ ყ ე ლ ი და თ ი თ ქ მ ი ს წ რ ი უ ლ ი რ კ ა ლ ი ს მ ქ ო ნ ე (ინვ. №№ 80, 319, 257, 407). წ ვ რ ი ლ ი, წ რ ი უ ლ ი რ კ ა ლ ი ს მ ქ ო ნ ე (№№ 167, 179) და სხვა. სიონურ კოლექციაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რკინის ერთი სამაჯურის ნატეხი, რომელსაც რკალი ერთ ადგილას გამსხვილებული აქვს და ზედ სპილენძისა და ვერცხლის ორნამენტირე-

---

124 მატნის სამაროვანი ითხრებოდა 1967—1969 წწ. ჩვენ მიერ.

125 გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, რუსთავში წარმოებული ..., გვ. 134; ღ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ბოლნისი, გვ. 370—71. სურ. 35 და სხვ.

რებული ფირფიტაა დაკრული. შესაძლებელია სამაჯური რამდენიმე ადგილას ყოფილიყო ასე გამსხვილებული.

რკინის სამაჯურების დიდი სიმრავლე (ზოგ სამარხში 7—9 ცალია აღმოჩენილი) იმის მანიშნებელია, რომ ეს სამკაული იაფი და იოლად ხელმისაწვდომი ყოფილა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის.

**რკინის ბეჭდები** (№№ 3, 68, 78, 166, 171, 210, 351, 402, 408, 452, 336) 15 ერთეულს ითვლის. დაცულია ცუდად, მაგრამ მათ შორის მაინც გამოიყოფა:

ოვალურფარაკიანი ბეჭდები, რომლებსაც ჰქონიათ თითქმის წრიული რკალი და მასიური ფარაკები. ერთ-ერთის ფარაკზე (ინვ. № 351) დაკრულია ვერცხლის ფირფიტა, რომელზედაც მხედრული ასო (ს) უნდა იყოს ამოკაწრული.

რგოლისებრი, სადა ბეჭდები (ინვ. 166/2, 336), რომლებიც თითქმის მთლიანად ჟანგად არის ქცეული.

რკინის ნივთ-სამკაულთა ასეთი მშრალი და მოკლე მიმოხილვა, რა თქმა უნდა, უკმარისია, მაგრამ მასალის ცუდი დაცულობა უფრო ვრცელი მსჯელობის საშუალებას არ გვაძლევს.

### ჯვრები

ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლო, ჯვარი სიონში სულ 5 ცალია აღმოჩენილი. ამათგან ერთი ბრინჯაოსია, ორკაპა მკლავებით (ინვ. № 22, ტაბ. XXXIV, 2), ორი—ვერცხლისა (ინვ. 94, 519, ტაბ. XXXIV 2, 3), ერთი რკინისა (ინვ. № 245) და ერთიც ძვლისა (ინვ. № 251, ტაბ. XXXIV, 2).

ბრინჯაოს ერთ ჯვარზე (ინვ. № 22), რომელიც „ბოლნური ჯვრების" ტიპისაა, ადრევე ვისაუბრეთ და იგი სამარხთა იმ ფენის კუთვნილებად მივიჩნიეთ რომლებიც IX—X სს. გვქონდა დათარიღებული. რაც შეეხება მეორე ჯვარს (ინვ. № 94) იგი სადაა, საკმაოდ თხელი ფირფიტისა და თუ სამარხში მისი აღმოჩენის ადგილის მიხედვით ვიმსჯელებთ (ნაპოვნია აღმ. უბნის მე-11 სამარხში), XI—XII სს. უნდა დათარიღდეს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ვერცხლის ჯვარი, რომელიც ერთ-ერთ დანგრეულ სამარხშია მოპოვებული[126]. იგი დამზადებულია ვერცხლის სწორი და თხელი ფირფიტისაგან. გრძივი მკლავები, განივთან შედარებით, ოდნავ წაგრძელებული აქვს. ზედა ნაწილზე მირჩილულია ვერცხლისავე ყუნწი. ჯვარი შემკულია ჯვარედინი და წინწკლოვანი ნაჭდეებით. მაგრამ, რაც მთავარია, მთელი მისი ზედაპირი დაფარულია მხედრული წარწერით: წარწერა ასე იკითხება: „ბედნიერმც არის: ესე: ჯვარ: დ. ესე: სქმე:" (სურ. 19).

რადგან აღნიშნული ჯვარის თანმხლებ მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია, ძნელია მისი ხნოვანების დადგენა. ამ საქმეში გარკვეულ დახმარებას გვიწევს თვით წარწერის პალეოგრაფია. კერძოდ წარწერაში გამორეულია ერთი ასო (ც), რომელიც ასომთავრულის ყაიდაზეა დაწერილი, წარწერის საერთო იერი, როგორც თავის დროზე ნ. ბერძენიშვილმა შეგვნიშნა, გვაძლევს უფლებას ეს ჯვარი XIV ს. დავთარიღოთ.

რკინის ჯვარი დაზიანებულია, მაგრამ ნაშთის მიხედვით ჩანს, რომ მას ჰქონია წაგრძელებული მოყვანილობა, დაბრტყელებულ-დაკუთხული მკლავები და დაგრძელებული წვეტიანი ბუნი.

[126] გადმოგვცა სამშენებლო უბნის უფროსმა ჯამბაკურ სირბილაძემ.

მსგავსი ჯვრები სხვათა შორის, აღმოჩენილია ჩრდილო ოსეთში, ზემო ჯულათის XI—XII სს. ეკლესიის თხრისას[127].

საყურადღებოა აგრეთვე ძვლის მრგვალღეროიანი და თითქმის ტოლმკლავება ჯვარი, რომელსაც მოყავისფრო ელფერი გადაკრავს.

სამარხის სტრატიგრაფიისა და ამ ჯვრის თანმხლები ნივთების გათვალისწინებით, იგი გვიანფეოდალურ ხანას [illegible] ეკუთვნოს.

ისეთ მნიშვნელოვან რელიგიურ ცენტრში, როგორიც სიონი ჩანს, ჯვრების აღმოჩენა ჩვეულებრივ მოვლენად არის მისაჩნევი, მით უმეტეს, რომ ეკლესიის შიგნით და მის გარეთაც ალბათ სასულიერო პირებსაც კრძალავდნენ.

## 9. ქსოვილის ნაშთები

სიონის სამაროვნის ზოგიერთმა სამარხმა ქსოვილის ნაშთებიც შემოგვინახა, მაგრამ ისინი იმდენად იყვნენ დაზიანებული, რომ ქიმიური დამუშავების შემდეგ მხოლოდ ორიოდე ნიმუშის აღწერა თუ მოხერხდა[128]. ქსოვილის ნაშთები აღმოჩნდა: 1). მე-3 სამარხის სამხრეთ განყოფილებაში (ინვ. № 15), ტყავის ფეხსაცმლის ნაშთთან ერთად. ქიმიურ დამუშავებამდე ჩანდა, რომ ეკუთვნოდა ძალზე წმინდად ნაქსოვ თალს ნაჭერს და ხელის შეხებისთანავე იფერფლებოდა. გამაგრება არ მოხერხდა; 2). მე-6 სამარხში (აღმ. უბ.), სულ ზედაფენის მიცვალებულის ნაშთებთან ერთად. ნაბოვნ სხვადასხვაგვარ ქსოვილთა შორის გამოირჩეოდა თეთრი, წმინდა ქსოვილი, რომელიც, შესაძლოა, დაჭმუჭნულსა და სამარხში ისე ჩატანებულ სელის ლეჩაქს წარმოადგენდა (ინვ. 21)[129]. სამწუხაროდ, არც ამ ნიმუშის გამაგრება-გახსნა მოხერხდა.

სამაგიეროდ, იმავე სამარხში აღმოჩენილი ნაშთი შალის მოყავისფრო ქსოვილისა, რომელზედაც ბრინჯაოს ბურთულა-ღილი იყო მიკერებული, ნაწილობრივ იქნა „გახსნილი“. მისი ნაფლეთები საკმაოდ მოზრდილია (ინვ. 20). იგი ნაქსოვია მეტად წმინდა ძაფისაგან და, რაც მთავარია, სახიანია. ქიმიური გაწმენდის შემდეგ გამოირკვა, რომ გამოყენებულია წითელი, ყვითელი, ყავისფერი და მომწვანო ძაფები. სახეები დაზგაზედვეა გამოყვანილი და ურთიერთმონაცვლე ზოლები ფერებით მეტად თავისებურად არის შეხამებული.

ასეთი სახოვანი ქსოვილები, ჩანს, ფართოდ ყოფილა გავრცელებული ბევრ ქვეყანაში და მათ შორის შუასაუკუნეთა საქართველოშიც, რასაც, სხვა არა იყოს რა, ფრესკებზე გამოხატული ტანსაცმლის ნიმუშებიც-ცხადყოფენ[130]. ნაქსოვი უმაღლესი ხარისხისაა.

ივრის ხეობა და მეტადრე მისი მთიანეთი წარმოადგენდა შალის ნედლეულის უშრეტ ბაზას, მაგრამ ზემოაღწერილ ნიმუშში ჩახს არა მარტო ამ ნედლეულის ადგილობრივ გამოყენების ფაქტი, არამედ ის დიდი დაოსტატებაც, რომლისთვისაც ქართველ ფეიქრებს მიუღწევიათ იმ დროისათვის.

---

[127] Е. И. Крупнов, Христианский храм на городище Верхний Джулат, МИА, 114. рис. 6.

[128] სიონში მოპოვებული ქსოვილის ნაშთები შესასწავლად გადაეცა ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწ. მუზეუმის თანამშრომელს დ. აბყანდაძეს, რომლის წინასწარი დასკვნითაც ვსარგებლობთ. ქსოვილის რამდენიმე ნიმუში 1965 წ. დამუშავებულ იქნა ლენინგრადის ერმიტაჟის ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორიაში. აღდგენილ-გამაგრებული მასალა ინახება სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში (ინვ. № 91—65—1 და 91-65-2).

[129] ასეთივე ქსოვილის ნაშთი 1950 წ. აღმოჩნდა სვეტიცხოვლის ეზოში № 1 სამარხში. ნ. ოქროპირიძის დაკვირვებით (იხ. მისი დღიური), იგი ლეჩაქის მსგავსი წმინდა ქსოვილისა ყოფილა.

[130] ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტუმი (VI—XIV სს.), თბ., 1964.

გარდა ზემოთ აღწერილისა, აღმოსავლეთ უბნის მე-6 სამარხში აღმოჩნდა ქსოვილთა სხვა ნაშთებიც, მათ შორის ერთი ჩანს ტილოსი, დაკრული იყო მე-9-10 სს. დათარიღებულ ჯვარზე (სამარხის ქვედა ფენა).

3) მიწისქვეშა აკლდამაში. ჰაერის მოქმედების შედეგად ქსოვილთა ნაშთები ძალზე დაზიანებული იყო. კერძოდ, № 1 სარეცელზე დაკრძალულს გადაფარებული ჰქონდა სუდარა (ინვ. № 199), რომელიც მთლად დაშალა და მტვრად იქცა, მაგრამ ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ აბრეშუმი უნდა ყოფილიყო[131].

ამავე აკლდამაში შედარებით უფრო გვიან (ალბათ გვიანფეოდალურ ხანაში) ჩასვენებულ ერთ ჩონჩხთან (IV სარეცელზე) აღმოჩნდა შალის ძაფით ნაქსოვი წინდის ნაშთი (ინვ. № 197).

4) ეკლესიის შიდა, № 1 სამარხი. როგორც ზემოთ გვქონდა ნათქვამი, ეკლესიის შიგნით გათხრილ № 1 სამარხში აღმოჩნდა ქსოვილთა დიდძალი ნაშთები, მაგრამ გარდა სამარხის დასავლეთ ბოლოში მდებარი ქუდისა, ყველაფერი ისე იყო ჩაფერფლილი, რომ ნიმუშების აღებაც კი არ მოხერხდა. რაც შეეხება ქუდს (სავ. ინვ. № 520), იგი გამაგრებულია და ნაწილობრივ აღდგენილიც. შეკერილია შავი ქეჩისაგან და მატყლი საკმაოდ კარგადაა მოთელილი. ქუდს აქვს ნაელვარსფეროს მოყვანილობა. ზემოდან გადაკრული ჰქონია აბრეშუმის ქსოვილი და ტყავის ზოლები. ერთი დაახლოებით ასეთი ქუდი ნაპოვნია სამთავროშიც ადრეფეოდალური ხანის ქვისსამარხში[132].

მსგავსი ქუდები შუა საუკუნეთა საქართველოში ჩანს ფართოდ იყო გავრცელებული, რასაც ადასტურებს ძველ ქართულ რელიეფებზე, კედლის მხატვრობაში და მინიატურებში შემონახული მრავალრიცხოვანი გამოსახულება[133]. სიონის ქუდს გარკვეული მსგავსება აქვს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ფრესკაზე გამოხატულ შოთა რუსთაველის თავსაბურავთანაც[134], თუმცა ეს უკანასკნელი უფრო მაღალი ჩანს.

---

131 აბრეშუმი რომ საქართველოში საკმაოდ ძველი დროიდანვე იყო ცნობილი, ამას ა. აფაქიძის ხელმძღვანელობით ბაგინეთის ტერიტორიაზე თხრისას ახ. წ. II საუკუნით დათარიღებულ ფენაში აბრეშუმის ქსოვილის ნაშთის აღმოჩენაც მოწმობს (იხ. ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, განათხარი ქსოვილების ნაშთები საქართველოში, (ხელნაწერი), 1956, გვ. 16. მაგრამ სპეციალისტთა ვარაუდით ეს ფაქტი ჯერ კიდევ არ იძლევა საშუალებას ვამტკიცოთ ამ ქსოვილის ადგილობრივი წარმოება II საუკუნეში.

ნ. აბესაძე, წერილობითი წყაროებისა და საქართველოში დამოწმებული ზეპირი ტრადიციის მოშველიებით, იმ დასკვნამდე მიდის, რომ მეაბრეშუმეობის კულტურა ჩვენში V—VI სს. უნდა გავრცელებულიყო, ამასთან დაკავშირებით იხ. ნ. ა ბ ე ს ა ძ ე. მეაბრეშუმეობა საქართველოში, თბ., 1957, გვ. 134—143. აგრეთვე Н. Ш а р о в. Описание Кавказского шелководства, СМОМПК, вып. XI, Тифлис, 1891, გვ. 154; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, თბ., 1894, გვ. 41 და სხვა. რაც შეეხება შუაფეოდალურ ხანას, საქართველოში აბრეშუმის წარმოება, როგორც ჩანს მაღალ დონეზე იდგა და ეს ქსოვილი ექსპორტის ერთ-ერთ მთავარ სახეობასაც წარმოადგენდა (იხ. Ш. М е с х и я. Из истории грузинского феодального города. IX—XIII вв., ისტორიის ინსტ. შრომები, II, თბ., 1956, გვ. 139). მეაბრეშუმეობის ფართო გავრცელებას, როგორც ნ. აბესაძემ აღნიშნა, განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს იძლეოდა ბაგვაშთების 1722 წ. გუჯარი, სადაც ირკვევა, რომ XII ს. როდესაც „ბოსტან-ქალაქი“ ე. ი. რუსთავი თამარ მეფეს „სამწყსოდ“ და „სამრევლოდ“ „ღვთაების საყდრისათვის“ შეუწირავს, რუსთავის მცხოვრებთაგან 67 კომლგლეხს ევალებოდა თორმეტი ბათმანი აბრეშუმის გამოღება. (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ისტორიული საბუთები, ტ. I, 1918, გვ. 34).

132 ცნობა მოგვაწოდა გ. ლომთათიძემ.

133 ნ. ჩ ო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 129—138, სურ. $79_{2-4}$ $82_4$.

134 შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 4, გვ. 67.

სიონში მოპოვებული ქსოვილები ძვირფას მასალას წარმოადგენს შუასაუკუნეთა საქართველოს საფეიქრო ხელოვნების ისტორიისათვის და მომავალში ეს მასალა, სხვა ახალ მონაპოვრებთან ერთად, საგანგებოდ განხილვის ღირსია.

გარდა ზემოგანხილული ნივთებისა, სიონის სამარხთა ინვენტარში შედის: სხვადასხვა მოყვანილობის (მრგვალი, ცილინდრული, მრავალწახნაგა, დაბრტყელებული) სარდიონის მძივები (ინვ. № 370, 269, 297, 337, 426, 145 და სხვა); ძვლის ღილები კვირისტავის მოყვანილობისა, ორნამენტიანი (ინვ. №№ 322, 327, 371); ნიჟარის ავგაროზები (ინვ. №№ 347, 400, 445, 489) და სხვა.

## 10. მონეტები

ივრის სიონის განათხარში მეტად საყურადღებო მონაპოვარს წარმოადგენს სამარხებში და სამაროვანის სხვადასხვა კუთხეში, ფენებში მოპოვებული, არც თუ მრავალრიცხოვანი, მაგრამ ფრიად ანგარიშგასაწევი მონეტები, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევენ სიონის სამაროვნის ცალკეულ ფენათა დათარიღების საქმეში[135].

მოპოვებული 12 მონეტიდან, ცუდი დაცულობის გამო, მხოლოდ ორი დარჩა განუსაზღვრელი (ინვ. №№ 537 და 538, სამარხი № 9, აღმ. უბანი), რაც შეეხება დანარჩენ ათს, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ისინი ასე წარმოგვიდგება:

ყველაზე ძველი XIII ს. 30-იან წლებში მანგუ-ყაანის სახელით თბილისში მოჭრილი ორი მონეტაა[136] (ინვ. 544, 545). ისინი ეკლესიის აბსიდის ნანგრევებს შორის იქნა მოპოვებული. ოთხი მონეტა XIV ს. ეკუთვნის. მათ შორის: ორი ჰულაგიდურია (№ 440, სამარხი 17, აღმ. უბ. და № 541—აკლდამის ჩრდილოეთ გვერდზე ჩადგმული დანგრეული სამარხი) XIV ს. 20—30-იანი წლებისა. ერთი ჯუჩიდური, XIV ს. (№ 546, შემთხვევითი მონაპ.) და ერთიც ვერცხლისა XIV ს. ბოლოსია (№ 547, შემთხვ. მონაპ.). განსაკუთრებულ ინტერესს სიონის კოლექციაში იწვევს სამი მონეტა, რომლებიც საქართველოს მეფის კონსტანტინე II-ის სახელითაა მოჭრილი[137] (1478—1505 წწ.). ამათგან ერთი მოპოვებულია აკლდამაში, სარეცლებს უკან გადაყრილი ძვლების გროვაში (ინვ. № 536), მეორე, რომელიც ყველაზე უფრო საიმედოდაა განსაზღვრული, მოპოვებულია აღმ. უბნის მე-11 სამარხის ზედა ფენაში (№ 1539), ხოლო მესამე—დასავლეთი უბნის მე-6 სამარხში.

XV ს. მონეტათა ასეთი შედარებითი სიმრავლე იმის მანიშნებელია, რომ იმ დროისათვის სიონში ჯერაც საკმაოდ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა და რომ ძველ სამარხთა ნაწილს XV ს. მეორე ნახევარშიც კვლავ იყენებდნენ. კონსტანტინე მეფის ზეობის წლები საქართველოს ისტორიაში წარმოადგენდა

---

[135] სიონის სამაროვანზე მოპოვებული მონეტების განსაზღვრა ეკუთვნით ნუმიზმატებს: თ. აბრამიშვილს, ირ. ჯალაბანიასა და გ. დუნდუას.

[136] Ир. Джалагания, Из истории монетного дела в Грузии XIII в., Тб., 1958, стр. 43.

[137] გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964, გვ. 60—61.

მეტად რთულსა და კრიზისულ პერიოდს, როდესაც უწინდელი ძლიერი და ერთიანი სახელმწიფო უკვე რამდენიმე სამეფოდ იყო დაქუცმაცებული. მართალია, კონსტანტინე ოფიციალურად სრულიად საქართველოს მეფედ იწოდებოდა, მაგრამ ფაქტიურად მხოლოდ ქართლის მეფეს წარმოადგენდა და მისი „სრულიად საქართველოს მპყრობელობა“ რეალურ შინაარსს მოკლებული იყო. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ჩანს, ქართული ფული XV ს. მეორე ნახევარში მაინც ერთი პიროვნების, კონსტანტინე II-ის სახელით იჭრებოდა. სწორედ ამიტომაა, რომ სიონში, რომელიც უკვე ცალკე გასული კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა და რომელსაც 1476 წლიდან გიორგი მერვის ძე ალექსანდრე განაგებდა, მაინც სრულიად საქართველოს მეფის ტიტულის მატარებლის კონსტანტინეს მონეტებია აღმოჩენილი.

თემურლენგის ლაშქრობათა უმძიმესი შედეგების და მანამდე არნახულ აოხრებათა მიუხედავად კახეთს უფრო მეტი სასიცოცხლო ძალები აღმოაჩნდა, ვიდრე საქართველოს სხვა წამყვან კუთხეებს და შეთხელებული მოსახლეობის შევსების პრობლემაც, მთასთან სიახლოვის გამო, იქ უფრო იოლად გადასაწყვეტი უნდა ყოფილიყო. სწორედ მთისა და ბარის, შედარებით უფრო ნორმალურმა ურთიერთობამ ბევრად შეუწყო ხელი კახეთის სამეფოს სწრაფ დაწინაურებას XV ს. ბოლოდან.

ამიტომაც, ჩვენი ვარაუდით, შუაფეოდალურიდან გვიანფეოდალურისაკენ გარდამავალი ხანა კახეთისათვის რამდენადმე განსხვავებული და თავისებური უნდა ყოფილიყო. ყველაზე გვიანდელი მონეტა სიონის მონაპოვარში არის თბილისში XVII ს. ბოლოს და XVIII ს. პირველ მეოთხედში მოჭრილი სპილენძის ფული (ინვ. № 543), რაც იმის მანიშნებელია, რომ შაჰ-აბასის მიერ კახეთის სრული აოხრებისა და კერძოდ სიონის საშინელი დარბევის შემდეგ იქ ცხოვრება მთლად არ აღმოფხვრილა.



სურ. 19. ვერცხლის წარწერიანი ჯვარი სიონიდან.

თავი მეოთხე

## ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი და სიონის განათხარი ძეგლების ზოგადი მნიშვნელობა

სამარხებისა და მათი ინვენტარის აღწერიდან და ნივთსამკაულების ცალკეულ სახეობათა მიმოხილვიდან ჩანს, რომ მონაპოვრის ძირითადი ნაწილი ეკუთვნის შუაფეოდალურ ხანას, თუმცა განათხარში საკმაოდ მეტყველადაა წარმოდგენილი ადრეფეოდალურ და გვიანფეოდალურ ხანათა ძეგლებიც.

ამასთანავე ისიც გვაქვს უკვე აღნიშნული, რომ უშუალოდ სიონის ეკლესიის გარშემო ადრეფეოდალური ხანის ტიპიური, „რიგითი" ქვისსამარხები და სამარხეული კომპლექსები არ აღმოჩენილა. გამონაკლისს შეადგენს VI ს. დათარიღებული აკლდამა, რომელიც დანიშნულებითა და სიდიადით ძლიერ შორს სცილდება რიგითი სამარხების დონეს. რაც შეეხება კაშხლის წყალსაშვების ზონაში აღმოჩენილ, ადრეფეოდალური ხანის სამარხებს, რომლებიც VI—VIII სს. დამახასიათებელ ინვენტარს შეიცავდნენ, ისინი ეკლესიიდან საკმაოდ მოშორებული იყვნენ და თავის დროზე მათი იქ გამართვა იმის საბუთად იქნა მიჩნეული, რომ რიგითი სამარხების შემცველი სასაფლაო VI—VIII სს. ჯერ კიდევ ეკლესიიდან საკმაოდ მოშორებით, ცალკე მდებარეობდა.

რაც შეეხება VIII—IX სს. დათარიღებულ ორგანყოფილებიან და ჩუქურთმიან სამარხს, იგი როგორც სრულიად უნიკალური და გამონაკლისი, სოციალური კუთვნილებით აკლდამის რიგში ექცევა და სამაროვნის ზოგადი დახასიათებისას ცალკეა გასათვალისწინებელი. ჩვეულებრივი „რიგითი" სამარხები სიონის ეკლესიის გარშემო ჩანს, IX—X სს. იწყებენ გაჩენას. თავდაპირველად მათი რიცხვი მოკრძალებული ყოფილა, მაგრამ შემდეგ (ეტყობა საკმაოდ სწრაფად) ამ მოვლენას მასობრივი ხასიათი მიუღია. ახალი არქეოლოგიური მონაპოვარი (ივრის სიონში და განსაკუთრებით მატანში[1]) ცხადჰყოფს, რომ ქრისტიანულ ეკლესიათა სიახლოვეს, უფრო სწორად, ეკლესიის წიაღში სამუდამო სავანის მოპოვების უფლებაში საზოგადოების სოციალურად დაწინაურებულ ფენებს თანდათანობით შეეზიარა რიგითი მოსახლეობაც.

---

[1] კახეთის (ალაზნის) არქეოლოგიური ექსპედიციის ანტიკური და ფეოდალური ხანის ძეგლთა შემსწავლელმა რაზმმა ახმეტის რაიონის სოფ. მატანში ჟამთა საყდრის გარშემო 1967—68 წწ. გათხარა მრავალფენიანი სამაროვანი. მატნის მონაპოვრის განსაკუთრებული ღირებულება ისაა, რომ აქ უადრესად ნათლად არის გამოსახული სამაროვნის სტრატიგრაფია. ჯერჯერობით სრულიად მკაფიოდ გამოიყოფა უძველეს, შირიმის ფილებით ნაგებ სამარხთა ფენა, რომელიც ყველა ნიშნით, IX—X საუკუნეებს ეკუთვნის და მომდევნო ფენებისაგან ძალზე განსხვავებულია. ამის შესახებ. იხ. XVII საველე-არქეოლოგიური სესიის თეზისები, 1969 წ., გვ. 16.

სიონის ეკლესიის გარშემო რიგითი სამარხების თავმოყრა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოში სასაფლაოთა შერწყმა ქრისტიანულ ცენტრებთან კანონზომიერი შედეგი უნდა იყოს იმ რთული და მეტად მნიშვნელოვანი მოვლენებისა, რომლებიც აქ მიმდინარეობდა მთელი ადრეფეოდალური ხანის განმავლობაში. კერძოდ ჩვენ აქ ვგულისხმობთ არაბების საქართველოში ბატონობის იმ ხანას, როდესაც განსაკუთრებული სიმკაცრისა და გამუდმებული ომიანობის პირობებში ეროვნულ თვითმყოფადობას დიდი საფრთხე შეექმნა.

როგორც ცნობილია, არაბობის დასაწყისისათვის ქრისტიანობას ქართლის სამეფოში უკვე კარგახნის ისტორია ჰქონდა, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მიუხედავად ქრისტიანული სარწმუნოების ენერგიული დანერგვისა მოსახლეობის ფართო ფენებში წარმართული ტრადიციები ჯერ კიდევ მთლად არ ყოფილა მივიწყებული და ეს, ჩვენი აზრით, ბუნებრივიცაა. მართალია ადრეფეოდალური ხანის პირველ ეტაპზე მიცვალებულთა დაკრძალვის წესში ქრისტიანული ელემენტი უცილობლად გაბატონებულია, მაგრამ ძველი ტრადიციისამებრ კვლავ გრძელდებოდა სამარხებში ნივთებისა და სამკაულების ჩატანება (რა თქმა უნდა იმ სიუხვით აღარ წინაქრისტიანულ ხანას რომ ახასიათებდა). ამასთანავე—და ეს ყველაზე უფრო საყურადღებოა, იმ დროისათვის სასაფლაოები მდებარეობდნენ ეკლესიებისაგან განცალკევებით და მათთვის ადგილის შერჩევისას ალბათ ძველი ტრადიციული შეხედულებებით ხელმძღვანელობენ[2].

მართლაც, თუ გადავხედავთ სათანადო არქეოლოგიურ ძეგლებს, დავრწმუნდებით, რომ ადრეფეოდალური ხანის სამაროვნების გავრცელების არეალი სრულიად განსხვავებულია და არ ემთხვევა ეკლესიებისას, იმიტომაც უნდა იყოს, რომ არც ერთი არქეოლოგიურად შესწავლილი, ძველი ქრისტიანული ტაძრის სიახლოვეს (მაგ. სვეტიცხოველი[3], ბოლნისი[4], მცხეთის ჯვარი[5], ერელაანთ საყდრის სოფ. მატანთან[6] და სხვ.) არ აღმოჩენილა არც ერთი მათივე თანადროული რიგითი სამარხი.

ამ მიმართულებით, ჩანს, პირველი ნაბიჯები სოციალურად დაწინაურებულ ზედა ფენებს გადაუდგამთ (იგულისხმება მათი აკლდამები), ხოლო მოსახლეობის ფართო ფენებში ეკლესიებთან სასაფლაოთა დაახლოების მიდრეკილება, ეტყობა კარგა ხანს არ გაჩენილა.

არაბობის დამძიმებისა და განსაკუთრებით კი მურვან ყრუს დამსჯელი ლაშქრობის შემდეგ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ძვრა მოხდა. მოძალებულ მტერს, რომელიც განსაკუთრებით უხეშ ეკონომიურ პო-

---

[2] ამავე საკითხზე გამახვილებული აქვს ყურადღება გ. ლომთათიძესაც, იხ. მისი ნარკვევები IV—V და VI—XI სს. ქართული ქვეყნების ყოფისა და კულტურის შესახებ. იბეჭდება რეატომიან „საქართველოს ისტორიის ნარკვევების". II ტომში.

[3] Д. Мшвениерадзе, Строительное дело в древней Грузии, Тб., 1952, სვეტიცხოველის საძირკვლების შემოწმებისას ეკლესიის გარშემო მხოლოდ შუაფეოდალური ხანის სამარხები ჩნდებოდა. შდრ. გ. ლომთათიძე, ახალი მასალები სვეტიცხოველის შესახებ, „მეცნიერება და ტექნიკა", 1950, № 7; ნ. ოქრომჭედლიძე, მცხეთაში მივლინების ანგარიში, 1950, ხელნაწერი;

[4] ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, ენიმკის მოამბე, III, თბ., 1938, გვ. 311—382.

[5] Г. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948. ჯვრის ტაძრის რესტავრაციის დროს აღ. კალანდაძის მიერ იქ ჩატარებულ არქეოლოგიურ ძიებას ადრეფეოდალური ხანის სამარხები არ გამოუვლენია.

[6] Р. Рамишвили, Исследование раннефеодального могильника «Иагсари», ТКАЭ, I, Тб., 1969, стр. 122.

ლიტიკას ატარებდა, აღარ აკმაყოფილებდა მარტოოდენ ნივთიერი სარგებელი და იწყებს ისლამის ძალით გავრცელებისა და დანერგვის ხანა. ისლამის შემოღება კი უკვე თავისთავად არაბთა მტკიცე გაბატონებას მოასწავებდა. ასეთი ირმხრივი მოძალება იწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის მუდმივ შფოთსა და წინააღმდეგობას. პოლიტიკურ და ეკონომიურ ღონისძიებათა მოხერხებული გამოყენებით არაბებს ამ მიმართულებით გარკვეული წარმატებისათვის მაინც მიუღწევიათ, მაგრამ რამდენადაც მეტი იყო ძალდატანება, იმდენად საქართველოს მოსახლეობა უფრო და უფრო მედგარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს.

ამ განმათავისუფლებელ ბრძოლაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ქრისტიანულმა იდეოლოგიამ, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში უკვე ეროვნული ხასიათი შეიძინა.

არაბთა უსაშველო მოძალებამ და არნახულმა შევიწროვებამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „გამოაფხიზლა ქართველობა... და ჩაახედა ღრმად ცხოვრებაში და შექმნა ის სულიერი სიმტკიცე, რომელიც ყოველგვარს ფიზიკურ ღონეზე უძლიერესია. სწორედ ამ დროს გაისმა მჭერმეტყველობით აღსავსე ქადაგება ქართველ ერში: დროა გონს მოვიდეთ და სარწმუნოებრივ-ეროვნული თვითცნობიერება გავაცხოველოთო. ასეთი ნიჭიერი მქადაგებელი იყო იოანე საბანისძე, აბო ტფილელის მეგობარი და მისი მარტვილობის ხელოვანი აღმწერი“[7]. ქართველმა ერმა იმ მძიმე განსაცდელის ჟამს არაბთა პოლიტიკურ-ეკონომიურ ძალმომრეობას და „მახვილითა პყრობილ შჯულს“— დაუპირისპირა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული და ქრისტიანობა, რომლის დაცვაც უკვე ეროვნებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ეს სწორედ ის ხანაა, როდესაც საფუძველი ეყრება ადგილობრივ, ქართულ „წმინდანთა“ ინსტიტუტს, რის მიზანიც იყო „გაემხნევებინა დევნილი ქრისტიანენი და სულის სიმტკიცე მიეცა“[8] მათთვის. ივ. ჯავახიშვილისავე სიტყვებით „განახლებულ სარწმუნოებრივს გრძნობას ქართველებისათვის უნდა ჩაენერგა ეროვნული თავმოყვარეობა და სიამაყე“[9].

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქრისტიანული რელიგიური ცენტრები ხალხის ფართო მასების თვალში იძენენ უყოყმანო ავტორიტეტს და ამკარად იწყება ქართული მოსახლეობის ქრისტიანობასთან ურთიერთობის ახალი ეტაპი. აღნიშნულ მოვლენათა დასაწყისი VIII ს. მეორე ნახევარზე მოდის.

საყურადღებოა, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი ეროვნული ძვრა ასახულია არა მარტო ისტორიულ წყაროებსა და ლიტერატურაში, არამედ ისეთ მოვლენაშიც, როგორიცაა დაკრძალვის წესი. ჩვენის აზრით სწორედ აღნიშნულ ვითარებაშია საძებნი იმის მიზეზები, რომ სასაფლაოები „დაძრულა“ ეკლესიებისაკენ და თანდათანობით მომხდარა სასაფლაოთა და ტაძართა ტერიტორიული შერწყმა.

თუ არქეოლოგიურ მასალებს გავითვალისწინებთ, ამ ტენდენციას თავი პირველად IX ს-ში უნდა ეჩინა, ხოლო მასობრივი ხასიათი ამავე საუკუნის ბოლოს და X ს-დან უნდა მიეღო[10].

---

[7] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1948, გვ. 87.

[8] ი ქ ვ ე, გვ. 88.

[9] ი ქ ვ ე.

[10] ეს საკითხი შემდგომში ალბათ უფრო სრულყოფილად იქნება განხილული. ამის საშუალებას იძლევა უკვე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალები. ამჯერად კი გვსურს მხოლოდ შევნიშნოთ

როგორც ადრეფეოდალური ხანის სამაროვანთა შესწავლამ გაარკვია, ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ მთელს საქართველოში თუ არა, ქართლში მაინც დაკანონებულა ქვისსამარხებში ქრისტიანულად დაკრძალვის ერთიანი წესი, ხოლო სამარხებს თანდათანობით სრულიდ ჩამოყალიბებული გარეგნული სახე მიუღიათ. ადრეფეოდალური ხანის ქვისსამარხები, მეტადრე ერწოთბანეთის მხარეში, ხასიათდება საგულდაგულოდ ნაგები კედლებით, ხოლო საშენ მასალად უმეტესად შირიმის კარგად გათლილი ფილებია გამოყენებული, როგორც ივრის სიონის (და ამ ბოლოს კი მატნის) არქეოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, ეკლესიებს გარშემო სასაფლაოთა მოწყობის პირველ საფეხურზე, მოსახლეობას ძველი სასაფლაოებიდან თან მოუტანიათ ქვისსამარხთა გამართვის დახვეწილი ხელოვნება. ეკლესიებთან ნაგებ სამარხთა უმრავლესობას აშკარად ეტყობა მშენებელი ოსტატების დიდი მონდომება და შირიმის სუფთალთა გარკვეული სიუხვე, რომელთა მთელი ქონებრივი შესაძლებლობები სამარხებისათვის საჭირო ძვირადღირებულ სამშენებლო მასალის გამოყენებასა და თვით სამარხების გარეგნულ მოწყობაშია ჩაქსოვილი. გარდა იმისა, რომ შირიმის კარგად დამუშავებული, ფილები ნარიმანდებით არის ერთიმეორესთან დაკავშირებული, ხშირად სამარხებს აქვთ შირიმისვე თლილი ფილებისაგან შედგენილი ორფერდა სახურავები.

სამარხთა მშენებლობის ასეთ წესს, როგორც ჩანს, ჩვენი წინაპრები მისდევდნენ უმთავრესად IX — X სს. შემდეგ კი საოჯახო საძვალეებად ქცეული ეს სამარხები თანდათანობით ჰკარგავენ გარეგნულ ბრწყინვალებას, შუაფეოდალურ ხანაში ისინი იქცნენ ჩვეულებრივ ქვისსამარხებად, რომლებიც შენების ხარისხით და თვით საშენი მასალითაც ბევრად უფრო ჩამოუვარდებიან უწინდელთ.

ამიტომაც, ივრის სიონის სამარხებში ცალკე გამოვყავით ის ჯგუფი, რომელიც გარეგნული ნიშნებით უახლოვდება ადრეფეოდალური ხანის სამარხებს და უმთავრესად IX—X სს. თარიღდება. ეს სამარხები სხვებთან შედარებით სტრატიგრაფიულად ყველაზე უფრო ღრმად იყო მოქცეული

როგორც ზემოთაც არაერთხელ ითქვა, IX—X სს. სამარხები ხშირად ხელმეორედ იყო გამოყენებული, რაც ცხადია იწვევდა მათ დაზიანებას, შეცვლა-გადაკეთებას და თავდაპირველი ინვენტარის ნაწილობრივ მოსპობას, მაგრამ ის მაინც ნათელია, რომ IX—X სს. სამარხები საერთოდ ძალიან ღარიბი ყოფილა ინვენტარით.

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ადრეფეოდალური ხანის თითქმის ყველა სამაროვანი შეიცავს ნივთიერ მასალას. აღმოსავლეთ საქართველოს

---

ერთი მეტად საყურადღებო ფაქტი: ადრეფეოდალური ხანის თითქმის ყველა სამაროვანი ძირითადად V—VIII საუკუნეებითა დათარიღებული. ამ მხრივ კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს სამთავროს სამაროვანი, რომელსაც, როგორც ამ ბოლო დროს ფიქრობენ (გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე) მურვან ყრუს ლაშქრობა უდებს ბოლოს VIII საუკუნის პირველი მეოთხედის დასასრულს.

შესაძლებელია სამთავროს ადრეფეოდალური სახის სასაფლაოს არსებობის შეწყვეტა მურვან ყრუს უშუალო ლაშქრობის შედეგი კი არ იყო, არამედ ხემოხსენებული იმ მოვლენებისა, რამაც ძველი სასაფლაოების მიტოვება და ეკლესიებისაკენ გადაადგილება გამოიწვია.

VIII საუკუნიდან მცხეთა მართლაც რომ სოფლად ქცეულიყო, როგორც ამას ფიქრობს ნ. უგრელიძე (იხ. მ ი ს ი, ადრეულ შუასაუკუნეთა მიწის წარმოების ისტორიისათვის, გვ. 90), სულეთია სასაფლაო მაინც იყო საჭირო. ამიტომაც VIII ს. შემდგომდროინდელი სამარხები საძებნია უკვე ეკლესიათა სიახლოვეს და არა სამთავროს მინდორზე.

მოსახლეობა, ჩანს, მიცვალებულთა დაკრძალვისას თითქმის ყოველთვის ერთ წესს მისდევდა, მაგრამ—IX—X სს. როდესაც სასაფლაოები ეკლესიებს დაუახლოვდნენ ქვისსამარხებში ინვენტარის ოდენობამ მკვეთრად იკლო. ამ სამარხთა მეტისმეტი სიღარიბის ახსნა მხოლოდ არაბობით გამოწვეული ეკონომიური სიდუხჭირით, ვფიქრობთ, უმართებულო იქნება. ოჯახს, რომელსაც შეეძლო ესოდენ ძვირადღირებული და შრომატევადი სამარხების აგება რა თქმა უნდა არ გაუჭირდებოდა სამარხში ორიოდე ნივთის ჩატანება. ჩვენის აზრით, ამ მოვლენას უნდა მოეძებნოს სხვაგვარი ახსნა. კერძოდ ცნობილია, რომ ქრისტიანობა ებრძოდა უწინდელ, „წარმართულ" წესს, რომელიც მოითხოვდა სამარხებში „საიმქვეყნოდ საჭირო" ნივთების მრავლად ჩატანებას. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში ვიდრე სასაფლაოები ძველი ტრადიციისამებრ ეკლესიებისაგან მოშორებით მდებარეობდნენ, ეკლესიის მესვეურნი, ეტყობა, ვერ ახერხებდნენ სათანადო მტკიცე მეთვალყურეობა გაეწიათ მოსახლეობისათვის და ამიტომ მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე, VIII ს. ჩათვლით, საქართველოს მოსახლეობა კვლავ ინარჩუნებდა დაკრძალვის წესის ზოგ ძველ ელემენტს და, კერძოდ, სამარხებში ამა თუ იმ ყოფითი საგნის ჩატანების ჩვეულებასაც.

IX—X სს. კი, როდესაც, ჩვენის ვარაუდით, დაიწყო ეკლესიისა და სასაფლაოთა ტერიტორიული შერწყმა და რიგითი მოსახლეობის სამუდამო განსასვენებელმა ეკლესიათა წიაღში გადაინაცვლა, ბუნებრივია, ერთ ხანს მაინც სრულდებოდა ყველა ის მოთხოვნა, რასაც ეკლესია უყენებდა ქრისტიან ჭირისუფალთ. ამის გამო უნდა იყოს, რომ ამ უკანასკნელთა მთელი ყურადღება გადატანილი ჩანს თვით სამარხთა კეთილმოწყობაზე, თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნივთების ჩატანების სრული აკრძალვა მაინც განუხორციელებელი დარჩენილა და თითო-ოროლა უმნიშვნელო საგანი (გარდა ტანისამოსთან დაკავშირებული ლითონის აუცილებელი ნაწილებისა) მაინც მოხვედრილია იმ დროინდელ სამარხებში. სწორედ ამ მცირერიცხოვანი საგნების მიხედვით ჩანს, რომ ადრეფეოდალურ ხანასთან შედარებით IX—X სს. გარკვეული ძვრა მომხდარა. და ეს, უპირველეს ყოვლისა, ადრეფეოდალური ხანისათვის ტიპიური ნივთების თანდათანობით შეცვლა-გადასხვაფერებაშიც არის გამოხატული. ამიტომაც არის, რომ სამაროვანთა ისტორიის შესწავლისას IX—X სს. უნდა მივიჩნიოთ იმ ერთგვარ გარდამავალ ხანად, რომელიც ერთიმეორესთან აკავშირებს ადრეფეოდალურსა და შუაფეოდალურ ხანებს და რომელშიც, თუ დაკრძალვის წესის მიხედვით ვიმსჯელებთ, შემონახულია როგორც ადრეფეოდალური ხანის ზოგიერთი ტრადიცია (მაგ. სამარხის შენების წესი და მასალა), ასევე ზოგი სიახლეც, რომელიც ახალი ეპოქის გარიჟრაჟზე წარმოქმნილა. სიახლის მხრივ IX—X სს. (ადრეფეოდალურიდან შუაფეოდალურისაკენ გარდამავალი ხანის) სამარხებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ სასაფლაოების ეკლესიებთან თანდათანობით „გაშინაურების" ვითარებაში საფუძველი ეყრება იმ სამარხეულ კომპლექსებს, რომლებიც შემდეგ (შუაფეოდალურ ხანაში) ზოგიერთი სამაროვნისათვის ესოდენ დამახასიათებელი ჩანს.

სიონის შუაფეოდალური ხანის სამარხთა მიმოხილვისას უკვე გავეცანით ტიპიური სამარხეული კომპლექსის შედგენილობასაც და მოცულობასაც, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთ საქართველოს შუაფეოდალური ხანის

ყველა სამაროვანს როდი ახასიათებს ასეთი მრავალნივთიანობა. ამჟამად ჩვენ ხელთ არსებული მასალების მიხედვით სრულიად აშკარაა რომ შუაფეოდალურ ხანაში სამარხეული ინვენტარი დამახასიათებელია საქართველოს მხოლოდ ზოგიერთი კუთხისათვის — კერძოდ ისეთებისათვის, რომლებსაც შედარებით მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოს მთასთან და რომლებიც სისტემატიურად განიცდიდნენ მთის შედარებით კონსერვატული მოსახლეობის „ჩამოწოლას“[11], სწორედ იმ მოსახლეობისა, რომელსაც დაკრძალვის ძველი წესი უფრო ხელხელუხლებლად ჰქონდა შემონახული. ალბათ ამით უნდა აიხსნას ნივთებისა და სამკაულის სიმრავლე შუაფეოდალური ხანის ისეთ სამაროვნებზე, როგორიცაა ივრის სიონი, მატანი და ეგებ კუხეთის რუსთავიც კი.

* * *

ივრის სიონის არქეოლოგიური მონაპოვრის შესწავლისას, გარდა ადრეფეოდალურიდან შუაფეოდალურისკენ გარდამავალი ხანისა, ჩვენი ყურადღება მიიქცია შუაფეოდალური ხანის დასასრულის ნივთიერმა მასალამ და ბუნებრივია დაისვა საკითხი იმის შესახებ, თუ რა იყო დამახასიათებელი შუაფეოდალური ხანის დასასრულის სამარხეული კომპლექსისათვის.

როგორც სიონის სამარხთა აღწერილობიდან ჩანდა, ზოგი მათგანი გარდა საკუთრივ შუაფეოდალური ხანისა, გამოყენებული ყოფილა მომდევნო საუკუნეებშიაც. ამას ადასტურებს არა მარტო სტრატიგრაფიული დაკვირვება არამედ რამდენიმე სამარხში XV ს. მონეტების აღმოჩენაც. ასეთი კოლექტიური სამარხების სულ ზედა ფენებშიც გვხვდებოდა ნივთები, კერძოდ, გარდა უკვე აღნიშნული მონეტებისა, აღმოჩენილია: ბრინჯაოს ბურთულა, ყუნწიანი ღილები, ბრინჯაოს სამაჯურები და რგოლები, ბრინჯაოს ბეჭდები, რკინის სამაჯურები, მოჭიქული და მინის ჭურჭლის თითო-ოროლა ნატეხი და სხვა. ყოველივე აქ ჩამოთვლილი ტიპიურია საკუთრივ შუასაუკუნეთა კომპლექსებისათვის, მაგრამ ჩანს, ისინი კვლავ განაგრძობენ არსებობას XIV—XV საუკუნეებშიც. მაგრამ სიონის სამარხებში დადასტურებულ ამ გვიანდელ ფენებს საგრძნობლად ეტყობათ ინვენტარის გაღარიბება. კერძოდ, ქრება მინის სამაჯურები, ძალზე კლებულობს მინის ჭურჭელი, აღარ გვხვდება თიხის მოჩალისფრო სასუფრე ჭურჭელი და სხვ.

რა თქმა უნდა ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან იმ ხანებში საქართველო, როგორც ვიცით, უაღრესად მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში იმყოფებოდა. კერძოდ, მონღოლთა დაპყრობითმა ომებმა და საქართველოში გაბატონებამ უდიდესი ზიანი მიაყენეს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობას და მანამდე აყვავებული მეურნეობა დაქვეითების გზაზე დადგა. ეკონომიური დაქვეითების გამო მრავალი ქალაქი გაქრა, მრავალი კი დაკნინდა[12]; შესაბამისად დაქვეითდა ხელოსნობაც და შესუსტდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეთა დამაკავშირებელი სამეურნეო ურთიერთობა და აღებ-მიცემობა. მთავრები და

---

[11] ამ საკითხზე იხ. ქვემოთ, მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხის განხილვისას.

[12] ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მგსხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 248 (ქვემოთ „საქართველოს ისტორია“).

დიდებული აზნაურები საშვილიშვილოდ დაეუფლნენ მეფეთა მიერ მათთვის ნაწყალობევ სახელოებს, ყმა-მამულს. სამეფო ხელისუფლების შესუსტების ვითარებაში თანდათანობით ჩაეყარა საფუძველი სათავადოთა წყობას, რომელმაც XV ს. საბოლოოდ გაიმარჯვა კიდევაც.

მიუხედავად ასეთი მძიმე ვითარებისა, რომელიც საქართველოში შეიქმნა მონგოლობის შედეგად, არ იქნება მართებული ვიფიქროთ, რომ ყველაფერი ერთბაშად მოიშალა და განადგურდა. XIV ს. საქართველოს ისევ აღმოაჩნდა გარკვეული სასიცოცხლო ძალა და ნახანძრალმა ქვეყანამ კვლავ მოახერხა ფეხზე წამოდგომა (გიორგი ბრწყინვალის ხანა). რა თქმა უნდა ეკონომიკას უწინდებურის ძალით აღორძინება აღარ შეეძლო, მაგრამ ქვეყანა ერთგვარი გამოცოცხლების გზაზე მაინც შედგა. ასეთ გამოცოცხლებას გარდა პოლიტიკური ვითარების გაუმჯობესებისა, ხელს უწყობდა ის ძველი ინერციული ძალებიც, რომლებიც ასე იოლად ვერ მოსპო მონგოლთა მომძლავრებამ. ამის მეტყველი მაგალითია თუნდაც ის, რომ კვლავ მოქმედებას განაგრძობდა ზოგიერთი ძველი საწარმოო კერა (მაგ. ნატბეურის მინის სახელოსნო მცხეთის ქვეყანაში[13]), ხოლო სამარხეულ კომპლექსებში კი კვლავ გვხვდება ისეთი ნივთები და სამკაულები, რომლებიც შუაფეოდალური ხანისთვის იყო დამახასიათებელი.

XIV ს. ბოლოს და XV ს. დამდეგს საქართველოს თავს დაატყდა თემურლენგის რვაგზისი შემოსევა (1386—1403 წწ.), რამაც მანამდე არნახული უბედურება მოუტანა ისედაც მრავალჭირნახულ ქვეყანას. „მძვინვარე დამპყრობელის მიერ საქართველოსთვის მიყენებული ზიანი აუნაზღაურებელი იყო: ქვეყანა სისხლისაგან დაიცალა, მტერმა, სადაც კი მისწვდა, ველური ენერგიით გაანადგურა ქართული კულტურის ყოველივე შენამოქმედი: სამხედრო, სამოქალაქო, საკულტო, სასოფლო-სამეურნეო“[14].

ასეთ ვითარებაში აშკარად იჩინა თავი ცენტრიდანულმა ძალებმა და საქართველოს დაშლა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად გარდაუვალი აღმოჩნდა. სხვათა შორის ერთერთი პირველთაგანი, სამცხესთან ერთად, საქართველოს გამოეთიშა კახეთი, სადაც უკვე 1476 წლიდან ტახტზე დაჯდა გიორგი VIII-ის ძე ალექსანდრე.

თემურლენგისა და სხვა ურდოების თარეშის საზარელი შედეგების მიუხედავად, კახეთს, საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით, მეტი სასიცოცხლო ძალა აღმოაჩნდა რაც იმით უნდა აიხსნას, რომ იგი უშუალოდ ეკვროდა კავკასიონის ქართულ მთიანეთს, რომელიც ძნელბედობაში ერთგვარ თავშესაფარს წარმოადგენდა, ხოლო შედარებით მშვიდობიან ვითარებაში კი ცოცხალი ძალისა და ეკონომიური რესურსების უშრეტ წყაროს, რომლითაც ნაწილობრივ მაინც ივსებოდა ბარის დანაკლისი.

მთისა და ბარის ურთიერთობას ყოველ ხანაში ახასიათებდა გარკვეული კანონზომიერება, მაგრამ კახეთისათვის ამ ურთიერთობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა შუაფეოდალური ხანის გასულს, როდესაც გაპარტახებულ ქვეყანას ახალი რეზერვები ჰაერივით ესაჭიროებოდა. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული ისიც, რომ XV ს. შუა ხანებისათვის ივრის სიონში კვლავ იგრძნობოდა საკმაოდ მხნე მაჯისცემა (გავიხსენოთ თუნდაც კონსტანტინე

---

[13] ნ. უგრელიძე, ნატბეურის მინის საწარმო, მსკა, III, თბ., 1963.

[14] საქართველოს ისტორია, გვ. 255.

II-ის მონეტების აღმოჩენა აკლდამასა და ზოგიერთ სხვა სამარხში), ისე რომ „ჟალეთის ქვეყანა“ კვლავ ფეხზე წამომდგარი ჩანს. ამას გარდა ყურადღებას იქცევს ისიც, რომ მიუხედევად პოლიტიკური და ეკონომიური „დაჩიხულობისა“. ერთიანი საქართველოდან განკერძოებულ კახეთში შემავალ ივრის ხეობაში კვლავ საერთო-ქართული ფული ტრიალებს.

XIV—XV სს. სამარხეულ ინვენტარს თუ შევადარებთ უფრო გვიანდელ, სულ ზედა ფენის კუთვნილ, უსახურ სამარხებში აღმოჩენილ მცირერიცხოვან ნივთებს, შევამჩნევთ, რომ მათ შორის დიდი განსხვავებაა. კერძოდ, გვიანფეოდალურ ხანაში თითქმის მთლიანად გამქრალია შუაფეოდალურისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭელი. ის თითო-ოროლა ნიმუშიც კი, რომლებიც სიონის სამაროვნის ყველაზე გვიანდელ ჯგუფს მიეკუთვნება მოყვანილობით და თიხით ძლიერ გამოირჩევა შუაფეოდალური ხანის კერამიკისაგან. მინის ნაწარმი კი (გარდა უსახური მძივებისა) სულ აღარ გვხვდება. აგრეთვე გამქრალია ბრინჯაოს სამაჯურები და ბეჭდები, რომელთა ნაწილმა, როგორც ვიცით XIV—XV სს. ჯერ კიდევ შემოინახა თავი, შეცვლილია მძივების მოყვანილობა და დამზადების ხელოვნება. ამრიგად, ნივთიერი კულტურის არაერთ დარგში XIV—XV სს. შემდეგ ძირეული ცვლილება მომხდარა.

თუ გავითვალისწინებთ სიონის სამაროვანზე მოპოვებული ნივთიერი მასალების თავისებურებას და შევუფარდებთ მათ სხვა განათხარს (მაგ. გრეჭში[15]), იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ შუაფეოდალურიდან გვიანფეოდალურ ხანაზე გადასვლას დასჭირებია საკმაოდ დიდი დრო (მთელი XIV და ნაწილობრივ XV საუკუნეც), რომელიც ხასიათდება, უპირველეს ყოვლისა, შუაფეოდალურ ხანასთან ორგანული კავშირით. ჩანს, შუაფეოდალურიდან გვიანფეოდალურზე გარდამავალი ხანის ნივთიერი კულტურა ქვეყნის საერთო დაქვეითების ფონზე ინერციით კვლავ განაგრძობდა არსებობას, ვიდრე საქართველოს საბოლოო დაშლა-დაუძლურებამ და სათავადოთა სისტემის შემოღებამ მთლიანად არ მოშალა ის ეკონომიური საფუძველი, რომელსაც ემყარებოდა შუაფეოდალურ ხანაში წარმოქმნილი ნივთიერი კულტურა.

ამგვარად, სიონის სამარხეული კომპლექსების ანალიზის შედეგად ფეოდალური ხანის ამ ერთ-ერთ ტიპიურ და საკმაოდ შინაარსიან სამაროვანზე შეგვიძლია გამოვყოთ ხუთი ქრონოლოგიური საფეხური:

1) ადრეფეოდალური ხანა (V—VIII სს. და ნაწილობრივ IX საუკუნეც).

2) ადრეფეოდალურიდან შუაფეოდალურისაკენ გარდამავალი ხანა (IX—X სს.),

3) შუაფეოდალური ხანა (XI—XIII სს.),

4) შუაფეოდალურიდან გვიანფეოდალურისაკენ გარდამაველი ხანა[16] XIV—XV სს.),

5) გვიანფეოდალური ხანა (XVI—XVIII სს.).

ასეთი, გარკვეული სიახლის შემცველი დანაწევრება შესაძლებელია გამოგვადგეს არა მარტო ივრის სიონის არქეოლოგიური კომპლექსისათვის, არამედ უფრო ფართო მასშტაბითაც — მით უმეტეს, რომ ჩვენი თვალსაზრისის მხარდამჭერი არაერთი საბუთი მოიძებნება სხვა ძეგლებზე მოპოვებულ მასალებშიც (მაგ. კუხეთის რუსთავი და განსაკუთრებით—მატანი).

---

15 ლ. ჭილაშვილი, გრემის არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, ხელნაწერი, 1967.

16 შესაძლებელია XV ს. ბოლო, უკვე გვიანფეოდალურ ხანაში იქნეს გაერთიანებული.

* * *

ზემოთ გაკვრით ზოგი რამ ვთქვით მთისა და ბარის ურთიერთობის შესახებ და აღვნიშნეთ, თუ რა როლის შესრულება შეეძლო მთას კახეთის ბარის მიმართ.

სიონის განათხარმა ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებო მასალები შეგვძინა და თან საშუალება მოგვცა გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა არა მარტო ჩვენსავე მთიანეთთან, არამედ აგრეთვე ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობის შესახებ.

საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობა ყოველ ხანაში შესაფერისი თავისებურებით ხასიათდებოდა[17] და ამ ურთიერთობის მოწესრიგებასა და სიმყარეს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნის საერთო განვითარებისათვის. წინარექრისტიანულთან შედარებით, ადრეფეოდალურ ხანაში ბარის ეკონომიური და აქედან გამომდინარე პოლიტიკური ზეგავლენა მთაზე საგრძნობლად მატულობს. ქართლის სამეფო კარი ქრისტიანობის მიღებისთანავე, მთის მიმართ ანხორციელებს საკმაოდ მკაცრსა და ენერგიულ ზომებს რათა „პირუტყვ სახეთა მათ კაცთა ჭართალელთა, ფხოელთა წილკანელთა და გუდამაყრელთა“[18] და აგრეთვე „ერწო-თიანელთა“, მიეღოთ ახალი სარწმუნოება, რომ ამით განემტკიცებინათ ბატონობა ამ დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის მქონე კუთხეებზე. მაგრამ ეს მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც, მირიან მეფის ბრძანებით, „ერისთავმან ქართლისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა“[19]. იმის გამო, რომ „არა ნათელ დღეს მთიულთა კავკასიანთა, არცა მოვიდეს მოფენასა მას ნათლისასა, არამედ დაადგრეს ბნელსა შინა ჟამსა ოდენმე“[20]. საბოლოოდ, როგორც ცნობილია, „ერმრავალმა“ და უკეთ ორგანიზებულმა ბარმა დასძლია მთის წინააღმდეგობა და „ძლევით შემუსრნა კერპნი მათნი“[21].

საყურადღებოა, რომ მთისა და ბარის ამ ჭიდილში ერწო-თიანელებმა მირიან მეფის დროსვე ირწმუნეს ახალი რ[illegible], მაშინ როდესაც თვით ერწო-თიანეთის ქვეყნის ანუ ისტორიული კ[illegible]ეთის მომიჯნავე მთიელებმა და კერძოდ ფხოველებმა „დაუტევეს ქვეყანაა მათი და გარდავიდეს თუშეთს და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლისღება“[22].

ქართლის სამეფო კარის (შესაბამისად ბარის) ეს მიძალება მთის მიმართ არც შემდგომ შენელებულა და იმავე წყაროს ჩვენებით, აღნიშნული პროცესი არა თუ VI ს-ში (როდესაც მთიულთაგან „რომელნიმე უკანასკნელ მოაქ-

---

[17] ნ. ბერძენიშვილის სიტყვით „მეურნეობის განვითარების გარკვეულ პირობებში მთა ბატონობს ბარზე, ხოლო იცვლება ეს პირობები და პირუკუ მოვლენას აქვს ადგილი. ამაყი მთის შვილები მორჩილებით ქედს უხრიან განვითარებული მეურნეობის ნიადაგზე ორგანიზებულ ბარს (ნ. ბერძენიშვილი, ექსპედიცია ივრის ხეობაში, 1935 წ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, გვ. 1964, გვ. 182—183).

[18] ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბ., 1942, გვ. 80. შდრ. ქ. ც-ა, გვ. 125.

[19] იქვე.

[20] იქვე, გვ. 73.

[21] იქვე, გვ. 80.

[22] იქვე.

ცივნა აბიბოს ნეკრესელმან[23]), არამედ XI საუკუნეშიც კი ჯერ არ ყოფილა დასრულებული[24].

მაგრამ მთისა და ბარის პოლიტიკურ-სოციალური ურთიერთობის ქვაკუთხედს მაინც ეკონომიური ფაქტორი წარმოადგენდა. საქმე ისაა, რომ კახეთის ბარი და მისი მიმდებარე კავკასიონის მთიანეთი, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, წარმოადგენდა ერთ მთლიან ეკონომიურ წარმონაქმნს, რომელიც ინტენსიურად მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითარდებოდა თუ მთისა და ბარის ურთიერთობა ეპოქის შესაბამისად იყო მოწესრიგებული. როგორც ცნობილია, ფეოდალურ ხანაში მესაქონლეობით დაწინაურებულ მთასთან ბარს უაღრესად მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდა. ამასთანავე მთა წარმოადგენდა საზაფხულო საძოვართა მთავარ კერას, ურომლისოდაც თითქმის ვერ გაიშლებოდა ბარის მესაქონლეობა და მეტადრე კი მეცხვარეობა. მთისათვის თავის მხრივ ბარის ქალაქები და სოფლები წარმოადგენდნენ მესაქონლეობის და შინამრეწველობის ჭარბი ნაწარმის მთავარ გამსაღებელს. გარდა ამისა ისინი ბარშივე ივსებდნენ სარჩოს იმ დანაკლისს, რომელსაც იქაური მეურნეობის ცალმხრივობის გამო ყოველთვის განიცდიდა მთა[25]. ასევე ძლიერ იყო დაინტერესებული მთა ბარის საზამთრო საძოვრებით.

ამჯერად მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხებიდან ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მთიელთა ბარისაკენ მოძრაობის საკითხი. ეს მოვლენა, ე. ი. მთიდან ბარში ჭარბი მოსახლეობის დროდადრო ჩამოსვლა არა მარტო წერილობით წყაროებში ტოპონიმიკურ ფაქტებსა და ეთნოგრაფიულ ყოფაშიც არის ასახული[26], არამედ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არქეოლოგიურადაც კარგად საბუთდება.

კერძოდ ამ თვალსაზრისით საკმაოდ საყურადღებო გამოდგა სიონის სამარხებიდან მომდინარე თავის ქალები და მათი კრანიოლოგიური შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნები[27].

სიონის კრანიოლოგიურ მასალებში, ცალკეულ ქრონოლოგიურ ფენათა შესაბამისად გამოყოფილია თავის ქალათა სამი სერია:[28]

---

[23] ქართლის ცხოვრება, ი ქ ვ ე.

[24] „რომელიმე მათგანი დარჩეს წარმართობასვე შინა დღეს აქამომდეო“ გვამცნობს ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი.

[25] ნ. ბერძენიშვილის შენიშვნით, ვახუშტის კარგად ესმოდა მთის მოსახლეობაზე და კერძოდ ფშავზე თიანეთის მფლობელთა პოლიტიკური ბატონობის საფუძველი (იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ექსპედიცია ივრის ხეობაში, გვ. 182).

ვახუშტის სიტყვით, ფშავნი „სიმწარისათვის მონებენ ვისცა უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ“. (ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 92).

[26] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 182—183; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თავი I; გ. ჩ ი ტ ა ი ა, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, XI; ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ივრის ფშაველები, იქვე, და სხვა.

[27] М. Г. А б д у ш е л и ш в и л и, К краниологии древнего и современного населения Кавказа, Тб., 1966; Э. Д ж а в а х и ш в и л и, Сионская краниологическая серия, тамже.

[28] თავის ქალათა ცალკეული ჯგუფების ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრისას ე.ჯავახიშვილის ნაშრომში შეიმჩნევა ზოგიერთი უზუსტობა, კერძოდ, თავის ქალათა პირველი ქრონოლოგიური ჯგუფი მის ნაშრომში VI--X საუკუნებითაა დათარიღებული. აღნიშნული საუკუნეები ჩვენთან პირველი ჯგუფის თავის ქალათა თარიღს კი არ წარმოადგენს, არამედ ზოგადად ადრეფეოდალური ხანის ძეგლებისას. ამ ჯგუფში კი ყველაზე ადრეული თავის ქალები განეკუთვნება IX—X საუკუნეებს. რაც შეეხება მცირე შეუსაბამობას დანარჩენ ჯგუფთა დათარიღებაში (ჩვენთან შედარებით), ამას კრა-

1) ადრეფეოდალური ხანის დასასრულისა ან უფრო სწორად, ადრეფეოდალურიდან შუაფეოდალურზე გარდამავალი ხანისა (IX—X სს.),

2) შუაფეოდალური ხანისა (XI—XIV სს.),

3) გვიანფეოდალური ხანისა (XVI — XVIII სს.).

ამ ჯგუფთა ზოგადი, მორფოლოგიური დახასიათებებიდანაც კი კარგად ჩანს მათი ადგილი კავკასიის პალეოანთროპოლოგიურ ტიპებს შორის, მაგრამ ე. ჯავახიშვილი მასალის უფრო სრულყოფილი ანალიზისათვის იყენებს ე. წ. „საშუალო პროცენტულ განსხვავებათა მეთოდს“ და კავკასიონის მთიანეთიდან მომდინარე, სხვადასხვა ასაკისა და ეთნიკური წარმოშობის მასალების 20 შესადარებელი (ძველი და ახალი) სერიის მოშველიებით, ახერხებს სიონის ყოველ ცალკეულ სერიას გამოუძებნოს მასთან ყველაზე უფრო ახლო მდგომი შესატყვისი[29]. ეს ჯავახიშვილის დასკვნით სიონის პირველი სერიისათვის (IX—X სს.) ყველაზე უფრო მახლობელია შატილის (პროცენტული სხვაობა — 11,2), დუშეთის (13,5), სიონის მეორე (14,2), სიონის მესამე (15,8) და ინგუშეთის (17,1) სერიები[30].

IX—X სს. დათარიღებული თავის ქალების განსაკუთრებული სიახლოვე ხევსურეთისა და მისი მიმდგომი მთიანი მხარეების სერიებთან[31] უაღრესად საყურადღებოა. საქმე ის არის, რომ არაბთა შემოსევებისა და განსაკუთრებით მურვან ყრუს მძვინვარე ლაშქრობის შემდეგ სრულიად ბუნებრივი იქნებოდა ქართლ-კახეთის ბარის და ამ შემთხვევაში კი ისტორიული კახეთის (ერწო-თიანეთის) შეთხელებული მოსახლეობის შევსება IX—X სს. სწორედ მთის ხარჯზე მომხდარიყო[32].

ამ შემთხვევაში კრანიოლოგიური მასალები კარგად შეესატყვისებიან ისტორიულ სინამდვილეს და ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენებენ ფშავ-ხევსურეთიდან და მისი მახლობელი მხარეებიდან ივრის ხეობაში მთიელთა ჩამოსახლების ფაქტს.

ამ მოძრაობაში (ივრის ხეობის ბარისაკენ) შუამავალი რგოლი უნდა ყოფილიყო თიანეთს ზემოთ მდებარე არტნის ხევი, რაც ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მასალებითაც დასტურდება[33].

---

ნიმეტრული ანალიზისათვის არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. ჩვენი ინფორმაცია (რომლითაც ე. ჯავახიშვილი სარგებლობდა) ცალკეული ქრონოლოგიური ჯგუფების შესახებ, ეტყობა მთლად ნათლად არ იყო ჩამოყალიბებული, თორემ ზემოთ აღნიშნული შეცდომა თავიდან იქნებოდა აცილებული.

[29] Э. Джавахишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

[30] იქვე.

[31] ამ მხრივ საყურადღებოა სიონის თავის ქალათა I სერიის ძალზე მჭიდრო კავშირი დუშეთის სერიასთან, რაც ეგებ წანარების არაგვის ხეობიდან ისტორიული კახეთისაკენ გადაადგილების ერთერთ საბუთად იქნეს მიჩნეული, არაბობის ბოლო საუკუნეებში.

[32] საყურადღებოა, რომ არა მარტო არაბები, არამედ ხაზარებიც დიდ ზიანს აყენებდნენ საქართველოს. სომეხი ისტორიკოსის ღევონდის ცნობით, მეორე აბასიანი ხალიფა მანსურის დროს (754—775) ხაზარებმა დალაშქრეს ავღანეთი და ქართლი. ქართლის სამთავროში მათ თბილისთან ერთად 764 წ. მოუოხრებიათ შვიდი მხარე: შუქჩი, ქვეშკაფორი, ჩელეთი, წუქეთი, ველისციხე, თიანეთი, და ხერკი. (ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II, გვ. 377). მოტანილ ცნობაში ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჩელეთის (ალბათ „ჟალეთის“) და თიანეთის, როგორც ხაზართა მძიმე ლაშქრობის ობიექტის მოხსენიება. ასეთი რამ, ბუნებრივია კიდევ უფრო შემცირებდა არაბთაგან ისედაც მუსრგავლებულ მოსახლეობას.

[33] გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომები.

სიონის დანარჩენი ორი კრანიოლოგიური სერიაც საშუალო პროცენტული სხვაობით ისევე ძლიერ უახლოვდება კავკასიონის მთიანეთიდან მომდინარე ძველ და ახალ სერიებს, როგორც პირველი, ამასთანავე სრულიად აშკარაა, რომ სიონის ცალკეულ სერიებს შორისაც არსებობს უმჭიდროესი კავშირი[34].

საერთოდ კი კრანიოლოგიური ანალიზის წყალობით სრულიად ეჭვმიუტანელი ჩანს, რომ სიონის თავის ქალათა სამივე სერია მიეკუთვნება ხმელთაშუა რასის კავკასიონურ ტიპს[35].

მეტად საყურადღებო ფაქტია: ისტორიული კახეთის (ერწო-თიანეთის) ძველი მოსახლეობა ანთროპოლოგიურად ექცევა ე. წ. კავკასიონის ტიპში. ეს გარემოება გარდა იმისა, რომ უკვე ადრეფეოდალური ხანის გასულისათვის სპეციალისტებს აგულისხმებინებს აღნიშნული ანთროპოლოგიური ტიპის არსებობას[36], ქმნის საფუძველს იმის დასაშვებად, რომ ან ისტორიული კახები ეთნიკურად იმთავითვე მთის მოსახლეობასთან (ფშავ-ხევსურებთან, წანარებთან) მდგარან ახლოს, ან არა და ასეთი მსგავსება წარმოქმნილა მთის მოსახლეობის ინტენსიური „ჩამოწოლის“ და ძველ კახებთან თანდათანობით შერწყმის შედეგად.

***

რა თქმა უნდა, მთასთან უძველესი დროიდანვე ასეთი მჭიდრო ეთნიკური კავშირი გულისხმობდა ინტენსიურ ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას და, შესაბამისად, სათანადო გზების არსებობასაც. კახეთის ქართული მთიანეთი, როგორც პირაქეთი, ისე პირიქითი, — თავის მხრივ წარმოადგენდა იმ შუალედ რგოლს, რომლითაც ხორციელდებოდა საქართველოსა, ამ შემთხვევაში ისტორიული კახეთის, პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის სხვა ხალხებთანაც. ბართან უმჭიდროესად დაკავშირებული თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და აგრეთვე თიანეთზე გამავალი ჯინვალის გზები, ჩანს, მთელი ფეოდალური ხანის მანძილზე ეკუთვნოდნენ იმ მუდმივ მოქმედ არტერიებს, რომელთა მეშვეობითაც საქართველოს დაწინაურებული კულტურა გზას იკაფავდა ჩრდილო კავკასიისაკენ. რა თქმა უნდა, ყოველგვარი ურთიერთობა, პოლიტიკურ-ეკონომიური იქნება თუ კულტურული, მუდამ ორმხრივია, მაგრამ ამ შემთხვევაში საქართველო, როგორც პოლიტიკური ჰეგემონი (განსაკუთრებით შუასაუკუნეებში) და ფეოდალური იდეოლოგიის ქმედითი პროპაგანდისტი, მეტ აქტივობას იჩენდა ჩრდილო კავკასიის მიმართ რაც თავისთავად უნდა ასახულიყო იქითკენ ერთგვარ ეკონომიურ მიძალებაშიც. გარდა ამისა, ისტორიული კახეთის „წილი“ მთიანეთისა და საერთოდ მთელი ჩრდილო კავკასიის მეშვეობით საქართველო უკავშირდებოდა უფრო შორეულ ქვეყნებსაც (რუსეთი და ჩრდ. კავკასიის ველები).

ჩვენი დაწინაურებული სახელოსნო ცენტრებისათვის კი ჩრდილოეთით მდებარე მახლობელი თუ შორეული ქვეყნები წარმოადგენდნენ მზა ნაწარმის მეტად ხელსაყრელ გამსაღებლებს.

---

[34] Э. Джавахишвили, დასახ. ნაშრ., 95—97.

[35] იქვე, გვ. 99.

[36] იქვე, გვ. 107.

ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც ფეოდალური საქართველოს მინის სახელოსნოებიდან მომდინარე მზა ნაწარმის ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთის ქალაქებში გავრცელების უტყუარი ფაქტები.

აღნიშნული გარემოების ნივთიერ დასაბუთებაში გარკვეული წვლილი შეაქვს სიონის მონაპოვარსაც. ზემოთ გზა და გზა სამარხეული მასალების ცალკეულ სახეობათა განხილვისას ასეთი კავშირ-ურთიერთობების ვარაუდი გამოთქმული გვქონდა. ვფიქრობთ იქ საკმაოდ დამაჯერებლად ჩანდა, რომ შუასაუკუნეებისათვის მაინც საქართველოს, ჩრდილო კავკასიასთან მჭიდრო ეკონომიურ-კულტურული კავშირი ჰქონდა დამყარებული. ამ ურთიერთობაში გარკვეული წვლილი ივრის ხეობას და საერთოდ ისტორიულ კახეთსაც უნდა ჰქონდეს შეტანილი[37].

კახეთი, პანკისის ხეობითა და თუშეთისა და პირიქითი ალაზნებით (ანდისყოისუს შენაკადებით), ილტო-ივრისა და არღუნის სათავეებით, ასისა და ფშავის არაგვის ხეობებით ხომ ძალზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჩრდილო კავკასიასთან.

საკუთრივ ერწო-თიანეთის „ქვეყნის“ ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობისათვის კი დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა არტანის ხევზე შებმულ გზას და აგრეთვე იმ უძველეს მაგისტრალს, რომელიც დიდად უწყობდა ხელს თიანეთ-ჟინვალის ხაზით ჩრდილო კავკასიასთან ურთიერთობას (ფშავ-ხევსურეთზე და თერგზე გავლით).

***

ივრის სიონის განათხარი მასალების შესწავლა კიდევ არაერთი დაკვირვებისა და დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, მაგრამ ამჯერად შეუძლებელია ყველა მათგანზე საგანგებო ყურადღების გამახვილება, წიგნის შეზღუდული მოცულობის გამო. (ასეთი საკითხებია მაგ. ხელოსნობის ზოგიერთი დარგი, შიდა გზები, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ურთიერთობა და სხვ.).

IV თავის დასასრულს გვინდა შევეხოთ მხოლოდ შუაფეოდალურ ხანაში სიონის, როგორც ქალაქისა თუ ქალაქური სამოსახლოს საკითხს, მით უმეტეს, რომ არქეოლოგიური მასალები საამისოდ გარკვეულ საფუძველს გვიქმნის, რომ ჟალეთის „ქვეყანაში“ უძველესი დროიდანვე არსებულა ქალაქი, ეს ქართულ ისტორიულ წყაროთა ცნობებზე დაყრდნობით, ჩვენს თანამედროვე ისტორიოგრაფიაში საკმაოდ დამაჯერებლადაა დასაბუთებული[38]. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „ქართლის ცხოვრების“ სათანადო ადგილები[39] და სხვა ისტორიულ წყაროთა მოშველიებით შემაგრებული დებულება,

---

[37] საყურადღებოა მაგალითად სოფ. შენაქოში (მთა-თუშეთი) აღმოჩენილი მინის სამაჯურების ზემოხსენებული კოლექცია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სამაჯურები მთა-თუშეთში კახეთის რომელიღაც საწარმოო —ცენტრიდან არის ატანილი, ალბათ პანკისის გზით.

[38] ნ. ბერძენიშვილი, ექსპედიცია ივრის ხეობაში 1935 წ. საქართველოს ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1964. გვ. 180—181. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი, უჯარმა, თბ., 1966, გვ. 24—26. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბ., 1966, გვ. 80—82.

[39] ლეონტი მროველთან, ამასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „...ხოლო კახოს მისცა კავკასიასა და კახეთისა მთას შორის არაგვიდგან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა-

რომ კახეთის უძველეს პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა ბერ-ი ანუ უფრო გვიანდელი ჩელეთი[40], რომელიც ვახუშტი[41] მიერ ჟალეთთანაა გაიგივებული[42]. ანტიკური ხანის ბერ-ჩელეთი ანუ მერმინდელი ჟალეთი, ყველა ნიშნის, მიხედვით, ციხე-ქალაქი უნდა ყოფილიყო[42] და (კახეთის) დედა-ციხის ანუ ბოჭორ-

---

და მან კახოს (ი) აღაშენა ჩელეთი... რომელსა ბერ ერქუა პირველ შენებულსა (ანასეული ქართლის ცხოვრება, თბ., 1942, გვ. 5).

[40] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დას. ნაშრ., გვ. 24—26.

[41] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 91.

[42] ამასთან დაკავშირებით იხ. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. და თანდართული რუკა.

საყურადღებოა, რომ ქართულ ისტორიულ წყაროთა ჩვენებით, ჩელეთი ანუ მერმინდელი ჟალეთი შეიძლება ცალკე პუნქტადაც ვიგულისხმოთ და მთელ მხარედაც. ასე მაგ., „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, წობენის მოქცევის შემდეგ წმ. ნინო „გარდამოვიდეს მუნით და დადგეს ჟალეთს, და უქადაგეს ერწო-თიანელთა“ (ანასეული ქ-ც-ბა, გვ. 80) „მოქცევა ქართლისა-ში“ კი იგივე მოვლენის შესახებ ვკითხულობთ: წმინდა ნინო “ გარდავიდა ერწუად და დადგა ჟალეთს, დაბასა ეგვმს“ (სამი ისტორიული ქრონიკა, ე. თაყაიშვილის გამოც., თბ., 1890, გვ. 19).

ამ ცნობით ჟალეთი ერთი პუნქტი კი არა, მთელი მხარეა (დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 27). ვახუშტის გაგებითაც, ჟალეთი ცალკე სამოსახლოც არის (იხ. მ ი ს ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 91) და მთელი „ქვეყანაც“ (იქვე, გვ. 87). მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად „ჩელეთ-ჟალეთი“ ცალკე სამოსახლოს სახელი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ მისი მომდებარე ქვეყნის კუთვნილებაც უნდა გამხდარიყო. ამ მოსაზრეობის დასასაბუთებლად, გარდა ზოგიერთი ქართული წყაროსა (მაგ. ქართლის ცხოვრების ცნობა) შეგვიძლია უცხოელ ავტორთა ცნობებიც მოვიშველიოთ. კერძოდ, ვგულისხმობთ კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიის სახელმძღვანელოს“ (იხ. ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო, ცნობები საქართველოს შესახებ, მსკი, გვ. 32, თბ., 1955, გვ. 46). პტოლემაიოსის ამ ნაშრომში იბერიის ქალაქთა და სოფელთა ჩამოთვლისას მოხსენებული ძ ა ლ ი ს ა ჩვენ გაიგივებული გვაქვს ქართული წყაროების ჩ ე ლ ე თ - ჟ ა ლ ე თ თ ა ნ (წინააღმდეგ იმათი აზრისა, ვისაც იგი მუხრანთან მდებარე სოფ. ძალისი ჰგონია) და ამდენად, მისი სახით გვეგულება ერთ-ერთი უძველესი მოწმობა ჩელეთ-ჟალეთის როგორც ცალკე სამოსახლოს მოხსენიებისა. თუ პტოლემაიოსის ძალისას გაიგივება ჩელეთ-ჟალეთთან სწორია (ამ საკითხზე სხვაგან უფრო ვრცლად გვექნება საუბარი), მაშინ აღნიშნული ცნობა უადრესად ძვირფასია, რადგან „გეოგრაფიული სახელმძღვანელოს“ ავტორი არა მარტო ახ. წ. ა. II საუკუნის ცნობებით სარგებლობს, არამედ გაცილებით უფრო ძველი წყაროებითაც და ამდენად „ძალისას“. (იგივე ჩელეთ-ჟალეთის) როგორც ცალკე სამოსახლოს არსებობა შესაძლოა ეფერებოდეს ეფერებოდეს.

საყურადღებოა, რომ ს. ერემიანი, რომელიც ეხება პევტინგერის ტაბულის მიხედვით ე. წ. „შემოვლითი გზის“ მარშრუტის დადგენის საკითხს, აგრეთვე ცდილობს განსაზღვროს ძალისას ადგილმდებარეობაც. ამ შემთხვევაში ჩვენ ის კი არ გვაინტერესებს, რამდენად სწორია ძალისას ერემიანისეული ლოკალიზაცია (იგი „ძალისას“ აიგივებს თბილისთან, რაც მართებულად არის უარყოფილი ნ. ლომოურის მიერ, ზემოხსენებულ ნაშრომში,), არამედ ის, რომ პევტინგერის ტაბულაზე „თელედას“ (იგივე თელავ) შემდეგ მოხსენებული „ლეზეტა“ მას აღდგენილი აქვს, როგორც, „ზელეტა“ და პტოლემაიოსისეულ ძალისასთან აიგივებს) (С. П. Е р е м я н, Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов, В-ДИ, 1939, № 1, стр. 87). ჩვენ კი ერემიანის მიერ აღდგენილი „ზელეტა“ ძლიერ გვაგონებს ქართულ ჩელეთს.

პევტინგერის ტაბულის ე. წ. შემოვლითი გზის ანალიზმა და არქეოლოგიურ მასალებთან მისმა შეჯერებამ უკვე საკმაოდ მყარი საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ ეს უძველესი სავაჭრო მაგისტრალი საკმაოდ ზუსტად იქნეს აღდგენილი, თითქმის მთელ სიგრძეზე. კერძოდ ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ითამაშა ნუმიზმატიკური მასალის ანალიზმა(დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, გვ. 51—54) და უახლესმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ერწოს ველზე (რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ივრის ხეობის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა შინაარსი, თბ., 1968, ამათ მიხედვით ნათლად ჩანს, რომ შემოვლითი გზის ძირითადი ტრასა ისტორიული ჰერეთის გავლით გადიოდა მთელს ალაზნის ველზე და თელავ-კვეტერა-ჟალეთ-ერწოს ხაზით პირდაპირ ახატან-საგურამო-მცხეთაში ჩადიოდა.

ის შემდეგ ერთი ყველაზე უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი სამოსახლო მთელს ივრის ხეობაში.

ბერ-ჩელეთს ანუ ჟალეთს პოლიტიკური მესვეურის როლი, როგორც ითქვა კიდევაც, უნდა შეენარჩუნებინა ახ. წ. ა. III — IV სს. მიჯნამდე. ვიდრე ასფაგურ ფარნავაზიანმა არ ააშენა ჭ. უჯარმა[43], ხოლო მირიან მეფემ კი IV ს. დამდეგს არ აქცია საუფლისწულო კახეთ-კუხეთის პოლიტიკურ ცენტრად[44], მაგრამ, როგორც შევეცადეთ გვეჩვენებინა, ჩელეთ-ჟელეთს ანუ ანტიკურ ძალისას არც უჯარმის დაწინაურების შემდგომ დაუკარგავს მთლად მნიშვნელობა და ადრეფეოდალური ხანისათვის საკუთრივ ერწო-თიანეთის ანუ ისტორიული კახეთის პოლიტიკური და რელიგიური მესვეურის როლი მაინც შეენარჩუნებია. ჩვენთვის ამჟამად ძნელია დაბეჯითებით თქმა ადრეფეოდალური ხანის პირველ ნახევარში „ჟელეთის ქვეყანაში“ მდებარე ეს პოლიტიკური ცენტრი იწოდებოდა თუ არა ქალაქად, მაგრამ ამ მხარეში მოქმედი სავაჭრო-სატრანზიტო გზის მიხედვით (ივრის ხეობის საერთო ეკონომიური აღმავლობის ფონზე) ის კი საფიქრებელია, რომ გვიანსასანურ ხანაში ჟალეთის მხარე გარკვეულ აღმავლობას განიცდიდა. თითქოს აშკარაა, რომ იმ დროს ჟალეთის ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი მდებარეობდა თანამედროვე სიონის ადგილას, რაც არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, ვფიქრობთ, სავსებით დამაჯერებლად გაარკვია. თავის მხრივ ადრეფეოდალური ხანის ეს სამოსახლო აღმოცენებული უნდა ყოფილიყო იმ ძველი, თითქოს ქალაქის ნაფუძვარზე, რომელსაც ისტორიული წყაროების მიხედვით ბერ-ჩელეთი ანუ ჟალეთი ეწოდებოდა. არქეოლოგიური კვლევისას საშუალება არ მოგვეცა მიგვეკვლია ადრეფეოდალურზე უფრო ძველი ძეგლებისათვის (1962 წლისათვის დაბა „სიონმშენში“ ამის მიღწევა უკვე შეუძლებელიც ყო), მაგრამ ვფიქრობთ, რომ მათი ძებნა თავის დროზე საჭირო იყო სიონის მიდამოებში.

არაბთა ბატონობის ხანაში, ჟალეთის მხარესაც, ისევე როგორც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს საგრძნობი დაქვეითება განუცდია. არაბთა გაუთავებელმა დამსჯელმა ექსპედიციებმა და წანარების ანუ კახელების მედგარმა წინააღმდეგობამ, რაც ამ ქვეყნის ხშირ აოხრებას იწვევდა, ჩანს, თავისი უარყოფითი კვალი დააჩნია კახეთს. ამასთანავე სავაჭრო-სატრანზიტო გზების მოშლამ და აღებ-მიცემობის შეფერხებამ დიდად დააზარალა კახეთი, მოიშალა

---

პტოლემაიოსის „ძალისა“ სწორედ ამ შემოვლითი გზის ერთ-ერთი (მცხეთასთან ყველაზე უფრო ახლო მყოფი) პუნქტია და ვფიქრობთ ყველაზე უფრო შეესატყვისება ჩელეთ-ჟალეთს — მით უმეტეს, რომ ტოპონიმები „ჟალეთი“ და ბერძნული „ძალისა“, საკმაოდ ხელშესახებ ფონეტიკურ სიახლოვეს ამჟღავნებენ.

ამასთანავე ჩვენთვის უაღრესად საყურადღებოა, რომ პტოლემაიოსის იმავე კონტექსტში, ზალისას გვერდით მოხსენებული პუნქტი არტანისსა ლ. ჭილაშვილს სამხრეთ საქართველოში მდებარე არტანუჯთან ან არტაანთან კი არ აქვს გაიგივებული, როგორც აქამდე იყო მიღებული ლიტერატურაში, არამედ ივრის ზემო ნაწილში არტანის ხევზე მდებარე არტაანთან, სადაც არქეოლოგიური დაზვერვით საკმაოდ მოზრდილი ნამოსახლარის არქაული ფენები იქნა მიკვლეული (ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, სადოქტ. დისერტაცია, ხელნაწერდი, გვ. 80 — 82). ლ. ჭილაშვილი არტაან-არტანისას ადგილას, სავსებით მართებულად გულისხმობს ივრის ხეობის ერთ-ერთ უძველეს ქალაქს, რომელიც ისტორიული კახეთის ჩრდილო კარი უნდა ყოფილიყო და რომელიც, ჩვენი აზრით, ზემოთ ხსენებული საქარავნო გზის მეორე, ჩრდილოეთისაკენ მიმავალ შტოზე უნდა აღმოცენებულიყო.

[43] ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 36.

[44] დ. მუსხელიშვილი, დას. ნაშრ., გვ. 58—59. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „და მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას“ (ანასეული, გვ. 44).

და დაქვეითების გზაზე დადგა უჯარმაც. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში არც ჟალეთს დაეყრებოდა ხეირი.

ერთგვარი გამოცოცხლება (უკვე ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით) ჟალეთის ქვეყანაში იგრძნობოდა ადრეფეოდალური ხანის ბოლოს, ხოლო თუ სიონის სამაროვანზე მოპოვებული მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, შუაფეოდალური ხანის დასაწყისიდანვე თანამედროვე სიონის ადგილას საკმაოდ დიდი სამოსახლოა საგულვებელი. ასეთი აღმავლობისათვის საკმაოდ ხელსაყრელი ვითარება უნდა შექმნილიყო ჯერ კიდევ განკერძოებული კახეთის სამეფოს წიაღში, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველო ერთიან ფეოდალურ მონარქიად იქცა, საქართველოს სამეურნეო დაწინაურებისა და მასში საქალაქო ცხოვრების განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. ასეთ ვითარებაში რომ შიდა ქართლიდან კახეთისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ჟალეთის ქვეყანაშიც, ძველი ტრადიციისამებრ კვლავ აღორძინებულიყო ქალაქური სამოსახლო, ეს სრულიადაც არაა გამორიცხული. მართალია, საამისო პირდაპირი ცნობა ისტორიულ წყაროებში არსადა ჩანს, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც ზემოთაც იყო ნაჩვენები, არქეოლოგიური განათხარი ასეთი მტკიცებისათვის საკმაოდ მყარ ნიადაგს გვიქმნის. არქეოლოგიური ძეგლებიდან ივრის სიონში ქალაქური სამოსახლოსა თუ ქალაქის არსებობას უპირველეს ყოვლისა უნდა ასაბუთებდეს სამაროვნის მოცულობა, სამარხთა მრავალსართულიანობა და მეტისმეტი სიმჭიდროვე და, რაც მთავარია, სამარხეული ინვენტარის შედგენილობა და ზოგიერთი თავისებურება. ვგულისხმობთ კერძოდ სამარხეულ კომპლექსებში ქალაქური ყოფისათვის დამახასიათებელი ისეთი (იქნებ სულაც ადგილობრივი) ნივთების აღმოჩენას, როგორიცაა საკმაოდ მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი მინის ჭურჭელი და ნატიფი თიხის ჭურჭლის ერთი ჯგუფი, რომელსაც ფერმკრთალი, ზედმიწევნით კარგად დამუშავებული კეცი და მხატვრული დამუშავება ახასიათებთ. სიონის სამარხები ინვენტარით თამამად შეგვიძლია მხარში ამოვუყენოთ ისეთი დიდი ქალაქების სამაროვნებს, როგორიც მაგ. კუხეთის რუსთავია. ამასთანავე საყურადღებოა, რომ სიონის სამაროვნის ცალკეულ უბნებზე სამარხეული ინვენტარის შედგენილობაში, საკმაოდ ნათლად ჩანს ის სოციალური სიჭრელე, რომელიც უფრო ნათლად, იმხანად, ქალაქური სამოსახლოს კუთვნილ სასაფლაოზე შეიძლებოდა ასახულიყო[45].

უაღრესად საყურადღებოა ისიც, რომ შუაფეოდალურ ხანაში აღორძინებული ჟალეთი მეტად სიცოცხლისუნარიანი და გამძლე სამოსახლო გამომდგარა და იქ ინტენსიური ცხოვრების კვალი არა თუ მონღოლობის პირველ ხანებში, არამედ თემურლენგის შემზარავ ლაშქრობათა შედეგადაც არ მოშლილა. ეს სამარხებისა და სამარხეული მასალებიდან სრულიად აშკარად ჩანს. ჟალეთის ასეთი სიცოცხლისუნარიანობა დავუკავშირეთ მის სიახლოვეს მთასთან, საიდანაც ხდებოდა შეთხელებული მოსახლეობის შევსება და იმ დიდი ეკონომიური შესაძლებლობებით, რაც ივრის ხეობას ახასიათებდა უძველესი დროიდან.

---

[45] შესაძლებელია, შუაფეოდალურ ხანაში ჟალეთის ქვეყანაში არსებული ქალაქისა თუ ქალაქური სამოსახლოს ანარეკლი იყოს ისიც, რომ დღეისათვის ერწოს ველის გამოსავალში, სიონიდან 2—3 კმ მანძილზე, არსებობს სოფ. „ნაქალაქარი".

XIV—XV სს. მონეტების შედარებითი სიხშირე კი იმის საბუთადაა მისაჩნევი, რომ ჟალეთი კვლავ ჩაბმული ყოფილა საერთო ქართულ ეკონომიურ ურთიერთობაში.

რა თქმა უნდა, გვიანფეოდალურისაკენ გარდამავალ ხანაში და მეტადრე გვიანფეოდალური ხანის დასაწყისში ჟალეთი იმის ნაათალიც აღარ იქნებოდა, რაც შუაფეოდალურ ხანაში, მაგრამ თუ იმდროინდელი სამარხების სიხშირისა და დაკრძალულთა რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, ივრის სიონში კვლავ საკმაო რაოდენობით უნდა მსხდარიყო მოსახლეობა.

მართალია საკუთრივ გვიანფეოდალური ხანის არქეოლოგიური მასალების მიმოხილვა ვეღარ მოგვიხერხდა ამ წიგნში, მაგრამ მონოგრაფიის დასასრულს მაინც უნდა აღინიშნოს, რომ განადგურების ყველაზე დიდი კვალი შეიმჩნევა სამაროვნის ზედა ფენაში. ნგრევა-განადგურების ეს კვალი და უზარმაზარი „ძმათა სასაფლაოს“ აღმოჩენის ფაქტი, სამარხეული მასალებისა (განსაკუთრებით მონეტის) და სტრატიგრაფიული მონაცემების მიხედვით, დავუკავშირეთ შაჰ აბასის მიერ კახეთის აოხრებას. ჩანს ამ საზარელი განადგურების შემდეგ ჟალეთი ისე დაზარალებულა, რომ იქ კარგა ხანს აღარა ჩანს ინტენსიური ცხოვრების კვალი.

## АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ИОРСКОГО УЩЕЛЬЯ

### СИОНИ


Резюме

Бассейн р. Иори, и особенно ущелье по верхнему течению, всегда привлекало внимание исследователей обилием исторических памятников. Среди этих памятников, особенное внимание привлекли развалины раннефеодальной базилики около сел. Сиони, где еще в 1951 г. проводились археологические разведки и работы Уджармской экспедиции (руководители: Н. А. Бердзенишвили, Г. А. Ломтатидзе, архитектор И. Н. Цицишвили).

В 1962 г. на территории сионской базилики строители водохранилища обнаружили и частично разрушили довольно обширный средневековый могильник, где впоследствии экспедицией Института истории им. Джавахишвили было вскрыто свыше ста коллективных погребений в каменных ящиках и склеп внушительных размеров.

Археологические исследования показали, что Сионский некрополь является сложным, многоярусным памятником, в погребениях которого сохранился весьма разнообразный инвентарь, характеризующий материальную культуру и быт обитателей средневекового поселения городского типа в середине Иорского ущелья, в пределах целого тысячелетия.

По выявленным памятникам, и особенно по погребальным комплексам, обряду захоронения и стратиграфическим данным среди сионских памятников можно выделить следующие хронологические группы:

1. Памятники раннефеодального периода (V—VIII вв. и частично IX в.).

2. Памятники переходного периода к зрелому средневековью (IX—X вв.).

3. Памятники зрелого средневековья (XI—XIII вв.).

4. Памятники переходного периода к позднему средневековью (XIV—XV вв.).

5. Памятники позднего средневековья (XVI—XVIII вв.).

Сионский склеп построен из хорошо тесанных каменных блоков «ширими» (травертин, известковый туф). Камера (3,7×3,45 м, высота 2,96 м) перекрыта арочным сводом и снабжена специальным входом-дромосом с лестницей. Дромос ориентирован на восток. Это уникальное сооружение, постройка которого относится к первому этапу раннего средневековья (VI в.) и в котором налицо черты, характеризующие склепы античной Эпохи. Он использовался неоднократно на протяжении многих веков.

На каменном полу склепа, вдоль южного и северного стен, из блоков травертина были построены два ложа, на каждом из которых лежало по одному или по два покойника.

Как редчайший памятник раннесредневековой погребальной архитектуры, склеп был разобран и перевезен в Тбилиси, где он вновь возведен на территории Музея быта и народной культуры.

Сионский храм и некрополь могут быть отнесены к крупному поселению городского типа на территории исторической «Жалетской земли», которое можно идентифицировать с Жалети грузинских летописей.

## შემოკლებათა განმარტება

ენიმკის მოამბე — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ორგანო.

მსკა — მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის.

მცხეთა I — ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, ე. ლომთათიძე, მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტომი I. არმაზისხევი არქეოლოგიური ძეგლები 1907—1964 წწ. განათხარის მიხედვით. თბილისი, 1955 წ.

საქართველოს ისტორია. — ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი. საქართველოს ისტორია, ტომი I. თბ., 1958.

სსმმ — აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. B — სერია.

ქ. ც-ა — ქართლის ცხოვრება. ტექსტი აღდგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედ- 1907—1964 წწ. განათხარის მიხედვით. თბილისი, 1955 წ.

ВДИ — Вестник Древней Истории.

ЗКОРГО — Записки Кавказского Отделения Имп. Русского Географического Общества.

ЗООИД — Записки Одесского общества истории и древностей.

ИАК — Известия Императорской Археологической Комиссии.

ИГАИМК — Известия Государственной Академии Истории Материальной Культуры.

ИИЯИМК — Известия Института Языка, Истории и Материальной Культуры им. акад. Н. Я. Марра.

ИКИАИ — Известия Кавказского Историко-Археологического Института в Тифлисе.

КСИИМК — Краткие сообщения в закладах и полевых исследованиях Института Истории Материальной Культуры АН СССР.

КСИА — Краткие сообщения Института Археологии АН СССР.

МИА — Материалы и исследования по археологии СССР Института Археологии АН. СССР.

ОАК — Отчеты Имп. Археологической Комиссии.

СА — Советская Археология. Орган Института Археологии АН СССР.

СМОМПК — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.

ТКАЭ — Труды Кахетской Археологической Экспедиции.

ХВ — Христианский Восток.

## ტაბულების აღწერილობა

I. სიონის განათხარის საერთო გეგმა.

II. 1. სამაროვნის საერთო ხედი გათხრამდე. ჩანს ბაზილიკის აღმოსავლეთი ფასადი და აკლდამის ზემოდან მდებარე გვიანდელი ნაგებობის ნაშთი.
2. სიონის ბაზილიკა, ხედი დასავლეთიდან.
3. სამარხები მშენებელთა მიერ ნათხარი მიწის ჭრილში.

III. 1. აკლდამის შესასვლელი, ამოქოლილი შირიმის ქვით.
2. სამაროვნის ხედი აღმოსავლეთიდან. მარჯვნივ, სანახევროდ გაშიშვლებული აკლდამა.

IV. 1. აკლდამის ტალანის თაღი.
2. აკლდამაში ჩასასვლელი საფეხურები.

V. 1. აკლდამა მარჯვენა (ჩრდილოეთი). ტახტი პრეპარაციამდე.
2. აკლდამა მარცხენა (სამხრეთი). ტახტი პრეპარაციამდე.

VI. 1. აკლდამის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. ჩანს ამოვსებული საძვალე.
2. თიხის ჯამი აკლდამის იატაკზე.

VII. 1. 2. აკლდამის შიდა ხედი გამოსუფთავების შემდეგ.

VIII. 1. აკლდამა, საკნის თაღის დასავლეთი ნაწილი. ჩანს „განძის მაძიებელთა“ მიერ ამომტვრეული ხვრელები.
2. აკლდამა, თაღის აღმოსავლეთი ნაწილი.

IX. 1. აკლდამის სამხრეთ-აღმ. კუთხე ამოსუფთავების შემდეგ.
2. მთლიანად გაშიშვლებული აკლდამა, რომელსაც ტალანი უკვე მოცილებული აქვს. მიმდინარეობს თაღის დაშლა.
3. ორმო ეკლესიის შუა ნავში.

X. ყოღოთოს აკლდამები: 1. აკლდამა № 1.
2. აკლდამა № 3.
3. აკლდამა № 6.

XI ყოღოთოს აკლდამები: 1. აკლდამა № 7.
2. აკლდამა № 5.
3. აკლდამა № 9.
4. აკლდამა № 10.

XII. ჩუქურთმიანი სამარხი № 3.
1. ხედი სამხრეთიდან, 2. ხედი აღმოსავლეთიდან.

XIII. ჩუქურთმიანი სამარხი: 1. გეგმა და ჭრილები.
2. ჩუქურთმის ნიმუშები.

XIV. სიონის სამაროვანი. აღმოსავლეთი უბანი 1. სამარხი № 5 გახსნამდე.
2. „ პრეპარაციის შემდეგ.
3. სამარხი № 6, სახურავახდილი.

XV. აღმოსავლეთი უბანი: 1. სამარხი № 14.
2. „ № 8.
3. „ № 12.

XVI. დასავლეთი უბანი. 1. სამარხი № 8.
2. სამარხი № 14 გახსნამდე.
3. სამარხი № 14 გასუფთავების შემდეგ.

XVII. ეკლესიის შიდა ფართობი: 1) სამარხი № 1, (წინა ნაწილში).
2) სამარხი № 2 (გახსნის შემდეგ).

XVIII. აღმოსავლეთი უბანი 1. სამარხი № 9 გახსნამდე.
2. იგივე, სახურავის ახდის შემდეგ.

XIX. აღმოსავლეთი უბანი: 1. სამარხი № 11, პირველი ფენა.
2. იგივე სამარხის მესამე ფენა.
3. დეტალი. მინის სამაჯური მკლავზე.

XX. აღმოსავლეთი უბანი: 1. სამარხი № 11 სრული პრეპარაციის შემდეგ.
2. ბრინჯაოს ღილები და მძივები № 11 სამარხიდან.
3. მინის სამაჯურები № 11 სამარხიდან.

XXI. სამარხი № 11. 1. რკინის სამაჯურები. ბეჭდები ლურსმანი.
2. ბრინჯაოს ფუყედეროიანი სამაჯურის ნატეხები.
3. ბრინჯაოს ბეჭდები.
4. მინის ჭურჭლის ნატეხები.
5. თიხის სასმისი.
6. თიხის ჭურჭლის ნატეხი.
7. 8, 9. საყურეები.

XXII. აღმოსავლეთი უბანი. 1. სამარხი № 16 გასუფთავების შემდეგ.
2. სამარხი № 17.
3. სამარხები № 24 და 25 გამოწმენდის შემდეგ.

XXIII. დასავლეთი უბანი. 1. სამაროვნის ერთ-ერთი კუთხე წინ, მარჯვნივ, სამარხი № 5, გახსნამდე.
2. სამარხი № 10 გამოწმენდის შემდეგ.
3. სამარხი № 12 გახსნამდე.

XXIV. დასავლეთი უბანი, სამარხი № 12, 1. თიხის სასმისი.
2. მინის სამაჯურები.
3. ბრინჯაოს სამაჯური.
4. ბრინჯაოს ღილები.
5. მძივები.
6. ბრინჯაოს ბეჭდები.
7. სამხრეთი უბანი, ნივთები № 15 სამარხიდან.

XXV. დასავლეთი უბანი. 1. სამარხი № 29-ის ქვეშ მდებარე № 29-ა სამარხი.
2. სამარხი № 30.

XXVI. სამხრეთი უბანი 1. სამარხი № 3.
2. სამარხი № 5.

XXVII. სამხრეთი უბანი. № 5 სამარხის ინვენტარი.
1. მძივები.
2. ოთხი გატეხილი სამაჯური.
3. ბრინჯაოს სამი სამაჯური, რკინის სამაჯურების ნატეხები, რკინის ბეჭდები
4. მინის ორი მთელი სამაჯური.

XXVIII. ეკლესიის შიდა ფართობი. სამარხი № 6.
1. თიხის ჭურჭელი №№ 475, 456, 473.
2. ანგობით მოხატული ჯამის ნატეხი.
3. გრეხილი სამაჯურები, მინის.
4. რკინის სამი სამაჯური, ერთიმეორეზე შეჟანგული.
5. ბრინჯაოს სამაჯური.
6. სამაჯური მინის გლუვი.
7. რკინის სამაჯურის ნატეხები, რკინის ბეჭედი და ლურსმანი.
8. მოჩუქურთმებული ჯამის ნატეხები.
9. მძივები, ბრინჯაოს ღილები.

XXVIII. 1. თიხის სასმისი № 475. ეკლესიის შიდა ფართობი. სამარხი № 6.
2. თიხის სასმისი № 419 სამხ. უბანი, სამარხი № 6.
3. „ „ № 127 აღმ. უბანი, სამარხი № 16.
4. „ „ № 495 სამხ. უბანი, კულტურული ფენიდან.

XXIX. თიხის ჭურჭელი სამარხებიდან.
№ 419, სამხრ. უბ., სამარხი № 6.
№ 149. აღმ. უბ., სამარხი № 19.
№ 115. აღმ. უბ. სამარხი № 15.
№ 188. აღმ. უბ. აკლდამა. სარეცელი № 2.
№ 189. აღმ. უბ. აკლდამა. „
№ 8. აღმ. უბ. სამარხი № 3. სამხრეთი განყოფილება.
№ 303. დასავლეთ. უბ. სამარხი № 12.
№ 161. აღმ. უბ. სამარხი № 21-ა.
№ 405. სამხრ. უბ. სამარხი № 5.
№475. ეკლესიის შიდა ფართობი, სამარხი № 6.

XXX. თიხის ჭურჭელი სამარხებიდან.
№ 105. აღმ. უბ. სამარხი № 11.
№ 127. აღმ. უბ. სამარხი № 16.
№ 456. ეკლესიის შიდა ფართობი, სამარხი № 6.
№ 473. „ „ „ „
№ 414 სამხრეთ უბ. სამარხი № 5.

XXXI. თიხის ჯამები
№ 192. ანგობით მოსატული და მოჭიქული ხალებით შემკული ჯამი, აკლდამა.
№ 191. აკლდამა. ისეთივე ჯამი.
№ 128. აღმ. უბ. სამარხი № 17.
№ 420. ეკლესიის შიდა ფართობი, სამარხი № 6-ის ზემოდან ქვებს შორის.
№ 190. აკლდამა. გვიანფეოდალური ხანის ჯამი, სვასტიკით.

XXXII. მინის ჭურჭელი სამარხებიდან.
№ 416 1, 3, 4 სამხრ. უბ. სამარხი № 5.
№ 126: აღმ. უბ. სამარხი № 16.
№ 52. აღმ. უბ., სამარხი № 9.
№ 9. აღმ. უბ., სამარხი № 3 სამხრეთი განყოფილება.
№ 490. სამხრ. უბანი, ფენიდან.
№ 46. აღმ. უბ., სამარხი № 9.
№ 47. „ „ „
№ 61. აღმ. უბ, სამარხი № 10. ქვედა ფენა.
№ 69. აღმ. უბ., სამარხი № 11, შეზვინული ფენა.
№ 86. „ „ „ „ III ფენა.
№ 126. აღმ. უბ., სამარხი № 16, ქვედა ფენა.

XXXIII. მინის სამაჯურები.
№ 91. აღმ. სამარხი № 11. III ფენა.
№ 64. „ „ სამარხი № 10.
№ 411. სამხრ. უბ., სამარხი № 5.
№ 29. აღმ. უბ., სამარხი № 7.
№ 273. დასავლ. უბ., სამარხი № 12.
№ 324. დას. უბ., სამარხი № 21.
№ 453. ეკლესიის შიდა ფართობი, სამარხი № 6.
№ 446. სამხრ. უბ., № 15 ზედა ფენა.
№ 93. აღმ. უბ., სამარხი № 11, III ფენა.
№ 212. დანგრევას გადარჩენილი კონცხი. სამაროვნის აღმოსავლეთით, სამარხი № 1.
№ 412/5. სამხრ. უბ., სამარხი № 5.
№ 397. სამხრ. უბ., სამარხი № 3, ქვედა ფენა.
№ 92. აღმ. უბ., სამარხი № 11, III ფენა.
№ 393. სამხრ. უბ., სამარხი № 5.
№ 412. სამხრ. უბ., სამარხი № 5.
№ 157. აღმ. უბ., სამარხი № 19, ქვედა ფენა.

XXXIV. 1. რკინის ტიპიური სამაჯურები სხვადასხვა სამარხებიდან.
2. ჯვრები: № 22, ბრინჯაოსი, აღმ. უბ., სამარხი № 6.

№ 94. ვერცხლის. ალმ. უბ., სამარხი № 11.
№ 251. ძვლის, დას. უბ. სამარხი № 1.
3. ჯვარი ვერცხლის, წარწერით, ინვ. № 519. შემთხვევითი მონაპოვარი.
4. სამაჯური ვერცხლის, № 401 სამხრ. უბ., სამარხი № 4.
5. სამაჯურის ნაწილი ვერცხლის, № 185, აყლდამა, № 2 ტახტის უკან.

## ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

I. Сиони. Общий вид раскопа.
II. I. Общий вид могильника до раскопок.
Видны восточный фасад базилики и остатки позднего помещения над дромосом склепа.
2. Сионская базилика, вид с запада.
3. Погребения в обрыве раскопа, до начала археологических работ.
III. I. Вход подземного склепа. Дверной проем заполнен блоком травертина.
2. Вид могильника с востока, вправо виден полуобнаженный склеп.
IV. I. Склеп. Свод дромоса.
2. Ступеньки дромоса.
VI. I. Склеп. Правое ложе до препарации.
2. Склеп. Левое ложе до препарации.
VI. I. Северо-Западный угол склепа, заполненный человеческими костями.
2. Глиняная миска на полу склепа.
VII. I, 2. Внутренние виды склепа после препарации.
VIII. I. Склеп. Западная часть свода. Видны пробоины «кладоискателями».
2. Склеп. Восточная часть свода.
IX. I. Юго-западная часть склепа после препарации.
2. Склеп полностью обнаженный, дромос разобран, идет разборка свода.
3. Яма в центральной части базилики.
X. Склепы из Когото: 1. склеп № 1
2. «——» № 3.
3. «——» № 6.
XI. Склепы из Когото: 1. склеп № 7.
2. склеп № 5.
3. склеп № 9.
4. склеп № 10.
XII. Погребение № 3 с орнаментом.
1. Вид с Юга 2. Вид с Востока.
XIII. Погребение № 3 с орнаментом.
1. План и разрезы. 2. Образцы орнамента.
XIV. Сионский могильник, Восточный участок.
1. Погребение № 5 до раскрытия.
2. — » — после препарации.
3. Погребение № 6, без покрытия.
XV. Восточный участок 1. Погребение № 14.
2. — » — № 8.
3. — » — № 12.
XVI. Сионский могильник, Западный участок.
1. Погребение № 8.
2. — » — № 14 до препарации.
3. — » — № 4 после препарации.
XVII. Погребение № 1 внутри базилики.
Погребение № 2 внутри базилики, после раскрытия.
XVIII. Восточный участок. 1. Погребение № 9 до раскрытия.
2. То же самое, после снятия крыши.

XIX. Восточный участок I. Погребение № 11 — первый слой.
2. То же самое, третий слой.
3. То же самое — деталь.

XX. Восточный участок. I. Погребение № 11 после препарации.
2. Бронзовые пуговицы и бусы из 11 погребения.
3. Браслеты стеклянные из 11-го погребения.

XXI. Восточный участок, погребение № 11.
1. Железные браслеты, перстни, гвозди.
2. Обломки полых бронзовых браслетов.
3. Обломки стеклянной посуды.
4. Бронзовые перстни.
5. Глиняный сосуд.
6. Обломки глиняной посуды.
7, 8, 9, — Серьги.

XXII. Восточный участок I. Погребение № 16, после препарации.
2. Погребение № 17.
3. Погребение № 24 и № 25 после препарации.

XXIII. Западный участок I. Общий вид южной части участка, вправо на переднем плане погребение № 5 до раскрытия.
2. Погребение № 10, после препарации.
3. — » — № 12, до препарации.

XXIV. Западный участок, погребение № 12.
1. Глиняный сосуд.
2. Стеклянные браслеты.
3. Бронзовый браслет.
4. Бронзовые пуговицы.
5. Бусы.
6. Бронзовые перстни.
7. Погребальный инвентарь из 15-го погребения Южного участка.

XXV. Западный участок. I. Погребение № 29-а под погребением № 29.
2. Погребение № 30.

XXVI. Южный участок. 1. Погребение № 3.
2. Погребение № 5.

XXVII. Южный участок, инвентарь погребения № 5.
1. Бусы. 2 Браслеты. 3. бронзовые 3 шт., обломки железных браслетов, железные перстни. 4. Стеклянные браслеты.

XXVIII. Погребение № 6 внутри базилики.
1. Глиняные сосуды №№ 1, 475, 456, 473.
2. Обломок миски с орнаментом из ангоба.
3. Браслеты стеклянные, витые.
4. Браслет железный — 3 шт.
5. Бронзовый браслет.
6. Браслет стеклянный с гладкой поверхностью.
7. Обломки железного браслета, железный перстень и гвоздь.
8. Обломки глазурованной керамики.
9. Бусы, бронзовые пуговицы.

XXVIIIa. 1. Глиняный сосуд № 475, погребение № 6 внутри базилики.
2. Глиняный сосуд № 419. Южный участок, погреб № 6.
3. — » — № 127 Восточн. уч., погреб. № 16.
4. — » — № 495 Южн. уч. Культурный слой.

XXIX. Глиняные сосуды из разных погребений, № 419, Южн. уч. погребение № 6.
№ 419, Восточный участок погребения № 19.
№ 115. Восточн. уч. погреб. № 15.

№ 188. Восточн. уч. Склеп, ложе № 2.
№ 189 — » — — » — Склеп.
№ 8. Восточн. уч. погреб. № 3, Южная камера.
№ 303. Западн. уч. погреб. № 12.
№ 161. Восточн. уч. погреб. № 21а.
№ 405. Южн. уч. погреб. № 5.
№ 475. Погребение № 6, внутри базилики.

XXX. Глиняные сосуды из разных погребений: № 105 Восточн. уч. погреб. № II.
№ 127. — » — № 16.
№ 456. погребение № 6, внутри базилики.
№ 473. — » — — » —
№ 414. Южный участок, погребение № 5.

XXXI. Глиняные миски.
№ 192. Склеп.
№ 191. Склеп.
№ 128. Восточный участок, погребение № 17.
№ 420. погребение № 6 внутри базилики, верхний слой.
№ 190. склеп. Миска поздне-феодального периода со свастикой.

XXXII. Стеклянная посуда из разных погребений:
№ 416. I, 3, 4, Южный участок, погребение № 5.
№ 126. Восточный участок, погребение № 16.
№ 52. — »— — » — № 9.
№ 9. Восточн. уч. погребение № 3, Южная камера.
№ 490. Южн. уч. культурный слой.
№ 46. Восточн. уч. погребение № 9.
№ 47. — » — — » —
№ 61. — » — — » — погреб. № 10 нижний слой.
№ 69. — » — » — погребен. № II, верхний слой.
№ 86. — » — — » — —» III-ий слой.
№ 126. — » — — » — № 16, нижний слой.

XXXIII. Стеклянные браслеты.
№ 91. Восточн. уч. погребение № 11, III слой.
№ 64. — » — — » — № 10.
№ 411. Южн. уч. погребение № 5.
№ 29. Восточн. уч. погребение № 7.
№ 273. Западн. уч. погребение № 12.
№ 324. — » — — » — № 21.
№ 453. погребение № 6 внутри базилики.
№ 446. Южн. уч. погребение № 15, верхний слой.
№ 93. Восточн. уч. погребение № II, III слой.
№ 212. Отдельный участок в восточной части могильника, погребение № 4.
№ 412/5. Южн. уч. погребение № 5.
№ 397. — » — погребение № 3, нижний слой.
92. Восточн. уч. погребение № II, III-ий слой.
№ 393. Южн. уч. погребение № 2.
№ 412. — » — погребение № 5.
№ 157. Восточн. уч. № 19 нижний слой.

XXXIV. I. Типичные железные браслеты из разных погребений.
2. Кресты: № 22, бронзовый. Восточн. уч., погребение № 6.
№ 94. Серебряный, Восточн уч., погребение № 11.
№ 251. Костяной, Западн. уч., погребение № 1.

3. Крест серебряный с надписью, инв. № 519. Вост. уч. случайный находок.
4. Браслет серебряный № 401, Южный участок погр. № 4.
5. Фрагмент серебряного браслета № 185, Склеп, за ложей № 2.

## РИСУНКИ В ТЕКСТЕ


Рис. 1. Склеп, аксонометрический разрез.
Рис. 2. Склеп, продольный разрез.
Рис. 3. План склепа и облицовка пола.
Рис. 4. Склеп, западная стена, внутренняя облицовка и внешний вид.
Рис. 5. Склеп, восточный фасад без дромоса.
Рис. 6. Орнамент Сионской базилики.
Рис. 7. Сионская базилика. Орнамент с изображением виноградной лозы. Обрамление дверного проема с запада.
Рис. 8. Сионская базилика капитель № 2, изображение виноградной лозы.
Рис. 9. Изображение дерева на обломке ствола колонны.
Рис. 10. Орнамент геометрического стиля на карнизе в алтарной части.
Рис.. 11—12. Орнаментальные розетки на капителях.
Рис. 13. Крипта, в алтарной части северной пристройки.
Рис. 13а. Образец каменного погреб. из плит «ширмы», Восточный участок погребения № 12.
Рис. 14 Бусы Сионского некрополя.
Рис. 15 Бронзовые перстни: № 275 Запад. уч. погреб. № 12.
№ 96. Восточн. уч. погреб. № 11.
№ 99. — » — № » — № 11, нижний слой.
№ 283. Западн. уч. погреб. № 12.
№ 50. Восточный участок погребения № 9.
№ 277. Западный участок погребения № 12.
№ 38. Восточный участок погребения № 9.
№ 75. — » — — » — № 11.
№ 318. Западный участок погребения № 21.
№ 267. — » — — » — № 10.
№ 143. Восточный участок погребения № 19.
№ 66. — » — — » — № 11.
Рис. 16. Бронзовые перстни и браслеты.
перстни: № 352 Западный участок погребения № 32.
№ 318. — » — — » — № 21.
№ 205. Восточный участок погребения № 2(а).
№ 206. — » — — » — № 3 (а).
№ 262. Западный участок погребения № 5.
браслеты:
№ 329. Западный участок погребения № 28.
№ 459. Погреб. № 6 внутри базилики.
№ 231. Восточный участок погребения № 28.
№ 250. Западный участок погребения №I.
Рис. 17. Серебряные перстни Сионского некрополя.
№ 182. Склеп.
№ 425. Южный участок погребения № 8.
№ 424. — » —
№ 181, 183. Склеп.
№ 307. Западный участок погребения № 14.
№ 306, 308 — » —

№ 180. Восточный участок погребения № 27.
№ 59. — » — — » — погребения № 19
Рис. 18. Бронзовые серьги Сионского некрополя.
№ 41. Восточный участок погребения № 9.
№ 67. — »— —» — погребение № 11.
№ 513. Погребения № 4 внутри базилики.
№ 122. Восточный участок погребения № 16.
№ 292. Западный участок погребения № 12.
№ 311. — » — — » — № 15.
№ 386. Южный участок погребения № I.
№ 142. Восточный участок погребения № 19.
№ 159. — » — — » — № 21.
№ 44. — » — » — № 9.
№ 289. Западный участок — » — № 12.
№ 404. Южный участок — » — № 5.
№ 73. Восточный участок погребения № 11.
№ 299. Западный участок погреб. № 12.
№ 155. Восточный участок погреб. № 19.
№ 323. Западный участок погреб. № 21.
№ 84. Восточный участок погреб. № II.
№ 341. Западный участок погреб. № 29а.
№ 386. Южный участок погреб. № I.
№ 159. Восточный участок погреб. № 21.
№ 142. — » — — » — № 19.
№ 98. — » — — » — № 11.
№ 290. Западный — участок погребения № 12.
№ 417. — » — — » —
Рис. 19. Крест серебряный с надписью инв. № 519.

# ტაბულები

ტაბულა I

1



2



3



1

2



1



2

1

2

1

2



1



2



1

2



1



2



3




1



2



3

1




2




3




4



1

2



1



2



3



1



2



3



1

2



3



1



2



3

1



2

1

2



1



2



3




1
2
3
4
5
6
7
8
9



1

2

3

1

2



3


1
2
3
4
5
6
7

1

2

1

2


1
2
3
4



1
2

3
4


149
115
419
189
188


303
8
475
161
495

105



127





456



473

414







192



191



190



1



420



128



414



416-4



126

416-1

52

416-2

416-3

490





46



47



69



86



126


91
64
411
29
275
324
453
446
93
212
412-5
397
92
393
412
157


1
0 1 2 3 4 5 cm


22
94
251
0 1 2 3 4 5 cm
2




4

185

# შ ი ნ ა ა რ ს ი


წინასიტყვაობა . . . . . 3
შესავალი . . . . . 6
თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. ადრეფეოდალური ხანის ძეგლები . . . . . 14
აკლდამა (ძეგლის აღწერილობა—15. ძეგლის ანალიზი—28) . . . . . 15
თ ა ვ ი მ ე ო რ ე. შუაფეოდალური ხანის ძეგლები (გარდამავალი ხანის სამარხები —61. აღმოსავლეთი უბანი — 67. დასავლეთი უბანი — 47. სამხრეთი უბანი — 77. სამარხები ეკლესიაში — 82) . . . . . 59
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. შუაფეოდალური ხანის სამარხებისა და სამარხეული ინვენტარის დახასიათება. . . . . 86
1. სამარხთა აგებულება და დაკრძალვის წესი . . . . . 86
2. ტიპიური სამარხეული კომპლექსი . . . . . 91
3. თიხის ჭურჭელი . . . . . 92
4. მინა . . . . . 99
5. ბრინჯაოს სამკაული . . . . . 108
6. ვერცხლის სამკაული . . . . . 121
7. რკინის ნივთები და სამკაულები . . . . . 124
8. ჯვრები . . . . . 125
9. ქსოვილის ნაშთები . . . . . 126
10 მონეტები . . . . . 128
თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე. ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი და სიონის განათხარი ძეგლების მნიშვნელობა . . . . . 130
Резюме — Археологические памятники Иорского ущелья . . . . . 146
შემოკლებათა განმარტება . . . . . 148
ტაბულების აღწერილობა . . . . . 149
Описание таблиц . . . . . 152

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი გ. ლომთათიძე
გამომცემლობის რედაქტორი ც. თავაძე
მხატვარი გ. ნადირაძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი მ. მახარაძე

გადაეცა წარმოებას 13.6.1970; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.11.70;
ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16.96; საღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 12.3; უე 0176; ტირაჟი 2000; შეკვეთა № 1478;
ფასი 1 მან. 16 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის 15
Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15

**Рамин Максимович Рамишвили**

# АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ ИОРСКОГО УЩЕЛЬЯ СИОНИ